

საქართველო

7

1971



ტესტი

170

გამოცემის მეთუთმეტი წელი

7

ივლისი

1971

თბილისი



საპ. კვ ცკ-ის გამოცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საპარტვილოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ბიბლია

პოეზია

- 3. ოთარ ზილაძე. ლექსები
- 27. ნაილი ნეკერიძე. ლექსები
- 29. გელა შალვაშვილი. ლექსები
- 42. ტაბუ მებაურიძე. ლექსები
- 44. აკოლონ ალონია. ლექსები

პროზა

- 7. აკაკი ზაწარაძე. იმამის ერთი დღე. დოკუმენტური ეპოსი
- 16. კარლო არსენაშვილი. კოშკი. მოთხრობა
- 30. კარლო ტაბატაძე. საღაც შენა ხარ. მოთხრობა
- 46. ლადო კოკია. შემოღოგმის ღამე. მოთხრობა
- 51. თეიმურაზ მალაფარიძე. წყურვილი. რომანი. დასაწყისი

ვაჟნიკი

- 81. ქეთილ კვინიტაძე. ლექსები
- 83. ავთანდილ გაფრინაშვილი. ლექსები

ახალი თარგმანები

- 85. გიორგი აკოლინაძე. ზონა. პოემა. ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა
- 92. ჰომეროსი. ოდისეა. ვაგრძელება, ძველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიქნაძემ, თამაზ ჩხენკელმა

წერილები

- 105. ლერი ალიშოვაძე. ტერიები ბრანელის პოეზიას
- 112. აკაკი მახაძე. როცა თავად არ ღალატობ პოეზიას
- 118. გურამ შარაძე. მინოველოვანი წვლილი
- 125. გრიგოლ მარგინაძე. უახლესი გამოკვლევა საქართველოს ახალ ისტორიაზე
- 130. ემზარ კვიციანიძე. ჩრდილოეთის ყვავილები
- ახალგაზრდა მეცნიერები „ცისკარში“
- 133. თეიმურაზ ფანჯიკიძე. ბიგლია გუშინ, დღეს, ხვალ
- 145. იმეზა შარალაშვილი, იოზეფ კნეჰტის სიკვდილი

ხელოვნება

- 153. საამ ლორთქიფანიძე. „საქართველო ხალხურ სიმღერებში“
- 159. შოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
აკაკი ბაქრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვარდუღიანი,
მერაბ ელითაშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია პაპორია
(ბასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ წულეისკირი,
ტარიელ ზანთური,
ნარგი ზილიანი,
თამაზ ზილაძე,
ლუა ჯანაშია.

ახალი ლექსები

სიყვარული

ზამთარმა, ცივმა და შემპარავმა,
კვლავ მომისია თეთრი ფიფქები,
და კვლავ მიყვარხარ, თუმცა არა ვარ
ის, რაც ვიყავი ანდა ვიქნები.

და იქნებ ჯობდეს, გაიხსნას ფრჩხილი,
გულმა და ენამ აიძროს ლუქი,
ბოლო უჯრამდე შეივსოს ცხრილი,
ბოლო კუნჭულსაც მიადგეს შუქი.

იქნებ გვჭირდება მესამე კაცი,
მსაჯულისა თუ მკურნალის მსგავსი,
ამ მტანჯველ გრძნობას რომ დასდოს ღვაწლი
და მისცეს სახეც, სახელიც... ფასიც.

იქნებ ფერფლია და არა ღველფი?
იქნებ ლოდია და არა სვეტი?
იქნებ მსხვერპლია და არა კერპი?
ბედისწერაა და არა ბედი?

არ გამოჩნდება იგი გარედან,
მაგრამ არსებობს, უტყვი და ურჩი,
როგორც ფორმულა ან მარგალიტი
გამომწყვდელი ცეცხლგამძლე ყუთში.

განწირულია ის გრძნობა ვიცი,
მუცლიდან დაჰყვა გიჟის ხალათი,
მისთვის უცხოა ვალი და ფიცი,
რადგან არ იცის რაა ღალატი.

ჩვეულებრივი ტანჯვით და ვნებით
ვერ იბოგინებს ამქვეყნად იგი,
რადგან უხორცო და ვრცელი ფრთებით
აპატარავებს ყველაფერს ირგვლივ.

მინც ისაა გზაც და ჭაპანიც
და გვერდით მიწვეს ძეძვის ტოტივით,
სანამ მახურავს ცხელი საბანი
გაურკვევლობის და მოლოდინის.

მ ი წ ა გ ე მ კ ი მ ე

ვუძღვნი დედას

მომეცი ნება, შენს ყორეზე მოვითქვა სული,
შენი ლედვის ხე მოვიჩრდილო და შენს წყაროში
ჩავყო ფეხები, ფესვებივით, რომ ერთხელ კიდევ
ვცადო საცდელი, ერთხელ კიდევ, რადგან ვერავინ
ვერ მიუდგება ჩემს სატკივარს, მე მტკივა იგი
და მევე უნდა ამოვიძირკვო, რომ მის ფოსოში
სინათლესავით ჩავაყენო შენი ღიმილი,
მე რომ ვუყვარვარ და არ მწყალობს, რადგან სხვებივით
არ შეუძლია ითვალთმაქცოს და ჩემი მატყლი
ააჩხრიალოს კაკალივით...

არ შეუძლია

დამიძაბუნოს, გამიქარწყლოს და დამავიწყოს,
რაცკი არსებობს ჩემში მძიმე, მკვრივი და მკვეთრი,
კეტად რომ უნდა მოვიმარჯვო, თუკი ოდესმე
მშიერ ძაღლების ორლობეში მომიწევს გავლა.
და არყოფნაზე ამაზრუნენი დადგება წუთი,
რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ ჩემი სულიც
ადამიანის სული იყო და არა ბუშტი
ფილტვებში გამთბარ ჰაერისა, რითაც ვარსებობ;
და თუ ვარსებობ, არ მაქვს ნება დაფუჭო თვალი,
მოგუკუმო პირი, დავიკრიფო გულზე ხელები
დაბლაგვებული ნიჩბებივით, რომელთაც უკვე
არ შეუძლიათ მიწის მოთხრა, თუმცა იციან,
რომ ამ მიწაში ასვენია ღმერთის ცხედარი, —
დრო რომ აყრია, საწყალს, გულზე მიწაზე მეტი,
მიწაზე მძიმე, შეუვალი, ბნელი და გრილი,
ბრძენი გველი რომ შემაჩნა ყავარჯნად ხელში,
მხარზე მამალი რომ შემასვა და თბილი თესლით
ცერცვის პარკივით რომ გამავსო... და ბეჭედივით
ამ ცას და მიწას დამაჩნია...

მე კი დაღლილი

ყორეზე ვზივარ და ლედვის შტოს ვიწოდებ კავით,
მზემ რომ არ დამკრას... შიმშილმა რომ არ შემაწუხოს...
დრო რომ მოვიგო...

მაპატიე ეს ერთი წამი,

ეს ერთი წამი სისუსტისა თუ უმეცრების:

მეც ხომ შვილი ვარ,

ლექვი,

ბარტყი,

ჭუპრი თუ კვერცხი...

მეც მოვინდომე უზრუნველად ჯდომა შენს ჩრდილში
და დამავიწყდა, რომ ჩემს მეტი არ ყავს პატრონი
კერიის მწარე კვამლის სუნით გაქლენთილ კაბას
და თავსაფრიდან გამოჭყეტელ ჭაღარა წარსულს,

მე რომ შეყრება ნაცარივით, როცა მძინარეს
ბეჭებს მიზომავ, ფხას მისინჯავ და ისე მკოცნი,
თითქოს შხამს მწოვდე იარიდან...

შვილი ვარ შენი!

მეც შენს საშოში, ვით ქურაში, ვარ გამომწვარი
და უკვდავი ვარ!

უკვდავებით ვარ დაქანცული!

ამის ბრალია წამიერი ეს გაოგნებაც,
ამის ბრალია გულუბრყვილო ჩემი ფიქრები,
ტყუებუბივით რომ დაემსგავსნენ იმ გლეხის ფიქრებს,
ერთი წლის სარჩოს რომ თხოვს მიწას, ერთი წლის ვადით
რომ იხანგრძლივებს არსებობას...

ერთი წლის ვადით!

რათა საფლავშიც ჭიასავით არ ჩაყვეს ფიქრი
დაბინავებულ ჭირნახულის, ძროხის თუ ქალის...
თითქოს მინდორში ცეცხლს ვაღვივებ და სიბნელეში
მეც ვიფოფრები და ვწითლდები ნალვერდალივით,
მაგრამ არ ვიცი ეს სიწითლე რისი ბრალია:
სიყვარულის თუ სირცხვილისა... ორკაპ ჯოხივით
ეს ორი გრძნობა სასულეზე მაქვს მობჯენილი.
სიკვდილის ნება რომ არა მაქვს, მეც კარგად ვიცი,
წინ ერთი გზაა, შენი ფრჩხილით ამოკაწრული,
შენი ტკივილით დატკეპნილი და მოკირწყლული
გაქვავებული სიჯიუტით და მოთმინებით.
უკაცურია ეს გზა თითქმის და ამიტომაც
მოსაწყენია მარტოხელა მგზავრისთვის იგი:
წინაპრის ლანდი გადაირბენს ათასში ერთხელ,
ან მოსახვევში დაგიხვდება წყაროდ ქცეული,
თავის სულში რომ ჩაგახედოს და წყალთან ერთად
გადაგდოს სენიც სითამამის და თავგანწირვის.
დაუმთავრებელ ძეგლებივით დგანან დღეები
და ღამეები ნაუცბათევ საფლავებს გვანან...
ყველა ძეგლს უნდა შევატოვო მე სულის სისხლი,
ყველა საფლავში უნდა ჩაწვე, რომ ბგერასავით
გავნთავისუფლდე დუმილისგან, ანდა შუქივით
გავნთავისუფლდე სიბნელისგან და ფოთოლივით
შემოვებრუნო ჩემსკენ შენი სმენა და თვალი.

ბ ი ჭ ვ ი ნ თ ა

ეს, რა თქმა უნდა, სიზმარია,
მწვანე სიზმარია...

ნიავე კბილით ჩაფრენია ბურუსის კალთას
(ძალით მიათრევს ფიჭვნარიდან), ხოლო ბურუსი
დიდი ცხოველის გულგრილობით მიჰყვება ნიავეს
და ამიტომაც ყველაფერი მწვანეა ირგვლივ:

კედელიც, კიბეც, აივანიც, სკამიც და წიგნიც —
მთელი ღამე რომ ჩიფჩიფებდა თავის სატკივარს
და ყურადღებას მოითხოვდა (დედაბერივით,
სიკვდილის სუნთქვა რომ უგრძენია და დაბნეულა
სწორედ ისევე, როგორც ერთხელ, დიდი ხნის წინათ,
როცა პირველად გაეხუმრა ქუჩაში კაცი
და უცაბედად დაჩლუნგებულ სახეს შიგნიდან,
როგორც გალიის გადაჭიმულ პრიალა ბადეს,
მოაწყდა ვნება).

ეს, რა თქმა უნდა, სიზმარია,
გრძელი სიზმარი...

გამხმარი წიწვის იატაკი ფეხის ხმას ახშობს.
მწვანედ ამოსდის ჩიტებს სტევენა ღია პირიდან
და კი არ გესმის — ხედავ სტევენას, რადგან ბურუსმა
ისიც ჩაახშო, დააკნინა, დაიმორჩილა
და ამის მერე მისცა ნება, რომ ტოტებს შორის
მწვანე ფლოსტებით ესეირნა...

დამფრთხალ კვიცივით
თავაწეული ყნოსავს ჰაერს პატარა გოგო.



აკაკი განაჩელი

ცნობილ ქართველ მწერალსა და მეცნიერს აკაკი გაწერელის დაბადების 60 წელი შეუსრულდა. დიდა აკაკი გაწერელის დამსახურება ქართული კლასიკური ლექსის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. მის კალამს ეკუთვნის არაერთი საყურადღებო გამოკვლევა ქართული და მსოფლიო ლიტერატურის პრობლემებზე. აკაკი გაწერელია წლების მანძილზე მუშაობს დოკუმენტურ ეპოსზე „შამილი“. ჟურნალი „ცისკარი“ აქვეყნებს ერთ თავს ამ ნაწარმოებიდან.

იმამის ერთი დღე

„თხემით ტერფამდე ფილოსოფოსი-სტოიკოსი...
ულარიბესი და აულელვებელი ფაკირი მთელს
ქვეყანაზე... თავისავე თავის ტყვე...“

აპ. რუნოვსკის დღიური
(1861 წ. 16 მარტი).

1.

1858 წლის ზამთრის სუსხიანი დღე იდგა.

შამილის ვედენოსეულ სახლში ხუთ-შაბათს დივანი იყო მოწვეული. ჩვეულებრივ იმამი პარასკევს გარდა თითქმის ყოველდღე თავს უყრიდა უმადლესი საბჭოს წევრებს. ყველანი მისი სახლის ეზოში ცხოვრობდნენ, ამიტომ იმამის რეზიდენციის მცველი მურიდების უფროსს მითლიკს მართლმსაჯულნი არ გაუფრთხილებია.

შამილი დილიდანვე უგუნებოდ გახლდათ და ახალი საქმეების გასარჩევად გული არ მიუწევდა. ანდის მაღალ აულ

ზულკადიდან შემოუთვლიათ, შენი სნეული ვაჟი დღითი-დღე ილევანო. იმამის უფროსი ძე მცირეწლოვანი წაიყვანეს ახულგოს აღებისას, იგი პეტერბურგში დავაჟკაცებულა და მხოლოდ ოთხი წლის წინათ დაუბრუნებია მამას წინანდლიდან გატაცებული ქართველი ტყვე ქალების საფასურად. იმპერიის სატახტო ქალაქში აღზრდილ და მთაში მოწყენილ ოფიცერს მამის სახლში ხველების სენი შეპყრია (მთიელებისათვის უცნობი იყო ჭლექის სახელწოდება) და ახლა ზულკადის ჩინებული ჰავაც აღარ შველოდა.



არც სერალში სუფევდა მყუდროება. იმამის ცოლები ერთმანეთზე იყენენ გადაკიდებული. ხანდაზმული, ნაყვავილენი და ძუნწი ზაიდეთი ვერ ითმენდა ახალგაზრდა და ლამაზ შუანეთას, რომელსაც ფეხმძიმობის გამო მშვენიერი სახის კანი დალურჯებოდა და ზედ ჭორფლიც დასდებოდა. ამ დილითაც აპხირიცა იჭვიანი ზაიდეთი თავის მეტოქეს, ოთახში სწვევია, დაბაბ ტახტზე დაბრძანებულა, კრილოსანის მარცვლას შესდგომია და საყვედურებით აუვსია. ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ვერცხლის სარკები გაგიჩრია თმაში, დარდულბა შენა, აქაოდა მზეთუნახავი ვარო, — უთქვამს შუანეთასათვის, თანაც დაუყვედრებია — კიაფირი მოგიყვანეს მთაში და ამიტომ ღმერთი გსვის, შვილები დაიხოცა, გაწყდეს შენი ჭიშორი, კეთილი შუანეთა მოზღოვკელი სომხის ივანე ულუხანიანის ასული იყო, წინათ ანა ერქვა, მშობლებს იგი სტავროპოლის ინსტიტუტში შეუყვანიათ, მაგრამ როცა დედ-მამასთან არდადეგებზე ჩამოსულა, ნაიბი ახვერდი-მაგომა დასცემია ქალაქს, ულუხანიანთა ქალიშვილი გაუტაცნია და იმამისათვის მიუყვანია დარლოში. შამილს ანა მოსწონებია, სჯული გამოუცვლევინებია, შუანეთა დაურქმევია და ცოლად შეურთავს.

ზაიდეთს ჰშურდა შუანეთას ვერცხლივით წკრიალა და წმინდა ხმაც კი. თვითონ შამილი არც ერთს იჭვიანობის საბაბს არ აძლევდა, თავის ქმრულ ვალდებულებათა შესრულებისას ისევე მორცხვი იყო, როგორც საქორწინო სარეცელისაკენ პირველ ღამეს მიმავალი ჭაბუკი.

იმამის გარემომცველი მურიდების შეხედულებით ქალების აყალბაყალს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო სახლის ჭორების შემკრებსა და მოენე, მოკლფეხებიან ლაბაზანს შამილისათვის დაუყოვნებლივ უცნობებეია ზაიდეთისა და შუანეთის ჩხუბის ამბავი (ცეროდენა მთიელი უჩინრად იყო ატუხული ხოლმე იმამის ცოლების

ოთახების ზღურბლთან და ყველაფერს თავის დროზე გებულობდა). ამას ისიც დაერთო, რომ გასულ კვირას შამილისა და ზაიდეთის თორმეტი წლის ფეხმრული ასულის ნაჯავათის მკურნალ ექიმბაშს ხელი ჩაუქნევია და უთქვამს: გოგონას ფეხებს არაფერი ეშველება, იცელქოს თავისთვის და მამზალები ანთოსო. ნაჯავათს მართლაც უყვარდა ცეცხლწაკიდებული ხის პატარა ნაჭრით ბანებზე ხტუნაობა და ახარებდა, როცა მას შეშინებული ლაბაზანი უკან დასდევდა, სახლს ცეცხლი არ წაუქიდოსო.

შამილი ყოველივე ამის გამო გახლდათ უგუნებოდ. მითლიქს ყური მოუკრავს სერალის ინტრიგებისათვის და გადაუწყვეტია: მე მარტო მეცოდინება ჩვენი ბატონის უხალისობის მიზეზი, დივანის დროს ყველა გადაწყვეტილებაზე თავს დავუქნევ და მეტს ნდობასაც დავიმსახურებო.

დივან-ხანეში მოთათბირენი შუადღით მოიყრიდნენ თავს, თუმცა უშაღლეს საბჭოს შამილი მუდამ დილით იწვევდა.

2

შამილის რეზიდენცია მდებარეობდა შიდა საჩაჩნოს სოფელ დიშნივედენოს ზემოთ. ეს სოფელი მდინარე ხულხულაუს ნაპირას, მაღალ მოედანზე იყო გაშენებული (იჩქერული დიალექტით „ვედენ“ ბრტყელ ადგილს ნიშნავს). იმამის ვრცელი სახლი სოფლიდან მცირე მანძილით იყო დაშორებული, იგი რუსმა რენეგატმა სალდათებმა აუშენეს მას ცამეტი წლის წინათ, კავკასიის მხედრობის მიერ დარღოს აღების შემდეგ. ხის დიდი სახლი გორაკის ოთხკუთხოვან მინდორზე იდგა და ირგვლივ სამი კედლით იყო შემოზღუდული. კედლების გადღამა თხრილი გაეყვანათ, ეზოში შესასვლელი ალაყაფის წინ გუშაგები იდგნენ, ხოლო პირველი კედლის ოთხივე კუთხეში ქონგურებზე ზარბაზნები იყო ამართული. შამილის სამკვიდრებელს ათასხუთასი მურიდი იცავდა.

ხუთი წლის წინათ აქ ცხოვრობდნენ წინანდლიდან მოტაცებული ქართველი

ქალები და მათი შვილები ფრანგი გუ-ვერნიორითურთ...

რეზიდენციის შიგნით, მთავარ სახლ-თან ფლიგელია მეზონინით. იგი სამი ოთახისაგან შედგება, ერთი სტუმრების მისაღება, მეორე სასადილო, მესამე კი იმამის კაბინეტია, სადაც ლოცულობს, კითხულობს და იბინებს. იქვეა მდიდარი ბიბლიოთეკა, ოთახის სამივე კედელი ჭერამდე სავსეა არაბული წიგნებითა და მანუსკრიპტებით. კაბინეტს დასავლეთით აქვს სარკმელი და შამილი აქედან გასცქერის ხოლმე პატარა მთა ჩერბი-ალამს. ომისაგან მოცლილი მთიელთა ბელადი მეტწილად ოთახშია ჩაკეტილი, ლოცვისა და კითხვის შემდეგ სიძებებს ღებულობს და არაბული გრამატიკის, ლოგიკისა და ლექსწყობის კანონებს უხსნის მათ; ან ყურანის სურებს განუ-მარტავს, ან კიდევ ჰაზავათის წარსულ ამბებს უყვება.

შამილი მუდამ მარტო საუზმობს და სადილობს. ოდესღაც ასე არ იქცეოდა, მაგრამ ცოლებს მისთვის უთქვამთ: შენი თანდასწრებით ახლობლები და სტუმრები მაღიანად ვერ შეექცევიან კერძო. ამის შემდეგ სხვებთან ტრაპეზის გამ-ზიარებელი შამილი არავის უნახავს.

იმამი თავისავე თავის ტყვეა. ჭკვიანი და სადა, თუმცა მისი უბრა-ლო მორთულობა — ჩერქეზული მწვანე ჩოხა, ხმალი და დამბაჩა არაფერს აკლებს მთიელთა წინამძღოლის მბრძო-ნებლურ შესახედაობას. კარგად მოეხ-სენება, რომ მთელს კავკასიაში, გავარდ-ნილა მისი სახელი, ხოლო ხალხი პირდა-პირ აღმერთებს. ჩვეულებრივ იგი მთვლემარე ღომს მიაგავს. ახოვანია. მწითური, ქერა და გრძელი წვერი ბევრს ჰმატებს მის სიდიადეს. ნაცრისფერი და გრძელად ჭრილი თვალები აზოურ ყაი-დაზე განზრახ აქვს მოჭუტული, ზოგი ფიქრობს, წიგნების კითხვისაგან ასტი-ვებიაო. ბაგე-თხელი და ალისფერი; კბილები — ბროლივით წმინდა და ლა-მაზი; მიმოხრა — მტკიცე, მაგრამ არა დუნე; წარბებს შორის — ღრმა ნაოჭი. ცაციაა, მარცხენა ხელი ხმლის ვადაზე

უძევს. მუდამ სერიოზულია, ქარვისფერ კრიალოსანს მარცვლავს და როცა საუბ-რობს ხუნძურ კილო-კავზე ან არაბუ-ლად — ვარდები ცვივა ბავთავან. მეტ-წილად კი ქვასავით მდუმარეა...

ასე ამკობენ თავიანთ ბელადს ჩაჩნე-ბი და ლეკები.

მხოლოდ ამ დილით არ მიაგავდა შა-მილი თავის თავს, თუმცა რკინისებურ ნებისყოფას მისთვის არასოდეს ულა-ლანია. ცეროდენა ლაბაზანმა ოთახში შემოუტანა მას რძისაგან მოზეილილი და გამომცხვარი პური, მოხარული წიწი-ლის ხორცი და ბრინჯი, შემდეგ კი ონ-სოლქოლის თაფლი (იმდენად თეთრი, საინს არც კი აჩნდა) და უშაქრო ჩაი. შამილი მარილსა და შაქარს არ ეკარება.

იმამი უხალისოდ შეექცეოდა საუზ-მეს.

ხალიჩაზე, პატარა მაგიდასთან, ფეხ-მორთხმით იჯდა დიდს მუთაქაზე და მი-სი თანამოსუფრე მხოლოდ ჭრელი კატა იყო, რომელიც იმამის წინ მაგიდაზე წამოსკუპებულოყო კუდაპრეხილი. იგი დეზერტირ სალდათს, ვინმე ანდრეის უჩუქებია შამილისათვის, იმამს ძალიან უყვარდა სერალის ახალი ბინადარი, მისთვის კაბინეტის ერთ კუთხეში ად-გილიც მიუჩინია. ძუ კატა მანამდის პირს არ აკარებდა საჭმელს, სანამ იმამი წიწილის ხორცს წვრილ ნაჭრებად წინ არ დაულაგებდა. ბამბის ქულასავით თეთრი ხელებით ხლეჩდა შამილი ხორცს, კატა სულწასული ადევნებდა თვალს იმამის თითების მოძრაობას და ნებიერად კრუსუნებდა ჭამის მოლო-დინში. იმამი თვითონ ხორცს არ გეახ-ლებოდათ, ლაბაზანი ამ კერძს მხოლოდ კატისათვის ამზადებდა. შამილის ჯან-მრთელობას იმიტაც ხსნიდნენ, რომ იმით იკვებება, რასაც ბუნება მზამზა-რეულად აწვდისო.

ამ დილითაც იგივე სცენა განმეორდა. იმამი უხმოდ სვამდა ჩაის, პურზე თაფლს აცხებდა და როცა მაგიდაზე იხ-

აჰაჰი ბაჟარალი
იმამის ერთი დღე

რებოდა, დიდსა და თეთრ დოღბანდს გადაიწვედა და გადაპარსული თავის შუბლის ზედა ნაწილს აჩენდა. ზურგზე დამებებული ცისფერი და გრძელი ფოჩის ბოლო ერთ მუხლზე ჰქონდა გადაფენილი. რა თქმა უნდა, კატას არ შეეძლო შეემჩნია თუ როგორი ძალდაუტანებელი და ბუნებრივი გრაციით მოძრაობდნენ შამილის ხელები, უცხოელს კი ეგონებოდა ეს მთელი მგონი ვიკონტის ან მარკიზის ჩამომავალიაო.

იმამს ერთი რამ ვერ გაეგო: რატომ გაჰბეროდა მუცელი მის წინ მაგიდაზე წამოსკუბებულ თანამოსუფრეს. მართალია, ძუ იყო, მაგრამ ვედენოში არც ხვადი, არც ძუ კატების ჰუანება არ ისმოდა, მუსლიმანი ჩაჩნები ძაღლებსა და კატებს მუსრს ავლებდნენ. უეჭველია, ამ ცხოველს თავის პატრონის ბინაში მიეგონო საკბილოსათვის, ოთახიდან გასული ალბათ ვირთხებს ან წრუწუნებს იჭერდა დერეფნებში და ჩუმად ნთქავდა. ამიტომაც, რომ იმამის კაბინეტის ახლოს დიდხანია აღარ ჩალიჩობენ თავგები, აქამდე სმენის წამლებად რომ ღრღინდნენ რაღაცას ჭუჭრუტანებში. მაგრამ კატა ჩინებულ მადას ამჟღავნებდა. უსაზომოდ გასაუქებელიყო და ზანტად მოძრაობდა...

ყველაფერში უზენაესის ხელი ურევია! კატისა რად უნდა უეკირდეს, აკი მისი ნაიბების მადაც უსაზღვროა, მათ არც ჯამაგირი ჰყოფნით, არც საჩუქრები. ქრთამის აღებას დაეჩვივნენ და ხალხს ატყავებენ. მთების უღმობელი მბრძანებელი თვალს ადევნებს გაუმამლარი მურიდებისა და მათი ხელქვეითების თვითთულ ნაიბს, მანც ვერ აულაგმავს ისინი; ბევრს სასტიკად სჯის, მაგრამ ყველას ხომ ვერ გასწვდება? ვედენოში დაბარებული ნაიბები დახეული ტანსაცმლებით ცხადებიან და თავს იკატუნებენ... უფრო კი ცდილობენ იმამის რეზიდენციას არ გაეკარონ, ვირთხებივით იმალებიან... ვეება სახლებში წამოიჭიმეს, უდანაშაულო ოჯახებს ბეგარას ახდევინებენ, მათს ქონებას იტაცებენ და სუქდებიან. ყურანის კითხვას

გადაეჩვივნენ და იმამის მკაცრ და სავად ცხოვრებას ჩუმად დასცინიან. მათთვის ლივე ეს ცუდის მაუწყებელია, გმირს ტანი თუ გაუსუქდა, ბრძოლის ყინი უმაღლე ჩაუკვდება... მექრთამეების პარპაში, იმამატის ლობობისა და მისი სულთათნას დასაწყისია...

თვითონ შამილს ხელში არასოდეს სჭერია ფული, მთელს დუნიაზე ცნობილი იყო მისი ზიზღი მრგვალად მოჭრილი ლითონისადმი...

შამილმა კიდევ მიულაგა ხორცის ნაჭრები კატას, მაგრამ ჭრელბეწვიანმა ცხოველმა თათებით პირისწმენდა დაიწყო და როცა შეატყო მის პატრონს ჩაის სმა დაემთავრებინა, მიმოიხედა, ყრუდ შეკანვლა, მაგიდადან მძიმედ გადმოვიდა და დასაძინებელ ადგილს მიაშურა.

სადაცაა ლაბაზანი გამოჩნდება და იმამისა და თანამესუფრის ნამუსრევს მაგიდიდან აალაგებს.

3.

დივან-ხანე შამილის ფლიველს ესაზღვრებოდა. ოთახი ვრცელ ოთხკუთხედს წარმოადგენდა. ერთი მისი ჩაღრმავებული კედელი თავდებოდა კარით, რომელიც დერეფნით აერთებდა ფლიველს. მეორე კარი ეზოში გადიოდა. კრების დროს დივან-ხანეს კარები იკეტებოდა და საბჭოს წევრები ოთახის სიღრმეში ნამაზს ასრულებდნენ დასვენებისას, რადგან თათბირი ხშირად საღამომდე გრძელდებოდა. ოთახს ანათებდა მხოლოდ ერთი სარკელიდან მომავალი შუქი. მთელი კედლის გასწვრივ გრძელი მორი ეგდო, ოთახში შემოსულნი კედელსა და მორს შორის სტოვებდნენ წალებს. დივან-ხანეს იატაკზე ეყარა თივა, ზედ კი ქეჩის უბრალო ფარდაგები ეგო. კედლებზე ეკიდა ცხვრის ტყავისაგან უნეშად ნაკერი ქურჭები. ზამთრობით ვრცელ ოთახს კარგად ვერ ათბობდა ბუხარში მბეჭუტავი ცეცხლი, ამიტომ დივანის წევრები ტოლომას მსგავს კაპაშონიან ქურჭებს კედლიდან ჩამოხსნიდნენ, ზურგზე მოი-

ხურავდნენ და ისე ჯდებოდნენ ლიბებზე ოთახის მარცხენა მხარეს. მათი ქუჩები აუტანელ სიძვრას გამოსცემდა, შიგ სხვადასხვა მწერებს დაედოთ ბინა, ზაფხულშივე მოეკალათებინათ იქ კედლების ხვრელებიდან გამომძვრალ ნაირნაირ მკბენარებს და ზამთრობით დივანის მონაწილეებზე ჯავრს იყრიდნენ. ლაბაზანი მხოლოდ იმამის კაბინეტში დაიდებულ ქურქს უვლიდა.

შუადღე ახლოვდებოდა. ოთახში უკვე თავი მოეყარათ დივანის წვევებს. სარკმლის ახლოს ლეიბზე იჯდა ცალთვალა. საშინელი შესახედაობის მოხუცი კაორეფენდი, ყაზიუმუხელი ლეკი, ამ მხარის მმართველს ასლან ხანს რომ დაემახინებოდა ოდესღაც მურიდიზმის ქადაგებისათვის. კაორეფენდი განთქმული მისტიკოსი იყო, ზღმმათითა და გიშკულატი შეპყრობილი. მეორე თვალს ჩამოხეული ქუთუთოც მთლად დაწითლებოდა, ჯალათს შეჰბრალებოდა და დარჩენილი თვალი მისთვის არ ამოუთხრობია.

როცა კაორეფენდი ეზოში დადიოდა, მუდამ გრძელი კომბალი ეყრა ხელთ, შუაში ჩაებლუჯა, ჯერ წინ გაიშვევრდა, ადვილს მოსინჯავდა, მერმე ნაბიჯს გადადგამდა, იფიქრებდით კომბალს მისდევსო. ახლა კომბალი მის წინ ეგდო.

კაორეფენდის გვერდით იჯდა შამილის სიმაპრი, ზაიდეთის მამა ჯემალუდინი, ისიც განთქმული ღვთისმეტყველი და მურშიდი, ნაქმბენდიეს ორდენის სუფიურ მისტიკას რომ ასწავლიდა მომავალ სიძეს ჭაბუკობიდანვე... ჯემალუდინი მაღალი და სუსტა აგებულების ხანდაზმული კაცი იყო, თხელი წვერი და ღრმად ჩაჯარდნილი თვალები ჰქონდა.

მოსულოყო დივანის მესამე წვერი რაჯაბილ-მაგომაც, მოუსვენარი მთიელი, რომელიც იმამის დიდი ნდობით იყო აღჭურვილი, თუმცა ჩაჩნებში უჭკუო გამბედავი სახელი მოეხვეჭა. ჯმუხა და პირტიტველა რაჯაბილ მარტო უღვაშებს იყენებდა, ისე გაშტერებული გამოიყურებოდა, გეგონებოდათ წამწამებს არც კი ახამხამებსო. ეს ნაბიჯოფილი უშიშრად გამოთქვამდა თავის შეხედ-

ულუბებს დივანის კრებაზე, ხშირად შესდევებოდა იმამს და ასეთი გულწრფელობისათვის შამილი დიდად აფასებდა და გულისყურით უსმენდა...

აქვე იყო არტილურისტი მახია, ეგვიპტეში განსწავლული ლეკი, იგი იმამატის ზარაფხანის უფროსად ითვლებოდა, საომარი ოპერაციების დროს კი საფორტიფიკაციო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. მახია დივან-ხანეში კაორეფენდის უკან იჯდა ხმაგამენდილი, სიტყვას მამინ დასძრავდა, თუ იმამი შეეკითხებოდა რასმე. ინისფრად შეღებილი წვერი კონუსს მიუგავდა, ხელში უძრავად ედო მუხლებზე.

ღარბაზში თავმოყრილთა შორის, შუაში იჯდა ყველაზე ახალგაზრდა, ქინჯილი მითლიკი და ლეიბზე ფეხმორთხმული იგი დანარჩენებთან შედარებით ზეზე მდგომად გამოიყურებოდა. დიდი ხანჯალი ეკიდა და მჯდომარეს იარაღის ბოლო მარცხენა ფერდისაკენ მიექცია.

ყველას მწვანე ჩალმა ეხურა თავზე, გარდა ჯემალუდინისა, რომლის დობანდი შამილისას მიაგავდა. თუ სხვებს მოკლე ხიფთანები ეცვათ, ჯემალუდინს შეიხის თხელი ძაძა უფარავდა სხეულს ყელიდან ფეხის კოჭამდე. მასაც წაღები გაეხადა და დახეული წინდები უჩანდა.

დივან-ხანეში იმამის შემოსვლას ელოდნენ.

როცა ოთახის შემოსასვლელი კარის გადაღმა შამილისა და მისი მხლებლების ნაბიჯების ხმა გაისმა (იმამი ხის ქუსლებიან და წითელტყავიან წაღებს ატარებდა, რის გამოც მბრძანებლის მოახლოვებას უმაღვე გრძობდნენ), მითლიკი წამოდგა და ხმაბალა განაცხადა:

— იმამ-ულ-აზამ!

ყველანი წამოიშალნენ, ღარბაზში საჩაჩნოსა და დაღისტინის მბრძანებელი შემოდიოდა.

4.

კარი გაიღო და ზღურბლი ჯერ კატამ დადმოლახა. იგი ზანტად მოუძღოდა წინ

აბაკი ბაწერალი
იმათის ერთი დღე



თავის პატრონს. შამილს მოჰყვებოდნენ მდივანი ამირხანი და თარჯიმანი, რომელსაც ყურანი ეჭირა ხელში.

დივან-ხანეს წევრებმა ხელის გულე-ბი ერთად შეჰყარეს და თავდახრილნი იმას მიესალმნენ. შამილი სარკმელისაკენ გაემართა და მოთათბირებისაგან შემობრუნებული, ლეიბზე დადებული მუთაქის ზემოთ ფართო ბალიშზე დაჯდა. ვეება ქურჭი მოეხურა, მხოლოდ ხანჯალი ეკიდა, მარცხენა ხელში კრიალოსანი დაეჭირა და დიდი დოღბანდი ეხურა. წარბშეკრული და თვალემოჭუტული შესქეცროდა დარბაზში მყოფთ. ხანდისხან მარცხენა იდაყვით მუთაქის ბოლოს ეყრდნობოდა.

კატას არ დაუყოვნებია და იმამს მუხლზე აუცოცდა.

შამილის გვერდით დასხდნენ დივანის წევრები, ისინი ერთმანეთს უთმობდნენ ადვილებს და არ დაობდნენ უფროს-უმცროსობის გამო. მაინც იმამის ახლოს მოთავსდნენ კაორ-ეჯენდი და ჯენალუდინი. სარკმელის მეორე მხარეს. თითქმის იმამის გვერდით ლეიბზე ფეხებმოკეცილი და მუხლებგაშვერილი, დაჯდა შავგვრემანი ხუნძელი ამირ-ხანი და მისი გარეგნობა ასო Z-ის მოყვანილობას დაემსგავსა. წინ ედო საწერი მოწყობილობანი — მელანი, კალამი და დასტა-დასტა ქალაღის ნაჭრები. ამირხანის მარჯვნივ, კედელთან ზეზეულად იდგა თარჯიმანი.

შამილმა გულის ჯიბიდან ვერცხლის ფართო საათი ამოიღო. კრება დაიწყო. მითლიკი დივანს მოახსენებდა ანდისა და საჩაჩნოს მცხოვრებთა საჩივრებს, აცნობებდა ნაიბეზზე შემოსულ ცნობებს. აქ ყველა საკითხი ირჩეოდა შარიატის მიხედვით, ძველი ადათების კვალობაზე საქმეთა განხილვა იმამატში დაგმობილი იყო, მათ მხოლოდ წვრილმან დანაშაულობათა გამო მსჯელობის დროს ითვალისწინებდნენ.

მითლიკი პირველად ადვილად გადასაწყვეტ საკითხებს შეეხო. სოფლებში თურქე ახლადშობილთა დავთარში ჩაწერას აგვიანებენ მუფტიები, მშობლები

თვითნებურად არქმევენ სახელებს და ამგვარად მრავლდებიან დათუნები, კუჭამიები, შროშანები და დიდილოები.

— **ოჲ, ოჲ, ოჲ!** — ჩაიბურტყუნა ცალთვალა კაორ-ეჯენდიმ. იმამატის ვიცე-პრეზიდენტსა და ნათელმხილველს სხვებმაც მიბაძეს.

გამოიტანეს განაჩენი: ბეგარა უნდა შეეწერათ იმ მუფტიებისათვის, რომლებიც ახალშობილთ უმალვე არ მონათლავდნენ და დავთარში არ შეიტანდნენ მათს მუსლიმურ სახელებს: მაგომას, ფატიმატს, ახმედს, მუსას...

— და ისას! — დასძინა შამილმა. იმამი ქრისტეს სახელს ყოველთვის მოწიწებით წარმოსთქვამდა, ამბობდა, ყველამ მასავით უნდა გოლგოთამდე ატაროს თავისი ჯვარი ხალხის სამსახურისათვისო. შამილმა ვედენოში გამოქცეულ სალდათებს ნება დართო ეკლესია აეგოთ და იქ მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა მოესმინათ. მთიელთა ბელადი სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას იჩენდა, ზოგი მეჭორე კი ჩუმად ქირჭილებდა, ასე იმიტომ იქცევა, რომ თვითონ ისკანდერგურჯის ბუშია, შეხედეთ თავის ნამდვილ მამასავით თვალემოჭუტია და ცაცია არისო.

ამგვარი ხმის დარხევისათვის შამილი დამნაშავეს ენას სჭრიდა.

ამირ-ხანი მთელი ტანით ლეიბზე გადაიხარა და თავდახრილს სახე დოღბანდის ირგვლივ შემოვლებულმა ტყავის ბეწვებმა დაუფარეს. იგი ქალაღზე ბრძანებას სწერდა.

მეორე საკითხი ეხებოდა საჩაჩნოს ნაიბის ტალიპოკის მოადგილის თვითნებობას: ერთი ქვრივისათვის მას გარდაცვლილი მეუღლის მიერ დატოვებული მშვენიერი ულაცი წაერთმია. იმამი ქვრივ-ობოლთა მფარველი იყო, მთელი ვედენო ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარად ითვლებოდა, შამილი მათ უხვად ასაჩუქრებდა, რადგან ღრმად სწამდა, მათხოვრების ლოცვა-კურთხევა ომშიაც დაეხმარებოდა, შინ და გარეთ მტერზე გამარჯვებას მოუტანდა.

შამილმა წარბები შეჰყარა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ტაღობი მისი სნეული ვაჟის სიმამრი იყო. რაჯაბილ-მაგომას წინადადებით ულაცი პატრონისათვის უნდა დაებრუნებიათ, ცხენის მომტაცებელს კი ჰაკზე შესვამდნენ და ისე გაატარებდნენ აულში. ეს სასჯელი მთიელისათვის დამამცირებელი გახლდათ, ჰაკზე მჯდომს სტვენითა და ხარხარით დაედევნებოდნენ აულის გოგო-ბიჭები. — ოჰ, ოჰ, ოჰ! — აღმოხდათ გამხიარულელები მოდარბაზებს, კაორ-ეფენდის ნაირევი ცალი თვალი ზემო ქუთუთსაკენ გაქცეოდა. ჯემალუდინი თხელ წვერში თითებს აფათურებდა. მახია შეურხევლად იჯდა, მუხლებზე დაწყობილი ხელები არ გაუნძრევია. ამირ-ხანი ისევ გადაიხარა ლეიბისაკენ და თავი ქაღალდებში ჩარგო ბრძანების დასაწერად.

მესამე საკითხი ეხებოდა... მაგრამ ამ დროს დივანის წვერებს შორის უხმაურო ჩოჩქოლი ატყდა, ქურქებიდან გამომძვრალი მწერები უმოწყალოდ უტევდნენ მათ, კისრებში მიუძვრებოდნენ და მწარედ იკბინებოდნენ. ზოგის დოლბანდზე რვაფეხიანი დაცოცავდნენ. რაჯაბილ-მაგომა და მითლიკი აწრიალდნენ, ხოლო კაორ-ეფენდი არ გრძნობდა, რომ მის მუდამ გაწითლებულ მარცხენა თვალის ქუთუთოს ბაღინჯო მისჯდომოდა და ისიც ნელ-ნელა წითლდებოდა. დანარჩენ მსაჯულთ ბლუჯა-ბლუჯა ჩამოჰქონდათ კისრებიდან შესული მწერები. ფარდაგებზე ანარცხებდნენ და წინდებიანი ფეხებით სრესდნენ.

მახიაც იძულებული გამხდარიყო და ორივე ხელით კეფას ისრესდა.

პარლამენტი ხმაუმაღლებლად მძინვარებდა. ამ თავისებური ბატალის მიზეზი ხელშეუხებელი ლაბაზანის დაუდევრობა და გულგრილობა გახლდათ!

იმამ-ულ-აზამიც ყურადღებას არ აქცევდა დივანის მონაწილეთა მომგერიებელ ბრძოლას შემოსეული მტრების წინააღმდეგ, იგი ყოველდღიური მოწმე

იყო ასეთი ბრძოლისა და არას დაგედევდათ. შამილს აქამად ახალი და უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი გასჩენოდა: კატა რატომღაც წრიალებდა, მის მუხლებზე და კალთაში არ ისვენებდა, ბოლოს იმამის ქურქის სახელოში მოიკალათა, ალბათ დასაძინებლად. შამილმა ქურქი ზურგს უკან გადაიწია, რომ მის მეგობარ ცხოველს თავი უფრო მყუდროდ ეგრძნო.

დივან-ხანეშიაც სიმშვიდე მყარდებოდა. დროებით შეწყვეტილი კრება განახლდა.

მესამე საკითხად მითლიკმა შორეული მხარის საჩივარი გამოიტანა. გიაურთა სტანიცების მოსაზღვრე ერთს აულში უნახავთ იჩქერიის ნაიბი უმაღლათი, რომელიც გაღეშილი თურმე თამბაქოს ეწეოდა, ამ დროს სალდათები თავს დასხმინან სოფელს, ცხენები გაულალავთ, ერთი ლეკის სახლი გადაუწვავთ და ორი მურიდი მოუტკლავთ. თავის სახლის ბანზე არხენად წამოწოლილ ნაიბს ხელიც არ გაუნძრევია. მსტოვრების ცნობა მითლიკს კარგად შეუმოწყმებია იჩქერიაში საგანგებოდ გაგზავნილი ხელქვეითი მურიდების მეშვეობით და მოეწინა მართალი გამომდგარან.

შამილი მოიღუშა, ნაიბის დასჯა მხოლოდ მის უფლებას შეადგენდა. ამირ-ხანმა კალში მოიმარჯვა.

იმამმა განახვნა ბაგენი და დივანის მონაწილენი სტკებოდნენ მისი ჩინებული არაბულით, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მკაცრ განაჩენს, იმამის ვაჟს, კარატის მუღირ ღაზი-მაგომას მიუეა ბრძანება უმაღლათის გადაყენებისა, ხოლო ამ უღირსი ნაიბის ქონება დაზარალებულთა ჯალაბებს გადაეცემა. ახალი ნაიბის დანიშვნას შამილი შემდგომ შეუთანხმებს მუღირს.

იმამმა თვალთ ანიშნა თარჯიმანს ყურანის ის სურა წაეკითხა, რომელიც მართლმორწმუნეებს თამბაქოს წევასა

აბაჰი ბაწიბელი
იმაღის პრეზიდენტი



და ღვინის სმას უკრძალავდა. ამირ-ხანმა ბრძანება დასწერა, იმამისაგან მოწოდებულთა სახელმწიფო ბეჭედი დაუსვა, წამოდგა და ბრძანება ბეჭდიანად შამილს გადასცა. იმამმა მუხლზე დაიდო ქაღალდი, მდივანს კალამი გამოართვა და ბრძანებას ხელი მოაწერა. პატარა ქაღალდის ბოლოს მარცხნიდან მარჯვნივ გამოყვანილი იყო ერთადერთი სიტყვა არაბულად „შამილი“.

ამირ-ხანი თავის ადგილს დაუბრუნდა. ლეიბზე ფეხებშეკეცილი იგი ისევ ასო Z-ს დაემსგავსა. შამილმაც კრიალოსანი კვლავ ხელში დაიჭირა.

— იმამ-ულ-აზამ ერთგულთა მცველია და ორგულთა მტუქსაი! — ხმამაღლა წარმოთქვა პირფერობაში დაოსტატებულმა მითლიკმა და დივანის ყველა წევრმა თუთიყუშით გაიმეორა მისი სიტყვები. თვით რაჯაბილ-მაგომამ და განწირულთა მოსარჩლე ჯემალ-უდინმაც ვერ გაბედეს ხმის ამოღება იმამის გადაწყვეტილების წინააღმდეგდანარჩენებს ისევ ეფეისაკენ წაეღოთ ხელები, ქურქების მობინადრენი მთლად ვერ შეემუსრათ.

მაგრამ არც შამილს ადგა კარგი დღე. კატა არ ისვენებდა. დარბაზში მყოფნი დღემდე არ ყოფიან მთების მბრძანებლის გაფანტული ყურადღების მოწმენი. ახლა იგი ვაშეშეშულო იჯდა და არავინ ატყობდა, რომ იმამს არ უნდოდა კატის შეწუხება, ცხოველი კი ქურქის სახელოში წრიალებდა, რის გამოც იმამი ხანგამოშვებით მხრებს არხევდა, იფიქრებ-

დით, ვიღაც ქვემოდან მუქღუფუნსაჰკრავსო.

კრება გრძელდებოდა. მირზა-ამირ-ხანმა თვალეზი მილულა ახალი ბრძანების დაწერამდე. კაორეფენდიც თვლემდა. მხოლოდ მახია და მითლიკი ფხიზლობდნენ.

მზე გადახრილიყო და სარკმელში იქყიტებოდა.

ის იყო, მითლიკს დაღისტენელთა სხვა საჩივრის გამო უნდა მოეხსენებია დივანისათვის, მაგრამ ამ ღროს კატამ ყრუ და სასოწარკვეთილი გმინვა ამოუშვა იმამის ქურქის სახელოდან. შამილმა კრიალოსნის მარცვლა შესწყვიტა, წამოდგა, უცბებლად ქურქი თან აჰყვა და განგების ძალით დივან-ხანეშს მოულოდნელი სანახაობა გადაიშალა: კატას მოემშობიარებინა და ოთხი ცინდალი მოეგო.

ამირ-ხანი უმაღლვე გამოფხიზლდა: კაორეფენდის ნაიარევი თვალი დამრეცად გამოიყურებოდა; მახია, ჯემალუდინი და რაჯაბილ-მაგომა სახტად დარჩენილიყვნენ...

შამილი დაიძრა ოთახიდან გასასვლელად. დანარჩენებმაც მას მიბაძეს. ლეიბებზე დარჩა რწყილებით საევე ქურქები. დივანი დასრულდა. მთების ზვიადი მბრძანებელი დარბაზს სტოვებდა გამარჯვებულის გამომეტყველებით, მკერდთან, ქილების ქვემოთ ცინდლები ეჭირა მარცხენა ხელში, ჭრელი და ახლა ფერდებჩავარდნილი კატა მის წინ მიხტუნავდა.

ვაილოზის მახიეა

... ლაბაზანი გასაწმენდად წაიღებს მხოლოდ იმამის ქურქს... ხვალ ისევ გადაეკიდებიან ერთმანეთს შამილის ცოლები... პეტერბურგში აღზრდილი ოფიცერი სიკვდილის პირასაა ზულკადში... არც ნაჯავათის მრუდე ფეხებს ეშველება რამე, არც ნაიბების გაუშამლობას... მაგრამ განგებას ვერავინ გადაუვა... დივან-ხანეში კი ზეგაც მოიყრიან თავს

მართლმსაჯულნი და დამშეული მწერები კვლავ დაესვიან მათ.

სარკმლიდან კარგად ჩანს დათოვლილი ჩერბი-ალამი. ჟამიდან ჟამზე არემარეს ყვავილები გადაუფრენენ...

გაუფანტავი მარტოობა არგუნა შამილს უზენაესმა, მაგრამ ამჯერად მოწყალე თვალით გადმოხედა: მომავალი თანამესუფრენი შესძინა ფიქრთ გასარ-

თობად და კაბინეტში არაბულ მანუს-
კრიპტებზე თავდახრილს შეუძლია თვა-
ლი ადევნოს დედის ზრუნვას კნუტებზე.
... თუ დაკვირვებიხართ, მკითხველო,

რომ სერიოზულს ზოგჯერ სასაცილოც
თან ახლავს? და რომ ისტორიის ტრაგი-
კომედია ხშირად პარადოქსებისაგან შე-
დგება?



ზოგიერთი სიტყვის ახსნა:

იმამი (არაბ.) — მართლმორწმუნე-
თა სამოქალაქო მეთაური და მოძღვარი;
მურიდი — ფანტიკური მიმდევარი
მურიდიზმისა, რელიგიურ-ეროვნული
მოძრაობისა დაღისტანში; „ახულგოს
აღება“ — შამილის რეზიდენცია ახულ-
გო 1836-1839 წელს (ჩრდ. დაღისტა-
ნი). გენ. გრაბემ აილო 1839 წ.; სერა-
ლი — ვედენოში შამილის სახლის სა-
ქალებო ოთახებს ეწოდებოდა; კიფი-
რი (არაბ.) — ურწმუნო, აქედან —
გიაური; ახვერდი — მაგომა —
პროზელიტი სომეხი, შამილის ნაიბი,
რომელმაც 1840 წელს მოიტაცა მოზ-
დოკიდან მცირეწლოვანი ანა, შემდეგ—
შუანეთა, იმამის ცოლი; დარლო —
შამილის რეზიდენცია 1839-1845 წწ;
მუდირი — ნაიბების უფროსი, მთე-
ლი კანტონის უფროსი დაღისტანში. შა-
მილის მმართველობის დროს იქ მუდი-
რებად ითვლებოდნენ: დანიელ-ბეგი
(ელისუში), ყიბიტა (ტელეტლოში) და
იმამის ძე ლაზი-მაგომა (კარატაში);
ზულმათი — გონების გაბრუნება,
წინათგრძნობისა და ნათელხილვის ნიჭი,
მისტიური ექსტაზით მოპოვებული;
გიშეულა — „სიყვარული ღმრთი-

სადმი“, რის გამოც ღმერთი საიდუმ-
ლოდ ეცხადება თავის ერთგულს. სუფი-
ური სწავლა საიჭიოსთან მისტიური კავ-
შირისა; შამილი კატეგორიულად უარ-
ყოფდა მისთვის მიწერილ ასეთს უნარს;
მურშიდი — სულიერი მასწავლებე-
ლი, მურიდის მწვრთნელი-მისტიკოსი,
მურიდის „გულისმპყრობელი“, „გზის
მაჩვენებელი“; ნაქშბენდიეს ორ-
დენი — სუფიური სექტა, ნაქშბენდის
მისტიკური მოძღვრების გამავრცელებ-
ელი. დაღისტანელი იმამები და მური-
დები ამ ორდენის მიმდევრები იყვნენ;
იმამ-ულ-აზამ — დიდი იმამი; ჰა-
ზავათი — ომი ურწმუნოთა წინააღ-
მდეგ; ონსოქოლო — აული ავარი-
აში (დაღ.). შარიათი — „ცოცხალი
სიტყვა“, კანონი, სამართლის კოდექსი;
მუფტი — სოფლის მამასახლისი; ის-
კანდერ - გურჯი — ალექსანდრე
ბატონიშვილი, რომლის მემკვიდრედ
შამილი თავს აცხადებდა 1841 წელს.
იმყოფებოდა დაღისტანში (1746-1800
წლებში — ხუნძახში, ხოლო 1804-1814
წწ. — ჰიდატლში). მცირეწლოვან შა-
მილს იგი უნახავს ჰიდატლში 1807 წ.
შამილის დედა ხუნძახიდან იყო, შამილი
მას 1797/98 წ. შეეძინა.

პარლ პარენაშვილი

კოზაკი

გულთან ჩხვლეტა დამეწყო და ძილა გამიკრთა. ვიცოდრი, ლოგინში ვერ მოვისვენებდი, ერთი-ორი საათით სუფთა პაერზე უნდა გამეველო, შინაც ასე ვიქცეოდრი. ჩვეულეხას საავადმყოფოშიც არ ვლატობდრი. არ მეშინოდა რეჟიმის დარღვევისა — გამოკვლევისა და მკურნალობის კურსი დავასრულე და მალე გამწერდნენ. ახლაც ნაცად ხერხს მივმართე.

ტლანში სინათლემ თვალი მომპრა. ზოგჯერ ხველება ისმოდა. ტლანის ბოლოს საოპერაციო იყო. იქ, ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთს ძალას უსინჯავდნენ. თეთრსუფრიანი მაგიდის პირდაპირ, კაბინეტში მორიგე ექიმი მუშაობდა. იატაკზე ლურჯხოლიანი წითელი ნოხი ეფინა. ტლანის კარი გამოვადუნესტი ვიგრძენი. ხალათის საყელო შევისწორე და კიბეზე დავეშვი. გარდერობის გვერდით, პატარა ოთახში დამლაგებელი თვლემდა. ფრთხილად გავწიე რაზა. ახლა საფეხურებს მადლა უნდა ავეყვანე. კარი მივხურე და ყველასათვის შეუმჩნეველად საავადმყოფოს ეზოში აღმოვჩნდი.

ერთი-ორჯერ ხარბად ჩავისუნთქე. მკლავებიც გადავიქნიე და თითქოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. ჩხვლეტებმა გამიარა და სიხალსეც დამიბრუნდა.

უკანასკნელ დღეებს ითვლიდა შემოდგომა. სუსტი ნიავი ადვილად იმორჩილებდა ძალადაკარგულ ფოთოლს. ეზოში კანტი-კუნტად ეკიდა ნათურები. შუქი სიბნელეს სცვლიდა, სიბნელე — შუქს. განათებულ ადგილას, თითქოს ტივტივებსო, ცერად ეშვებოდა ფოთოლი. ფოთოლი ეყარა ყველგან, ბილიკებზე, ბზის გაზონებზე, ჭიხურის სახურავზე. ჭიხური გისოსებიან ალყაფს მიკვროდა. შავ გისოსებს იქით, განათებულ ქუჩაზეც შრიალბდნენ ხეები და ასფალტს დაძველებული სამოსიო რთავდნენ.

დღისით ცვიოდა ფოთოლი, მაგრამ წყნარ, უკანასკნელ ბგერას ეზოში მყოფი ხალხის ყრამული და ქალაქიდან მომავალი ხმაური ფარავდა.

მალე ჩამოიარა დიდმა, სატვირთო მანქანამ. ჭიშკრის წინ, ფარების შუქზე უპატრონო ძაღლმა გაირბინა. თითქოს დაგინახე კიდევ აფარფატებული ფოთლები. ისევ სიწყნარემ დაისადგურა. თუ სმენას არ გაამახვილებდი, არ ისმოდა ქალაქის ყრუ გუგუნი და ჩუმი, სასიამოვნო შრიალი ეხლებოდა მძინებული საავადმყოფოს კედლებს.

ხეივანი გაუქმებულ შადრევნისკენ მიემართებოდა. დამსკდარი აუზი ფოთოლს ნახევრად გაევისო და ქვის ბიქს მხრებზე დაჰყროდა.

შემოგვარე უროლოგიურ კორპუსს. ზევით, ბებერი ნეკერჩხლის ქვეშ სკაი მეგულებოდა. ნეკერჩხალზე, რომელი-ღაც დიდ ფრინველს დაებუდებინა, მერე უკვალოდ გამჭრალიყო, ძველი და დიდიხნის მიტოვებული ბუდე ერთიანად ჩაშაგებულყო. ნეკერჩხალი ჩვენი პალატის წინ იდგა. როცა საავადმყოფოში დავექეი, ვეებერთელა ხე ისე დაებურა მოყვითალო-მომწვანო ფოთოლს, ბუდე არა ჩანდა. მოულოდნელად შევამჩნიეთ, ვუყურებდით და ვერ გავგეგო, რომელ ფრინველს ეწვალა მის ვაკეთებაზე. ისიც გვიკვირდა, ამხელა ფრინველს აქ რა აძლებინებდაო.

უცებ ადამიანების ხმა შემომესმა. ამას არ მოველოდი. არც მესიამოვნა. ოდნავ შევეკრთი კიდევ. ნეკერჩხლის ქვეშ ორი ჩრდილი წაგრძელებულიყო. გზას მაინც არ გადაუვხებეი. ვინაობამაც დამაინტერესა. როცა ორივე ვიცანი, გამიხარდა მათი დანახვა. არც დაბხედურებმა მიუცხოვეს — მოდი, მოდიო — მომამახეს. ისინიც უძილობას გამოეგლო გარეთ.

საავადმყოფო ადამიანების გამოცონბას აადვილებს. ავადმყოფობის ისტორიის შევსებისთანავე მოჩვენებითობა და ნიღაბი უძლური ხდება და ორიოდ დღეში უცნობის ნამდვილი სახე ისე მკაფიოდ მოჩანს, როგორც ლავიწის მოტეხილობა რენტგენის ფირზე

კაიკაცობას რა სჯობია, და დიმიტრიმ და ალექსიმ სწრაფად გამონახეს საერთო ენა. სხვადასხვა პალატაში იწვნენ. მაგრამ ერთმანეთს თითქოს დიოგენის სანთლით დაეძებდნენ. შეიყრებოდნენ, გვიანობამდე საუბრობდნენ. ახლაც მათ ერთად დანახვა არ გამკვირვებია.

თი დიმიტრი მაღალი, შავკვრემანი მოხუცი იყო. ბეჭებგანიერი და ცოტა ზომაზე მეტად გასაუქებული. თირკმლები აწუხებდა და საოპერაციოდ ემზადებოდა. მატყუარა გარეგნობა ჰქონდა — ავადობა არაფერზე ემჩნეოდა, თუმკა თირკმლებს სხვადასხვა გართულებებიც დართოდა. მტკიცე და მხნე ნაბიჯებს ადგამდა, ბეჭებს ამყად მიარწევი-

და და ძალზე ალერსიანად გიყურებდათ, საუბრის დროს თითქოს დარწმუნებული იყო, რომ თქვენ შესანიშნავად იცოდით ის, რაზედაც გიყვებოდათ, ამავე დროს თითქოს თქვენი შეხედულებაც წინასწარ იცოდა.

ასეთი უშუალო მიდგომა, თავდაჭერა და ყოველთვის ზომიერი ხმა დიმიტრის სასურველ ადამიანად ხდიდა, მაგრამ გააჩნია, ვინ რას და ვის სთვლის სასურველად.

ალექსიც მაღალი კაცი იყო, მხოლოდ გამხდარი და ცხვირწაწვეტებული. პაპიროსს წარამარა აბოლებდა. მოლოლი გამომეტყველება და ლოყებში შეპართული სილურჯე აშკარად მიგანიშნებდათ, ვისთან გქონდათ საქმე. მაგრამ მხნეობას არა ჰკარგავდა და მისი იმედიანი განწყობილება გადამდები იყო.

გაიგეს მიზეზი ჩემი ეზოში ყოფნისა და გაიციენეს. ალექსიმ დიმიტრის სთხოვა, განაგრძეო.

დიმიტრიმ გადმომხედა: — ბავშვობის ამბებს ვიგონებთ, — მერე შეჩერდა, — მოიცა, რასა ვყვებოდი? — ხელები გადაიჯვარდინა და მკლავებზე ჩამოისვა.

ალექსიმ პირიდან პაპიროსი გამოილო:

— ბიძაშენზე...

— ბიძაჩემზე, მაგრამ... — დაფიქრდა დიმიტრი — ჰო, არდადეგებს ბიძაჩემთან ვატარებდი. მკაცრი და სამართლიანი იყო, ისეთი მკაცრი, რომ მეტი არ შეიძლება! სოფლის სკოლაში მუშაობდა. ბინა უბრალოდ ჰქონდა მოწყობილი: დიდი ბუხარი, ფარდაგავდაფარებული ტახტი, განჯინა, წალო და წიგნების კარადა. ეს იყო მთელი ავლადიდება, ჰო, ბუხრის თავზე ორი ვერცხლის შანდალი იდგა... გადამსიდი რომელიმე წიგნს და მაშინვე ჩაყვითლებულ ყდაზე ლამაზად გამოყვანილი წარწერა მოგახარებდა:

— პატარა ფურ-კამეჩმა მოიკო

პარლო პრინაწვილი
კოშაკი

ჩყობ-სა წელსა იენისის კ-ს, მთვარე იყო ორისა — ფურ-ზაქი მერცხალა.

ან:

— თეთრმა ცხენმა მოიგო ულაცი კვიცი ჩყობ-სა წელსა; ივლისის ით-სა დღესა, მთვარე იყო ოთხისა.

ახლადღაბადებულნი ხაზგასმით, დიდი ასობით ეწერა. მახსოვს ერთგან ეწერა ფანქრით: Это правда?

წარწერის ზევით წანაშლები ეტყობოდა. ისიც მახსოვს, როგორ აგვაფორაიქა ნაკვალევმა, ჩემი ძმა ირწმუნებოდა:

— Я вас люблю — სწერიაო.

ცოტა მეექვსეობოდა, ცოტა კი არა. ნამდვილად წანაშლები ყოველნაირ დამწერლობას ჩამოჰგავდა; ხუტურსაც, ლურსმნულსაც, იგროგლიფებსაც, მაგრამ მაინც დავეთანხმე. ხუთი წლით უფროსი იყო, თანაც ბიძაჩემს საკმაოდ მოარზიყე კაცის სახელი ჰქონდა გვარდნილი, ეს ისე, ყურმოკვრით გვქონდა გაგებული. პატარა ვიყავი, ამეებში ვერ ვერკვეოდი, ასეთებზე ჩვენთან არ ლაპარაკობდნენ, მაგრამ გუმანით ვხვდებოდი, ეს რაღაცა კარგი რამ უნდა ყოფილიყო და იღუმალი ნეტარებით ვიმეორებდი ჩემი ძმის ნათქვამს: „ვაჰ, რა ბედი აქვს ძია დიმიტრის!“ (მე მის საპატივეკემლოდ მიწოდეს ეს სახელი). მოვიდოდნენ სტუმრები და ვცდილობდით, გამოგვერკვია, ვინ ამოწმებდა ბიძაჩემის გრძნობებს. საწყალი, უცოლოდ და უქეოდ კი გადაეგო. კარგი მასწავლებელი იყო. სკოლა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნოდა.

— ეჰ! — ამოიხრა ალექსიმ, — რა არის, კაცო, ძველების მოგონება! გამახსენდება ვინმე, სიხარული ჩამეღვრება გულში, მერე გონება ჩამახებს, რომ ეს ყველაფერი უკვე წასულია, წასულია სამუდამოდ და ვერაფრით დაიბრუნებო, ვერაფრით ვააცოცხლებო, და მძიმე სევდა შემომაწვება. იქნებ ეს სევდაც არ არის და საკუთარი უმწეობაა. ჰო, სადღაც ეწერა, ეს ნამდვილად უმწეო გრძნობაა, რომელსაც განიც-

დის ადამიანი, როცა მხრებზე ჩამოვარდვას იმ სანაპიროზე, სადაც საყვარელი მახლობელი ზღვამ წაართვაო. ისე, კობტად ვერა ვთქვი.

— რას იზამ, ალექსი? — დიმიტრიმ ფეხი ფეხზე გადაიღო, — სევდა სევდაა, ზღვა ზღვაა, ცხოვრება ცხოვრებაა, კობტა ლაპარაკი კი სულ სხვა რამეა. — სამივემ გავიცინეთ, ჯერ ალექსიმ, თავშეკავებულად, მერე — დიმიტრიმ, მერე მე, — სევდა ნამდვილად საშინელია, სევდას უნდა ეტიოდო.

— სევდა და დარდი კაცსა ღუპავს. კაცო! — ალექსიმ ბაპირისი ვააბოლა, — მე რომ სადარდელი არა მქონოდა!..

— ამბობენ, — ისევ გაიცინა დიმიტრიმ, — თუთუნის კვამლი თურპე აზოტს სისხლში არ უშვებსო, აი კაკოსაც წაუკითხავს. უკეთეს საშუალებას მე ვამოგინახავ, — დიმიტრიმ ჯიბიდან ვაშლი და დანა ამოიღო. ვაშლი სამ თანასწორ ნაწილად გაჭრა და შემოგვთავაზა.

მუხლზე ნეკერჩხლის ფოთოლი დამეცა. დუმილი ჩამოვარდა და კიდევ გაისმა გვიანი შემოდგომის სევდიანი შრიალი.

— ეჰ, დარდი, სევდა და მწუხარება გართლაც საშინელებაა. კიდევ ერთ ამბავს გაამბობთ.

— თქვი, დიმიტრი თქვი, — ალექსიმ ლუქმა ჩაყლაპა, — კაკოს თუ არ მოსწყინდა ბებრებთან ჯდომა?

დიმიტრიმ ჩემს პასუხს აღარ მოუცადა.

— ათისა ვიქნებოდი, მე და ბიძაჩემი ცხენებზე შევსხედით და ტყეში წავედით. ცხენოსნობაშიც ბიძამ გამწვრთენა. მახსოვს, პირველად რომ შევკვქეი შეკაზმულ ცხენზე, შემეშალა, მარცხენა ფეხი გავყავი მარჯვენა უზნანგში და უნაგირს უკუღმა მოვექეცი. ძია დიმიტრიმ დამტუქსა; „მარცხენა მხრიდან უნდა გადაჯდე ცხენზე, სადავეც მარცხენა ხელში უნდა გეკავოს, მარჯვენაში — მათრახი ან ხმალი.“

— ხმალს მომცემ? — ჩემი უხეირო-

ბის დამალვა ახალი მოთხოვნის წამოყენებით ვცადე.

— ნუ გეშინია, თუ დაგჭირდა, მოგცემ, — გაცეინა ბიძას. სიბრაზე მალე გაუვლიდა ხოლმე.

ჰოდა, ათისა ვიქნებოდი. შევხსნედიო ცხენებზე და ტყისკენ გავწვიეთ. გავიარეთ სოფელი. გავიარეთ სოფელი და გზა ახლა ხევის ნაპირს გაჰყვა, მერე კლდეზე აიკლანა, მერე ტყე, ისევ კლდე, მწვანე ფერდობებს ცხვრის ფარა შეფენოდა, ახლა სუფთა წიფლნარი დაიწყო. გაშლილ ადგილას გავედით და ერთ ძველ საყდართან ცხენებს უნაგირი მოვხსენიო.

ბიძაჩემს საყდარი უნდა აეწერა, აეზომა და მასალები თბილისში გაზეთისათვის გაეგზავნა. და ა, ვზივარ გუმბათის ყელთან, რუღეტის ერთი წვერი მე მიკავია, მეორე — ბიძაჩემს...

— პატარა საყდარი იყო? — შეაწყვეტინა ალექსამ.

— ჰო, პატარა, აგერ, ჯიხურის ხელია. ჰოდა, ვზივარ გუმბათის ყელთან, დარიანი კრამიტი აქა-იქ დამსკვდარია, ხავსიც მოსდებია, ერთგან ბუჩქიც გაფოფილა. საყდარს გვერდში მუხა ამოსდგომია, ერთი ტოტი ზედ გადმოუხრია და ისევ აუტანია მალა, თითქოს ყამთა სიავისგან იცავსო. ვიყურები აქეთ-იქით. მოკრიალბულია ცა, მზე ანათებს და უცებ გზაზე ერთი ურემი გამოჩნდა. მოჩარდახულ ურემს ძალი მოსდევდა. პირველ ურემს, მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, აღარ მახსოვს, ალბათ ათამდე იქნებოდა. ზოგი მეურმე კოფოზე ზის, ზოგი უღელზე ჩამოქდარა, ზოგი ურმის გვერდით მოჩანჩალებს და სათითაოდ სალაშს ვეაძლევს. ურემებს საქონელი მოსდევდა. ბიძაჩემი ერთ-ერთ მგზავრს გამოელაპარაკა, მგზავრს კისერზე თიკანი წამოეღო. ქარავანი მალე მიიმაღა ტყეში. ურემების ზღაყუნი და მეურმეების შეძახილი ცოტახანს კილევ ისმოდა.

ბიძაჩემი დიდხანს იდგა მღუშარედ. მეც შემეცვალა ხასიათი, უცნობი და მძიმე ბოღმა მომაწვა გულზე. ქარა-

ვანს რაღაცა სევდა გადაჰკრავდა. მახსოვს მგზავრთა გაოგნებული გამომეტყველება. ბავშვებიც დაბნეულები მისცივდნენ ურემებს, თითქოს რცხვენოდათ, თითქოს დარდობდნენ.

ჩამოვედი საყდრიდან.

— ეგენი ბოქორმიდან მოდიან, — მითხრა ბიძაჩემმა, — ბოქორმა ქართლოსმა აუშენა თავის დედას და „დედაციხე“ უწოდა. ძლიერი ციხე — სიმაგრეა. თავის დროზე აუღებელი იქნებოდა. იქიდან დამე თბილისის თავზე განათებული ცა მოჩანს. ეხლა ეგენი აყრილან და ალაზნის ველზე აპირებენ გადმოსახლებას. იქ სხვები დასახლებიან და ასე, ჩვენ კი ვზომოთ, — რუღეთი აახვია, — ეგრავა, ზოგი მიწას ჩაჰყურებს და მის სიყვარულსა გალობს, ზოგი ვარსკვლავებს ეთამაშება, ავიწყდებათ მიწასა და ცას შუა ადამიანი როა, ავიწყდებათ ვინ, და როგორი უნდა იყოს ეს ადამიანი.

მე ახლაც თვალწინ მიდგა გზაზე ჩავლილთა სახე და, როცა წამოვიზარდე, მაშინ მივხედი, რას ნიშნავს სახლკარაყრილი კაცის განცდა. ტოვებ მშობლიურ ადგილს და სადღაც მიისწრაფვი, დარწმუნებული არა ხარ, იქ რა მოგელის. მაშინ ბავშვი ვიყავი და ეს განცდა გზაზე ჩავლილთაგან სურდოსავით გადამედო. გადამედო და თავი არ დამავიწყა. იმ დღესაც და ახლაც, როცა ვიხსენებ, ისეთი გრძობა მეუფლება. თითქოს მეც იმ პროცესის მონაწილე ვიყავი და ვარ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩემმა წლებმაც ისე ჩაიარა, როგორც იმ ადამიანებმა. ჰო, მოღიხარ შენი ბავშვობიდან, შენი საკუთარი ბუდიდან და მარტო მოგონებებით თუ დაუბრუნდები მას.

ასეთივე მწველი, გამოუცნობი განცდა მეუფლებოდა, ტყეში ნასახლარებს რომ წავაწყდებოდი.

ოდნავ შევჩერდებოდი, თვალს შეგავლებდი ჩაღრმავებულ ტაფობს, ხავს-

კარლო არსენაშვილი
კოშკი



მოკლებულ კედლებს, - თუ შეიძლება შამბნარში და ფესვებში აქ-იქ ამოშვერილ ქვებისთვის კედელი გვეწოდებინა, უცრად წარმომიდგებოდა გარდასულთა ყოფა, მათი სიხარული და დარდი.

ტაფობის შუა ადგილას, ალბათ, ოდესღაც ცეცხლი ბრღვევით დაიწყო, იწვოდა ირმის ბეჭი, კუთხეში აკვანი ირწეოდა, კეცზე ხშიადი ცხვებოდა. შვილიშვილები კანკალებდნენ დევის ხსენებაზე. ვაჟკაცები ხანჯლებს ლესავდნენ. ყველას აკვირდებოდა ბერბაპა და ყველას უწილადებდა თავის სიბრძნესა თუ ცხოვრების გამოცდილებას.

ახლა კი, ტაფობის შუაში წიფელი ან რცხილა წამოზრდილა და ზეცისთვის მიუბჯენია თავი. ზეცისთვის სულერთია აქ, ამ ჩაღრმავებულ ტაფობში, ამ პატარა წერტილში რა ვაება და იმედები ჩამარხულა.

მაღე ჩემს ცნობისმოყვარეობას ისევე ტყის საიდუმლოებანი იზიდავდა. პანტას ვიბოვიდი, ჩახრიალა ნაკადულს გადავაწყებობდი, ან ეკალი გამიკაწრავდა შიშველ კანჭებს და ჩემი, ჯერ კიდევ გამოუცნობი სულერი შეშფოთება ამით მთავრდებოდა. მაშინ ყველაფერი შორს იყო, ძალიან შორს და რას წარმოვიდგენდი, თუ მეც ჩემს წინაპართა ნასადგომარს ჩუმი, უსიტყვო ნაღველით გამოვეთხოვებოდი.

დიმიტრიმ ჩაახველა. წამოდგა, გაიარ-გამოიარა, დაჯდა და განაგრძო.

— მახსოვს, ერთხელ ბიძაჩემმა ცხენი შემიკაზმა. საუზანგე თასები ჩამოკლა, გარსაკრები შეამოწმა, უჭერს თუ არაო. უნაგირს უკან პატარა, პრელი ხურჯინი გადაჰკიდა. ერთი თვალი ტიკჭორით და კალოს მხსლით ამოავსო, მეორე წიგნებით, და ვერხვიანში თავის ამხანაგთან გამგზავნა. ისიც მასწავლებლად მუშაობდა.

სიამაყით ჩავიარე სოფელი. კარგ ცხენზედაც ვიჯექი. არ ვიცო, რა ჯიშისა იყო. სასვე მკერდზე თუშური მოსართავები გადასალტოდა. კისერი მოედრე-

ბინა და წაბლისფრად მებზინავდა. კუნთები დაძაბვოდა.

ჩავიარე სოფელი და ყანები დაიწყო. გზა ყანას სჭრიდა. ეს გზა აკავშირებდა ჩვენს სოფელს დანარჩენ სამყაროსთან. მაშინ მოძრაობა ასეთი ხშირი არ იყო და გზებს სულ სხვა იერი ჰქონდა. შუაში, პროსპექტი თეთრი ხაზივით, ფეხით მოსიარულეთაგან დატკეპნილი ბილიკი მისდევდა. ბილიკის აქეთ-იქით მწვანე ბალახი, მერე ურმებისა და ეტლების ნაკვალევი, მერე ისევ ნარ-ეკლიანი ბალახი და მერე ყანა.

არ ვიცო, მეჩვენება თუ ნამდვილად ასეა, მაშინდელი პური უფრო მაღალი იზრდებოდა, ისე მაღალი, რომ საშუალო სიმაღლის კაცს მკერდამდე მისწვდებოდა.

რა მესმოდა იმ სილამაზისა, ჩემს ოცნებებში ვიყავი გართული, ხან მარაბდის გმირად მომქონდა თავი, ხან ასპინძისა, წაყითხულის მოგონებებით შეპყრობილი ხმალსაც აქეთ-იქით ვიქნევიდი, უთვალავ მტერს ვიგერიებდი, უთვალავჯერ მჭრიდნენ და არა ვკვდებოდი. ახლა სულ სხვანაირად მესახება დათქროვილი ყანა. ნიავე უბერავდა, ერთ ნაპირში დასცემდა ტალღას, მერე ტალღები მოედებოდა მინდორს, მინდორიც აბუბუნდებოდა, აიჭორებოდა — ერთმანეთს მიეკვროდნენ თავთავები. ძირში სიმწვანეშერჩენილი ღეროები გამოჩნდებოდა. მზეკაბანა უვლიდა ხოდაბუნს და ელფერს უტვლიდა. ყანაში, აქა-იქ, კაკლის ხეებს ჩაედგათ მწვანე კარვები. კაკლების ჩრდილში ყანის მკისას ისვენებდნენ.

გზა თელებთან უხვევდა. აქ სოფლის საზღვარი წყდებოდა. იქვე იდგა მანძილის მაჩვენებელი სვეტი: ვერხვიანამდე ექვსი ვერსი რჩებოდა. მიუუახლოვდი თელას და მოულოდნელად ტანში გამტრა, მტრედების გუნდი ცის სილურჯეს შეერია.

ვერხვიანი ძველი ქართული ქალაქია. მცენარეების სახელწოდებით საქართველოში ბევრ სოფელსა და დაბას ჰქვია.

ცხენი ჭენებით შევაგლე მდინარეში. მიყვარდა როცა წყლის შხებვებით ვიწუწუებოდი. მერე ცხენი კლდეზე აკლავნილ აღმართზე ავიყვანე ოთხით — აქ უკვე ქალაქი იწყებოდა.

დაბლა, მდინარის პირას, დაბალხანა მუშაობდა. აღმართზე ყოველთვის იდგა გოგირდისა და ტყავის მძიმე სუნი. დაბალები თავისი საქმით იყვნენ გართული. შარვლის ტოტები და მკლავები დაეკარწახებინათ და ტყავებს ჩარჩობებზე სჭიმავდნენ. მელოტი კეფა უპრიალებდათ. იქით გავლისას, ყოველთვის მინდოდა მათთან ჩავსულიყავი, მაგრამ ვერა და ვერ მოვახებხე.

ავიარე აღმართი და ახლა აჭრელე-ბული ბაზარი შემომეგება ჩოჩქოლითა და ვიშვიშით. ბაზარში ყოველთვის ბევრი ხალხი ირეოდა. გზის მარცხნივ შავბოხიანი მწყემსები ჰყიდდნენ ცხვარ-ძროხას, ცხენებს, კამეჩებს. ცხვრები ბლაოდნენ, თხები მოუსვენრად ტოკავდნენ და იცქირებოდნენ აქეთ-იქით. ძროხები დინჯად იდგნენ და კუდით იგვრიებდნენ ბორას და ბუხს. ცურებზე იწევდნენ ხბორები. მტვერში ფართხალობდნენ ქათმები. იმუქრებოდნენ გაფხორილი ინდაურები.

მარჯვნივ სურსათ-სანოვავე დახვავებულიყო. იქვე იყიდებოდა ფართლუელი. შუა ბაზარში, არღანს წრიბინა გრამოფონი ებაეჭრებოდა. შეშინებულივით ქანაობდნენ ბაწარზე ჩამოკიდებულნი ფანდურები, ერთი-ორი მელასავით მოქნილი კინტოც დაძვრებოდა. თბილისს ბაძავდა პატარა ქალაქი.

მახსოვს საზამთროს გორებთან, ერთი ჭიკაძელსავით წაგრძელებული კაცი მოთმინებლად გამოსულიყო, ქვედა ტუჩი ჩამოვარდნიდა, გადაჭრილ საზამთროსთან გრძელი, კელაპტარივით ჩამოქნალი თითოეტი მიჰქონდა და მყიდველებთან დაკაში ფუტკარს იშველიებდა. „ნახეთ, აბა, ნახეთ, ამ დალოცვილს ფუტკარიცა სწოვს. ტბილი რო არ იყოს, ანლოსაც არ მიეკარებო-

და!“ იქვე, საგსე რუმბებს ნაბღებო ეხურა. მშვიდად, აულელებლად ვაჭრობდნენ სირაჯები.

ქრელმა ფერებმა და ხმაურმა თავბრუ დამახვია და ვცდილობდი, იქაურობას მალე გავცლოდი.

ბაზარს სამჭედლოები მოსდევდა. გამურული მჭედლები საბერველსა და გრდემლს არა სცილდებოდნენ. ნაპერწკლები სცივოდა გავარვარებულ ლითონს, ელავდა ბასრი ცულები და ნამაგლები. მჭედლების ღონისა მშურდა. სიწყნარე სუფევდა მეჭურჭლეთა რიგში. კვამლი ასდიოდა ქურებს. კეკლუცობდა დარაბების წინ ჩამწყრივებული ყელწვრილი სურები, ჩამრგვალებული დოქები, ბარაქიანი გოზაურები და ჭამ-ფიალები.

ქალაქის ცენტრში არ შევსულვარ, გან-განზე მოვუარე. თბილისელ ბიჭს მომწონდა ბორცვებზე გაშენებულა მომცრო ქალაქი, თავისი აღმართ-დაღმართებით, ერთმანეთში ჩახვეული ქუჩებით და წყნარი მცხოვრებლებით. ბიძაჩემის მეგობარი ძველი ქალაქის განაპირას ცხოვრობდა. იქით ქუჩები არც მოკირწყლული იყო, არც ქვაფენილი ეგო. უბრალო შარავა, უფრო რიყისპირის ჩამოჰვავდა.

და აი, ერთმანეთზე მიდგმული სახლების მალა. აღმართის თავზე, კოშკის აივანზე გადმომდგარ წითელკაბიანს მოვკარი თვალი. ანაზღად (ყველაფერი კარგი ანაზღედულად ხდება), ვივრძენი, რაღაც უნდა მომხდარიყო. წითელკაბიანი მოსწყდა მოაჯირს და შიგნით გაუჩინარდა, თითქოს მისი ბაკაბუციც გავიგონე. ვიცოდი, კოშკის უკან უნდა მომხეხია და მივხვდი, გოგონა უსათუოდ ფანჯარასთან მივიდოდა. გამიხარდა ეს, რაღაცნაირი სიმორცხვენარევი სიხარული დამეფულა და ცხენს პათრახი გადავუჭირე. მყისვე მივხვდი, შეცდომა დავეუშვი. დავაპირე სადავე მომეწია და სვლა შემენელგბინა. მერე

აარლო არსენაშვილი
კოშკი

გადავიფიქრე, მოხდეს, რაც მოსახდენია—მეთქი და ნებაზე მივუშვი ცხენი. არ ვიცო, ცხენმა რა იგრძნო, ჭენებით აიარა აღმართი, ჭენებითვე მოუხვია და კოშკს ჯერ არ ჩავცდენოდი, ფანჯრიდან მომაძახეს:

— აკი არსენა მოკვდაო!

ფანჯარაში თვალი შევასწარი მოწითალო ლოყებსა და შავ თმებს, სწრაფადვე რომ მიიძალნენ.

გავბედე და ცხენი შევაჩერე, მაგრამ აღარავის გამოუხედაია.

რივის ქვით აგებულ კოშკს კიდეც შერჩენოდა დაკბილული ქონგურები, ქონგურებს ქვემოთ სათოფურები იმზირებოდა. ამინდს და ჟამს კედლები ჩაეშავებინა. ერთგან კედელი გამოეწვრიათ და ფანჯარა ჩავესათ. ფანჯრის ჩარჩოები და კედელი ჩარჩოების ირგვლივ თეთრად შეეფეთქათ. ეს თეთრი ფერი კოშკის მკაცრ გარეგნობას სხვა იერს აძლევდა და თითქოს გვამცნობდა, ახლა სხვა დროაო.

მივედი ბიძაჩემის ამხანაგთან. გატანებული დავუტოვე და უკან გამობრუნებულმა კიდეც შევათვალიერე კოშკი.

არავინ იცქირებოდა ფანჯრიდან. მეც გამიარა სიმორცხვემ და ვინანე, რომ არ შევაჩერე ცხენი და წითელკაბიან გოგონას ვავექეცი. ნელა ჩავიარე ქუჩა, აღმართზე ასულმა კიდეც გადმოვიხედე კოშკისკენ, მაგრამ აღარავინ გამოჩენილა. ცხენი რამდენჯერმე მოვატრიალე, იქაურობა ძველი მეომარივით დავხვევრე. ამაყად წამომართულ კოშკის აივანზე არავინ ჰაჰანებდა.

აი, იმ ერთმა წამმა, ერთმა მოლანდებამ მთლიანად შემძრა. ორიოდეჭერ კიდეც გამგზავნა ბიძაჩემმა თავის ამხანაგთან: წიგნებს უგზავნიდნენ და უბრუნებდნენ ერთმანეთს.

მეც გადავხედავდი თუ არა დანიშნულ ადგილიდან ვერხვიანს, წითელკაბიანიც თითქოს კოშკზე მიდგმულ აივანზე მელოდა. მოუხვევდი და მაშინვე მომაძახებდა: „აკი არსენა მოკვ-

დაო!“ ყოველთვის ვაპირებდი ცხენის შეჩერებას და ვერ კი ვახერხებდი.

ბავშვობისას ყველა ოცნებობს და ეს თვისება არც ჩემთვის იყო უცხო. მეგონა, ჩემს გარშემო ყველაფერი მუდმივი დარჩებოდა და მუდმივი იქნებოდა ადამიანთა ურთიერთობანი. მეგონა, ყველა ადამიანი, რომლებიც გარს მეხვიენენ, ყოველთვის ცოცხალნი იქნებოდნენ. მეგონა, ყველა მიზანს მივალწევდი და სიხარულს ბოლო არ ექნებოდა. მეგონა, რომ წადილის ასრულებას აუცილებლად ბედნიერება მოაქვს. ასე ვფიქრობდი და არა ვწუხნდი, რომ დილას ჩაფიქრებული საღამოსთვის ნაკლებად მისრულდებოდა. ამ დაუქაყოფილებლობას ზოგჯერ წყენა მოსდევდა, მაგრამ მალევე ქრებოდა. „გავიზრდები და მერე ხომ შევასრულებ“ — ვფიქრობდი მე. რა ვიცოდი, გავიზრდებოდი და ახლა სხვა მიზანი, სხვა სურვილი გამიჩნდებოდა და ისევე ვინუგეშებდი თავს, მხოლოდ უფრო დავაზუსტებდი ვადებს, ან საბოლოოდ ჩავიქნევდი ხელს, ან ისევ ვიოცნებებდი.

შეიძლება, ჩემი ოცნებები საკმაოდ შორს იყო სინამდვილისაგან. იქნებ სულაც არ ვიცოდი, რა არის სინამდვილე, მაგრამ ის ოცნებანი, მგონია სინამდვილეზე ახლოს იყოს ჩემთან. მათ სანუკვარი ნეტარება მოჰქონდათ. არც ოცნებებში ვიყავი მარტო. იქ, იმ გამჭვირვალე მხარეში ყოველთვის ჩემთან იყვნენ დედ-მამა, ძმა, ბიძაჩემი, ნათესაეები, მეზობლები, საერთოდ, ყველა ნაცნობი და ასე გასინჯეთ, ზოგიერთი უცნობიც კი. ახლა მათ კოშკს გოგონაც შეემატათ. იმ გამჭვირვალე წრის ბატონ-პატრონებს არაფერი ეცვლებოდათ, არც ასაკი ემატებოდათ, არც თმა უჭაღარავდებოდათ, წელშიაც არ იხრებოდნენ.

ათი წლისას ვის დააჯერებ, რომ ვინმეს სამუდამოდ დაკარგავს, ზოგთან შეხვედრაც დავხარება ან რომელიმე ნაცნობს გადაავიწყდება.

მაშინ წარსულ წლებს კი არ დავცქეროდ, უმანძილო მომავალს შევხაროდ და გახსენებებს ოცნებები სკარბობდა.

მენატრებოდა დღე, როცა გავებდავდი და ცხენს კოშკთან შევავჩერებდი, თუმცა მერე რა უნდა გამეკეთებინა, არ ვიცოდი, არ ვიცოდი და არცა ენაღვლობდი. ასე მოულოდნელად შემოფრინდა გამპვირვალე ოცნების წრეში წითელკაბიანი გოგონა.

მისაროდა, უცნაური საიდუმლო გამიჩნდა. სხვა საიდუმლოს გაიგებდნენ უფროსები და დასჯა არ ამცდებოდა. წარმოვიდგენდი თუ არა, კოშკის ასულის ამბავის გამხელას, მაშინვე მრცხვენოდა და რალაცა მწვევედ მატკბობდა.

ერთხელ ვდგავარ ბიძაჩემის სახლის წინ, ნამიან ბალახზე ციცრები იყენკებინა. კავკასიონზე მხოლოდ შუბლი ამოუყვია მზეს. ეზოს მჩხავანა ხმამ გადაურბინა:

„გავიდა მარიამობა,
ქალებო, თქვენი დღეობა... ვე...“
აივნის რიკულებს ჩემი ძმა მოაწყდა და თეატრალური პათოსით წამოიძახა:

— «Зловещий голос Тедо извещает о том, что настал час нашего отъезда».

ახლაც ვხედავ, გიმნაზიელის ქული ახურავს, გიმნაზიელის ფორმა აცვია, და მარჯვენა ხელი ქადაგივით აუშვერია ზევით. რა თქმა უნდა, ისე დილაადრიან და ისიც არდადეგებზე ასე არ იქნებოდა გამოწყობილი, მაინც ასე დამამახსოვრდა. მსახიობობა სურდა და სცენა თავის კულისებით თუ კულისები თავის სცენით, ისე კარგად გაიცნო, გადაიფიქრა და ვეტიქიმი გამოვიდა.

მეც გადმოვდექი აივანზე და აკაკის დაბურულ ხეებს იქით დავინახე ოქროსფერ თავთუხზე მოსრიალე კვერთხი. კვერთხე თეთრპერანგიათი ჩოფურა თევდი იდგა. სახრეს ნაზად, თითქოს ალერსით უქნევდა ხარებს. ხეზე არნადე-

ბი, ნიჩბები და ფიწლები მიეყუდებინათ. იქვე, ჩემი ხურჯინივით კრეტომრებსა და სამალდეებთან ცხავი და კალანჩხები უცდიდნენ საკუთარ ჯერს.

მიყვარდა კალო და დიდი გულისფანქალით ველოდი კვერთხის გასრიალეებს. მისაროდა, როცა მთენთავდა ზენიტზე შემდგარი მზე, ცხვირწინ ნალები ელავდა და ბზით ოქროსფრად მეგანგლებოდა ხშირი ქოჩორი.

იმ დღეს, მაშინვე კოშკის ასული წარმომიდგა. კიდეც ვინანე, რომ ცხენი არ შევავჩერე, მაგრამ თავი ვინუგეშე...

ბოლოს ისე მოხდა, სოფლისკენ შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გავემგზავრებოდი. ბიძაჩემი გარდაიცვალა. ერთ უსიამოვნებას, მეორე მოჰყვა. რასაც ზრდილობიანად ნათესავებს შორის კინკლაობა შეიძლება ვუწოდოთ. ძნელია, ყველა მოვლენას ნამდვილი სახელი დაარქვა, და მამა-პაპური კერა მოგვეშალა.

და აი, ამას წინათ, საავადმყოფოში დაწოლამდე, კიდეც მომიხდა ჩემი სოფლის ნახვა.

ჩემი ხნის შორეული ნათესავი გარდამეცვალა. დავასაფლავეთ და სამ დღეს დავრჩი. მგლოვიარეთა კვალობაზე ხელგაშლილი მასპინძლები გულთბილად შემხვდნენ. ჩვენს ურთიერთობას მაინც რალაცა აკლდა. გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო. ყურადღება, თავაზიანი მოპყრობა, გულწრფელობა, ყველაფერი, პატივსცემა გინდა თუ მზრუნველობა დროულად და სასურველი უბრალოებით ტარდებოდა, მაგრამ სინაკლულის გრძნობა არა მტოვებდა.

ეზოში მასპინძლების შვილიშვილს ვათამაშებდი, მერე ფუნჩულა თითებზე ვაკოცე და ორლობეში გამოვედი. გასეირნება გადავწყვიტე. არავის დაუუნახივარ თენგოს გარდა. თენგოს ჯოხი ჩაერკო ქვიშაში და ხან მე მომპაყრო-

აკარლო არსენაშვილი
კოხავი



ბლა გაოცებულ თვალბს, ხან მოფუს-
ფუსე ქალებს. ქალები ქვაბებს ხეხავდ-
ნენ. თეფშებს რეცხავდნენ და თენგო-
მაც ალბათ განაგრძო გვირაბების გა-
ყვანა.

გამოვედი მოასფალტებულ გზაზე. იქ,
სადაც თელა იდგა და მტრედების
გუნდმა დამაფრთხო, ახლა მეფრინვე-
ლეობის ფაბრიკაა. ფაბრიკას გავცდი.
ვენახებიც ჩამოვიტოვე. ლელესთან,
მთავარ გზაზე ახალი ხილია. ვაღმა,
მწვანე ფერდობზე თრიმლის ბუჩქები
შეინდისფრად ღვიოდა, თითქოს მისა
ნისლით დანამული ღეროებიც დავინა-
ხე. უფრო ზევით, გორაკზე, ეკლესიის
სამრეკლოს თალიდან თითქოს მზე
იჭყიტებოდა. იქით აღარ წავსულვარ.
იქ, ჩემი წინაპრები განისვენებენ.
თითო-ოროლა სველი ხავსით დაფა-
რული ლოდინა მოჩანს. ზოგიერთზე
ხავსი, შეიძლება მხოლოდ ამოკვეთილ
ასობებზე იყოს მოდებული. ზოგი ლო-
დი ნელა ჩაწეულა და მიწის ქვეშ მო-
ქცეულა. მარტო ვიდექი ხიდზე. ქვე-
ვით, ალაგ-ალაგ ჩახრიალად ვადმოს-
ჩქეფდა ღელე და მივხვდი, სინაკლუ-
ლის გრძნობა ჩემთვის ძვირფასი ადა-
მიანების არყოფნით იყო გამოწვეული.
უეცრად ზღვავედებოდა მოგონებები.
იღვიძებდა მიმიქრალი გრძნობები,
იკვეთებოდა სახეები და მშობლიურ,
დიდებულ ლანდშაფტს ჩაქსოვილნი რა
ნაცნობნი და მახლობელნი იყვნენ
ისინი.

გზაზე ავტობუსი გამოჩნდა. შოფერს
ევონა ვერხვიანში მივიდიოდი და მან-
ქანა გამიჩერა. მეც უყუყმანოდ ავედი
ავტობუსში. ქალაქის შესასვლელთან
ჩამოვედი.

ბაზრის ადგილას ახალი შენობები
წამოჭიმულა, აღარც დეაბლები სკი-
მავდნენ ტყავს ჩარჩოებზე, იქ პარკია.
ვიწრო ქუჩებს გავყე. შემოდგომის
თბილი ღლე იდგა. ყურძნის ჯაგნები
და გასაშრობად ჩამოკიდებული ჩურ-
ჩხელები ჯერ არ დაებინავებინათ, ჰაე-
რში კიდევ ტრიალებდა მაჭრის სურ-

ნელი. აღარც მკედელთა რიგებში
გვიროდ, ახალი მოდის სამკერვალოე-
ბი და საპარიკმახეროები ყოველ ნაბი-
ჯზე მხედებოდა. შუშებიან კაფეში
წკრიალებდა პლასტმასგადაკრული
ალუმინის მაგიდები და სკამები. ელექ-
ტროსაკრავი ჩაერთოთ და ჯახი
უზრდელი სტუმარივით კაკანებდა მის-
თვის საუკუნოდ უცნობ ქალაქში. გა-
მახსენდა, რომ არც არღანამა დაამჩნია
კვალი აქაურობას. ბორცვიანმა ქალა-
ქმა ისიც დაუნანებლად გაატანა ძველ-
მანებს.

ნელა, შუეუმჩნევლად გამოვიდა მზე.
ცოტა დამცხა კიდეც, საზაფხულო პალ-
ტო გავიხადე და მკლავზე გადავიკიდე.
ამავე მიმართულებით მივაგვლევდნი
წინათ ცხენს ბიძაჩემის ამხანაგის ბი-
ნისკენ. და უცებ იმავე ვადასახედზე
ვავედი. იგივე ძველი, ერთსართულიანი
სახლები იდგა, იგივე მოჩუქურთმებუ-
ლი აივნები, ისეთივე მოხრეშილი და
მტვრიანი აღმართი, პატარა ბოგირი და
ისევ ხრეშიანი გზა. ტერასებად გაშე-
ნებულ ბაღებისთვის მესერი შემოგო-
ტყათ. მხოლოდ კოშკის ადგილას ორსა-
რთულიანი სახლი იდგა. ხარაჩოები
ჯერ არ მოეხსნათ.

ძველებურმა მღელვარებამ შემი-
პურო. „მივალ, ვაგივებ, ვინა ცხოვ-
რობს იქ, რა გვარისაა, რას აკეთებს“,
ვაგიფიქრე და ნაბიჯს მოვუმატე.

შემოვფარე შენობას. ძველი კოშკისა
მხოლოდ ერთი ნაწილი, ასე, ალბათ,
ერთი მეოთხედი, დაეტოვებინათ. დაე-
ტოვებინათ სწორედ ის სეგმენტი, რო-
მელშიაც ფანჯარა იყო ჩადგმული.
შემდეგ კედლები გაეგრძელებინათ და
უშველებელი მშენებლობა წამოეწყათ.
სახლი ჯერ არ იყო დამთავრებული,
მაგრამ არა მგონია ხეირიანი რამ გა-
მოვიდეს. ეზოში ეყარა ქვა და ბეტო-
ნის ბლოკები. ცემენტის პარკებს გაც-
რეცილი, ყვითელი ბრეზენტი ეფარა.

ონკანთან ახალგაზრდა ქალი სარეცხს
რეცხავდა. დამინახა, მაგრამ რეცხვა არ
შეუწყვეტია. არა მგონია საქმის სიყვა-

რულის გამო. ვიდრე და ყურადღება რომ არ მომაქცია, დავუძახე.

უხალისოდ წამოვიდა ჩემსკენ. არც ტანსაცმელისათვის მიუქცევია ყურადღება, მხოლოდ წინსაფარზე ჩაისვა ხელი. ისე მოადგამდა ფეხებს, თითქოს რბილი ქოშები კი არა, რკინის ჩექმები სცმოდეს.

— ბოდიში, ქალბატონო, აქ ვინა ცხოვრობს?

— რატომ მეკითხებით? — კითხვა შემომაგება ქალმა და მკლავით გადაიწია ჩამოშლილი თმა.

დავიბენი. როგორ ამეხსნა, რისთვის ვკითხულობდი მასპინძლის გვარს. კარმიდამოს მოვავლე თვალი, ქალსაც და-ვაკვირდი, კითხვის კილოსაც და მივხვდი, აქაური არ უნდა ყოფილიყო.

— თქვენ, გეტყობათ, დიდიხანი არა არის, რაც ეს ბინა გიყიდიათ. წინათ ვინ ცხოვრობდა აქ?

— არ ვიცი.

— ერთი წლის წინ?

— ჩვენ სამი წელია აქა ვართ.

— წინათ ვინ ცხოვრობდა?

— არ ვიცი.

ბოლოს დავაპირე უფრო მოქნილად შემოქმედა:

— ისინი სულ აქ ცხოვრობდნენ?

— არა, იმათ სხვისგან ეყიდათ.

— ის სხვები რა გვარისა იყვნენ?

— არ ვიცი.

— ან იმათ წინ ვინ ცხოვრობდა?

— არ ვიცი, არ ვიცი! — უკან წავიდა ქალი. სულელი არ ვეგონე, თორემ არ იტყოდა, — რაში მჭირდება, ვინ ცხოვრობდა? — ახლა ჩვენ ვცხოვრობთ, — მერე მიტრიალდა, სწრაფად გამშორდა და ზეწარი ლილიან წყალში ამოავლო.

ჰო, ასეა, ვის სცალია ან რაში აინტერესებს, გაიგოს, ვინ სად ცხოვრობდა. გამოვბრუნდი. შევათვლიერე ძველი კოშკის ნარჩენი. თითქოს ამოხტომას ლამობდა კედელი, ვერ ეგუებოდა ბრაქტიკოსი პატრონების უნს.

წავალთ ჩვენ და დავგივიწყებენ. მოვლენ სხვები, ყველაფერს თავის

გემოზე შესცვლიან, ჯერ კედლებს გამოსცვლიან, მერე დაუმატებენ, მერე ელფერს დაუკარგავენ, გვიასუხებენ, ჩვენ სხვა გემოვნება გვაქვსო და ვერაფრით გაამტყუნებ...

დუმბილი ჩამოწვა. ეტყობა დიმიტრამ თხრობა დაასრულა. ალექსი წამოდგა და სამივემ რალაცით შეწუხებულმა და შეშფოთებულმა ჩვენი კორპუსისკენ გავწიეთ.

დიმიტრის რამდენიმე დღის შემდეგ გაუკეთეს ოპერაცია.

მეორე დღეს მე გამწერდნენ.

მხნე და ჩქარი ნაბიჯით ჩაიარა ტალანი. ისე სწრაფად მიდიოდა, შვილი ძლივს ეწეოდა. მეუღლე პალატის ზღურბლთანვე შეჩერდა. კედელს მიეყრდნო და დიმიტრის ვანიერ მხარბეჭს უყურებდა. საოპერაციოსთან შვილმა მამას მხარზე მოუთათუნა ხელი, აბა, კარგად იყავიო.

ოპერაციას განყოფილების გამგე ქალბატონი ე. მ. აკეთებდა. ცნობილი დასტაქარი სიდარბაისლით და გულისხმიერებით გამოირჩეოდა. ყოველდღე ჩხრეკდა ავადმყოფების კარაღებს და თუ არადიეტურ კერძს ნახავდა, ისეთ სიტყვებს გამონახავდა, სამუდამოდ შეგაჯავრებდათ. როგორც სპეციალისტს, სახელი ჰქონდა განთქმული და მეც დიეტა არაფრის თქმა შემიძლია.

ოპერაციის დასრულებას ყველა მოუთმენლად ელოდა.

დიმიტრის მეუღლე ქმრის საწოლთან ჩამოჯდა. როცა ცოლ-ქმარი ტკბილად შეაბერდება ერთმანეთს, მათ ბევრი მსგავსი ჩვეულება უჩნდებათ და ძნელია გაიგო, ვინ ვისზე მოახდინა გავლენა. წინადადებების დალაგებით, ხმის ინტონაციით, ალბათ, ხსიათითაც ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ.

ვაქიშვილი ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. ხშირად გადიოდა კიბეზე და პაპიროსს ეწეოდა. მამასა ჰგავდა გარე-

კარლო არსენაშვილი

კოშაკი

გნობით, მხოლოდ უფრო დაბალი და გამხდარი იყო.

საოპერაციოს კარზე სამი საათის შემდეგ ჩაქრა წარწერა. „წყნარად, მიმდინარეობს ოპერაცია“...

კარი გაიღო და დიმიტრი სკაცით თავის პალატაში შეყვანეს. ნახევარი საათის შემდეგ ავადმყოფმა გამოიღვიძა. ოპერაცია რთულად მიმდინარეობდა. ერთი თირკმელი ამოკვეთეს. მარჯნისებური კენჭი ორას გრამს იწონინდა. ექიმები და ავადმყოფებიც ხშირად შედიოდნენ დიმიტრის პალატაში. ყველას უყვარდა კეთილი მოხუცი. შვილი შუალამისას წავიდა შინ. დიმიტრისთან მეუღლე დარჩა.

დილით ალექსიმ გამაღვიძა:

— გაიგე? დიმიტრი მომკვდარა. თურმე გულმა უღალატა! ეპ, რა ჩაქრა იქცა მოგონებად!

სკამზე ჩამოჯდა მოხუცი და მოიბუზა. ერთიანად აკანკალებდა. მე მგონია, ეს თანაგრძნობასთან ერთად შიშითაც იყო გამოწვეული. ყველას გვეცოდება ადამიანი, მაგრამ თანატოლის სიკვდილი განსაკუთრებით მოხუცებს უმძიმთ. გაიხედ-გამოიხედავ და შენსად დაღარულ და ჭადარა კაცს ველარ ხედები. ასეთ ასაკში ადამიანს ალბათ უფსკრულის პირზე მდგარის შეგრძნება ეუფლება.

ექიმების შემოვლის შემდეგ, შინიდან ტანსაცმელი მომიტანეს. მეუცხოვებოდა გაუთოვებული კოსტუმი და თეთრი პერანგი. ისე გადავჩვეოდი, წითლად დაწინწკლული პალსტუხის შეკვანძვა გამიჭირდა. ჩანთაში ჩავაწყე ჩემი ნივთები. ალექსი მაფრთხილებდა:

არაფერი დაგრჩეს, ამბობენ არაფერი გავა, საავადმყოფოში დაბრუნებას დავტკეზავსო.

ბიულეტენის შესავსებად ექიმის კაბინეტში შევედი. გამოცდილი და თავაზიანი ექიმი უხასიათოდ იყო. დიმიტრის ოპერაციას ისიც ესწრებოდა. რამდენჯერმე გამამეორებინა დაწესებულების სახელწოდება და მაინც შეცდომით ჩაწერა. აღარ ჩავაცვიდი. ე. მ. ნერვიულად აკაკუნებდა სათვალის ჩარჩოს მაგიდის მინაზე:

— თამარ! — კაკუნე შეწყვიტა, — ექსკურსიაზე მიდიხარ?

— სად? — ჩემმა ექიმმა ბიულეტენი გამომიწოდა, მანიშნა მოიცადეო, — სად მიდიან? არც გამიგია.

— ვერზვიანში, — ე. მ. წამოდგა, სათვალე გაიკეთა, — იქ ბევრი ისტორიული ძეგლია. ბევრი რამეა დასათვალიერებელი. ქალაქი შორიდანვე მოჩანს. რამდენიმე კარგად შენახული ციხე-სიმაგრეა. ახლა შემოდგომაა, ხეები გაძარცვული იქნება, სამაგიეროდ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება ფართო, სვეტებიანი აივნები... როგორ მიყვარდა ისტორია. ნეტა ახლა ვამთავრებდე სკოლას. ექიმი არავითარ შემთხვევაში არ გამოვიდოდი. ისტორიულს დავამთავრებდი. რომელიმე პატარა ქალაქში ვიმუშაებდი. არ გინატრია პატარა ქალაქში ცხოვრება?

პასუხს აღარ მოუცადა და ოთახიდან გავიდა.

მომეჩვენა კოშკი, კოშკზე მიდგმული აივანი და წითელკაბიანი გოგონა; თითქოს ცხენის ფლოქვების თქართქურცი შემომესმა.



ნაილი ნაპაჩიშვილი

დ ე ლ ა ს

მომენტრები, შენი თმების ვერცხლის ძაფების
მოალერსება მომინდება ტკივილით, ცრემლით.
მომენტრები და კივილით დამეწვის ყელი.
შენი ხელების რბილი ფათური
და უბის სითბო მომსურვებია.
გეძახი, გელი, ვიცი მიხვდები,
შენი მისნობის ყოველთვის მწამდა.
შენ მალემსობოლად მერცხლები მოგდის.

●

მომაწვევინეთ მშვილდის ტარი,
გავმართო ლარი,
რომ მშვიდი მაჯით ვიგრძნო
გაფრენა ისრის წვერისა,
დაკოდილ ნადირს აუკრა ფენი
და ხერხემლის ძვლები ვუმტვრიო,
ცხრა ხარ-უღელი შემაშველოს ძმაკაცმა ჩემმა,
შემომხვევიანონ მეზობლები და ძუკნა ძაღლი
სისხლმა დაათროს, სოსანეზე ეყაროს ძვლები,
დამკიჟინებდეს თანატოლთა გუნდი და გუნდი
და ბერ-მამათა მობრუნებულ სიყმესა ვგავდე.
მომაწვევინეთ მშვილდის ტარი პაპიჩემისა,
სამყვირალოზე ამოსულა ირემი თეთრი.

●

გამახსენდება გაზაფხული,
ჩვენი ბოსელი
და აყალო მიწის დაგება,
უკში ფუსფუსი, მისვლა-მოსვლა და ჟრიამული,
განიერ ტახტზე ჭრელი ფარდაგი და მუთაქები.
აქ ჭიდაობას მიმართავდა ჩემი ძმა მუდამ
და გამარჯვებას ვზეიმობდით ხან მე
და ხან ის, დიდთვალემა, ოჩანი ბიჭი.
გამახსენდება ის პატარა ნაფესურები,
რომელიც აჩნდა წვიმის შემდეგ აყალო მიწას.

მე ჩემს ტკივილზე ავაშენე თეთრი საყდარი
და ცაცხვის ხეებს სიყვარულის ცრემლი ვაჩუქე.
ჩამოვირეცხე ქარიშხლიან დღეების კვალი
და მზის სიცილი ნაწილ-ნაწილ ჩამოვარიგე.
მე დავიბრუნე დაკარგული სიმშვიდე ჩემი,
ოქრო ყანები, ფერიები და ნატვრის თვალი,
მწვანე რტოებით გადავხურე უცხო კარავი
და გოლეული მოვიტანე შესაწირავად.

მოპკიდებით პკე ნაკრულ ქვევრებს
და სადღეგრძელოს აღარ სვამენ
ბუხრის პირას დროული ხალხი
და ამ მარანშიც, საწნახელთან
აღარ ისმის პაპის ბუბუნი,
ხმამალალი ოცნება კაცის.
დაცლილია კიდეც ერთი თასი სიცოცხლისა
და დამსხვრეულა.
უქმად კიღია დედაბოძზე ორშიმო და წითელი კვანძი.

ტაბლა მიათვეს წითელ ბატონებს
და შინდის კერკი გაულესეს სიციხით გათანგულს,
მამლის ბოლოზე გამოაბეს ფერადი ძაფი
და ტბილ კვერებზე დაასვენეს პურის ბასილა.
გამოსალოცად მიაქვთ ბიჭის მოვის პერანგი,
ასტკივებია ძუძუ-მკერდი დედას და მისანს.
მზის სარეცელზე წვიმს აღმასი და თეთრი ძილი.



ბედა შალვაშვილი

ბ ა ს ს ე ნ ე ბ ა

ფურისულას ფერად დაფრენს დაფიონი,
ცისტვის მიუციათ საცერი და ცრის.
ჩქარი მატარებლით მიდის მაყრიონი,
ფანჯრიდან იცქირება ცრემლები ცირასი.
ვიცი ეს ცრემლები იცის განშორებამ,
თუმცა... ეს ცრემლებიც იყო წამიერი...
ვაგონს გუგუნებდა ტკბილი „რაშო-
რერა“,
„მოგვეყავს ხოხობი“ და
„მრავალწამიერი“.

მ ე რ ო მ მ რ გ ე ბ ო ლ ა

მე რომ მრგებოდა გამგებლობა მაგ შენი სახლის,
ოთახებს შენსას მოვაწყობდი სხვანაირ სახით...
არ მოგიტანდი სახლის რაღაც მოსართავ საგნებს,
მე მოვიდოდი სიყვარულით, მზით და ხალხით...
არ დავაჭკნობდი დიდ კედლებზე ნაზ იასამნებს
და შენს გარშემო იქნებოდა მზე და მაისი.
ოთახებიდან გავიტანდი ყოველგვარ ნივთებს,
რომ ჩემს სიყვარულს დაეჭირა ყველა ადგილი,
აიწეოდა ჭერი მაღლა ამ სიყვარულით,
ავიხდებოდა ჩვენი ყველა კარგი წადილი...

მე რომ მრგებოდა გამგებლობა მაგ შენი სახლის.

რ ო ღ ი ს ?

როდის ისვენებს არაგვი,
რა დროს იძინებს მტკვარი...
ნეტავი როცა არა ქრის,
მაშინ სად არის ქარი.
რად ვერ მოშუშდა აქამდე
ქვეყნად ამდენი წყლული...
და თუ რამე არ აღანთებს,
როგორ ისვენებს გული?!

კარლო გაბაგაძე

ს ა ლ ა ც უ მ ე ნ ა ხ ა რ

თოვლი ნდებოდა — ატალახებული
სამშენებლო მოედანი ისე დაიტბორა,
ბევრგან გავლაც კი შეუძლებელი გახ-
და. სწრაფად გაგვყავდა გზა, ვაწყობ-
დით დრენაჟებს, ვყრიდით ღორღს. ზამ-
თარი უშფოთველად გავატარეთ, ყინვას
ხელი არ შეუშლია სამონტაჟო სამუშა-
ოებში — გაზაფხულისათვის ქარხნის
ჩონჩხის კონტური უკვე მკვეთრადაც
მოჩანდა.

თორმეტტონიანი თვითმცლელი გრუ-
ხუნით ჩამოდგა, ღორღი ხრიალით გაი-
ბნა სველ მიწაზე. შოფერი კაბინიდან
ჩამოხტა — დეპეშა თბილისიდან, სამ-
მართველოდან გამომატანესო, მითხრა
და დეპეშა მომაწოდა.

„ათში ქორწილი მაქვს ჩამოდი ნიკა“.
ათი ხომ ზეგაა, დეპეშა როდისღა გა-
მოაგზავნენ?! მივიხედ-მოვიხედე, რამ-
დენიმე ცნობისმოყვარე თვალი მომჩე-
რებოდა. ავტოვაგონისაკენ წავედი, რო-
მელიც გზის პირას იდგა. ხუთ ასეთ ვა-
გონს ნახავდით აქ, ერთი ჩემი ბინა და
კაბინეტი იყო, სამში — მუშები ცხოვ-
რობდნენ, ხოლო მეხუთეში ხელსაწ-
ყოები გვქონდა. ეს იყო ჩვენი მოძრავი
კოლონა.

ვაგონში შესვლისას დეპეშა კვლავ
გდავიკითხებ, ერთი კვირის წინ იყო გა-
მოგზავნილი. კიდევ კარგი, დღეს მაინც
შომიტანეს! მაგიდის კალენდარს დაეხე-
დე: რვა აპრილი, ოთხშაბათი, ათში
ქორწილია! სკამზე დავეშვი. ამ დეპე-
შის მიღებას ველოდი, მაგრამ ვფიქრო-
ბდი, რომ ქორწილი არ შესდგებოდა.
ახლა კი ყველაფერი ნათელი იყო. არა,
აუცილებლად უნდა წავიდე და ვნახო;

დღევანდლამდე კიდევ მქონდა რაღაცის
იმედი.

სამმართველოს უფროსთან რომ მი-
ვედი და ვუთხარი, ოთხი დღით თბი-
ლისში უნდა წავიდე-მეთქი, ერთხანს
გაკვირვებული მომჩერებოდა, ოთხ
დღეში თბილისში ჩასვლა და დაბრუ-
ნება ნუთუ შესაძლებელიაო. მაგრამ
სიტყვა არ დასცდენია უარის სათქმე-
ლად, იცოდა ჩემი სიჯიუტის ამბავი, რა-
იმეს თუ ამოვიჩემებდი, ავასრულებდი
კიდევ. როცა კაბინეტიდან გამოვიდო-
დი, ჩემი „ჯიბით“ წადიო, მომადგა.

უახლოეს აეროდრომამდე ორასამდე
კილომეტრი იყო. „ჯიბმა“ კარგი სამსა-
ხური გამიწია, გამთენიას აეროდრომზე
შევგვრიალდით. გზაში სულ წვიმა გვი-
ტყლამუნებდა, გამთენიას, როცა აერო-
დრომზე მივედით, წვიმამ გადაიღო. იღ-
ბალზე როსტოვში მიფრინავდა საფოს-
ტო თვითმფრინავი, პილოტები აფრე-
ნის ბრძანებას უცდიდნენ, იქვე, აერო-
დრომის უფროსის კაბინეტთან იყვნენ
შეგგუფული და რადიოგრაამს ელოდ-
ნენ. დერფანში როცა შევბრახუნდი,
გაკვირვებულვებმა შემომხედეს და ჩემს
ტალახიან ბათინკებს დაადგეს თვალი.
რამდენიმე წუთში ერთმანეთს დაუშე-
ვობრდით, გაეხარდათ, მგზავრი რომ გა-
უჩნდათ. სამი საათი ერთად ველოდით
რადიოგრაამს, თან მალიმალ გარეთ ვი-
ხედებოდით, კვლავ არ გავდარდესო.
ჩემმა გამოჩენამ მათ გაფრენას რაღაც
რომანტიული ელფერი მისცა. ვნერვი-
ულობდით და ზედიზედ ვჭაჩავდით სი-
გარეტს. ათი საათი იყო, როსტოვიდან
სასურველი რადიოგრაამი რომ მივიღეთ,



პილოტებმა — „ვაშაო“ და ერთად გამოცვედილი ვარეთ.

— შენ, ძმაო, მავ ტალახიანი ბათინკებით ხომ არ აპირებ ჩვენს „ლანინერში“ ამოსვლას? — მითხრა გამხიარულბუნებულმა კაპიტანმა.

ონკანს მივუახლოვდი, გავაღე და ბათინკები შევეღვივებ. ჭერ ერთი, მერე — მეორე.

თვითმფრინავში უფრო ციოდა, ლითონი გაყინული და უსიცოცხლო იყო. მოტორები აგრუხუნდნენ, თვითმფრინავი აძიგძიგდა. მერე გაგორდა და მალე აციმციმდა — ღრუბლებს ზემოდან მოვეჭყეციით. კაბინის უკან ყუთებსა და ამანათებს შორის ვიჭეჭი და კარგად ვხედავდი მოფუსფუსე პილოტებს.



შეგბულებით ვიყავი ჩამოსული შარშან, შემოდგომაზე. თბილისში აღარ ვყოფილვარ, აგერ, უკვე მერვე წელია. ინსტიტუტი რომ დავამთავრე, თითქმის მაშინვე გულა-ნაბადი ავიკარი და შორგზას გავუყუვე. ბევრი მეგობარი დარჩა თბილისში. ნიკაც თბილისში დარჩა, ცოტახანს მშენებლობაზე მუშაობდა, მერე ქალაქპროექტში, მერე ასპირანტურა დაამთავრა და იმ ხანებში დისერტაციას ახლიდა თავს, როგორმე მალე უნდა დავამთავრო და საკანდიდატო დავიცვა, თორემ დამგვიანდო.

ნიკა ინსტიტუტში პირველსავე დღეებში დამიმეგობრდა, ერთად ვმეცადინეობდით, განსაკუთრებით სესიების პერიოდში. მე ნაჭირავებ ოთახში ვცხოვრობდი და ხშირად ვიყავი ნიკასთან. დედამისი ჩიტის რძეს არ ვვაკლებდა. ნიკას მამა შვილის სწავლა-განათლებისათვის არაფერს იშურებდა. პირველ სამკურსზე ნიკას ძალიან უჭირდა, ხან მათემატიკაში ჩამორჩებოდა, ხან — ფიზიკაში და თეორიულ მექანიკაში.

— არ შედის თავში, ამის დედა ავატირე! — იტყოდა ხოლმე ნიკა.

— ერთად არ იმეცადინეთ, შენ რაფრა მიიღე ხუთი, ამან კი ორი?! — უკვირდა მამამისს.

ბოლო ორ კურსზე, სპეციალობებში ნიკა გამოცოცხლდა და უკეთესად სწავლობდა. ჩემმა ნიკუნამ ასპირანტურა უნდა დაამთავროსო, უხაროდა მამამისს.

მე და ნიკას ერთმანეთისათვის ხუთი წლის განმავლობაში არაფერი გვიწყენინებოა, მიუხედავად იმისა, რომ საპირისპირო ხასიათისანი ვიყავით. ნიკა ბუნებით სუსტი და მერყევი იყო: საათობით შეეძლო ეტრიალა მლაზიაში, განსაკუთრებით საკომისიო მლაზიაში — თუკი რაიმე ნივთი მოეწონებოდა, იტრიალებდა, იტრიალებდა და როდის-როდის იყიდდა. შეხედულებით წარმოსადეგი და ლამაზი ბიჭი გახლდათ. მართალია, მისი სილამაზეს პროვინციული ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, მოსწონებოდათ ქალიშვილებს, მით უმეტეს, საუცხოოდ უკრავდა გიტარაზე და არაჩვეულებრივად მღეროდა. მართალია, ბევრ ქალიშვილს ეჭირა ნიკასკენ თვალს, მაგრამ მას ბუნებისაგან ჰქონდა მომადლებული ზომიერების გრძნობა, მამის ხათრი და ოჯახის სიყვარული.

თბილისში რომ ჩამოვედი, სასტუმრო „აფხაზეთში“ დავბინავდი, მართალია, ნიკამ შემომთავაზა, ჩემთან წამოდო, მაგრამ სასტუმროში მერჩია.

ნიკას საკუთარი სახლი ჰქონდა საბურთალოზე, რომელიც გაერემონტებულია და ბრწყინვალედ მოეწყობა. ოთახებში საზღვარგარეთულ ავეჯზე უამრავი ბროლის თუ კერამიკის ჭურჭელი ეწყობა. კედლებზე ეკიდა ჭედური და ფერწერული ნამუშევრები. სერვანტში და ვიტრინაში გამოფენილი იყო ოქროსი, ვერცხლისა და ფაიფურის ღარნაკები, კოვზები, ჩანგლები, სურები და ჯავის სურვიზი. ნიკამ თავისი სამუშაო ოთახი მაჩვენა, მერე გამიყვანა სამზარეულოსა და სააბაზანოში. ფერადი ფი-

კარლო ტაბატაძე
სადაც შინა ხარ



ლებით მოვებირკეთებინათ, ეტყობა ამ სააბაზანოთი ამყოფდა. ჩემს სახეზე აღფრთოვანება რომ ვერ ამოიკითხა, ეწყინა.

ნიკას დედა, სათნო და წყნარი ქალი, როგორც კი დამიმარტოხელბდა, ოჯახის მთელ საიდუმლოებას გამანდობდა ხოლმე; იგრძნობოდა, რომ მამაკაცებს დაჩაგრული ჰყავდათ, განსაკუთრებით ქმარს. იმ დღესაც, როგორც კი დამიმარტოხელა, თავის დარდი გამანდო; სარძლო, ნანა, მინცდამაინც არ მომწონსო, მართალია, შესახედავად კარგია, ეჭიმითაო, მაგრამ ჩემს შვილს უკეთესი ეკუთვნოდო. ძალიან გამხდარი და მეტისმეტად ქალაქელიაო.

იმ საღამოს მე და ნიკა კინოში წავედით. ნანას კინოს წინ დაველოდეთ. მალე მოვიდა. იმ წუთში არ მომწონებია, უფრო სწორად, ამაზე არც მიფიქრია. ნანამ იცოდა, მე რომ ვიყავი ჩამოსული. როგორც კი მოვიდა, შინაურულად გაზილიმა და ხელი ჩამომართვა. მერე კი, როცა ერთმანეთს ასე თუ ისე დავეუხლოვდით, მითხრა:

— არც ისე უცნაური ყოფილხარ, როგორც ნიკას უყვარს ხოლმე მოყოლა.

მაშინ ნათქვამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, მხოლოდ გამეცინა, მერე, როცა დავფიქრდი, დავინტერესდი, ნეტავ, როგორი უნდა ვყოფილიყავი-მეთქი. ვკითხე კიდევ: მითხრა, ნიკას არაერთგზის მონაყოლით და აღწერით გიცნობო... ვფიქრობდი... გეცმებოდათ ხამი შარვალი, მძიმე ბათინკები, სპორტული კურტკა და თქვენს ყელზე ჰალსტუხს ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდიო.

ფილმი რომ დამთავრდა, კაფე „მეტროში“ შევედით. ნიკა ენაწყლიანობდა, ხუმრობდა, ოთარს ერთი გოგო გავუარიგოთ და თბილისში დავტოვოთო. ბოლოს გადავწყვიტეთ, შაბათს დილით ნიკას „ვოლგით“ ქალაქკარეთ ვაგვესიონა. მერე ნანა შინამდე მივაცილიეთ, ნიკამ გამოთხოვებისას ლოყაზე ფაქიზად აკოცა და, დავშორდით.

„ვოლგა“ ახალი ნაყიდი ჰქონდა და თავს ევლებოდა, ისე იყო დაფეთებული, თვითეულ, უმნიშვნელო განაკაწრებდაც კი გული უკვდებოდა. ნეტა ეს სად გავკარი და როგორ მომივიდაო. ვუთხარი, ეგ ვოლგა მოგიწილეს-მეთქი. მომისმინა და მართალი ხარო, მითხრა. მაგრამ როცა მანქანაში ჩავჯექი, გამაფრთხილა: კარი ფრთხილად მოიხურეთო. აღარ მეგონა თუ ამასვე ეტყოდა ნანასაც. ნანამ კარი ისე მაგრად მოუჭახუნა, კინაღამ ყურის ბარაბნები დავვიხეთქე.

ბანდბუნდი იდგა, ქალაქს რომ გავცდით, მანქანა მსუბუქად მიჰქროდა. მე და ნანა უკან ვისხედით და ვსაუბრობდით. ნიკა ხშირად გადმოგვხედავდა და სიტყვას შეგვაწევდა ხოლმე.

— სად მუშაობ? — წყნარად ვკითხე ნანას.

— პოლიკლინიკაში მყავს ჩემი ავადმყოფები... — დაიწყო ნანამ.

— და თუ რაიმე სერიოზულია, — დავბინე მე, — ისინი თქვენ არ გიჯერებენ და გარბიან სახელოვან ექიმებთან. დანარჩენებს კი, ვინც ვაციებულისა ან თავი სტკივა, უწეროთ პირამიდონს. ანალგინს ან კალციქსს...

— დაახლოებით ასეა! — დამეთანხმა ღიმილით.

— უფრო ხშირად ბიულეტენისთვის გაწუხებენ. — არ ვიშლიდი ჩემსას.

— აღარ გვაცდი! — ჩაერია კვლავ ნიკა.

— კი, მაგრამ მოსაწყენი არ არის? მე მომწყინდებოდა, — მივმართე ისევ ნანას.

— ახლა არ მითხრათ, სადმე რაიონში ან მთაში წავიდოდი მეტყვარებთანო? — გაიცინა ნანამ.

— რატომაც არა!

— ხო, ხო, ხო! — იცინოდა სათვალთვალო სარკეში ნიკა.

— ქალმაც უნდა იზრუნოს საკუთარი ბიოგრაფიისათვის, — ვთქვი სიცილით. — საკუთარი ძალით და ოფლით უნდა გაატაროს ცხოვრების ხნული!

— ბიოგრაფიისათვის? — მოაბრუნა წუთით თავი ნიკამ, — რით იქნება ცუდი ბიოგრაფია: დაამთავრებს ასპირანტურას, დაიცავს დისერტაციას...

ეს უკვე მეტისმეტი იყო: დიდი ხანია მალიზინებდა დისერტაციისა და ასპირანტურის გამუდმებული ძახილი, ვეღარ მოვითმინე და ვიყვირე:

— რამ გადაგზრია, ბიჭო, ავადმყოფობაა თუ რაა: დისერტაცია, დისერტაცია!..

ნანა სიცოცხლისაგან გადაბეჭრდა. ნიკაც იღიმებოდა. მივხვდი, უადგილოდ ავიყვირდი და ხმას დაუწვიე:

— ჩემი აზრით, ასეთი ბიოგრაფია ძალიან ბანალურია: დაამთავრა საშუალო სკოლა, უმაღლესი, სტაჟისათვის იმუშავა რამდენიმე წელი...

— აბა რა ვქნათ, არ გვინდა სვანეთში, რაჭაში, მესხეთში... არც შენსავეთ გადაკარგვა გვინდა, — მითხრა ნიკამ.

— ვინ გეუბნება გადაკარგვო, თბილისში ვერ მოძებნის უფრო საინტერესო სამუშაოს? — ვთქვი და ნანას მივაჩერდი.

— მაგალითად, რას? — იკითხა ნიკამ. რასაო, მეკითხებოდა ნანას სახეც.

— რას? — გავიმეორე უმისამართოდ და წუთით ჩაფიქრდი, — მაგალითად, ემიგრანტული სასწრაფო დახმარებაში!

შევატყვე, ნიკას არ ესიამოვნა. ნანამ წინ გაიხედა და ირონიული ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ეგ ხომ დისკვალიფიკაცია!

— რატომ? — გამიკვირდა, — ნუთუ პირველადი დახმარება დისკვალიფიკაცია!

— რაღა თქმა უნდა! — თქვა ავტორიტეტულად ნიკამ და წუთით უკან მოიხედა, ნუთუ ეგ არ იციო.

უცბად უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი: ჩემმა აღრენილმა გუნებამ და მკვახე ლაპარაკმა მხიარული განწყობილება შეცვალა.

სათვალთვალო სარკეში ნიკას მოღრუბლული სახე იმზირებოდა. ნანამაც მოიწყინა. ვიგრძენი, ზედმეტი ვიყავი. ჩემს თავს გუნებაში ვლანძღავდი. მიზე-

ზი ვერ მოვუძებნე ჩემს ახირებასა და უტაქტობას. ეს შეიძლება შური იყო, რომელმაც ქვეცნობიერად გაიღვიძა ჩემში.

ფასანაურში შევჩერდით, მანქანიდან დაღლილ-დაქანცულები გადმოვედით, გვემოდა კიდევ.

რესტორნის ღია ვერანდაზე გავედით და მაგიდას შემოვუხსხედით. სასიამოვნოდ გრილოდა. მაგიდაზე დამჭკნარი ყვავილებით სავსე ვაზა იდგა. ნანამ თქვა, რა საზიზღრობააო და, როცა ოფიციანტი მოგვიახლოვდა, ვუთხარი რა საჭიროა ამ დამჭკნარი ყვავილების მაგიდაზე დადება-მეთქი. ოფიციალტმა გაიღიმა და სიტყვა ბანზე შემიტეო, რას მიირთმევთო. უნდა გამოცვალო ეს ყვავილები-მეთქი. ნიკამ ვაზას ხელი დაეცლო და მეორე მაგიდაზე გადადგა, მეორე ოფიციალტს მიუბრუნდა და ძმაცუერად უთხრა, აბა, შენ იცი, კარგი პური გვაჭამეო.

გული მომივიდა, ავდექი და რესტორნის ეზოში ჩავედი. იქ, გაზონებში ათასგვარი ყვავილი ჰყვავოდა. ჯიბის დანა ამოვიღე, ყვავილები ავჭერი და დიდი თაიგული შევკარი. მაგიდას რომ დავეუბრუნდი, ნანა ღიმილით შემხვდა, იცი-ნოდა ნიკაც.

— ნუთუ თქვენ ასეთი ფაქიზი გული გაქვთ? — გადმომილაპარაკა ნანამ, თან თაიგულს ყნოსავდა.

— გულს ნუ ეხებით!

ნიკამ ქვეშ-ქვეშ გამომხედა:

— სენტიმენტალიზმი ღუპავს ყველავერს!

ოფიციალტმა მართლაც კარგი პური გვაჭამა, ერთი ბოთლი შამპანურიც დაველიეთ და ოდნავ გამხიარულელები მანქანაში ჩავსხედით. ის-ის იყო, უნდა დავძრულიყავით, რომ ოფიციალტმა მოირბინა, ხელში თაიგული ეჭირა, ნანას გადასცა, დაგრჩათ ქალბატონოო. მერე რატომღაც მარტო მე ჩამომართვა ხელი და მოწიწებით თავი დამიკრა. ნანას

პარლო ბაბაბაძე
სადაც უნდა ხარ

ისე მოეწონა ეს ამბავი, რომ დიდხანს იხსენებდა და იცინოდა.

შუადღისას ტბას მივადექით. ცხელოდა. ტბის შემოგარენი დამსვენებლებით ავსებულიყო. წინასწარ დათქმული გვექონდა ტბაზე მოსვლა და საცურაოდ მომზადებულები ვიყავით, ნავი დავიჭირავეთ. ნიკამ რაღაც მოიმიზეზა და ნავში არ ჩაჯდა, თქვენ გაისეირნეთ; მე კი აქ დაველოდებითო.

მე და ნანა ნავში ჩავსხედით და ტბაში შევცურეთ. ნანა კიჩოზე გაწვა და მზეს მიეფიცხა. თვალს ვარიდებდი, მაგრამ ერთი-ორჯერ მაინც შევთვალეიერე: უნაკლო ტანი ჰქონდა, სწორი, გრძელი ფეხები, კოხტა თქოები, წვრილი წელი და მრგვალი მხრები. გაშოტილი იწვა ნავზე, შავი თმა გაეშალა; ხელები თავქვე ამოედო, თვალი მოეხუჭა და სუნთქვისას ორი პატარა ბორცვი, მკერდზე რომ აჯდა, აუღ-ჩაუღიოდა. ერთხანს ასე იყო, მერე წამოჯდა, ხელები მუხლებზე შემოიქცო, თავი გააქნია — თმა შეისწორა, შემომხედა და მკითხა:

— რაზე ფიქრობ ახლა?

— შენზე, ძალიან კარგი ხარ! — მივუბე ყოველგვარი დაფიქრების გარეშე. გაეღიმა, ძალიან მომხიბვლელი იყო იმ წუთს.

— აზვიადებთ ყველაფერს, ცხოვრებას საღი თვალით უნდა შეხედო.

— მე მიყვარს მართალი და პირდაპირ ნათქვამი სიტყვა.

— ხშირად ბრიყვი ბავშვის მდგომარეობაში ვარდები! — ხელებით წყალი ააღვაფუნა.

მეწყინა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ნივხვდი, რომ თანაგრძნობით იყო ნათქვამი და არა სიძულვილით.

იგი ისევე წამოჯდა, თვალი მომაპყრო და მითხრა:

— ამ შემთხვევაში ყველაფერს ბოლომდე არ ამბობთ.

უცნაური რაღაც დამემართა; ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი ასეთი რამ — მკერდში გამკრა რაღაცამ. ერთხანს სუნთქვაც შემიკრა, მერე ღრმად

ამოვისუნთქე და ყველაფერმა მტკნარად ნანას შევხედე: იგი დაჟინებით მომიჩერებოდა, ვიგრძენი, რაღაცას მიმიხვდა.

— მართალი ხარ, — დავიწყე დამორჩილებულმა, — მე შეიძლება მშურდეს, ნიკა ბედნიერი კაცია, მას ყველაფერი იოლად მოსდის, ცხოვრების გზა გატყეპნილი აქვს; მაგრამ ათჯერ რომ თავიდან დავიწყო ცხოვრება, ჩემს გზას ვერ დავაგდებ, ქონების მონა არ ვაგხედები, საყვარელ ადამიანს მანქანაში ვერ ვავცვლი!

ნანამ ნაპირისკენ გაიხედა, იქ მანქანას თავს დასტრიალებდა ნიკა.

— თქვენ ძალიან უყვარხართ ნიკას, მეგობრად გთვლით და გენდობათ. — თქვა ბოლოს ნანამ და დასძინა, — მეორეც, აქ რომ მანქანების სადგომები იყოს, მაშინ ნიკა ჩვენთან იქნებოდა!

— მაშინ და არა ახლა? მე მივაფურთხებდი მანქანას და თქვენთან ვიქნებოდი!

— ხომ ხართ! — მომიჭრა ღიმილით.

— ჩემს ყოფნას რა აზრი აქვს, მეც არ ვიცი, რატომ გამოგყევით, აჯობებდა, მანქანასთან დავრჩენილიყავი.

ნავი მსუბუქად მისრიალებდა მომწვანო წყლის ზედაპირზე.

რყევამ გამომაფხიზლა: თვითმფრინავი ძირს ეშვებოდა. ჩვენს ქვემოთ ქალაქი ვაწოლილიყო. როგორც მაკეტს, ისე დავცქეროდი შენობებს, ქუჩებს და მოედნებს. მალე ქალაქი გაუჩინარდა, თვითმფრინავი გასწორდა, წინ დასაფრენი ბილიკი გაიჭიმა და ბორბლები გრუხუნით შეეხო დედაამიწას.

წამოვდექი. შტურმანმა ღიმილით ჩამიარა, „მაგრად გეძინაო“, გადმომილაპარაკა და კარს მიამშურა, გახსნა — თვითმფრინავში ქარი შემოიჭრა და ამანათები შეარხია.

— როგორ იფრინე? — დამარტყა მხარზე ხელი კაბიტანმა.

— არა უშავს, ამაზე ცუდადაც მიმგზავრია, — გამეღიმა.

გარეთ ცივი ქარი უბერავდა. სწრაფად ჩაივრდნენ ტრაპის საფეხურები და ჩქარი ნაბიჯით აეროვაგზალს მივაშურეთ. დარბაზი სავსე იყო მგზავრებით. ეტყობოდა ფრენისათვის არახელსაყრელი ამინდი იდგა და მგზავრებიც მოთმინებით ელოდნენ რეისს.

— წავიდეთ, ას-ასი გადავკრათ, ცოტა გავხურდებით! — ეუთხარი კაპიტანს. პილოტებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე კაპიტანმა თქვა, აი, ეს მესმის თითო-თითო კი გვეკუთვნის ამდენი წუთრევის შემდეგ.

კაფეში შევედით. მებუფეტეს ცოტაოღენი მოსკოვური ძეხვი დავაჭრეინე და ერთი ბოთლი სამეფარსკლავიანი კონიაკი გავახსნეინე. როგორც კი ძეხვს პირი დავაკარე, ვიგრძენი, საშინლად შშიოდა, ხარბად შეექცეოდნენ მფრინავებიც, მერე „კარგად ვიყოთ“, ვთქვით და კონიაკი გადავკარით.

— რით აპირებ თბილისში წასვლას? — მკითხა მეორე პილოტმა.

მხრები ავიჩეჩე.
— მიღი, ვასია, გაიგე მიფრინავს თუ არა თბილისში რამე, — უთხრა კაპიტანმა შტურმანს, — თუ მიფრინავს, ბიჭებს უთხარი და გაიყოლებენ.

— დაიცა, თითოც დავლიოთ! — შევაჩერე შტურმანი და ჭიქა გავუწოდე. ვასიამ სულმოუთქმელად გადაპკრა და მფრინავის თუ მეზღვაურის დამახასიათებელი ტანის რჩევით წავიდა.

კონიაკმა მალე დაიარა სხეული და სითბო ვიგრძენი, მოდუნებული ორგანიზმი გამიცოცხლდა. ერთხანს ვსაუბრობდით და სიგარეტს ვაბოლებდით. კაპიტანი აღტაცებული იყო იმით, რომ მე ამდენი გზა მხოლოდ მეგობრის ქორწილისთვის უნდა გამეველო.

ვასია მალე მობრუნდა. თბილისისაკენ დღეს აღარაფერი მიფრინავს, არც არავინ იცის, როდის გაფრინდებათ. ერთ საათში მატარებელი „როსტოვი-თბილისი“ გადის და ხვალ თბილისში იქნები. საათზე დავიხედე, მატარებელი მართლაც გამომადგებოდა — იქნებ

ცოტა დამეძინა და დამესვენა. ძველი ნაცნობებივით გამოვემშვიდობებ ერთმანეთს და ვაგზლის წინა მოედანზე გამოვედი. ქარი კვლავ სისინებდა. ტაქსს მივაშურე. როცა სადგურში მივედი, მატარებელში ჩასხდომა უკვე დაწყებული იყო, როგორც იქნა, საერთო ვაგონის ბილეთი ვიშოვე და პერონზე ვავედი. აქ უამრავი ხალხი დაზურზუტობდა და გარბი-გამობობდა. ვაგონში ავედი, ყველა ადგილი დაკავებული დამხვდა. ზოლოს თავისუფალი შეენიშნე ტვირთის დასაწყობი თარო და იქ ავტყერი. ვაგონი გოგო-ბიჭებით იყო სავსე, ყაყანებდნენ. მათი საუბრიდან ჩანდა, რომ საქართველოში მოდიოდნენ. ერთხანს გაუძრველად ვიყავი გაშოტილი. მერე, როცა მატარებელი დაიძრა და ყაყანი მიწყნარდა, ფიქრი კვლავ შემომაწვა. მოულოდნელად მეორე კუპედან გიტარისა და სიმღერის ხმა გაისმა...

გავადარდა, თაკარა მზე აცხუნებდა და მაინც წვიმდა — მზე პირს იბანდა. სამწვადეში ვისხედით და ვსაუზნობდით. გვერდით მაგიდასთან ორი ვაყი და ორი ქალიშვილი იჯდა. ჩვენ რომ მივედით, იქ დავგვხვდნენ, უკვე შეზარხოშებულენ ჩანდნენ. ქალიშვილები სიგარეტებს ლამაზად აბოლებდნენ და ხნამალა კისკისებდნენ. ბიჭები ვაჟაკობდნენ: ყოველ უმნიშვნელო რამეზე ხითხითებდნენ და უხამსად იგინებოდნენ.

მალე ბიჭებმა ოფიციალტი იხმეს, დიღხანს ეხუმრებოდნენ, მერე ფული გადაიხადეს და წამოდგნენ. ერთმა, მალაღი და შავგვრემანი რომ იყო, სკამს წაპკრა ფეხი და გადააყირავა. მეორემ, გამხდარმა და ულგავამ, ორივე ქალიშვილს ხელი გადახვია, და გასასვლელისაკენ წავიდნენ. ნიკამ უნდობლად გააყოლა თვალი — მიხვდა, რომ მისი „ვოლგის“ წინ მდგომი „ვოლგა“ ამ მოქეი-

კარლო ტაბატაძე
სადაც უნდა ხარ



ფეებისა იყო. ადგილზე აწრიალდა. მაღალი ბიჭი ნიკას „ვოლგას“ მიუახლოვდა და წინა ფარზე დაჰკრა ფეხი, მერე ჩვენსკენ მოიხედა და დაიძახა: მოდით, მანქანა მოგვაშორეთო. ნიკა წამოხტა და გასასვლელისაკენ აჩქარებული ნაზიჯით გაემართა. „ვოლგას“ მიუახლოვდა. მაღალი ბიჭი ხელებს შლიდა, ნიკას საყვედურობდა, გასასვლელი რად არ დატოვებო... ნიკამ თავისი „ვოლგა“ უკან მიაყენა და კვლავ სამწვადესკენ წამოვიდა. წინ ახლა დაბალი ბიჭი გადაეღობა. ნანას შეეხედე, დაძაბული იჯდა და ნალიმალ ვარეთ იხედებოდა. დაბალი ბიჭი ერთხანს რალაცას ეკამათებოდა ნიკას, მერე ღიმილითა და ოდნავ ბარბაცით მიაშურა: ძხანაგებს, ნიკა კი სამწვადეში შემოვიდა.

— რა იყო, რა მოხდა? — ვკითხე ნიკას. ნიკა სიბრაზისაგან ცახცახებდა.

— არაფერი, არ ღირს მაგათთან ლაპარაკი!

გაკვირვებულმა შევხედე: მოტეხილი ჩანდა, როცა სიწითლემ გაუარა, გადაფითრდა. ერთთავად თავის „ვოლგას“ გასცქეროდა, მაგრამ ახალგაზრდები დიდხანს აღარ დარჩენილან, დაბალი ბიჭიც ჩაჯდა მანქანაში და გეზი თბლისისაკენ აიღო.

გამხიარულება ვცადე, ორივეს ღვინო მივაძალე, მაგრამ ამოდ: ნანა დაძაბული და ჩაფქრებული იჯდა, ნიკას დანაკბილს არ უხსნიდა.

მალე ავიშალენით და მანქანაში ჩავსხედით. უკვე შებინდებული იყო. ბაზალეთის ტბას რომ გამოვცდით, ისევ გაავდარდა, ნიკას ფრთხილად, მაგრამ სწრაფად მიჰყავდა მანქანა. ნანამ წინ ირჩია დაჯდომა, მე კი უკან ვიჯექი, ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში.

ნელა მიმავალ „ვოლგას“ წამოვეწყით და მალე გვერდით ჩავუქროლეთ, ვიცანი: ის ახალგაზრდები იყვნენ, ხელებს გვიჩვენებდნენ და რალაცას გვანიშნებდნენ. ნიკას სიჩქარე არ შეუწელებია. უკან გავიხედე: „ვოლგა“ გამოგვდგა, მალე წამოგვეწვია. გასწრება სცადა.

მთვრალი ახალგაზრდები ხელებს გვიჩვენებდნენ და მანქანას განუწყვეტლივ აყვირებდნენ. ნიკამ სიჩქარე შეანელა და გზა უტია. „ვოლგამ“ გვერდით ჩაგვიქროლა — კარგად დავინახე ოთხი მხიარული სახე. მალე წინ წასულმა „ვოლგამ“ სვლა შეანელა, გზა დაგვიტოვა და დაგველოდა. გვერდით ჩავუქროლეთ — კვლავ დავინახეთ მათი სახეები. მერე ისევ სცადეს წამოწევა და გასწრება. მოულოდნელად წინ შემეხვედრი სატვირთო მანქანა გამოჩნდა, ნიკამ სწრაფად აუქცია გვერდი და დაწინაურდა. ახალგაზრდების „ვოლგამ“ კი წონასწორობა დაჰკარგა, დიდი სისწრაფით დაეჯახა სანაპირო ბოძს და გზიდან ვადავარდა, ტაფობზე გადაყირავდა და ხეს მიეყრდნო. ნანამ შეჰკვილა. ნიკამ სიჩქარეს უმატა, შევატყვე: გაჩერებას არ აპირებდა. სატვირთო მანქანა კი ამასობაში თვალს მიეფარა.

— მოატრიალე! — შევეძახე ნიკას. ხმა არ ამოუღია, გაფითრებული იჯდა, გზას გასცქეროდა.

— მოატრიალე-მეთქი! — გავუთმორე აღშფოთებულმა.

— არა, არა ოთარ! უმჯობესია თუ ამ საქმეში არ გავერევით!

— მერე ისინი? — ჩაილაპარაკა ნანამ და შეწუხებულმა ნიკას დაადგა თვალი.

— მოაბრუნე! — ვთქვი ახლა წყნარად.

ნიკამ სიჩქარე შეანელა და მანქანა მოატრიალა.

მე და ნანა სწრაფად გამოვხტით მანქანიდან და ტაფობზე დავეშვით. ქალიშვილის წვივლ-კივილი ისმოდა. დაბალ ბიჭს თავი ჩამტვრეულ მინაში გამოეყო, კარს ვერ ხსნიდა და ილანძლებოდა, სახე დასისხლიანებული ჰქონდა. ჩვენ მანქანას მივაწეით და მალე ბორბლებზე დავაყენეთ. ამასობაში ნიკამაც მოირბინა. მაღალი ბიჭი საჭესთან რომ იჯდა, სიმწრისაგან კენესოდა და იგრძობოდა. სახე და ხელები სისხლით ჰქონდა მოსერილი. მის გვერდით მჯდომი ქალიშვი-



ლო კი გაუნძრევლად ჩამხობილიყო სავარძელზე.

— მძლოლს მიხედეთ! — ვუთხარი ნანას, რომელიც უზროდ დამდევედა კულში.

უკანა კარს დავეჯაჯგურე და, როგორც იქნა, გამოვადე. პირველად დაბალი ბიჭი გადმოვიდა კაბინიდან — გოგნებული იყო. მინდორზე დავაწვინე, ერთი ორჯერ ჩაილაპარაკა — იმათ მიხედეთო და მალე ჩაეძინა. მერე გადმოვიდა უკან მჯდომი, მთლად გასისხლიანებული, კაბაშემოხებული ქალიშვილი. გვიშველეთ, ჩქარა გვიშველეთო, გაიძახოდა და სულს ძლივს ითქვამდა. დავამშვიდე და ხის ძირას დავსვი. მერე გააქწრული სახე შეეუხვია.

ამასობაში ნიკასა და ნანას მაღალი ბიჭი გადმოეყვანათ, მინდორზე დაეწვიანთ. ნანა შუბლს უხვევდა.

— ნიკა, აქ ახლოს არხია, წყალი მოიტანე! — ვუთხარი ნიკას, მერე დავიხარე, ბიჭს სახეზე დავხედე და ნანას ვუთხარი: — ამას სხვა უფრო მტკივნეული რაღაც აწუხებს. კარგად გასინჯე?

ნანამ გაკვირვებით შემომხედა. მივხვდი, არ გაესინჯა. ბიჭს გული ვავუღდე, მერე მაისური ჩავუხეი და მკერდზე დავხედე, ჩალურჯებული ჰქონდა.

— ნეკნები გაუსინჯე, — ვუთხარი ნანას.

ნანამ გაუბედავად დაადო ნეკნებზე ხელი. ბიჭმა სიმწრისაგან დაიკვნესა.

— ჩამტვრეული აქვს, — ვთქვი მე. ნანამ თავი დამიქნია და მომაჩერდა. რა ვქნათო.

ამასობაში ნიკამაც მოირბინა და წყალი მოიტანა.

— ნანა, შენ ქალიშვილებს მიხედე, მგონი ერთი გონდაკარგულია, — მერე ნიკას მივუბრუნდი, — შენ კი მე მომეხმარე, შენს მანქანაში გადავიყვანოთ.

— მანქანაში! — შეიცხადა ნიკამ და მომაჩერდა, — დაიცა იქნება რაიმე სატვირთომ ჩაიაროს, გავაჩერებ, — და გზისკენ ნაბიჯი გადადგა.

— ნიკა! მოდი, მომეხმარე, კაცებმა!

ნიკა მობრუნდა, დაიხარა და ბიჭს ილიებში ხელები ამოსდო.

დაჭირლები მანქანაში გადავიყვანეთ. ნიკა ბუზღუნებდა, ფრთხილად, სავარძლები არ დაისვაროსო, და წარამარა გზას ვაჰყურებდა, იქნებ რაიმე მანქანა გამოჩნდესო. მაღალი ბიჭი უკან მოვითავსეთ, ერთ მხარეს ნანა მოუჯდა, მეორე მხარეს კარგად მყოფი ქალიშვილი — მას თავი და კისერი ჰქონდა დაბინტული. წინ მეორე ქალიშვილი დავსვით, მართალია, ის გონს მოეგო, მაგრამ ძალიან დასუსტებული იყო და გულისცემა აჩქარებული ჰქონდა. ნიკა მანქანაში ჩაჯდომას აგვიანებდა, კვლავ გზას გასცქეროდა.

— მომეცი გასაღები! — და თითქმის ძალით გამოგვლიოჯე მანქანის გასაღები.

საჭეს სწრაფად მივუჯექი და „ვოლგა“ დავძარი, დიდი სიჩქარით ვავეკართი შარავზას. ჩემს გვერდით მჯდომი ქალიშვილი ხშირად ამოიკვნესებდა ხოლმე, ღვინო უფრო აწუხებდა, ვიდრე ტკივილები. ხოლო უკან მჯდომი მეორე ქალიშვილი კი წუწუნებდა და ნანას ხშირად ეკითხებოდა, სახეზე ნაიარევი ხომ არ დამჩხებიაო. რა მეშველება, ამ ამბავს გაიგებს მამაჩემი და მომკლავსო.

სათვალთვალო სარკეში ვხედავდი ნანას დაძაბულ და მოწყენილ სახეს. მოკლედ პასუხებით ამშვიდებდა ქალიშვილს, თან ხშირად წმენდდა სისხლს ვაჟს, რომელსაც თავი ნანას მხარზე მიეყრდნო.

კარგად დღამებული იყო, საავდემყოფოს რომ მივადექით. დამტვრეულები სასწრაფოდ მოათავსეს პალატებში, მორიგე ექიმმა სამივე გულდასმით გასინჯა და ქირურგს დაურეკა.

როცა ყველაფერი დამთავრდა, მე და ნანა ქვემოთ ჩამოვედით, მანქანაში ჩავსხედით. ნიკასა და იმ მძინარე ვაჟის წამოსაყვანად უკანვე გავბრუნდით.

კარლო ბაბატაძე
სადაც შენა ხარ



კრიჭანეკრულ ნანას სახეზე წუხილი, ფიქრი ემჩნეოდა, გაფითრებულიყო.

მანქანა შევაჩერე და ვკითხე: ცუდად ხომ არ გრძნობ თავს-მეთქი. მოულოდნელად ნანამ სახეზე ხელები აიფარა და ატირდა. ხელი მხარზე მოვხვე და ვანუგეშე. მას გული ამოუჯდა. ვიცოდი, რომ გაუვლიდა, ვიცოდი, გულს რომ მოიოხებდა, დაწყნარდებოდა, მკერდზე მივიკარი და თმაზე ვაკოცე, მერე უშბლზე, ლოყაზე. ნანა მომენდო და მაღე დაწყნარდა, ჩემს მკერდზე თავმოყრდნობილი მხოლოდ დროგამოშვებით ამოისლუკუნებდა ხოლმე. უტბად გონს მოვეგე, რას ვჩადი, ვის ვკოცნი, ნიკას საცოლეს-მეთქი?!

კვლავ საქვს მივუბრუნდი. ნიკა გზაში შეგვხვდა, აქეთ მომავალ „კოლხოზ-ნიკას“ გამოჰყოლოდა. მანქანაში იჯდა დაბალი ბიჭიც, გამოეძინა და გამოფხიზლებულიყო. რომ მეღაპარაკებოდა ცრემლს ძლივს იკავებდა, რომელიმე ხომ არ მომკვდარაო, ხშირად მეკითხებოდა. ბიჭი საავადმყოფოში დარჩა, გვთხოვა, თბილისში მშობლებისათვის შეგვეტყობინებინა.

თბილისში რომ დავბრუნდით, შუალამე იყო. ჯერ ნანა მივიყვანეთ შინ, მერე მე დავერჩი სასტუმროში. დალილ-დაქანცულს თავი დამძიმებული მქონდა და მთელი არსებით შეწუხებული და აფორიაქებული ვიყავი. სასტუმროში ვერაფრით ვერ მოვისვენე, დიდხანს მიმოვდიოდი ოთახში, მერე ძალიან მომინდა ნანას ხმის გაგონება. ერთხანს საკუთარ თავს ვებრძოდი, ბოლოს ტელეფონს მივწვდი და ნანას დავურეკე.

ნანას ყურმილის ადგა არ დაუყოვნებია, თითქოს ელოდა კიდევ ერთხანს ხმის ამოუღებლად ვიყავით, ბოლოს თავს ძალა დავატანე და ჩავილაპარაკე:

— ზეალ დილით მივეფრინავ, ნანა!

— გავაცილებ! — იყო მოკლე პასუხი. ერთხანს კვლავ ვდუმდი. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვეთხოვეთ ერთბაშის და ყურმილი დავკიდე.

დილით ძალიან ადრე გავეღვიძრე, დრომზე. თვითმფრინავის ბილეთი ავიღე და მერე ნიკას დავურეკე, მივდივარ-მეთქი. ჰო, გავიგე, ახლახან დამირეკა ნანამო. სასტუმროში დავირეკე, ნიბხრეს, წავიდაო; რა გეჩქარება, ჯერ ხომ ერთი კვირა კიდევ გაქვს შევბუღება, რამდენი რამ გექონდა დათქმული, კახეთშიც უნდა წავსულიყავითო. რა ვქნა, ძალიან ბევრი საქმე მაქვს, რომ არ წავიდე, არ იქნება-მეთქი. შეგიკლავს ეგ საქმეები ხელშიო; კარგი, კარგი! ახლავე მოვალთ მე და ნანა და ვავაცილებთო!

მართლაც, თვითმფრინავის გაფრენამდე ნახევარი საათით ადრე მოვიდნენ. ნანას უძილობა ეტყობოდა, ფერმკრთალი და დადარდიანებული იყო. ჩვენ სულ ორი სიტყვით გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. ნიკას ძალიან მოსწონდა გუშინდელი მძიმე და თავგადასავლებით სავსე დღე. საავადმყოფოში დავურეკე, იმ ბიჭისთვის ოპერაცია გაუკეთებიათ და კარგად არისო. ბოლოს მე გადმომწვდა, მაინც რა სულსწრაფი და ჯიუტი ხარ, გუშინ გასაღები ხელიდან რომ გამოგგლიჯე და მანქანა წაიყვანე, ვითომ რა, მე ვერ წავიყვანდიო! ნიკა გულიანად ხითხითებდა, ნანას აყოლიება უნდოდა, მაგრამ ნანა ღუმ-და კერპავით. დღევანდელი შენი გაქცევაც ხომ სიჯიუტეა, მეუბნებოდა ნიკა, ნუთუ ერთი თვის ნორმალური დასვენება არ გექუთვნისო...

მერე მე უკვე თვითმფრინავის სალონში ვიჯექი და ჩრდილოეთისკენ მივეფრინავდი.

●
ხუთი საათი იყო, მატარებელი თბილისის სადგურზე რომ ჩამოდგა. მზიანი დღე იდგა. ტაქსების გაჩერებასთან რივი იდგა.

„საით წავიდე? ნიკასთან თუ ქორწინების სახლში? ახლა ალბათ ხელს აწერენ“.

მოულოდნელად ჩემს წინ „მოსკვიჩი“ გაჩერდა და შოფერი ბრძივულად მო-

მაჩერდა. სასწრაფოდ დავეჭექი და ჩავი-
ლაბარაკე, ქორწინების სახლში-მეთქი.
მერე სარკეში ჩავიხედე: წვერმოშვე-
ბული, უძილობისა და დაღლილობისა-
ვან ოვალეზჩაიცვნილი, ბრეზენტის მო-
სამელი, კეპიანი სამუშაო ქელი... მოკ-
ლედ, საშინელი შესახვედი ვიყავი,
ქორწინების სახლში კი არა, ბაზარშიც
არ შემესვლებოდა. „მოსკვიჩი“ მსუბუ-
ქად და სწრაფად მიიკვლევდა გზას.

რაც უფრო ვუახლოვდებოდი ქორწი-
ნების სახლს, მით უფრო მიპყრობდა
პარტოობის გრძნობა: მაინც რისთვის
გამოვბოდი, რა მინდოდა ქორწინების
სახლში?! ნუთუ იმდამინდელმა განც-
დებმა ნანას ცხოვრებას რაიმე კვალი
არ დააჩნია? ნუთუ ყველაფერმა შეი-
ძლება ჩაიაროს ასე უბრალოდ, უსა-
ხოდ?

ქორწინების სახლის წინ რამდენიმე
„ვოლგა“ და „მოსკვიჩი“ იდგა. მანქანი-
დან გადმოვვდი და სადარბაზო კარს მი-
ვაშურე. დარბაზში საღვთისწაულო
განწყობილება სუფევდა. დაბალ მაგი-
დას კონტად გამოწყობილი ვოგო-ბიჭე-
ბი შემოსხდომოდნენ და შამპანურს
სვამდნენ. ანტრესოლზედაც გადმომდ-
გარიყვნენ წყვილები. ქალიშვილებს
ხელში წითელი მიხაკები ეჭირათ. ყვე-
ლა გაკვირებული მომჩერებოდა. მოუ-
ლოდნელად აღტაცებული შეძახილი
გავიგონე! — „ოთარ!“ ინსტიტუტის
მეგობარი იყო. კიბე ჩამოირბინა და მო-
წვირდა: ვიცოდი, რომ ჩამოხვიდოდა,
სანაძლეოდ დავდე. ხელი უავე მოაწე-
რეს და საცაა ჩამოვლენ, ფოტოგრაფას
დასაძახებლად გავრბივარო, მომაყარა
ყველაფერი ერთად და გაიქცა.

კიბეზე ნეფე-დედოფალი გამოჩნდა,
უკან მთელი ამაღა მოჰყვებოდათ. დამ-
ცხა და რატომღაც თავიდან ქული მოვი-
შვლოვ. მოულოდნელად კინოაპარა-
ტის ხრიალი შემომესმა. საერთო ცერე-
მონიას მუსიკა შეერწყა. ნეფემ შო-
რიდანვე მიცნო და გამიღიმა, დედო-
ფალს რაღაც გადაულაპარაკა. ქალმა
თავი ასწია და თვალი მომაპყრო.

ნანა! როგორ გამოცვლილა, არა, ეს
ნანა არ არის!

ეს იყო და ეს, რაც მე გავიფიქრე,
ამის შემდეგ ყველაფერს მექანიკურად
ვასრულებდი. დედოფალი მართლაც არ
იყო ნანა, ეს გაცილებით ლამაზი და
მომხიბვლელი გოგონა გახლდათ.

— თქვენ ზუსტად ისეთი ხართ, —
მითხრა დედოფალმა ხელის ჩამოტო-
მევისას, — როგორც წარმოდგენილი
მყავდით, ძალიან მოხარული ვარ რომ
ჩამოხვედით.

მერე ნიკა გადავკოცნე „და ბედნიერე-
ბა მივულოცე. ერთად გამოვედით და
მანქანებს მივაშურეთ. გვერდიდან აღარ
მომიშორეს: მე შოფრის გვერდით და-
მსვეს, უკან კი ნიკა, დედოფალი და
უცნობი ქალიშვილი დასხდნენ. მანქანე-
ბი დაიძრა. მოულოდნელმა ფინალმა
გამაქვავა, ენას ვეღარ ვძრავდი. მესმო-
და ნიკას და დედოფლის საუბარი.
რალაცებს მეკითხებოდნენ, მიყვებოდ-
ნენ. მე ხან რას ვასახულობდი, ხან — რას,
ხშირად უადგილოდ ვიღიმებოდი. ძა-
ლიან დამცხა, ოფლში გავიწურე, შეიძ-
ლება სიტყვი მქონდა. ახლა დაღლი-
ლობაც ვიგრძენი და უძილობაც, კბილს
კბილზე ვაჭერდი და მუნჯივით ვიჯექი.
ფეხები დამიძიმდა. გული გავიღედე,
შუბლსა და სახეზე ხელი მოვისვი.

ქალაქი გავიარეთ. ირგვლივ ყველა-
ფერი ახლადგაფორჩქნული და ამწვანე-
ბული იყო. მალე თბილისი ქვევით, ხე-
ობაში დარჩა. დღეს ბინდი წამოეპარა
და ავრილდა. სასაიმოვნო ნიავმა შუბ-
ლი გამიგრილა და ოდნავ მომეშვა —
უკეთესობაც ვიგრძენი. ჩემი ფიქრები
ნანას გარშემო ტრიალებდნენ, „რა მო-
ხდა? სად არის ნანა? ნუთუ ნიკამ ულა-
ლატა? იქნებ შეიტყო ჩვენი ამბავი და
ზურგი შეაქცია? იქნებ ნანამ აღარ მო-
ინდომა?“..

მოულოდნელად მანქანების საყვირე-
ბის გაბმული ყვირილი ატყდა: ნიკას და-
სასვენებელ სახლს ვუახლოვდებოდი.

აპარტო ბაბატამ
საღვცო შინა ხარ

„ვოლგა“ ფართოდ გაღებულ ჭიშკარში შეგრიალდა, ვილაცამ ზედიზედ დაცალა თოფი. ნეფე-დედოფალი მანქანიდან ჩამოვიდა, დამხდურები შემოეხვივნენ, ულოცავდნენ, კოცნიდნენ.

საერთო ორომტრიალი რომ მიწყნარდა, ნიკა, როგორც იქნა, დავიმარტოხელე, უფრო სწორედ, თვითონ ნიკა მოვარდა ჩემთან და მითხრა, სანამ დავსხდებოთ წვერი გაიპარსე, თბილი აბაზანა მიიღე და დაისვენეო. ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს, ამან უფრო გამახელა და კითხვა პირდაპირ თოფივით ვახალე:

— ნანა სად არის?

ნიკას სახე წუთით მოელრუბლა, მერე თვალი გამიშტერა და თქვა:

— ნანა იმ დღის შემდეგ, შენ რომ გაგაცილეთ, აღარ შემხედრია, — გაიცინა, მგონი საღღაც სასწრაფო დახმარების პუნქტში დაიწყო მუშაობა. — კარადიდან თეთრი პერანგი ჩამოხსნა. გამომიწოდა და დასძინა, — აი, ეს ჩაიცვი, თუ კოსტიუმიც გინდა, აქ ჰკიდია. ეგრე ცოტა უხერხულია, იცი რა ხალხი მოვა? აი, ნახავ!... ჩემს პროფესორსაც გაგაცნობ!

— რომელ პუნქტში დაიწყო მუშაობა? — ვკითხე და მოწოდებული პერანგი საწოლზე მივაგდე.

— არ ვიცი, მგონი კალინინის რაიონში. შენ რაღაც ძალიან დაგაინტერესა ნანას ბედმა. არსად დაიკარგება, ნუ გეშინია! — გაიცინა ისევ, მერე მიხვდა. ზედმეტი რომ თქვა და გამოსწორება სცადა, — რაღაც უცნაური გოგო იყო. განსაკუთრებით ბოლო დროს. ორ სიტყვას ერთმანეთზე ვერ დააცდევინებდი. ძალიან დიდი წარმოდგენა კი ჰქონდა საკუთარ თავზე... — უცბად ნიკამ წარბი შეიკრა და საყვედურითა თუ ირონიით მითხრა, — შენ რა, ნანას სახახავად ჩამოხვედი თუ ჩემს ქორწილში?

აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა. დენლად დაუძახეს, სტუმრები მოვიდნენ და შეხვდით. ნიკა ქუდმოგლეჯილი გავარდა ოთახიდან. სკამზე ჩამოვკექი და ერთხანს ჩაფიქრებული ვიყავი. მერე წამოდექი, ავიანზე გამოვედი. მშვენიერი წყნარი საღამო იდგა. ქვემოთ, ეზოში სტუმრებს მოეყარათ თავი, ნიკა ვილაცას დიდის ამბით მოაცილებდა. კიბე ჩავიარე და ქუჩაში გავედი.

წყნეთის მთავარ გზაზე ტაქსი გავაჩერე, თბილისამდე უხმოდ ვიჭექე შოფრის გვერდით.

მალე მანქანა აღმართს შეუყვავა და გოგებაშვილის ქუჩაზე გავიდა. იმ დამით, ნიკამ და მე რომ მივაცილეთ ნანა, შენობა დამამახსოვრდა, ახლა მინდოდა შენობის გამოცნობა, მალე მანქანა გავაჩერებინე, „მგონი აქ უნდა ცხოვრობდეს“, ვთქვი და ჩავედი. შოფერს ვუთხარი დამლოდებოდა. სადარბაზო კარი შევადე, სწრაფად ავირბინე კიბე და ნანას ბინის კარს წინ შევჩერდი. ახლა კი ავღელდი: იქნებ ნანას აღარც კი ვახსოვარ? იქნებ ყველაფერი ჩემს ჩაურევლად მოხდა და ნანას სხვა ვინმე უყვარს?

ელექტროზარის ღილაკს თითი დავაჭირე — ოთახის სიღრმიდან წკრიალი მოისმა, მას ფეხის ხმა მოჰყვავა და მალე კარი გაიღო.

ჩემს წინ თმაჭალარა, გამხდარი ქალი იდგა, ძალიან გავდა ნანას.

— ვინ გენბავთ? — მკითხა გაცუბულმა ქალმა და თავითფეხამდე შემათვალაოდა.

— ნანას ნახვა მინდა, — ვთქვი და ქალის გამჭოლ მზერას თვალი მოვარიღე.

— ვინ ბრძანდებით?

— მე, ოთარი... — დავიწყე გაუბედავად.

— მობრძანდით, — თქვა ქალმა და

გზა მიტია, ოთახში შევედი. ჩემს უკან კარი მიიხურა, — ნანა არ არის შინ. დღეს მორიგეა, — განაგრძო ქალმა, — კარგია რომ გნახეთ, თქვენთან სათქმელი მაქვს, უფრო სათხოვარი...

უხერხულად ვიდექი ოთახის შუაგულში და ქალს მივჩერებოდი. ისევ ვიგრძენი დადლილობა და უძილობა.

— დაბრძანდით! — თქვა ქალმა და ფანჯარას მიუახლოვდა, ერთხანს გარეთ იხედებოდა.

ოთახში სისუფთავე და უბრალოება სუფევდა. კედელზე ჩამოკიდებულ სურათიდან ნანას მამა დამცქეროდა დაჟინებით. გახევებული ვიდექი და ქალის გამხდარ მხრებს, ქაღარაშერეულ თმას თვალს არ ვაშორებდი.

მოულოდნელად ქალი ჩემკენ შემობრუნდა, თვალი მომაპყრო და მითხრა:

— ძალიან გთხოვთ, ნუ ნახავთ ნანას. ნე დედა ვარ და ამის თხოვნის უფლება მაქვს, — ქალს ხმა გაეზარა, ცხვირსახოციტ ცრემლი მოიწმინდა, — თქვენ ხომ ნიკას მეგობარი ხართ, რათ ჩადექით მათ შორის... — ქალი ერთხანს მომჩერებოდა, თითქოს პასუხს ელოდა. ბოლოს დასძინა: — არც კი ვიცი, როგორ გთხოვთ, მაგრამ აჯობებს თუ ნანას არ ნახავთ!

გაოცებული ვიდექი მაგიდასთან და ქალს თვალს არ ვაშორებდი. მერე ძალა მოვიკრიბე, შევეტრიალდი, ოთახიდან სწრაფი ნაბიჯით გამოვედი და კიბე ჩამოვირბინე.



ვაგუ მგუკიშვილი

დ ღ ე ს ა ხ

ორმოცდაერთი,
ორი,
სამი,
ოთხი,
და...
ხუთი —
გადაქცეული
საუკუნედ ყოველი წუთი.
ორმოცდაერთი,
ორი,
სამი,
ოთხი
და...
ხუთი — ასი თუმანი
სიმიინდი ფუთი.
რეპროდუქტორებს
მიპყრობილი

ასობით ყური.
ასობით თვალი,
დაბჯენილი
გაზეთის ფურცლებს...
ხორბლის მაგივრად
მიწის თესვა
ნაღმით და ჭურვით
და შეკივლება
გავარდნილი
თოფივით უცებ.
დღესაც კი...
დღესაც
ხის ფეხების
კაკუნი ისმის,
ვით გაფრთხილება,
ვით ძახილი
დაღვრილი სისხლის.

ნიჭი თამამი,
ნიჭი თამამი,
თავის განწირვა —
ქართველის ნიში
რომ არა...
მამულს სული მთავარი
არ ედგმებოდა
აქამდე პირში.

სამშობლოს-ლოცვას
და სასოებას
ძილი არასდროს
არ ჰქონდა მშვიდი,
ჰგავს „დედა ენას“
„ქართლის ცხოვრება“,
რომლითც ვსწავლობთ
ერისთვის სიკვდილს.

მ ა მ ლ უ ქ ე ბ ი

ვინ გამიყიდა
ივერიის ლაღი სიმღერა, —
ვინ მოიგონა
მამლუქებად კურთხევის წესი;

სამშობლოს ყრმობა
ეგვიპტეში ვინ დამიბერა,
ვინ გამიღუნა
საქართველოს წარსული წელში.

რამ გათქმევინა:
შენი ხმალი,
ჩემი კისერი...
რამ გათქმევინა:
სხვისი ზეცა
არ გაიბოლოს.
ქვიშის გრივალში
ჩემს მოძმეებს ტალახისფერი
სდიოდათ ცრემლი —
უკუდმართი იღბლის სიმბოლო.
მხოლოდ მირაჟში
მშობლიური მიწა-წყლის ხილვა,
მამულის ფერი
ედო მხოლოდ ყრმობის ზმანებებს...
სულთანებისთვის
უდაბნოს მზეს ასხებდნენ სხივებს
და შეძახებით
პირამიდებს აზანზარებდნენ.
თვალში უთრთოდათ
მწუსარების ცივი უკუნი,
ჟალყზე დგებოდნენ სურვილები

მაღალ მიჯნებთან...
და მამლუქების
დაწყველილი ბედი ზღუქუნით
ორღესულებზე
წლიდან წლამდე მიაბიჯებდა.
ესვია გუნდი
ათასნაირ ლეგენდის, მითის
ამხედრებული მამლუქების
ხმლებს და სიათებს;
იხოცებოდნენ სხვისი მიწის
და სხვისი ცისთვის,
და საქართველოს
აკლდებოდა თვალში სინათლე...
და მსურს ვიცოდე,
ივერიის ლალი სიმღერა,
ვინ გამიყიდა,
სადაური რიგით და წესით...
სამშობლოს ყრმობა
ეგვიპტეში ვინ დამიბერა,
ვინ გამიღუნა
ჩემი ქვეყნის წარსული წელში.

შორს შენგან დარდის სისინი,
შორს შენგან ავი სიზმრები.
შენ რომ ხმამაღლა იცინი,
მე იმ სიცილში ვიზრდები.

თუკი ალერსით მომირწყეს
სული, ფერს როგორ შეიცვლის.
სტრიქონში როგორ მოიწყენს
უსასრულობა შენი ცის.



აკორონ პონია

●

საქართველოში შემოდგომა არ გავა ისე,
არ მომენატრო უცნაურ ძალით
და მსუბუქი, თეთრ და სახიერი სევდით სულს მივსებ,
შენ — ოდიშური ტყეების ალი.

სადა ხარ ახლა, რა გახარებს, ან რა გაწუხებს,
ვიცოდე მაინც,
უცნაურო ბედის ბორბალო,
გამოვექცევი დღიურ ზრუნვის მძიმე მარწუხებს,
რომ მაგ თვალეზე ცრემლი მოგბანო.

●

...და ავტობუსი გარბის, როგორც ცეცხლმოდებული
კამერი ბნელში...
ზიხარ კუთხეში და სარკმლიდან, დაფიქრებული
შორს მოკიაფე ერთ ნათურას უღიმი გულით,
ერთ პატარა და თვალბრიალა ღამის ნათურას,
რომელიც ასე დაუცხრომელ წყურვილით ებრძვის
ირგვლივ მოჯარულ მღვრიე ლანდებს, უფორმო
დუმისს,
თხევად სიბნელეს, სამეგრელოს მიწაზე დაღვრილს...
შენ მოგწონს მისი სითამამე და მას უღიმი
და გავიწყდება ქვეყანაზე სუყველაფერი.

●

შენ ხარ ვარსკვლავი,
შენ მომწვანო თვალს ახამხამებ.
და ამ პატარა ტბის სარკეზე
ერთმანეთს ხვდება ჩვენი მზერა...
და შენი სხივი, პაწაწინა
და საყვარელი,
მეჩურჩულება:
„მე უთვალავი სინათლის წელი
დამჭირდა მისთვის,

რომ მოვსულიყავ აქ, ამ ტბამდე,
შენ შეგხვედროდი...
და მე ძალიან მიხარია,
რომ სადმე სხვაგან არ დავიკარგე,
ამ უგზო-უკვლო ხეტიალში
და აქ მოვედი...
ადამიანის თვალსაწიერში
მოხვედრა იყო სურვილი ჩემი.
მე გეუბნები: „ხარ ძვირფასი მონაპოვარი
მაისის ღამის
და უშორესი სამყაროების
თვალი ხარ წმინდა..
შენი ალერსი ტკბილია ჩემთვის
ისევე, როგორც დის მოფერება;
ნუ მომშორდები, სანამ კიდევ
შემწვევს უნარი
ამ ტბის ნაპირზე, ხეტიალის
და შენზე ფიქრის.

მ ს ე მ უ ა

სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, საღამოს
ჟამს, სინათლის მილევის წუთებში, ზღვიდან
ამოღიან ბავშვების მფარველი ანგელოსები,
უცნაური სიჩუმე მყარდება, ამ დროს ოსეოფა
ჰქვია.

ძველი კოლხური მითი

ოსეოფა მოდის, უცნაური ოსეოფა,
და ლანდები თრთიან და ჩრდილები ბინდში
ფაჩუნობენ ფრთხილად.

ხმა დუმილად ქცევის შიშით გატრუნულა,
ხმა ჰაერში ანთებული სანთელივით დგას
და იზიდავს მზერის აბრეშუმის ძაფებს.
ბუხრებიდან კვამლი მიირწევა ზევით,
შეღამება მოდის სოფლის თემშარაზე
და მოუხმობს დედას ბავშვი — ანგელოსი —
ჯოხის ცხენზე მჯდარი და იმედი ყოვლის.



ღერო კოკაიი

შემოდგომის ღამე

ვუძღვნი დედის ნათელ ხსოვნას

გარეთ შემოდგომის ღამე თვლემს.
სარკმელში ვეება მთვარე იჭყიტე-
ბა. მისი სხივები კედელზე დაკიდე-
ბულ დედის სურათს მკრთალად ანა-
თებს. მოწყენილია დედა ამ სურათში.
ასეთი სახით მე დედა არ მახსოვს. მას
გაღიძება უფრო უხდებოდა, იგი
კვლავ ჩემს გარშემო ფუსფუსებს,
ვგრძნობ მის სუნთქვას და მესმის მი-
სი უკანასკნელი სიტყვები:

— უღედობამ არ შეგაშინოს, ჩემო
ბიჭო.

ყოველ დილა-საღამოს ვესალმები
დედას.

— დილა მშვიდობისა, დედიკო

— ღამე მშვიდობისა, დედიკო.

ვიცი რას მიპასუხებ, ჩემო დედი-
კო. ასეთი არ იყო იგი. ბოლო წლებ-
ში ძალზე დასრულდა, — ეწყებოდა
რალაც საშინელი ავადმყოფობა, რო-
მელმაც ივლისის იმ ცხელ დღეს საავ-
ადმყოფოში მიიყვანა და...

საავადმყოფოში უფრო ცუდად გახ-
და დედა. თავზე ვადექით ყველა —
მამა, ბებია, და ოთხივე შვილი. მე გა-
მორჩევით ვუყვარდი, თანაც 9 წელი-
წადი ნაბოლარად ვითვლებოდი და
ყველაზე მეტად მე მახსოვს დედის
ალერსი და ტუქსევა.

ახლაც ვზივარ დედის სასთუმალ-
თან.

პალატა ბაღს გადაჰყურებს. ფანჯა-
რაში დიდი მუხის ხე იცქირება. მთე-
ლი დღე წვიმდა და საღამოს ჰიგრი-
ლემ პალატაც გამოაცოცხლა. დედა
ხან კენესის, ხან თვალდახუჭული და
გატრუნულია. როცა ტკივილები გა-
უვლის, გამიღიძებს და იმედს მაძლევს.

— ნუ გეშინია, ჩემო უჭკუო ბიჭო.
მამას სამი შვილიშვილი ჰყავს და
ბებია უჭკუოს ეძახის, ამიტომ მე არ
მწყინს.

მე წელს დავამთავრე საშუალო სკო-
ლა. უნივერსიტეტში ვაბარებ მისაღებ
გამოცდებს. დღეს ქართული წერა
გვექონდა.

— რა ჰქენი? — მისვლისთანავე
მკითხა.

— დავწერე.

დედას ჩემი მაინც და მაინც არ სჯე-
რა და მამას შესცქერის.

— ზეგ გავიგებთ. — ამბობს მამა.
დედასთან გვიან ღამემდე დავრჩით.
მაღე ჩემი უფროსი და — იათა მო-
ვიდა.

— წადით, — ამბობს დედა, — გა-
მოცდები წინ გაქვს, მინდა შენს სტუ-
დენტობას მოვესწრო, ბიჭო.

მეორე დღეს დედა ცუდად გამხდარა. მხოლოდ წყალს ითხოვდა.

წყლისა და სითხის მიღება პროფესორს აეკრძალა.

— მხოლოდ დიეტა.

ეს ყველაზე დიდი სასჯელი იყო დედისათვის.

უნივერსიტეტიდან ტაქსით მოვედით მე და მამა. პირველმა ავირბინე კიბე, ჩქარი ნაბიჯით გავიარე ლერეფანი და შევევარი პალატაში.

უფროსმა დამ რალაც მანიშნა და მეც ენა ჩავიგდე. ფეხაკრეფით მივედი საწოლთან და დავხედე ჩემს მძინარე დედოკოს. იგი ძალზე გაფითრებულიყო და მძიმედ სუნთქავდა. ტუჩები იისფრად მომეჩვენა და დას დავდევდი.

— ახლა ჩაეძინა, — ჩამჩურჩულა მან.

— რა ქენი, ბიჭო? — მკითხა მან მისუსტებული ხმით და ოდნავ გაახილა თვალი.

დედა შვილის სუნთქვას გრძნობს და ფეხის ნაბიჯებს ვერ გაიგებს?

დედის ხმამ ბურანიდან გამომიყვანა, გულზე სალბუნად მომხვედა და წუთიერი შემფოთება გამიფანტა.

— ჩავაბარე, დედი. წერაც და ზეპირიც. — და საგამოდო ფურცელი მივაჩეჩე.

მან დიდხანს ატრიალა ფურცელი ხელში.

— ვერაფერს ვარჩევ.

ფურცელი დას მიაწოდა.

დედის სახეს ღიმილი და სიხარული მოეფინა ხელით მანიშნა და საწოლზე ჩამომხვდა. შემდეგ გულში ჩამიკრა და ორჯერ მაკოცა.

— გახსოვს? — მეკითხებიან დედის თვალები.

რა არ გავიხსენეთ.

იმ დღეს მერძევემ ურძოდ დავტოვე. დედა შეწუხდა — ბიჭი მშვიდრი მრჩებაო.

— ძროხა ვიყიდოთ, — ვურჩიე მე.

— რა ვაქამოთ?

— ბალახი.

— სადაა ბალახი?

— მახათაზე.

— სად დავაბათ?

— სარდაფში.

იციანს დედა.

იციანს ბებია.

იციანს მამა.

იციანს დებიც.

— საბავშვო ბაღიდან რომ გამოიქეცი? — მაგონებს ღიმილით დედა.

საბავშვო ბაღი სახლიდან შორს იყო. არ მიყვარდა ბაღი. თანაც ჩემი შუათანა დაიყო მაგული მემუქრებოდა:

— შენ რომ წახვალ ბაღში, დედიკო ჩემი იქნება.

ამაზე ფიქრი არ მასვენებდა. დედა და ცივაობა მომენატრა. დავავლე ხელი ქულს, პალტოს და ეზოში გამოვევარი. კარებთან თალიკო მასწავლებელი შემომეჩეხა.

— სად მიხვალ, ვახო?

— მამა მელოდება ჭიშკართან.

ერთი საათის შემდეგ აღმზრდელი და ბაღის გამგე შინ მოვარდნენ, რომ დამინახეს, სული მოითქვეს.

— როგორ გაბედე! კიდევ კარგი არაფერი შეგემთხვა.

— ტროტუარს მოვყვებოდი, რკინიგზასთან მივიხედ-მოვიხედე, — მივუხე მე.

იმ დღიდან ბაღში აღარ წავსულვარ.

— მამა რომ აღმოაჩინე?

მამამ „დედაენა“ მომიტანა. ეს ხატულა წიგნი მომეწონა, ალბათ იმიტომ, რომ „დედა“ ეწერა. წიგნების მეტი რა გეჭონდა სახლში, მაგრამ ეს წიგნი სხვანაირი იყო. ამ წიგნმა დედის მკერდს მომამორა და ერთ წელიწადში „დედაენა“ ზეპირად ვიცოდო.

მე მოგზაურობა მიტაცებდა. ბევრჯერ გაეპარულვარ სახლიდან. ერთხელ მახათის მთის პირას დამიჭირეს. ვილაქ ქალმა მიცნო და შინ მომიყვანა.

— სად მიდიოდი, ბიჭო? — მკითხა დედამ.

— მოშკოვში.

ცალი სანდალი სადღაც დამკარგო-
და. მამამ ყური ამიწია. ატირებულმა
დედამ მზეზე გამოთბარი წყალი ვარც-
ლში ჩაასხა და შიგ ჩამსვა.

— პარაშუტი?

მაშინ რვა წლის ვიყავი.

მშობლებმა მე და ჩემი უმცროსი
დაიკო პარკში წაგვიყვანეს. საპარაშუ-
ტო კოშკთან მერხზე ჩამოვჯექით. ამ
კოშკმა ჩემი ყურადღება მიიპყრო.
მშობლებს გავეპარე და კოშკის კიბეს
ავყევი. კოშკში ასული ვხედავდი, რო-
გორ მექებდნენ ისინი. მე კი, ჩემი ძა-
ხილით „დავაიმედე“.

— ნუ გეშინია, დედიკო.

როგორ ჩანს პარაშუტისათვის ძა-
ლზე მცირე ტვირთი ვიყავი და შუა
გზაზე გავიჩხირე.

მაშინ ერთხელ კიდეც გატკინე გუ-
ლი, დედა.

— შემდეგ?

შემდეგ სკოლა, „შვლის ნუკრის ნა-
ამბობი“ და პირველი მოთხრობები.
პირველი ხუთები და ორები. რამდენი
ცრემლი გდენია შენი თაფლისფერი
თვალებიდან ჩემს გამო.

— მინა ვინ ჩამატერია?

— ვახომ.

— ორიანი ვინ მიიღო?

— ვახომ.

— ეკას წრუწუნა ვინ ჩაუსვა ჩანთა-
ში?

— ვახომ.

— სკოლის შენობის სახურავზე ვინ
ავიდა?

— ვახომ.

გიბარებდა კლასის ხელმძღვანელი,
საგნის მასწავლებელი, სასწავლო ნა-
წილის გამგე, დირექტორი, გასყვედუ-
რობდა მეზობელი და მშობელი.

— ჰე, ჩემო დედიკო, როგორ ვწუ-
ხვარ ამაზე. შენ უკვდავი მეგონე, და
არ ვფიქრობდი, ეს დღე თუ მელოდა.

— ძუძუ მტკივა, შვილო. — საბა-
ნი გადაიძრო და მკერდი გამოაჩინა.
მიჩენა შეშუპებული და გალურჯებუ-
ძუძუ. მე ხელი შევახე, რაღაც ყრუა-

ნტელმა დამკრა. მე ამ ძუძუს ხომ
წლამდე ვწოვდი.

— აბა შენ იცი, ჭკუით იყავი, ახლა
პატარა აღარა ხარ, — და დედამ მარ-
ცხენა ხელის არათითზე ქალიშვილო-
ბის ბეჭედი გამიკეთა.

— ატარე, შეხედავ და დედას გაგა-
ხსენებს.

მე ბურანში ვიყავი, რა მოხდა, რა
სჭირდა დედას?

უცებ სახე გაუფითრდა, ტუჩებიც
გაუღურჯდა.

— ჟანგბადი, — დაიძახა იათამ.

ჟანგბადის ბალიში ტუჩთან მიუტა-
ნეს.

სულგანაბული მიეჩერებოდათ ყვე-
ლა, მამა, შვილები.

ბალიში დაიჩუტა და დედაც ფერზე
მოვიდა.

მაშინ ვიგრძენი პირველი შიში. პა-
ტარაობისას უფროსი დები მაშინებდ-
ნენ, კიბის ქვეშ მგელიათ. მე გავიბა-
რებოდი გარეთ, კიბის ქვეშ შევიკე-
ტებოდი და მგელს დავეძებდი, მაშინ არ
ვიცოდი რა იყო შიში, ახლა კი შევში-
ნდი, ეს სხვანაირი შიში იყო.

მესამე გამოცდაც ჩავაბარე, დედის
თვალებში უზომო სიყვარული ამოვი-
კითხე. საგამოცდო ფურცელი ხელ-
ში ააფრიალა და პალატაში მწოლი
ავადმყოფების წინაშე თავი მოიწონა,
— შეხედეთ რა კარგი ბიჭი მყავსო.

მალე კარგ ხასიათზე დადგა, ჩემს
წინაშე ისეთი დედიკო იყო, როგორიც
მე მახსოვს.

— ახლა რაღა დაგრჩა?

— ისტორია.

— ბოლო გამოცდაა?

— თავი დავუქნიე.

— აბა შენ იცი, გამახარე.

იმ საღამოს სოხუმიდან, ფოთიდან.
აბაშიდან ჩამოვიდნენ დედიკოს ძმე-
ბი, ბიძები, მამიდები, ბიძაშვილები,
დეიდაშვილები. პალატა გაივსო მნახ-
ველებით. დედის დანახვაზე დედიკო
მწარედ ატირდა.

მე კვლავ ბურანში ვიყავი.

უბედურება კი კარზე ყოფილა მო-
მდგარი.

ჩემი პატარა დაიკო ნანა ბებიაშ
იყვანა სოხუმში. დედამ ჩაიკოცა ნა-
ბოლარა შვილი, ტირილი აუყვარდა,
ბებიაც ძლივს იკავებდა ცრემლებს.

სხვებთან ერთად ნანაც გავიდა პა-
ლატიდან და რა იცოდა მან, რომ უკ-
ანასკნელად ეალურსებოდა დედა. არც
მე ვიცოდი ეს, არც სხვამ, არც პრო-
ფესორმა, ორ დღეში ერთხელ რომ
აქითხვავდა დედას და აიძვებდა.

— ნუ გეშინიათ, კარგად იქნებით
მალე...

ვზივარ აუდიტორიაში. ჩვენს 72-ე
ჯგუფში პირველ გამოცდაზე 40-მდე
აბიტურიენტი იყო, აქედან ათამდე
ვეთი. ახლა განახევრდა, ვაქებიდან
ორნი დავრჩით.

ვზივარ და ვფიქრობ.

„პირველი სამამულო ომის დასა-
წყისი“.

კალამი მოვიმარჯვე.

„დედა რუსეთი საფრთხეშია“ —
გამახსენდა ბაგრატიონის სიტყვები.

აეტოკალამის თავს ვღრღნი. სარკ-
მლის მიღმა ვიყურები და ჩემი ფიქრი
იქ, მეშვიდე პალატაშია.

— შენ, ეი სადღაც შორს იყურე-
ბი.

უცებ გონს მოვეგე და თავზე წამო-
მდგარ ზედამხედველს შევხედე.

— როდის დაიწყო პირველი სამამუ-
ლო ომი?

— მაგი კი არა, დღეს რა ვქამე არ
მახსოვს.

— აბა მე გეტყვით — 1812 წლის 20
ივნისს.

— შენ „შპარგალკა“ გაქვს?

— მაქვს.

— სად?

— ჯიბეში მიდევს.

— არ გეშინია?

— რისი?

— რომ გაგავდო?

— რატომ?

მან თავზე გადამისვა ხელი და რიგს
გაყვა.

— დედა რუსეთი...

დედა, წაბლა არ გენატრება, შენი
პატარა ბანჯგელიანი წაბლა, დილით
რომ სამსახურის კარამდე მივაცილებ-
და; საღამოს მოგაკითხავდა, ჭიშკარს
რომ მოლაგებოდა, ყველამ ვიცოდით,
შენ ბრუნდებოდი სამსახურიდან. ეხ-
ოში შემოსული, მერხზე დაჯდებოდი,
დაღლილი, შეწუხებული თვალებით
მიმოიხედავდი. ერთი წლის მანძილზე
ძალზე დასრული და თავს ცუდად
გრძნობდი, ოჯახს მაინც არ აკლდა შე-
ნი ხელი.

გული მტკიავო ამბობდი, რამ გატ-
კინა გული? იქნებ ჩვენ, იქნებ ჩემმა
უფროსმა დებმა, რომლებიც შენი ნე-
ბის გარეშე გათხოვდნენ და ორმოცი
წლის ქალი ბებია გაგხადეს? ჩემს და-
ქორწინებას ხომ ნატრობ? მოესწრე-
ბი, დედი, მოესწრები.

— იმ ახალ აივანზე, შენ და პატარ-
ჯალი რომ მობრუნდებით ქორწინების
სახლიდან, მე თეფშს დავიდგამთ.

— ეგ თეფში პატარძალმა თავზე
რომ გადაგამტვრიოს?

— მაგის იმედი კი მაქვს. — მომი-
გებდი და გაიცინებდი.

მერე როგორ გიხდებოდა სიცილი,
დედი. ახლაც თვალწინ მიდგას.

ასეთი მემახსოვრები მუდამ.

საავადყოფოში მე და დეიღამ გა-
გაცილეთ. მამა იქ გველოდებოდა. რო-
ცა მანქანაში ჯდებოდი, წამით შეყო-
ნდი, თვალი მოავლე შენს სახლ-კარს
და ამოიხიხე. რას ფიქრობდი მაშინ?
ნუთუ რაიმე ექვმა გაკრა გულში. იქ-
ნებ გრძნობდი, უკანასკნელად რომ გა-
მოლიოდი შენი ეზოს ჭიშკრიდან?

დამთავრდა წერა, ხუთი გვერდი და-
ვწერე, ორ კითხვაზე მოვაწარი პა-
სუხის გაცემა.

— „შპარგალკა“ გამოიყენე?

— არა.

— რატომ მერე, შე ბოთე?

ვესტბუღში მაღალი, ლამაზი ახალ-

ლალო კოაკია
ზომოღგომის ლამე

გაზრდა კაცი დავლანდე, მას ყველა იცნობს, მე კი ახლოს ვიცნობ.

— დაწერე? — მკითხა მან.

მხრები ავიჩეჩე, მან არ იცის ჩემი გაჭირვება.

ავგისტოს სიცხემ თავში დამკრა.

პალატაში მელოდებოდნენ დედის მამიდაშვილები, ბიძაჩემი და დეიდები, ჩემი უფროსი დები. ყველამ მომილოცა სტუდენტობა. დედამ გულში ჩამიკრა და სახე ცრემლით დამინამა.

აბა რა ვიცოდი სიტყვა „დედა“ იმ პალატაში მრჩებოდა სამუდამოდ.

გვიან დავტოვეთ პალატა. დედასთან მამა და იათა დარჩნენ. ჯერ შორეული კვილი ჩამესმა. როცა განმეორდა, თვლები ვჭყიტე. კიოდა უფროსი და, მოსთქვამდა ბებია, ტიროდა მამა.

ბლავილით წამოვევარდი და მამას ყელზე ჩამოვეკიდე.

— სად არის ჩემი დედიკო, სად?

...კუკიაზე, გარღვეულ გალავანთან, საიდანაც ჩვენი სახლის სახურავი მოსჩანს, წევს ჩემი დედა, ჩემი ლამაზი და მოუსვენარი დედა, ოჯახს და წვილებს გადაყოლილი დედა.

„როგორ გავატარე ზაფხული“ —

ასე ეწერა ფურცელზე, რომელიც გიდაზე იდო.

„წლევანდელი ზაფხული ჩემთვის მეტად უბედური გამოდგა“.

შევიცანი ნანას, ჩემი მესამეკლასელი პატარა დაიკოს ხელი.

მაგიდას მოვცილდი. გვერდით ოთახში გავედი, იმ ოთახში, სადაც ბებიას და ნანას სძინავს, ნანას საბანი გადასძრობოდა და ორივე ხელი თავქვეშ ამოედო. დაიკოს საბანი დავახურე, ვაკოცე და ფრთხილად გამოვბრუნდი.

— რა იყო, ბები?

ეს მუდამ ფხიზელი ბებიას ხმა იყო. „დედის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩემში“ — ეწერა ფურცლის ბოლოში. უცებ ოთახში ჩამოვნეღდა, დედის სურათი სადღაც გაქრა.

ფანჯარაში გავიხედე. მოვარეს ღრუბლის პატარა ნაგლეჯი აფარებოდა. იცი რა ვინატრე, დედი? ვინატრე ძალა, რომელიც იმ ღრუბელს ადგილიდან დასძრავდა, რომ დედის სურათს სინათლე და სითბო არ მოაკლდეს. იმ სურათიდან წამოსული სითბო და სინათლე გულში იღვრება და, ასე მგონია მთელი სიცოცხლის მანძილზე გამინათებს გზას.





რომანი

ქამი ფულუმებისა

თავი I

ღვინობისთვე იღგა, გზის ორივე მხარეზე ჩარიგებულ ფშატებს ნელა არწევდა ბორიო. ირგვლივ სამგორის ვრცლად გაშლილი ანეულეები იყო, ქვემოთ ხელისგულივით ჩანდა ლურჯი „თბილისის ზღვა“ და გაღმა ნაპირის მტუტისფერი ბორცვები. უკვე აღარავინ ბანაობდა. ასეთ დროს „ზღვის“ მიდამოებში სიცოცხლე ძლივსა ბეუ-

ტავს. კაფე-პავილიონებში ოფიცინტები უსაქმოდ ამთქნარებენ, ტივტივაზე მიბმული ნავეები კი ზანტად ირწევიან. მხოლოდ თავგამოდებული მეანკესენი არ ლატობენ ჩვეულებას და კვირაობით „ზღვის“ მუღმივი სტუმრები არიან. მაიამ და ლადომ ბილიკი ჩაიარეს თუ არა, ისინიც გამოჩნდნენ. სევდიანი, ბრძნული სახეებით დასცქეროდნენ წყალს. ქალიშვილის დანახვამ, რომელსაც კარგად მორგებული თუთუნისფერი კაბა ეცვა, მეტეგზეები გამოაცოცხლა. მოურიდებელი მზერა გააყოღეს-

რომანი „წყურვილი“ ხუთ წიგნს მოიცავს. პირველი, „უშბა“, 1963 წელს დაისტამბა ჟურნალ „მნათობში“ და ცალკეც გამოვიდა. ამჟამად ვთავაზობთ მომღვენო ოთხს.



მაია აილანძა და თითქო ჯიბრით, მკლავზე გადაკიდული საწვიმარი მკიდროდ მოიხურა.

ლადომ ჯერ მაია შეათვალიერა, მერმე მეთევზეები. მიხვდა საქმის ვითარებას და უსიტყვოდ გაიღიმა. ამ ღიმილმა გუნება გადასწმინდა მაიას...

ყურეს შემოუარეს, უკაცრიელ ნაპირზე გავიდნენ. სუსტი ქარი „ზღვის“ შუაგულსაკენ მიდენიდა წვირლ-წვირლ, თეთრქორიან ტალღებს. მიელი მკერდით შეიძლებოდა სუნთქვა.

— კიდევ კარგი, წამოვედით! — თქვა ლადომ, — დამხუთა ქალაქმა.

შორს, მცხეთისა და ზედაზენის მხარეს, მოჩანდა ლურჯად მიბინდული მთების ტეხილები.

— ის რა მთებია, ლადო? — ჰკითხა მაიამ.

— ვინც იმათ გადალახავს, კავკასიონის მთავარ ქედს მიაღდება... დარიალის ხეობა ოსეთში ჩაიყვანს... ვაიცილის ჩერქეზეთს, ყაბარდო-ბალყარეთს და ბეჩოს უღელტეხილით პირდაპირ შიხრის ველზე დაეშვება... მერე? — ლადო თავის თავს ელაპარაკებოდა, — მერე?

მაიამ იცოდა: უჭირდა ლადოს თბილისში გაძლება. თითქმის ერთი წლის ჩამოსული იყო და მაინც ძალიან უჭირდა.

— ვიაროთ!

ლადოს მძიმე, დალურსმული ფეხსაცმელები სველ სილაზე ხვავრიელ ნატერფალს აჩნევდა. მაია თავისას აზომებდა და განგებ ხმამაღლა კისკისებდა, რომ ყურადღება მიექცია. „სვანეთზე ფიქრობს. რაზეც უნდა ელაპარაკო, მაინც სვანეთზე ფიქრობს... რა ვქნა? რა ვუშველო?“

ფერდობზე ახლანათობი ალერდის მომცრო ზვინები იდგა. აქა-იქ კიანთობდა გაველურებული ბროწეულის დაგვაჭული ხეები. პატარა კონცხს რომ შემოუარეს, გამოჩნდა ძველი, გაუქმებული კატერი: „თბილისის 1500 წელი“. კიროთი იყო შეჭრილი წყალში. გაიარეს მოყანყალეული ფიცარი — ნაპირს და ხომალდს რომ აერთებდა და,

გემბანზე ავიდნენ. მაიამ აღტაცებით შემოჰკრა ტაში.

— საით მივეტურავთ?

— საითაც მიბრძანებთ, ქალბატონო! — ლადო გამოეკიმა.

— მექსიაჟში შეიძლება?

— არის!

— მოიცა, მოიცა! რამდენი დაგვეტრდება მექსიაჟდე?

— ალბათ ორი კვირა, ქალბატონო!

— აუჰ, არა! ჩაიშალა! დაგვევიწყება? თხუთმეტში ჩემი დაბადების დღეა.

ლადომ ალერსით გაუღიმა და ლბილწაბლისფერ თმებზე ხელი გადაუსვა.

— რამდენი წლისა სრულდება?

— არ გრცხვენია? — მაიამ ლოყა მიახუტა მხარზე, — ვერ ვიტან უტაქტო კითხვებს.

— შარშან იქეიფეთ? — ლადო ძელსკამზე წამოწვა და მკლავებრ თავქვეშ ამოიღო. სქლად ნაქსოვი, შავი სვიტრი. ეცვა.

— ისე, არა უშავდა. ნუცა იყო, ბიძინა, ნუკრი... სხვებიც იყვნენ. სულ შენ გახსენებდით.

— მეც გავცხსენე, მაია. თემრაზთან ერთად სვანური არყით გადღეგრძელე. მერე თემრაზმა ჭუნირი დაუკრა. ისე ტბილად მღეროდნენ თვითონ და მაწისა, კაცს ტირილი მოგინდებოდა...

ლადოს თვალები გაუშტერდა; ცოცხლად წარმოუდგა ეს სურათი. მაიამ მზერა ჰკიდა მის შუბლზე გავლებულ ღრმა ნაიარევს და უნებლიედ გაააქრუოლა. ვერ იქნა, ვერ შეეჩვია ამ ნაჭრების აუღელვებლად ყურებას.

„ჩოფეს ნახელავია“, — თქვა ერთხელ ლადომ. ეგ იყო და ეგ, მერე კრინტიც აღარ დაუძრავს.

ნაპირზე მაღალი და გამხდარი კაცი გამოჩნდა. მხარზე ანკესის გრძელი ტარი ჰქონდა გადებული.

— ოჰო! ლავრენტი ბედიანი?!

სწრაფად მოახლოვებულმა ლავრენტიმ გაკვირვებით შესძახა:

— თქვენ ხართ, გეთაყვა?

ორმოცს დიდად გადაცილებული არ

იქნებოდა, მაგრამ მხრებში საგრძნობ-
ლად იყო მოხრილი. ჩამოგრძელებულ
სახეზე ავადმყოფური სიყვითლე დაჰ-
კრავდა. ყელზე მოზრდილი ხვინჩი გა-
მოჩნდა.

— აქ საიდან, ბატონო ლავრენტი?
— ჰკითხა ლადომ.

ლავრენტიმ ანკესის ტარი შუბივით
გაიშვირა.

— ვთევზაობ, ჰბატუკო. თევზებს,
მოგვსენებთ, პირი წყლითა აქვთ საესე
და, მათთან ურთიერთობა უფრო ადვი-
ლია, ვიდრე ზოგიერთ ადამიანთან. ასე
არაა?

კუბრივით შავ, გაყინულ თვალებს არ
აცილებდა მაიას და ლადოს. პატარა,
ხეშეში თმით შემოსილი თავი
და წამახული, თითქო საგანგებოდ
აქცვეტილი ყურები, როგორღაც განსა-
კუთრებული, ყველასაგან გამოჩჩეული
ადამიანის იერს ანიჭებდა.

ლადოს ვერ წარმოედგინა: როგორ
შეეძლო მოწიფულ კაცს საათობით
დგომა და ლოდინი, როდის ინებებდა
გზაბნეული ლიფსიტა ნემსკავზე წამო-
გებას. ამის გაფიქრებამ ღიმილი მოჰვეა-
რა, მაგრამ ლავრენტის ხატობით თავი
შეიკავა.

ლავრენტი, მაია და ლადო ერთ გამომ-
ცემლობაში მსახურობდნენ რედაქტო-
რებად. ლავრენტი დღენიდავ თავჩაქი-
ნდრული იჯდა მაგიდასთან და ხელნა-
წერებს ჩაჰკირკიტებდა. ამოიწურებო-
და თუ არა სამუშაო დრო, ლანდივით
ადგებოდა და გაქრებოდა. რა ხდებო-
და ამის შემდეგ მის ცხოვრებაში: უჭი-
რდა? ულხინდა? ვის მეგობრობდა? რას
ფიქრობდა? ძებორციელმა არ იცოდა.

— სეირნობთ, არა? — ჰკითხა მაიას,
— სეირნობთ, ხომ?

— მექსიკაში მივემგზავრებით. წამო-
ხვალთ?

ლავრენტიმ ღიმილის ნიშნად ტუჩები
დაბრცია.

— სად მცალია, გეთაყვა... დამახჩხო
საქმეებმა.

— ჰო, გავიგე, რომანს წერსო, —
გაბახსენდა ლადოს ყურმოკრული.

— დავამთავრე; სტამბასაც გადავეცი.
არც ისე წყალწაღებული ვარ, ზოგი-
ერთებს რომ მიაჩნიათ. ჰი, ჰი, ჰი...

— რა თემაზეა?
ლავრენტიმ წაუყრა.

— ენახთო, ენახთო, მომავალი გვა-
ჩვენებს...

— ხელს აღარ შეგიშლით, — აჩქარ-
და უცებ, — აბა თქვენ იცით, კარგი
დრო გაატარეთ!

მოცუნცრუქე ნაბიჯით წავიდა.

— ალბათ, დაგვინახა წელან და ახლა
დაგვხვერა, — თქვა მაიამ.

— რაო, ვითომ?

— გულში გვემუქრება: მაცალეთ,
ჩამივარდებით ხელშიო.

— ვინ, ლავრენტი?

— დიდი ქვეშევეშა ვინმეა.

— მოგცლია, — ლადომ ხელი აიჭ-
ნია;

ჩასასვლელად მიდრეკილი მცხრალი
მზე წითლად ავარაყებდა ერთმანეთზე
გადაგრაგნილ საქარე ღრუბლებს. ბინდ-
მა სიცვივეც მოიყოლა. მადლა, კოდმეს
თავზე, მოჩანდა მწვანედ შეღებილი პა-
ვილონი. ლადომ ჯიბეები მოიხსრიკა.

— სამი მანეთი დავგვჩა.

— ო, გეჩქეფია და ეგაა! მაგრამ ასე
გაწეწილი როგორ შემოვიდე?

— კაციშვილი არ იქნება, — დაამ-
შვიდა ლადომ.

ხომალდიდან ჩამოვიდნენ და ზემოთ-
კენ აიღეს გეზი. პავილიონში მართლაც
სიმყუდროვე იყო. კუთხის მაგიდას
ბრეზენტის ტანსაცმლიანი გზის მუშები
მისხდომოდნენ და ჩაის ჰჭიჭებთ სვამდ-
ნენ არაყს. მაიამ და ლადომ ფანჯარას-
თან აირჩიეს ადგილი. გამჭვირვალე ბინ-
დში ილანდებოდა „ზღვა“ და გაღმა ნა-
პირის ქუფრი გორაკები.

სქელი, ასტმიანი ოფიციატი ხენე-
შით მოვიდა;

— რაც თქვენმა ლამაზმა გულმა ინა-
ტროს, ყველაფერი მამირთმეგია!

თეიმურაზ ვალაფრეიძე
წაუხრვილი



— საქეიფოდ არ მოვსულვართ, —
უთხრა ლადომ.

— ვა! მა რისთენი?

— ყველი, პური და ლუდი მოგვითა-
ნე.

— სულ ეგ არი?

— დიახ.

— აფსუს!

მოულოდნელად, ფანჯრის გატეხილი
მინიდან, დარბაზში ბელურა შემოფრი-
ნდა, მაგიდის გვერდით დაეშვა და სა-
წყალობელი ყვიყვი მორთო. ოფიცია-
ნტს ჩიტი არც შეუმჩნევია, თეფშები
დააწყო და გატრიალდა.

— ალბათ შია საწყაოს, — თქვა მა-
იამ.

— აბა თუ გააღწევს...

ბელურა უმწეოდ ფრთხილებდა
კუთხიდან კუთხემდე. ლადომ ველარ მო-
თმინა, წამოხტა, ფანჯრის ორივე ყუ-
რი ფართოდ გამოაღო. ჩიტმა შეიყივ-
ყივა და გაფრინდა.

მაია ლუდს მისწვდა;

— გაუმარჯოს ბელურას.

ლადო საკუთარ ხელებს დასცქეროდა.

— ბელურამ გააღწია, მე კი...

მაიას გული ეტკინა. როგორ არ
ჰგავდა ეს ლადო ადრინდელ ლადოს!
კლდეს შეენარცხებოდა და თავისას მა-
ინც გაიტანდა. ახლა? იჯდა მოშვებული,
დაღონებული, უჩვეულოდ ფიჭიანი...
განა რა შეემთხვა სვანეთში? რა ცოდო-
ბრალი დაუტრიალდა? ფრთხილად გაა-
ბირა თვალი გაჩეხილი შუბლისაკენ...

— არაფერია, — თქვა ლადომ, —
არაფერია... გაუმარჯოს ბელურას!

— დრო გადის, ლადო. როდისღა
უნდა დაიწყო ახალი ცხოვრება?

— ჰმ, ახალი ცხოვრება... შემიძლია
კი?

— ნუ ამბობ ეგრე! გახსოვს, ადრე გი-
ყვარდა თქმა: აღამიანი მუდამ მწყურვა-
ლი უნდა იყოსო. გახსოვს?

— მახსოვს.

— მერე?

ლადო მაგიდის ძვიდეებს მოეჭიდა,
თითქო აწევა და გადაბრუნება უნდაო.

— ვცდილობდი მწყურვალს მეც-

ხოვრა... სვანეთშიც იმიტომ შეგვად-
რომ მწყურვალე ვიყავი, მაგრამ ახლა
წყურვილის კი არა, წყლულების ქამი
დამიდგა, მაია,

— „ქამი წყლულებისა და ქამი კურ-
ნებისა“... ასე ამბობს ეკლესიასტე!

— რომ არსადა ჩანს კურნების ქამი?

— დადგება, ლადო!

მაიას კრავივით ლმობიერ თვალებში
ცრემლი უბრწყინავდა.

საჭმელი არც კი მოუციცქნიათ. ისხდ-
ნენ და გაჰყურებდნენ ღამეს, რომელიც
საბოლოოდ დამკვიდრებულიყო ფანჯ-
რების მიღმა.

ტროტუარის გაყოლებაზე ქარი კენწე-
როებს უდრეკდა ნაძვებს. ლამპიონები
მხოლოდ რესტორნის მიდამოებში
ენტო. მანქანების სადგომი ცარიელი
იყო, აღარც ავტობუსს უჩანდა პირი და
ფეხით დაადგნენ თბილისისაკენ მიმავალ
გზას. მაიას საუბრის გაგრძელება უნდო-
და, მაგრამ ლადო მუნჯივით სდუმდა.
ველარ მოითმინა, მკლავზე მოეჭიდა და
გააჩერა. შორს, შორს ბუუტავდა რომე-
ლიღაც დასახლების მეჩხერი ელნათუ-
რები.

— დამუნჯდი, ხომ?

— რალა ვთქვა, მაია?

— სიჩუმე უარესია, იცოდე. წაისდენ
თავს!

— ამაზე მეტად?

— ნუ! ნუ ამბობ!

— ასეა, — თქვა ლადომ, — ასეა,
მაია!

— გინდა, ლექსი წაგიკითხო? — ხმა-
ში ცრემლი გაუქრთა. ლადომ სათუთად
შემომხვია მხარზე მკლავი.

— წამიკითხე... ძალიან მინდა...

„ძალი ვადმოდის ცხვერ მთებზე
უხილავ გზებით
და ლურჯი ტბების, ლურჯი ტბების
თვალეში კრთება.
ეს არის მიწის, დედამიწის მარადი
ვსება
იმ გრძნეულებით, რაც მის სულში
არასდროს ქრება.
ო, უხილავნო, კვლავ დიდება
თქვენს მუფებას.“

ეს ლექსი, როგორაც, იდუმალად შთაგონებდა ლადოს, რომ ბებერ, კეთილ დედაშიწაზე ყველა, სულიერი და უსულო, სიყვარულით შედუღებული დიდი ოჯახის შვილები ვართ... ამის გახსენება განსაკუთრებით სჭირდებოდა ახლა. მადლიერების ნიშნად მაიას ხელი აიღო, ემთხვია. და როცა კბოდეს გადაადგენ, წინ გადაეშალათ უშტი და უშქარი ყვითელი წინწკლებით მოჩითული ქალაქი, რომელიც ღამის სისხლქარბი ცხოვრებით ცხოვრობდა: ღაჭქროდნენ ავტოები, ციმციმებდნენ ტელევიზორის ეკრანები, რესტორნებში ჯაზის რიტმები აჩქროლებდა სისხლს, ეკლესიებში მიმწუხრის ფსალმუნებს გალობდნენ, ხოლო თეატრებში თამაშობდნენ კომედიებსა და ტრაგედიებს. და ლადოს გაახსენდა საუბარი თემრაზთან ყინვისაგან გათოშულ ერთ ღამეს — ზემოთ, სვანეთში: „მომისმინე, თემრაზ! ქალაქში როგორაც ყველაფერი იოლად გამოდის. ისე, სხვათაშორის. მე კი, ბოლოს და ბოლოს, არ უნდა გავიგო, ვინა ვარ მე? „აქ გაიგებ?“. „ვნახოთ, მგონა ჰო“.

გაახსენდა და კვლავ უამური ფიქრები აერია: — „გაუხედნელი კვიცი ვიყავი. მომტეხეს და გამხედნეს... ისე, სხვათაშორის“, არც ქალაქში გამოვა რამე და არც სვანეთში გამოვიდა. არსად არ გამოვა. უამი წყლულებისა... უამი წყლულებისა!...“

წინ იყო ქალაქი. ქალაქი დიდი, მრავალსახოვანი, რთული, გაუგებარი...

თავი II

15 ოქტომბერი მაია თოიძის დაბადების დღე იყო; ამ დღისთვის, დედა ყოველწლიურად უგზავნიდა სოფლიდან შემწვარ გოჭებს, ქათმებს, გურულ ხაჭაპურებს, კეცის მჭადსა და „ადესას“. ძღვენი, ჩვეულებრივ, პატარა ბარათით თავდებოდა, რომელშიც დედა დაბადების დღეს ულოცავდა ერთადერთ ქალიშვილს. არიგებდა, — ჰკუთით იყავიო, თავის მოუძღურებას უჩიოდა, მერმე

კი დაწვრილებით აცნობებდა რომელმაც მეზობელმა მოიყვანა ცოლი, ვინ გათხოვდა, ან ჩვენი ჭირი ვინ წაიღო.

ბარათი გამხმარი ზაფრანის, სიმინდის ხაშარის, პიტნაარეული ნაღულისა და თხილიანი ჯანჯუხების სურნელით, დედის ტკბილი უბის სურნელით იყო გაჟღენთილი...

მეგობრებს სტუდენტობის დროიდან ახსოვდათ მაიას დაბადების დღე კამოს ქუჩაზე, ოროთახიან პატარა ბინაში, რომელიც მაიას უშვილძირო მამი-დამ დაუტოვა, ყოველგვარი პატიჟის გარეშე იკრიბებოდნენ. მაგრამ იმ დღეს, თუმც კარგა გვიან იყო, ნუჯრისა და ლადოს მეტი არავინ ჩანდა.

ნუჯრის განუყრელი გიტარა ეჭირა, ძველებურ, სევდიან რომანსს ლიღინებდა. ლადო წიგნების კარადასთან მიმჯდარიყო, ხოყუსაის რეპროდუქციების ალბომს უგულისყუროდ ათვალიერებდა, თან ფიქრი არ ასვენებდა: „ნეტა არ მოვიდოდეს ნუცა“...

მაია ერთ ხანს სუფრის გაშლით გაერთო, მერმე ისევ მოეწამლა გუნება; მთელი დღე ეჩვენებოდა: ყველაფერი, რაც სიხარულს მანიჭებდა, უკან დარჩა და მომავალში უაზრო, უფერული არსებობის მეტი აღარაფერი მელისო. „ოცდაექვსი წელი... ხუმრობაა?“ — ფიქრობდა დაქინებით და ისე აშკარად წარმოიდგინა თავი ბებრად, რცხვენოდა, თორემ ატირდებოდა. ბოლოს. მაინც იძალა: „რა უფლება მაქვს ლადოს და ნუჯრის წავაშხამო ეს დღე?“ რადიოლა ჩართო და რაღაც სწრაფრიტმიანი ფირფიტა დაადო.

— ვიცეკვოთ! ვიცეკვოთ! დაბადების დღეა თუ პანაშვიდი?

ლადოს უარი არ გაუვიდა. ცეკვა დაიწყეს, მაგრამ მძიმე ფეხსაცმელის იყ მოუქნელად დააჩოჩებდა იატაკზე, მაია სიცილით კვდებოდა... უცებ, შედგა:

— სულელი ვარ! რად გვინდა ყალბი გართობა?

თეიმურაზ მაღლაშვილი
ფეხბრძოლი



რადიოლა გამოთიშა. იკავებდა ტირილს და ეს ძალიან შვენიოდა. სიფრიფანა ნესტოები უთრთოდა, ხოლო დაბორცვილი, ოდნავი ღინღლით შემოსილი ტუჩი ბავშვივით ჰქონდა აბზუებული. ვარდისფერი, წელში გამოყვანილი კაბა ისე ნაზსა და კდემით სავსეს აჩენდა, რომ ნუკრი დაუფარავი აღტაცებით უყურებდა.

— უსაშველოდ ლამაზი ხარ! უსაშველოდ!

— დაცინვას კაცი არ მოუტლავს, — ჩაილაპარაკა მამამ.

— დედის სულს გეფიცები, მაიკო! თუ გინდა, ლადოს ჰკითხე!

— მართლა, ლადო?

— ლადო იღიმებოდა.

— ხმა ამოიღე, ბიჭო, ნუ გამასივე გულზე!

— მართლა.

მაიას სახე გაუნათდა.

— თქვენ მაინც გამახარეთ, თორემ თავი ასე წლისა მგონია.

— ყველა-ყველა, მაგრამ შიმშილით რომ ვკვდები? — წამოიწუწუნა ნუკრიმ.

მამამ მეორე ოთახიდან არაყი და ჭიქები გამოარბენინა.

— ცოტა კიდევ მოვიცადოთ, ეგებ ვინმე გამოჩნდეს. მანამდე ამით შეიქცით თავი.

„ნეტა არ მოვიდოდეს ნუცა“, — ისევ გაჰყრა ლადოს.

— სანთლისაა? — ნუკრიმ ბოთლი შეანჯღრია.

— აბა ჰუკას გაკადრებთ? სპეციალურად გამომიგზავნა დედამ, ნუკრის და ლადოს დააღვივინო.

— გაუმარჯოს შენს დედას!

— მეც გამომარჯოს, რაა, — ბავშვივით შეეხვეწა მამა.

— შენც გაიმარჯოს, მრავალ დაბადების დღეს დასწრებოდე, — გულმოწყალედ დაეთანხმა ნუკრი.

— მხოლოდ, დღევანდელზე უკეთესს, კარგი? არ გეცოდებით მარტოხელა, ყველასგან მიტოვებული შინაბერა?

— ნურც ეგრე შეგვაბრალდება — ლადოს გაეღიმა.

— მიდის დრო, — ამოიხრა მამამ. — ხომ ხედავთ ამდენი მეგობრებიდან სამინდა დავრჩით. ნუთუ მართლა არავის გავახსენდები დღეს?

არაყს თაფლის სურნელება და გემო ჰქონდა.

— ფრანგულ კონიაკს ჯობია! — იყვირა ნუკრიმ.

— ა, ბატონო, აგერაა რამდენიც გინდა. ახლა ვინ ვადღერძდელით?

— ვინც გაგიხარდება, — უთხრა ნუკრიმ. მსხვილჩაჩოიან სათვალეში კეთილ, ბეც თვალებს აფახულებდა.

— ჩვენი ძმაცაცობისა იყოს. შეიძლება ასე? თუ როგორ ამბობთ ბიჭები?

სასმისები ერთმანეთს მიუჭახუნეს და ის იყო უნდა დაეღიათ, რომ ზარი ახმიანდა. ლადოს ჟრუანტელმა დაურბინა: „ნამდვილად ნუცაა“...

ნუცას მკერდზე თეთრი ვარდების თაიგული ჰქონდა მიხუტებული. სწრაფად შეავლო თვალი ოთახში მყოფთ და ლადო რომ დაინახა, საზეიმოდ აციაგებულს სახე ნელ-ნელა ჩაეფერფლა. არ დაბნეულა, მათა გადაკოცნა, ყვავილები მისცა და ლაბადა გაიძრო. ტანზე შემოქერილი შავი კაბა ეცვა. როცა სავარძელში ჩაჯდა და მრგვალი მუხლები გამოაჩინა, უკვე სავსებით ფლობდა თავს.

მაია და ნუკრი, მეორე ოთახში, სუფრას დასტრიალებდნენ.

„რა ვუთხრა, როგორ მოვიქცე?“ — გამწარებული ფიქრობდა ლადო.

ნუცას თვალთა გაზიდული კილოები და დაქინებული მზერა ჰქონდა.

— როგორა ხარ, ლადო?

— კარგად. შენ?

— ჰმ, აგრეთვე.

— დავლიოთ? თაფლისაა.

ნუცას გაეღიმა. არ შვენიოდა ღიმილი, თითქო მტაცებელ ფრინველს ემგვანებოდა.

— ვერ დავლევ. გული... — ერთი ჭიქა რას გიზამს?

— რომ შეიძლებოდეს, უთქმელა-
დაც დავლევდი.

— ძალიან გაწუხებს?

— არა, პირიქით, მე ვაწუხებ, —
ნუცამ გამომცდელად შეხედა.

— ქვეტექსტებით ლაპარაკი გისწა-
ვლია.

— აღრეც ვიცოდი.

— ჰოო? რაღაც არ მახსოვს?!

— დავავიწყდა?

— ჰო, დამავიწყდა! — მოუჭრა ლა-
დომ.

ნუცას თვალები მიელუღა.

— სად დაიკარგე? — თქვა ყრუდ;

— არა გრცხვენია?

— როგორც ხედავ, არ დავკარგულ-
ვარ.

— ერთხელაც არ მოგინდა ჩემი ნახ-
ვა? ერთხელაც?

— არა.

— რატომ, ლადო?

— ასე იყო საჭირო!

— რა დავიშავე? — ხმა გაეზზარა.

„ფუჰ, იდიოტო ჩემო თავო“, —
უილაჯოდ გაიფიქრა ლადომ. ბედად, მე-
ორე ოთახიდან ნუკრი გამოვიდა:

— მგონი გვადგება საშველი! — გა-
მოაცხადა საზვიმო იერით და ისევ გი-
ტარას გადასწვდა. ნუცა ახლა მას მიუ-
ბრუნდა:

— შენ როგორღა ხარ, ნუკრი, იშოვნე
სამსახური?

ნუკრიმ ბეცი თვალები აახამხამა და
შეშფოთებით შეხედა ჯერ ნუცას, მერმე
ლადოს.

— კი, ფილარმონიაში.

— კარგი, ერთი! ფილარმონიაში რა
გინდოდა? — გაიკვირვა ყასიდად. სუ-
ლაც არ აინტერესებდა ნუკრის ასავალ-
დასავალი.

— ხელოვნების სიყვარული რას არ
ჩააღენინებს ადამიანს! იჩხუბეთ?

— რა გეჟონდა საჩხუბარი! — ნუ-
ცამ ძალით გაიცინა, — ლადო, კარგ
დროს ატარებდი სვანეთში?

ლადო დაიძაბა:

— შესანიშნავს. უკეთესს ვერც ინა-
ტრებ! — თქვა მშვიდად.

კედელზე ომში დაღუპულ მაიას მამის
პორტრეტი და როდენის „მარადიუ-
ლი კერპის“ ფოტორეპროდუქცია ეკი-
და. ლადომ უყურა, უყურა, მერმე ჩა-
მოიღო და წიგნების კარადის თავზე
შემოღო.

— არ მოგწონს? — ჰკითხა ნუცამ.

როდენის ნამუშევრებში „მარადიუ-
ლი კერპი“ ყველაზე მეტად უყვარდა
ლადოს. ეს რეპროდუქცია მისი თხოვ-
ნით ჩამოჰკიდა მაიამ.

— მარადიული კერპები არ არსებო-
ბენ!

ნუცა თვალს არ აშორებდა მის შუბ-
ლზე გავლებულ ღრმა ნაიარევს.

— გამოცვლილხარ, — თქვა ჩუმად,
— ო, როგორ...

— ჰო, შევიცვალე! — გააწყვეტინა
ლადომ.

ნუცამ თავი მიუსაფრად იგრძნო, მაგ-
რამ სიამაყე ნებას არ აძლევდა სხვის-
თვის დაენახებინა ეს. უღარდელი სახე
მიიღო. ამ დროს, ისევ დარეკეს. სიხა-
რულით გაბრწყინებულმა მაიამ კარი
ფართოდ გააღო.

ბიძინა კუშტად იყურებოდა წარბებ-
ქვემოდან. ისარიმისფერი თვალები არა-
ბუნებრივად უბრწყინავდა.

— შეიძლება? — ეკითხა ხმადაბლა,
თან მზერას არ აცილებდა ქალს, — ნას-
ვამი ვარ, არც საჩუქარი მომიტანია.

— მობრძანდი.

ბიძინამ ტყავის კურტაკი გაიხადა.
იქვე, საკიდარზე ჩამოჰკიდა.

— უცხო ხალხი ბევრი გყავს?

— ოთხნი ვართ სულ.

— მართალი მითხარი, ხომ ფიქრობ
ჩემზე, — რამ მოათრიაო?

მაიას საქციელი წაუხდა:

— როგორ გეკადრება, ბიძინა!

ოთახიდან ნუცამ გამოიხედა.

— ოო, ბიძინა!

ბიძინამ ფეხს მიადგა, წელში
მოიხარა და გადაჭარბებული ზრდილო-
ბით აკოცა ხელზე.

თეიმურაზ მაღალაშვილი
წყურვილი



— ქალბატონ ნუცას ვახლავარ!

ბიძინა საშუალო ტანის, უხორცო, დაკუნთული კაცი იყო. გეშნაკრავი მწვევარივით დადიოდა, თითქო ეს-ესაა მსხვერპლს უნდა ეცესო.

— კარგ დროს მოხვედი, უკვე ესხდებოდით, — უთხრა ნუცამ.

— ეგ მერე გამოჩნდება, კარგ დროს მოვედი თუ ცუდ დროს, — ჩაიცინა ბიძინამ.

დაბნეული მიაი უყურებდა მათ და გული რაღაც ფარსაგს უგრძნობდა.

თმანი III

ნუკრის მალე მოერია ღვინო, მაგრამ ცდილობდა სხვებისთვის არ შეემჩნევი-ნებინა. ხორცი მონდომებით დაიქუცმა-ცა თეფშზე და საწებელიც ისე გულმო-დგინედ გადაიღო, თითქო სხვა არაფე-რი აინტერესებდა ამ ქვეყნად. სა-ნამ ჩუმიად იყო, სიმთვრალე ნაკლებად ეტყობოდა, მაგრამ რატომღაც, მიაის ზედახლა დღეგრძელობის სურვილმა მოუარა და, მაშინ კი წახდა. შუბლზე ჩამოცვენილ თმას მალ-მალე ისწორებ-და.

— მაიკო, მე მიინდა ერთხელ კიდეც გადღეგრძელო... — უსაზღვროდ კეთი-ლი გამოიმეტყველება ჰქონდა; მღელვარებისაგან ხმა ჩაეხრინწა, — ძალიან გულწრფელი ვარ, მაშინ სულს ვფიცა-ვარ... გეხვეწები, გამიგე... ჩემო ახლო-ბელო, უახლოესო...

მიაი ცდილობდა სერიოზულად მოეს-მინა, მაგრამ ღიმილის ნაპერწკლები მაინც უკრთოდა თვალებში. ეს ნუკრი-მაც შეამჩნია.

— ვერ ვამბობ! — ჩაბურღლუნა და ღვინო სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— მიაი, ნეტა ვიცოდე რა მოაჩვენე ამ ბიჭებს, ასე რომ გაღმერთებენ?

ნუცამ ხმამაღლა, ნაძალადევიად გაი-ცინა. ნათქვამი უადგილო იყო და ამას თვითონაც მიხვდა...

— არაფერი არ მოუჩვენებია! — ნუ-კრის ეწყინა, — მიაის არ უყვარს მოჩვენება, გასაგებია?

ბიძინამ თვალთ ანიშნა ლადოს:

— შენ არ მორჩი ნუცასთან ბაზარს? ლადომ არ უპასუხა.

— მტაცებელ ფრინველსა ჰგავს... შენი მტერი, თუ ვინმე გამოიჭირა!

„მტაცებელს მართლა ჰგავს!“... ლადოს არ უყვარდა მთვრალი ბი-ძინა: სხეულში თითქო სხვა სული უსა-ხლდებოდა, დაძაბული, ჭირვეული და გაბოროტებამდე ენაწყარე იყო...

— მაგარი თავდადასავლები ჰქონდა შენს აქ არ ყოფნაში!

— ჩემზე ლაპარაკობ, არა? — დაი-ნტერესდა ნუცა.

— ეგლა გვაკლია! — ჩაიცინა ბიძი-ნამ.

ნუცა აიფოფრა, რისხვა გააკვესა თვა-ლებში, მაგრამ დაიურფა თავი.

— აუ, ბიჭო, რა დავთვერი... — ბურ-დღუნებდა ნუკრი, — აბა, სიმღერა ახლა, სიმღერა!

— დაიწყე, — შეაგულიანა ბიძინამ.

— რომელი? — მორცხვი ღიმილით ჰკითხა ნუკრი. სათვალე ცხვირზე ჩა-მოსცურებოდა.

— „ბებია ძყავდა პოვარი“.

დაუნდობლად ამასხარავებდა. იმთა-ვითვე ამოიღო ნიშანში და აღარ მოუტ-ვენა. ნუკრი მთლად დაიბნა, ბავშვივით გაწითლდა და ენა ჩაუვარდა. ისევე მიაამ გამოიყვანა მდგომარეობიდან, გიტარა მოუტანა...

ბიძინა იჯდა გაფითრებული, ყბებზე კუნთები უხტოდა და თვალები ერთი წერტილისთვის მიეშტერებინა.

— შექვევლად უნდა მოგვიშხამოს გუნება? — უჩიურდა მიაამ ლადოს.

— ხომ იცი მაგის სიმთვრალე, სჯო-ბია დაუყვავო, თორემ მთლად აამტუ-ტებს!

„მორეული ქალის ეშხი მოვა, მაგრამ როდის?“

ნუკრის ძლიერი, თუმც რბილი ხმა ჰქონდა. ყველა სიმღერას როგორღაც თავისებური, განუყოფელი ინტონა-ციითა და მამაკაცური სინაზით მღე-როდა;

„სიცოცხლეში თეთრი გედი მხოლოდ ერთხელ მღერის“.

ბიძინა მთლად ააფორიაქა ამ სიმღერამ. უეცრად წამოხტა. ნუკრიმ სიმღერა შეწყვიტა. გაჩუმდნენ.

— სათქმელი მაქვს!
— ბიძინა, შენი ჭირიმე..., — დაიკუნესა მაიამ.

— არა! უნდა ვთქვა!
თავჩაქინდრულმა მაიამ სუფრის ფოქს დაუწყო წვალება. ბიძინა გაბოროტებით უყურებდა.

ნუკრი ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში. მოულოდნელად, რადიოლას ტაკუნს ჯაზის თავბრუდამხვევი რიტმები მოჰყვა. ყველამ შვებით ამოისუნთქა. ნუცა და მაია მაშინვე წამოხტნენ. ბიძინამ კბილები გაახრჭიალა და სახე ხელებში ჩარგო. ლადო გვერდზე მიუჯდა.

— მთვრალი ხარ, ბიძინა!
— მერე რა გინდა?
— ნულა დალევ.
— არაა! უნდა დავლიო! სულ უნდა ვსვა და ვსვა!
— შენი ნებაა. მხოლოდ...
— მაფრთხილებ? — ბიძინამ ხელი აუქნია, — წადი, იცეკვე!
უარესი რომ არ თქმულიყო, რის მოთმენაც შეუძლებელი იქნებოდა, ლადო მოსცილდა.

რადიოლა ნელ ტანგოზე გადავიდა. ნუცამ მკლავები მხრებზე დააწყო ლადოს, მთელი სხეულით მიეხუტა...

ბიძინა დანისლულ თვალებს არ აცილებდა ოთახში მყოფთ. მაიამ იგრძნო, ეცოდებოდა იგი. ძალიან ეცოდებოდა. დასძლია შინაგანი კრთომა, ფრთხილად შეეხო ბეჭზე.

— ა?
— ვიცეკვოთ;
ახლა ორი წყვილი ცეკვავდა. ბიძინა ზედმეტად დახრილიყო მაიასაკენ, სახით თმებზე ელამუნებოდა. მაიას მთლად წაუხდა საქციელი. ნუკრი კუთხეში იჯდა და შემფოთებული უყურებდა მათ.

— იცი, ვინ ხარ შენ? იცი?
— მაია ვარ, ბიძინა.

— მაია, ჩემი მაია...
მაიამ მუდარით შეხედა ლადოს. ლადო მიუხვდა, მათ შუა ჩადგა, მაია დაისაკუთრა, — ნუცა კი — ბიძინას შეატოვა. ცეკვა განაგრძეს. ბიძინა ნელ-ნელა ფეხიზღებოდა.

— გიყვარს ცეკვა? — ჰკითხა ნუცამ.
— თუ ქალსა და კაცს ერთად ყოფნა უნდათ, დაწვენ და ის იქნება.

უჩინანად ჩასცქეროდა წაბლისფერ, მიბნედილ თვალებში.

— ეგ რატომ მაიას არ უთხარი?
— იმასაც ვეტყვი!
— მეექვსება.
— ვეტყვი!
— ვერ ეტყვი!

ბიძინა ელდანაკრავივით შედგა, უპასუხოდ მიატოვა ნუცა და ისევ მაიას დაეპატრონა. მუსიკის ტემპმა იმატა. უცნაურად აჩქარდებდა სისხლს ეს მცხუნვარე ბგერები. უცებ, მკლავები შემოჰხვია ქალს, ჩაიხუტა და ტუჩებზე დააცხრა.

ყველაფერი დატრიალდა ირგვლივ: მუსიკა აირია და ყურისწამლებმა კაკაფონიამ გავარვარებული შანთებევით დაიარა სხეულში.

— რადიოლა აღარ მუშაობს! — სადღაც შორიდან მოისმა ნუკრის ხმა.
გაქვავებული, თვალებდახუჭული მაია კედელს აჰკვროდა.

— აღარ მუშაობს! დიახ! აღარ მუშაობს! ზოგიერთები აქ... დიახ! ასეა!
ნუცას წამიერმა ღიმილმა გადაუარა სახეზე და მაშინ ლადოს ხელები მარწუხებივით შემოეჭდო ბიძინას, აიყვანა, ჰაერში გააშეშა.

— თავი იცანი, თორემ...
ბიძინა რამდენჯერმე გაიკლანა, განთავისუფლება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა და მოეშვა. ლადომ სავარძელში ჩაახეთქა, ზურგი აქცია.

ასე დამთავრდა დაბადების დღე.

თინათინა ვალაფერიძე
წყურვილი

ქალაქს ეძინა. ათასში ერთხელ თუ გაივლიდა შეკვივანებული მგზავრი. „წიგნის პალატის“ ფსაღზე გრძელი, წითელი ტრანსპარანტი გამოეკრათ — „ტარდება წიგნის ერთთვიური“. სანაპიროდან მწვანე ლფლიფიანი ტაქსი ამოვიდა, სვლას უკლო. ნუკრი ბარბაცით წავიდა მისკენ, მუშტი მოუღერა.

— მოუსვი! გასაგებია? ახლავე მოუსვი!

შოფერმა მხრები აიჩეჩა. მანქანამ ვერის ხილი გადაჭრა და თვალს მიეფარა. ელბაქიდის აღმართზე ბნელოდა. ნუცამ წელი გამოსდო ლადოს. ლადო გრძნობდა მკლავზე მისი მკერდის შეხებებს და უნებურად თავგზა ებნეოდა.

ბიძინას ტყავის კურტაკის საყელო წამოეწია, ირიბად გაჭრილ ჯიბეებში ღრმად ჩაეწყო ხელები. უმისამართო გაბოროტება ბალღამად მოსდებოდა გულზე და გადმონთხევი მიზეს ეძებდა. გარეგნულად არაფერი დასტყობია. შემართული ნაბიჯით მიდიოდა.

ნუკრიზე მეტად ამღვრელი მაინც არ არის იყო. თვალწინ ედგა კედელს აკრული, გაქვავებული მაიას სახე და სიმწრისაგან ლამის ხმამაღლა ეტირა. დაუოკებელი სიძულვილი მოედო ბიძინას მიმართ. ჩხუბსუჩვევი ხელები მომუშტა და ველური, სტვენისებური ბგერები აღმოხდა. ნუკრის დაშოშმინება ახლა აღარავის შეეძლო. თავი დაღუნა, გაგიჟებული ეძგერა ბიძინას. ბიძინამ მოასწრო დარტყმის არიდება. წელში შეუვარდა. ჩახვეულები წაიქცნენ და ქვაფენილზე დაგორდნენ.

— შენ უნდა გაუმწარო მაიას სიცოცხლე? შენ? — ღმუთოდა ნუკრი და ხელებს ჰაიპარად იქნევდა. ეს მისი პირველი ჩხუბი იყო.

მოულოდნელობისაგან გაოგნებული ლადო, გამოერკვა, წაქეულებს მივარდა, გააშველა. ნუკრი მძიმედ ქშინავდა, უჭირდა სულის მოთქმა. ამით ისარგებლა ბიძინამ. გარტყა. ნუკრის

სათვალე ჩამოუვარდა და იქვე დაეცა. — ჩემთან ხუმრობა არ გაგივა, ვირსალადის ბიჭო! — ამოიქშინა ბიძინამ ნესტოების ბერვით.

ლადო გულისპირში სწვდა.

— უჰ, ბიძინა, რად მიდიხარ ახლა შენი მოქექვა!

ბიძინა ელვის სისწრაფით გადახტა უკან, ჯიბის დანა ამოიღო, გახსნა.

— არ მოხვიდე!

ლადო გაშრა. გაბრაზება სიბრაულემა თუ გაკვირვებამ შესცვალა. ვერ დაეჭვებინა ბიძინა იყო ეს?

— წადი სახლში!

— ეგ არ გეკითხება შენ!

— დამარტყი და გაათავე, თორემ გაგივდი! — იღრიალა უცებ ლადომ.

ნუცამ იკვილა, მკლავზე დაეკონწიალა

— აჰა, დამარტყი!

— შენც მომიძულე, ლადო? შენც?

ამბობდა ბიძინა და უკან იწვედა.

— კაცი არ ვიყო, თუ არ განანო!

მიტრიალდა და გაიქცა, გაუჩინარდა ბნელ ნაძვენარში.

ნუკრი ბავშვივით სლუკუნებდა. ნუცამ სათვალე მოუძებნა. ცალი მუშა ჩამსხვრეული იყო.

ბაღში, ნარნარად მოცეკვავე ბრინჯაოს ქალებს თავსუნემით ხონჩა ეჭირათ. ხონჩიდან შადრევანი გადმოდიოდა. ნუკრიმ ცნვირსახოცით მოიწმინდა სახე, თან ყლუბ-ყლუბით სვამდა წყალს.

— რა ვქნა, ლადო? რა ვქნა? ხომ უნდა მოვკლა ის გარეწარი, ა? ხომ უნდა მოვკლა?

— შენც წადი, ნუკრი! როცა გამოფხიზლდები, მაშინ ვილაპარაკოთ!

— არ მოვკლა?

— წადი, ნუკრი, წადი. დამიჯერე! ნუკრი მორჩილად წალასლასდა.

რესტორან „სამაიას“ წინ, ქოლგე-ქვეშ, ალუმინის მაგიდებზე ალუმინისვე სკამები უკლმა იყო შემოწყობილი.

— როგორ შეიცვალა ბიძინა, — თქვა ნუცამ.



ლადომ არ უპასუხა.

— თურმე ხშირად სვამს, ჩხუბობს. სამსახურშიც მაგრად აურევია. დათხოვნიტ ემუქრებიანო, ერთმა ნაცნობმა მი-თხრა.

— ჰოო? — უგუნებოდ გაეპასუხა ლადო.

— მუშაობაც რომ მიატოვა! რამდენი ხანია აღარაფერი დაუბეჭდავს. მაიამ სულ ამოავდო კალაპოტიდან. ბოლოს-დაბოლოს, ვეღარ გამოვიდა, რა გახდა ეს მაია? იქნება ჰგონია, ბიძინაზე უკეთესს გაჰყვება?

ლადოს ისე მოეჭავა ხელი, კინაღამ სტკიცა ყბაში.

- წავიდეთ!
- გეჩქარება?
- ჰო.

— ვიყოთ რა, ცოტა ხანს? — შეე-ხვეწა ნუცა.
გაჩუმდნენ.

— ჯანდაბას ყველა! მთავარია, რომ მარტონი დავრჩით, — — აჩურჩულდა ნუცა, — არა, ლადო?

— ვითომ ეგაა მთავარი?

უნდოდა რაღაც მწკლარტე, გულსა-ტკენი ეთქვა ნუცასათვის, თვითონაც არ იცოდა რატომ. მოულოდნელად ქალმა მკლავები შემოხვია კისერზე, სახე სულ ახლოს მიუტანა და თვალები მილულა...

მწვავე ნეტარება ბასრ ტკვილად შეეჭრათ ტანში

„რას ვაკეთებ?“ — გაუელვა ლადოს და გამოფხიზლდა. მკლავები ცივად მო-იშორა.

ლენინის ქუჩისა და ელბაჭიძის დაღ-მართის კუთხეში, აფთიაქთან, კედლის საათი ორს უჩვენებდა. კაცის ჭკანება არ იყო. მოჩანდა რუსთაველის მკრთა-ლად განათებული მონუმენტი. დიდი სა-ხლები ბნელში გასუდრულიყვნენ.

— ლადო, მომიცადე...

ნუცა წინ გაუჩერდა:

— მითხარი, რატომ გამირბიხარ?

— არ გინდა ცრემლები! — უთხრა ლადომ მკაცრად.

ლენინის ქუჩას აჰყვნენ და ვერის ბა-ზართან აუხვიეს. ნუცა ქუჩის დასაწყისშივე ცხოვრობდა.

— ისევ საჯაროში მუშაობ?

— აბა სად წავიდოდი? ხანდახან მაინც დამირეკე, რა?

— დაგირეკავ.

— ისემც რა გითხრა, — ნუცამ ნაძა-ლადევად გაიღიმა, — ნახვამდის...

ლადო ლენინის ქუჩაზე ჩაბრუნდა. ინატრა: — ნეტა უგონოდ მთვრალი ვი-ყო: წამით, მაიასთან მიბრუნება გადა-წყვიტა, მაგრამ მაშინვე მოიცილა ეს აზრი და უცებ აღმოაჩინა, რომ ქეთუზე ფიქრობდა... „ნეტა რას აკეთებს ახლა? სძინავს... არა, წვეს ბნელში თვალებ-გახელილი და მიგონებს! მიგონებს კი?“... ლადო მაგრად მიეხუტა ჰად-რის გლუვ ტანს, — — მიგონებს კი?“.

მაღალი, თეთრი შენობა დროდადრო ნათდებოდა წითელ-მწვანე რეკლამით: სასტუმრო — საქართველო-რესტორა-ნი... სასტუმრო — საქართველო-რეს-ტორანი...

ბატარა ქუჩაზე, რომელიც როდენის სახელს ატარებდა, ძველებური ყაიდით ნაშენ სახლში ცხოვრობდა ლადო მამას-თან ერთად. როცა დიდი ცაცხვით ჩაბუ-რულ ეზოში შევიდა და ბინაში სინა-თლე დაინახა, მოაგონდა, რომ მამა უმი-სოდ არ დაიძინებდა და ყოველგვარი სა-ფიქრალი გადაივიწყა. სწრაფად აირბინა კიბეები.

მამა დაწოლილი კითხულობდა. სათვა-ლის ზემოდან გადმოჰხვდა.

— ამდენ ხანს სად ბრძანდები, ყმა-წვილო?

ლადომ შუბლზე აკოცა.

— ბრაზობ?

— დიახაც!

— ეს ერთი გვაპატიეთ, ბატონო პეტრე, ღვთის გულისათვის, — უთხრა ღიმილით.

— არ დამთვრალხართ?

თეიმურაზ მაღლაფერიძე
წყურბული



ლადომ, ვითომ ვერ შენიშნა მისი ექვიანი მზერა, ლოგინის ალაგება დაიწყო. საწოლები გვერდიგვერდ ედგათ. პეტრემ წამოიწია:

- ცუდი ხომ არაფერია?
- არა.

— ნუ დამიმალავ, შვილო! გამომცდელად უყურებდა დიდრონი, შუქიანი თვალებით.

- მერე გეტყვი, მამა;
- როგორც გინდოდეს...
- რას კითხულობ?
- საბა ორბელიანს.

პეტრეს მხოლოდ რჩეული ავტორების კითხვა უყვარდა. მათ რამდენჯერმე უბრუნდებოდა ხოლმე. შემთხვევითი წიგნის ხელში აღება ისევე ეზარებოდა, როგორც შემთხვევითი ნაცნობობის გაბმა.

ლადო საჩქაროდ ჩაწვა ლოგინში და საბანი ყურებადმდე წაიფარა. მამამ თმებზე გადაუსვა ხელი. მთელი მისი მოფერებაც ეგ იყო. ლადოს უყვარდა, მამის ძარღვიანი, კეთილი ხელები. წაეტანა მარჯვენაზე, ლოყის ქვეშ ამოიდო და თვალები დახუჭა, მაგრამ კიდევ დიდ ხანს ვერ მოიშორა არეული და მომქანცველი ფიქრები.

თახი v

საშემოდგომო გამოფენის დარბაზი საესე იყო დამთვლიერებლებით. უმეტესობას ახალგაზრდობა შეადგენდა, ჯგუფურად ან ცალ-ცალკე გადადიოდნენ ერთი სურათიდან მეორეზე და მოურიდებლად გამოთქამდნენ აზრებს. ხალხში, აქა-იქ, გამოფენის მონაწილე მხატვრებიც ერივნენ, გულის კანკალით უსმენდნენ შენიშვნებს, გარეგნულად კი თავი ისე ეჭირათ, თითქოს სულერთი იყო, რას იტყოდნენ მნახველები.

ხუტუტომიან მხატვარს მუხლზე ალბომი ედო და კარიკატურებს ხატავდა. ერთი შეავლო თვალი ლადოს და ხატვა დაიწყო. უცბად მოხაზა კონტური, რამდენიმე შტრიხი გაჰკრა, ფურცელი ამოხია და გაუწოდა.

...თმა მეჩხრად ჰქონდა ამოსული. შუ-

ბლზე — ნიაჩრევი. თვალმჭიმე მზერა ბავშვური, ალალი გაკვირვება. შეკანე, სოლივით ნიკაბი და ძლიერი ქედი...

- ბრწყინვალეა, — უთხრა ლადომ,
- ასეთი პორტრეტი არასოდეს მღირსებია.

მხატვარს ფართო სახეზე კეთილი დიმილი გადაეფინა.

— ინებეთ!

ლადომ თავი დაუკრა და გაშორდა. წლევანდელი გამოფენა განსაკუთრებულად უხვი იყო: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ჰედური და გამოყენებითი ხელოვნება... დარბაზის კედლები ჰერამდე შეეჩინჩხლათ ტილოებით. რა არ იმზირებოდა ამ ტილოებიდან: ატმები და ლედვის ჩირი, ორშიმოები და ხელებდაკოერილი ბერიკაცები, სატევაირივით აწვდილი თოვლიანი მთები და აღაქდაქებული, ნაირფერი ყვავილები; უშგულის ქანგუკარები კოშკები და ყოტებივით წამომჯდარი თუშის ძვალმხვილი ბიჭები...

ერთ-ერთ კუთხესთან რიგი იდგა.

...პატარა ბიჭს ვეებერთელა, ჩალურჯებული თვალები ჰქონდა და შიშით უყურებდა დამთვლიერებლებს. თხელი ტუჩები ისე მოეკუშა, ეტყობოდა რაღაც ძალიან მძიმეს ითმენდა. ჩავარდნილ მეკრდს თეთრი პერანგი უფარავდა. წვრილი მკლავები უღონოდ, მორჩილად ჰქონდა დაშვებული. ფონი მორუხო-მომწვანო იყო და ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა ისედაც სულის შემხუთველ განწყობას.

მეორე, „ქალიშვილის პორტრეტი“, მწვანე გამაში იყო გადაწყვეტილი. ქალიშვილს გრძელი კისერი და მხრებამდე დაშვებული წითელი თმის ტევერი ჰქონდა. ხარბად წამოწეულ ბაგეზე ნაღველში არეული მაცდური დიმილი დასთამაშებდა, თვალების მაგივრად კი — ნუშის მოყვანილობის თეთრი ლაქები უსხდა.

ლადოს ყრუანტელმა დაჰკრა: ნუცა იყო, ნუცა ჩიქოვანი.

დამთვლიერებლები დუმილით უყურებდნენ სურათებს.

— ქართველი მოდილიანია, — თქვა მერმე ერთმა.

— მოდილიანის სურთვატი, — უპასუხა მეორემ.

— აღარ დამეძინება ამ ბავშვის ცოდვით, — დასძინა მესამემ.

ეს საუბარი ლადოს ბუბუნად ესმოდა. „ნუცა... აი, თურმე როგორი ყოფილა“. ამ სურათმა კიდევ უფრო ცხადად დაანახა ნუცას შინაგანი ბუნება: ვნებიანი, თავნება, ალესილი და ხარბი. თან, სევდითა და უსასოობით გატენილი. ბიძინას ნათქვამი გაახსენდა: „მეგარი თავგადასავლები ჰქონდა შენს აქ არ ყოფნაში!“ გაახსენდა და ბოლმით აივსო. რა იყო ეს, — ეჭვიანობა? თურა?.. ამ დროს, ვიღაც მორიდებით შეეხო მკლავზე.

ლავრენტი ბედიანი! თანაც როგორ გამოწყვილი! ხელში ახალთახალი ფინური ლაბადა ეჭირა და უკანასკნელ მოღაზე შეეკერილი, მუქი კოსტუმი ეცვა. პალსტუხიც გემოვნებით ჰქონდა გამოსკენილი, ტანსაცმლის შესაფერი შლაპა ეხურა და ნამდვილი დენდი იყო, მხოლოდ წვრილი, ადამის ვაშლიანი კისერი ძველებურად უყანყალებდა პერანგის ფამფო საყელოში.

— სალამი, პატივცემულო ლადო!

— გაუმარჯოს ლავრენტი ბატონს! სად დაიკარგეთ, რატომ არ ჩანხართ? ერთი კვირა იქნებოდა, ლავრენტი პირად საქმეზე დაეთხოვა გამომცემლობის დირექტორს.

— ახალი ხომ არაფერია, გეთაყვა?

დაპყურებდა გაყინული თვალეებით და გაფაციცებული ელოდა პასუხს.

— აღბათ გაიგეთ, თევზაძე რომ პენსიაზე გავიდა, — უთხრა ლადომ

თევზაძე მათი განყოფილების უფროსი იყო.

— კი, გავიგე. მის ადგილას ვის დანიშნავენ ნეტა?

— არ ვიცი,

— მაინც? როგორი ხმები დადის? ნუ დამიძალავთ, გეთაყვა.

— რაში მაინტერესებს? — ლადომ

დაუდევრად გაშალა ხელები, — ვინც უნდათ ის დანიშნონ.

— ეს კი, მაგრამ... ა? — ლავრენტი გამომცემლად შეხედა, — მე რომ მკითხოთ, ახალგაზრდები უნდა დააწინაურონ. აი, თქვენ, მავალითად...

— თქვენ უფრო გამოდგებოდით, ლავრენტი ბატონო! — გააწყვეტინა ლადომ.

— მეე? აჰ! არავინ გაიგოს! — ლავრენტი შიშით მიიხედ-მოიხედა.

ლადომ კიდევ უფრო შეუქცია:

— თანაც ისე გამოწყობილხართ, რომ...

— გიკვირთ, არა, ადამიანურად ჩაცმულს რომ მხედავთ?

გამომცემლობაში მის ტანზე გამოხუნებული პიჯაკის მეტი კაციშვილს არაფერი უნახავს. ლადო მიხვდა, რომ ვერ მოზომა.

— სად ბედიანი და სად ადამიანური ჩაცმა-დახურვა, ხომ?

ლადო ხანდახან ფიქრობდა, — თვითდამცირება ლავრენტის აღუწერელ სიამოვნებასა ჰგვრისო. ოღონდ კი ვისმეს წინაშე ლაფი ჩამოესხა თავ-პირზე და სხვა არაფერი უნდოდა. ამიტომ, მასთან ურთიერთობას საერთოდ ერიდებოდნენ. ერიდებოდნენ და გამომცემლობაში, ხშირად, ავიწყდებოდათ კიდევ მისი არსებობა, რადგან დღეები ისე გავიდოდა, თავს არავის გაახსენებდა. თითქო განგებ ცდილობდა ადამიანებს დამალვოდა. იჯდა თავჩალუნული საწერ მაგიდასთან და საქმეს ჩაჰკირკიტებდა. თუ მიმართავდა ვისმე, სულ „ბოდიში“, „გეთაყვა“ და „ჩემო კეთილო“ ეპერა პირზე.

ვის იცის როდემდე გაგრძელდებოდა გულის გამაწვრილებელი საუბარი, რომ ლადოს, იღბლად, ბიძინა არ დაენახა. შთაბეჭდილებათა წიგნს ფურცლავდა.

ზრდილობიანად მოიხადა ბოდიში, — ამხანაგი მელოდებოა და წასასვლელად გაიწია.

თეიმურაზ მაღლაფერიძე
წაშრილი

— კარგად, გეთყუა, კარგად..., —
დაემშვიდობა ლავრენტი, თან ცივი.
ლიბი თითები კისერზე მოუცაცუნა.
ეს კი მეტისმეტი იყო. ლადოს უსიამოვნო
ყრუანტელმა ბაძანა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ლავრენტი ბატონო! — გამოსცრა კბილებში და წავიდა. თან, გაიფიქრა: — „ბედიანი უფრო რთული პიროვნებაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანსო“.

ლადოს მოულოდნელი გამოჩენა ბიძინას არც გაჰკვირვებია, არც განსაკუთრებულად გაჰხარებია.

— როგორ მოგწონს გამოფენა? — ჰკითხა სალმის მავიერ.

— ბოლომდე არ მინახავს.

— მე დილიდან აქა ვარ. გინდა, დავათვალიეროთ?

მაიას დაბადების დღის შემდეგ პირველად ხედებოდნენ ერთმანეთს. ბევრი ჰქონდათ სალაპარაკო.

ისევ ხალხს შეერივნენ. ბიძინა წამდაუწუმ ესალმებოდა ნაცნობებს, თან, ამა თუ იმ ნამუშევარზე მსჯელობდა, მაგრამ ლადო ისე ააფორიაქა ბიძინასთან მოულოდნელმა შეხვედრამ, ხეირიანად ვერც ამჩნევდა რას უყურებდა. ერთ სურათთან საგანგებოდ შეჩერდნენ, წითელი, მწვანე, ლურჯი და ყვითელი ფერები ქაოტურად იყო ერთმანეთში არეული. „შემოდგომა“.

— მოგწონს?

— არ ვიცი, — თქვა ლადომ.

არ უყვარდა მხატვრობაზე ლაპარაკი. შეეძლო საათობით მდგარიყო ძველქართული ფრესკების წინაშე, ტკივილამდე განეცადა ვან-გოგის „ღამის კაფე“ ან სეზანის ნატურმორტები, სიხარული დაუფლებოდა ფიროსმანის სურათების ყურებისას, მაგრამ შემდგომბლის როლი ემძიმებოდა.

— ბრწყინვალეა, — თქვა ბიძინამ, — ახალგაზრდებიდან, ფერს ამაზე უკეთ ვერავენ გრძნობს.

ლადოს ნაკლებად აინტერესებდა ეს.

— არც შეველიძე მოგეწონა?

— შეველიძე რომელია?

— აი, ნუცას პორტრეტი რომ გამო-

ჰვინა, — ბიძინამ ირონიულად მა.

— არა.

— ვერ დავიჯერებ.

— არ მომწონებია, იმოქმედა.

— სხვა რაღა გინდა?

— რაც იმოქმედებს, ის ჯერ კიდევ არ არის ხელოვნება.

— ოო, დამიწყე ფალოსოფია.

— არ ვაპირებ; სულ არა ვარ ფილოსოფიის გუნებაზე.

— ექვიანობ ნუცაზე? — მოულოდნელად ჰკითხა ბიძინამ.

ლადო აიჯაგრა:

— გირჩევ, იქ ნუ ჩაპყოფ ცხვირს, სადაც არ გკითხავენ!

— გეხუმრე! იცი, რას წერენ მნახველები შთაბეჭდილებათა წიგნში? შეველიძე რეალიზმს ღალატობსო. ეგ რა გიჭირავს?

ლადომ კარიკატურა გაუწოდა. ბიძინამ ერთ ხანს ათვალიერა. აღტაცებას ვერ ფარავდა.

— შესანიშნავია! ვინ დახატა?

— ერთი ხუჭუჭთმიანი მხატვარი იყო.

— აა..., — ბიძინამ ცნობილი კარიკატურისტის გვარი დაასახელა, — ზუსტად გამოუჭერისარ! არ გშია?

— ისე, რა.

— მე — ძალივით. დილიდან არაფერი მიჰამია. ყავა მაინც დავლიოთ.

რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდნენ. ბინდდებოდა. უკვე ციმციმებდა ლამპიონები. ავტოები უწყვეტ ნაკადად დასრიალებდნენ. ბიძინამ და ლადომ ქაშუეთის თეთრ ტაძარს ჩაუარეს, ჯორჯაძის ქუჩა გადაჭრეს და სასტუმრო „ინტურისტის“ მძიმე კარს მიაღვინეს.

თახი VI

ყავას „ვარციხეს“ აყოლებდნენ. მუშტარი, რატომღაც, მათ მეტი არავინ ჩანდა.

— მომწონს აქაურობა, — თქვა ლადომ.

— მეც, — დეთანხმა ბიძინა, — სი-
ჩუქმა და მყუდროება. იჯექი შენთვის,
იფიქრე. ხელს არავინ გიშლის.

ოფიციალტმა ბლინებში გახვეული
ხორცის გუფთა მოიტანა. პეწიანი და
მოხდენილი რუსის ქალი იყო.

— ლადო!

— ა?

— ღორულად მოვიქეცი იმ ღამეს?

რა ეპასუხნა? ყველთვის ასე იყო: სიმ-
თვრალეში ნამოქმედარს სიფხიზლეში
ინანიებდა. ჰოდა, რა ეპასუხა ლადოს?
გაჩუმდნენ.

— მითხარი, ნუ გერიდება.

— ძალიან!

ბიძინას ყბებზე კუნთები აუთამაშდა.
ჭიქა ხელის ცახცახით შეივსო, გადაპ-
კრა. არც ყავა დაუყოლებია. არც ღვე-
ხელი.

— მაია გამწარდა?

— მარტო მაია? ნუ მეკითხები!

— ჰმ, შეკითხვაც აკრძალულია?

ბიძინამ თავი ჩაპქინდრა, მერმე ისევ
ბოთლს მისწვდა, მაგრამ ლადომ ჭიქაზე
ხელი დაუფარა.

— ნუ დავლევთ, ისე ვილაპარაკოთ.

— ჰო, კარგი...

მოშვებული, მოდუნებული და ილაჯ-
გამოცლილი იყო. თვალებში ჩვეულ
კვიპატი ცეცხლი ჩაპქრობოდა, სახე
შეშუპებული ჰქონდა.

— ნამთვრალევი ხარ?

— არ გამახსენო, — ბიძინას გააყრ-
ქოლა. — დამისხი, სული მონათქმევი-
ნე.

ცუდად გამოიყურებოდა. ლადოს გუ-
ლი მოეწურა, ჭიქა შეუვსო.

— რატომ აღარ გამოჩნდი?

— არ მქონდა გამოსაჩენი პირი, —
ხმადაბლა თქვა ბიძინამ, კონიაკი გამო-
ცალა და საშინლად დაღმიჭა სახე, —
არც ახლა მაქვს, მაგრამ...

— კარგი, თუ ღმერთი გწამს!

— გონია არ ვიცი რის ღირსი ვარ?

მათ უყვარდათ ერთმანეთი. უყვარ-
დათ ჰაბუკობიდან გამოყოფილი სიყვარ-
ულით და არც შეეძლოთ ამის დავი-
წყება.

— მაინც როგორ აირია გზები, ა? —
ბიძინამ თვალები მოჭუტა და ისე შეხე-
და ლადოს. — გახსოვს, რამდენი სურ-
ვილი გექონდა, უნივერსიტეტს რომ
ვამთავრებდით?

თეფშზე ჩანგალი მიაკაყუნა, ოფიცია-
ლტი მოახედა და ანიშნა — ერთი ბოთ-
ლი კიდევ მოგვიტანეო.

— აღარ გვინდა, — თქვა ლადომ.

— თუ ძმა ხარ, დავლიოთ, — შეეხ-
ვეწა ბიძინა, — დიდი ხანია ასე კარ-
გად აღარ ვყოფილვარ.

ბიძინამ უნივერსიტეტის სა-
ხელით დაამთავრა უნივერსიტეტი:
„პირველ სხევში“ ბექდავდა კრიტიკულ
წერილებს. სხვაგანაც ბექდავდა. მომა-
ვალს უჭაღდნენ, ეალერსებოდნენ ამხ-
ნევებდნენ...

— გახსოვს, შენი პირველი მოთხრო-
ბა რომ გავარჩიეთ ლიტერატურული
წრის სხდომაზე?

ლადომ თავი დაუქნია.

მოთხრობას პრეტენზიული სათაური
ჰქონდა: — „ადამიანები“. ომისაგან გა-
უბედურებული კაცის ისტორია იყო ნა-
ამბობი. ეს კაცი ჭურვის ნამსხვრევმა
იმპოტენტად აქცია, როცა დაბრუნდა,
ცოლი შეირთო, მაგრამ მალევე გამოშ-
რდა. სხვა საქმეებშიც ვერსად მოიკიდა
ფეხი და ბოლოს თავის მოკვლა გადა-
წყვიტა. მოთხრობა სუსტად იყო დაწე-
რილი, მაგრამ ლიტერატურული წრის-
თვის უჩვეულო იყო ასეთი ნაწარმო-
ების განხილვა და დიდი კამათი გამო-
იწვია. დასასრულ ბიძინამ აიღო სიტყ-
ვა და თქვა:

— მოთხრობა ჰემინგუეის გავლენით
არის დაწერილიო.

ამის გავონებაზე ბევრმა თვალები
ჰყიჭა — არ იცოდნენ ვინ იყო ჰე-
მინგუეი. არ იცოდა არც ლადომ. მე-
ორე დღეს, მან და მაიამ საჯარო ბიბ-
ლიოთეკას მიაშურეს და სულმოუთქ-
მელად წაიკითხეს „ფიესტა“, „მშვიდო-

თეიმურაზ მაღლაფერიძე
წყურბული

ბით, იარაღი“; „ოცდათვრამეტი მო-
თხრობა“ და „მეხუთე კოლონა“.

შეუმჩნევლად მოხდა ლადოს და ბი-
ძინას დაახლოვება. სხვებთან აგდებუ-
ლად და მქირდავად მოლაპარაკე ბი-
ძინა ლადოსთან სერიოზული და გულ-
წრფელი იყო.

გაიარა ხანმა, მეგობრებმა უნივერსი-
ტეტი დაამთავრეს. ლადომ განსაკუთრე-
ბული ტკივილების გარეშე მისცა
ცეცხლს პირველი ლიტერატურული
ცდები, მიატოვა თბილისი და სვანეთში
წავიდა, ხოლო იქიდან ჩამობრუნების
შემდეგ, ბიძინასთან მეგობრობა რო-
გორღაც შენეულა...

კაფეში ბუშეს „პატარა ყვავილს“
უქრავდნენ. ნადვლიანი მუსიკა იყო.

— ახალი ხომ არაფერი დაგიწყია?

— ჰო, თითქოს, — ლადო უხერხუ-
ლად შეიმუშვნა, — არკი ვიცი რა გა-
მოვა.

— რაზეა?

— როგორ გითხრა.. .

— მაინც?

— ახალგაზრდა ქალაქელი კაცი მთა-
ში მიდის მასწავლებლად... — ლადომ
აბნეულად გაიღიმა, — ჯერ დავწერ. მე-
რე ვილაპარაკოთ.

ესამუშებოდა ასეთ რამეებზე საუბა-
რი. თითქოს საჯაროდ აშოშვლებდნენ
და აიძულებდნენ ხმამაღლა ელაპარაკა
იმაზე, რაც წმიდად შესანახი საიდუმ-
ლო იყო.

— სვანეთში ჩადის?

— ვინა?

— ახალგაზრდა მასწავლებელი.. .

— ჰო.

ბიძინამ ჩაიჭირქილა.

— ესე იგი, საკუთარ თავზე წერ?

ლადო დამნაშავესავით შეცბა.

— სხვებზეც...

უყვარდა ეს მოთხრობა. არასოდეს
ისეთი შინაგანი თავისუფლებითა და
სიამოვნებით არ უმუშავებია, როგორც
ახლა მუშაობდა. აქ იყო სვანეთში ნახუ-
ლი და განცდილი, აქ იყო უშბა...

— როდის წამაკითხებ?

— დავამთავრებ და მერე.

— დაბეჭდვად?

— ეგ მოთხრობა ჯერჯერობით ერ-
თადერთია, რის დაბეჭდვაც მართლა
მინდა.

— გაგიმარჯოს, ლადო!

— არ გვინდა სადღეგრძელოები...

— მომისმინე! — ბიძინამ ჯიუტად
გადააქნია გრუსათმიანი თავი, — შენ
გაგიმარჯოს! მხოლოდ, იმ სამსახურს
უნდა მოსცილდე. ზოგიერთთა ნაჯღაბ-
ნების კითხვა ყველას შეუძლია. შენ
სხვა რამისთვის ხარ საჭირო.

— მაინც?

— მწერლობისთვის.

— მწერლობას თქვენც ეყოფით, —
გაუტრიზავა ლადომ.

— ნუ ხუმრობ! შენში არის რაღაც
სხეანაირი ნებისყოფა თუ ჯიქურობა და,
რაც მთავარია, — გულწრფელობა, მხო-
ლოდ...

— მხოლოდ, ერთი მაკლია, არა?

— რა? — ვერ მიხვდა ბიძინა.

— ნიჭი!

— ნუ ხუმრობ-მეთქი. თვითონვე
იცი, ნიჭიერი ხარ, მაგრამ, ნამდვილი
მწერლობისთვის არც ეგა კმარა.

— აღარ ყოფილა საშველი!

— მე ჩემი გითხარი! — განაწყენდა
ბიძინა.

ლადომ აღერსით მოუჭირა ხელი. ძა-
ლიან მოუნდა სახლში გაქცეულიყო
და მოთხრობას ჩასდგომოდა. ამ გულ-
უბრყვილობაზე, თვითონვე გაეღიმა.

ბიძინამ ჭიქა ასწია.

— მაინცდამაინც დათრობა გინდა?
— ჰკითხა ლადომ. მასაც უკვე უღიტი-
ნებდა სასმელი.

— მინდა!...

— ნუ ამბობ!

— რა მნიშვნელობა აქვს ვიტყვი თუ
არა. მთავარია, რომ მინდა! გახ-
სოვს საიათნოვა? საითაც გავიქეც-
იქით წავიქეცო? საცოდავ დედა-
ჩემს ჰგონია შეილი გავზარდე, ვასწავ-
ლე. კაცად ვაქციე, ახლა ეშველება ჩემს
გამძაღლებულ სიბერესო; მე კი სალა-
ხანასავით დავყიალებ ქალაქში. რამეს

მინც ვაკეთებდე! ჯერ კორესპონდენტობა რა არის და ისიც უშუალო...

ვილას ალბათ მოსწონდა ბუმეს „პატარა ყვავილის“ ნაღვლიანი მელოდია და გამუდმებით უკრავდა და უკრავდა. საკვირველი იყო, რატომ არავინ შედიოდა იმ საღამოს კაფეში? ოფიციალური ქალები დახლთან მოგროვილიყვნენ და რაღაცას ჩურჩულებდნენ.

ბიძინა გაფითრდა. თვალები სიცხიანივით უკრიალებდა. ლადომ იგრძნო: ის დრო დგებოდა, როცა ბიძინას ეშაკი უნდა შესახლებოდა გულგვამში.

— მაიაზე რატომ არაფერს მერტყვი?

— თქვა ხრინწიანი ხმით.

— რა გითხრა?

— როგორ არის?

— ცუდად.

— ვიცი... სხვა ვინღა კარგად?

ხელები მაგიდას დაჰკრა, უმიზეზოდ გაიღიმა. ეტყობოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები მიმოუდიოდა გონებაში.

— როგორ მოგეწონა ნუცას პორტრეტი?

— ა?

— ნუცას პორტრეტი.

— არა... ჰო... არ ვიცი...

ბიძინა გამოცოცხლდა:

— „კლიმ სამგინი“ გახსოვს? ერთი ნახევარი გამოყვანილი, სიფრიფანა და უღამაზო ქალი. დაუღალავად ტიტინებს „მალალ მატერიგებზე“, ბოლოს კი აღმოჩნდება, რომ სამგინთან დაწოლის მეტი არაფერი აინტერესებს. ასეთია შენი ნუცა ჩიქოვანიც და საერთოდ ყველა ქალი...

— რას ბოდავ, ბიძინა!

— ყველა ქალი! — წამოიყვირა ჯიუტად; გაბოროტებით შეანათა წვრილი თვლები. ახლა ყველაფერი აღიზიანებდა ლადოს: ლაპარაკის მშვიდი მანერა, გაჩეხილი შუბლი. დაუდევარი ჩაცმულობა... ყველაფერი აღიზიანებდა.

— დაწყნარდი, ბიძინა...

— ნუ მაწყნარებ, ჩემ თავს თვითონვე მოვუვლი. ყველას საკუთარი გზა აქვს და თავისას ეძებს ცხოვრებაში!

— რას ეძებს, არ იტყვი?

ბიძინამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, უსიამოვნოდ გაიცინა:

— ქალს, რომელთან ყოფნაც არ მომწყინდება.

ლადო ჩუმად უყურებდა. ცრემლების ბურთი მოაწვა ყელში და სული შეეხუთა.

— ეეჰ, სიტყვაძვირი ხარ, — ამოიხრა ბიძინამ; უცებ წამოიწია: — გავხსნა კარტები? გავხსნა?

პასუხს არ დალოდებია:

— ყველამ იცოდეს, მაია ჩემთვის ერთადერთი ქალია!

— მერე?

— ჩემსას გავაკეთებ!

— მინც რას?

— არ ვიცი... არ ვიცი..., — დაიკვნესა ბიძინამ. ქუთუთოები დამძიმებოდა და ჩაწითლებულ თვლებს ძლივს დაახელებდა. სახე გატეხილი, დაბერებული ჰქონდა.

ლადოს სტანჯავდა შეკავებული სიბრალული. რაც რისხვაზე გაცილებით უარესი იყო. ყველაფერი არააობად, მოტყუებად, უაზრობად, ეჩვენებოდა...

თავი VII

ტექნიკური ლიტერატურის გამოცემათა განყოფილება მესამე სართულზე იყო. სამუშაო დღის დაწყებამდე კიდევ რჩებოდა დრო და თანამშრომელთაგან ჯერჯერობით არავინ ჩანდა.

ლადომ უჯრიდან უზარმაზარი ხელნაწერი ამოიღო. ეს წიგნი ორი თვის უკან მიაჩვიეს სარედაქტოროდ, მაგრამ ნახევარიც ძლივს ჰქონდა წაკითხული. მიჰყვებოდა ფორმულებითა და სპეციალური ტერმინებით აჭრელებულ გვერდებს და ერთი სიტყვაც არ ესმოდა ხერიანად. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ მექანიკა ფიზიკის ერთ-ერთი დარგია, ეს ცოდნა კი, სრულიად არ კმაროდა წიგნის თუნდაც ზედაპირული გაგებისათვის. ამიტომ, ისღა დარჩენოდა, შეძ-

თიფურაჲ მაღლაფრიძე
წაშრვილი

ლებსდაგვარად, აქა-იქ, ქართლისათვის გაეკრა ჩაღბი.

სარედაქტოროში პირველად რომანოზ ნათენაძე გამოჩნდა. სუფთად იყო გავარსული და სქელ, შევერცხლილ წარბებქვემოთ ჭროდა, გონიერი თვალები მხიარულად უციმციმებდა. გაქათქათებული პერანგის საყელო პიჯაკზე ჰქონდა გადმოფენილი. სამოცს მიღწეული კაცი სავსებით ჰარმაგად გამოიყურებოდა. უმტვერო თოვლივით თეთრი თმა ლაზათს და სიღარბაისლეს ჰმატებდა. სუსხიან დილას კარგ გუნებაზე დაეყენებინა.

— იკლავ თავს? — ლადოს ხელნაწერზე ანიშნა.

— მეტი რა გზაა, ბატონო რომანოზ. მალე სარედაქტორო ხმაურით აივსო. გაცრეცილი, პენსნიანი სანდრო ცხვარიშვილი ხელების ფშვინებით წუწუნებდა, — ამისთანა ცივი შემოდგომა არ მახსოვსო.

ნადია ბანცაძემ ფარშევანგევით ამყად გაიარა მაგიდებშუა და საღამად უსიტყვო თავის დაქნევა იკმარა. ნადია ჩასუქებული, ჯერ ისევ მიმზიდველი შინაბურა იყო. პიმენ ლატარიას, მწითურსა და ჯავარაწვერიან კაცს, ხაშის ჰაპა მოესწრო.

— რავე ყარს ეს შეჩვენებული! — აიმრიზა ნადია.

— შენსავით გემრიელი ხაში იყო, ნადია, შენსავით! — მიუღო პიმენმა.

— დელიუპე იქით!

მაია ბოლოს მოვიდა. ჩქარი სიარული-საგან ლოყები ასწითლებოდა. შავ, მოსხებილ ჯემპერში გამოკვალთული მკერდი აუღ-ჩაუდიოდა.

— ხელმძღვანელობა ისევ არა ჩანს? — მაიამ თევზაძის კაბინეტისაკენ გააქნია თავი.

— დაგეყარეს ობლებივით. — აქირქილდა სანდრო.

თევზაძე, განყოფილების უფროსი, პენსიაზე გავიდა. სანაცვლო კი, აგერ მეორე კვირა იყო, არავინ ჩანდა.

ლავრენტის რაღა დაემართა?

— ალბათ თევზაძის წასვლას უკუვინც ვობს, — თქვა ისევ სანდრომ.

— ამასწინათ შემხვდა, — გაიხსენა ლადომ.

— მერე? მერე? — მიაყარეს აქეთ-იქიდან.

— ისეა გამოპრანჭული, ინგლისელ დენიდის გაახუნებს.

— რას მელაპარაკები?! დაიფიცე?! — წამოიძახა ნადიამ.

— ე, ბუკო, იქნება სასიძოდაც გამოგვადგეს, ა? — პიმენმა თვალი ჩაუკრა ლადოს და ნადიაზე ანიშნა.

— შენ მისიპე, შენ! — ნადია გაბრაზდა, — უკეთესი არავინ გემეტება?

— რატომ, ნადიას ვენაცვალე, რატომ? აგერ ნახე, თევზაძის ადგილას ლავრენტი თუ არ წამოაჩინონ. მაშინაც დაიწუნებ?

სანდრო ეკალნაჩხვლეტივით შეხტა:

— არ გეკარდება, პიმენ, ასეთი ხუმრობა!

— ჩემთან რა გინდა, ბატონო? ასე გავიგე — დიდი ხანია მაგ საქმეზე ჩალიჩობსო.

ერთმანეთს გადახედეს, მერმე რომანოზს მიაჩერდნენ. გადამწყვეტი სიტყვა მას ეკუთვნოდა, როგორც დროულსა და გაეჭირაბ კაცს. რომანოზი ჩუმად იყო.

— პარტიულია? — იკითხა ბოლოს.

— არა, — მიაშველა პიმენმა, — მაგრამ მაგის ნათესავი ახლახან მინისტრად დანიშნეს. თვითონ მითხრა.

— აჰა! — მრავალმნიშვნელოვნად თქვა რომანოზმა, სათვალე გაიკეთა და ხელნაწერის კითხვას შეუდგა. სამუშაოდლე დაიწყო. სხვებიც თავიანთ საქმეს ჩაუკირკიტდნენ.

ოთახს ერთადერთი ფანჯარა ჰქონდა, საიდანაც მოჩანდა ოთხკუთხა, მოასფალტებული ეზო და ფოთლებგაცვენილი, ბებერი ხე. ეზოში ქილაღლის წვრილ-წვრილი ჩამონაჭრები ეყარა. სტამბის კართან ყოველთვის იცდიდა გადახურული მანქანა, რომელსაც აისორი მუშები ტვირთავდნენ ან ცლიდნენ. აქედან არაფრით არ ივარძობოდა, რომ

დადრემილი შენობის მიღმა სიცოცხლით სავსე ქალაქი ხმაურობდა და ამიტომ ფანჯრიდან ცქერა არავის უყვარდა.

უამიდან უამზე გამომშვები კოლია შემოაღებდა კარს, კორექტურაგავლილი კოლონები მიჰქონდა და ქრებოდა. კოლიას განუყრელი ტყავის ქუდი ეხურა, რომელზეც არავინ იცოდა რატომ. ვარსკვლავი მიემაგრებინა. გამომცემლობაში ეშინოდათ კოლიასი.

ლადოს ისე აუჭრელა თვალები დღმარჩნილმა ქართულმა და გაუთავებელმა ფორმულებმა, რომ თავი ასტიკვდა. ორი საათის განმავლობაში ოცჯერ მაინც აევსო მოთმინების ფიალა. ილაჯ-გაწყვეტილმა ისიც კი იფიქრა: ხელნაწერს ფანჯრიდან მოვისვრი და მერმე თუნდა ციხეში ჩამსვანო, მაგრამ გადახედა მაგიდებზე წახრილ ამხანაგებს და შერცხვა თავისი სულმოკლეობისა. მაია „მინერალოგის“ ვეებერთელა სახელმძღვანელოს დასტრიალებდა, სანდრო — „გეოდეზიას“, რომანოზი — „უმაღლესი მათემატიკის“ კურსს. ახლა ნაღია და პიმენი? თვალებს იწყალებდნენ ისეთი ტექსტების კორექტურაზე, რომელთა აზრიც ჩინურივით უცხო იყო მათთვის.

როგორც იქნა აშუადღდა. პიმენმა საათს დახედა, მკლავები გაშალა და ამოიქშინა:

— გაგიწყდა დამწერი! არ მოვისპე კაცი?!

მაიამ სათითაოდ შეათვალიერა სახემოდვენთილი ამხანაგები და თქვა:

„ჩვენ დამტანჯველს ღმერთი დასჯის ქაჯად გადაგვარებით“...

— ამიიინ! — წაიმღერა პიმენმა ბანით.

გაუცინათ და აიშალნენ. იწყობოდა ერთსაათიანი შესვენება. სანდრომ უჯრიდან ყველი და პური ამოიღო, კედლისკენ მიბრუნდა და ჭამა დაიწყო. სხვები სასადილოსკენ გაიკრიფნენ.

შესვენების მერმე ავტორების მიღება დაიწყო. მოდიოდნენ სხვადასხვა

პროფესიის, სამეცნიერო ხარისხისა და თანამდებობის პირები, ხელში გატენილი პორთფელები ეჭირათ და გაბღენძილი იერი ედოთ. მათი ხელთნაწერები, უმეტეს შემთხვევაში, უხეირო ქართულით იყო დაწერილი და სასტამბოდ გამართვისათვის რედაქტორებს დიდი ჯაფა სჭირდებოდათ, მაგრამ ავტორები მაინც ვერ მალავდნენ იქედნურ დამოკიდებულებას მათ მიმართ. ზურგსუკან „პედანტებს“ ეძახდნენ და ჩიოდნენ, — წვრილმანზე გვედავებიათ.

იმ დღეს, პირველი „მინერალოგის“ ავტორი, მაღალ-მაღალი და სიმპათიური ბერიკაცი მოვიდა. ზრდილობიანად მიესალმა ყველას, ჯოხი და პორთფელი სკამზე დადო და მაიას ხელზე ეამბორა. მერმე სადავო ადგილების ერთად კითხვას შეუდგნენ. მოხუცმა ყველა შენიშვნა სიამოვნებით მიიღო, თან მაიას წამდაუწყუმ „პატარა ქალბატონს“ ეძახდა. წასვლისას ერთი ფილა შოკოლადი შეუცურა ქალაღებქვეშ. მაია გაწითლდა, ფილა დაამტვრია და ამხანაგებს ჩამოვრივა.

სანდროს გეოდეზიის პროფესორი, სახედაკენილი, მოღუშული კაცი მიუჯდა. დუმილით მოუხმინა: თან აშკარად ეტყობოდა: — არ ეთანხმებოდა. ბოლოს, ხელნაწერი წამოკრიადა:

— ასე არ შეიძლება, ამხანაგო!

სანდრომ პენსე მოიხსნა, აჩქარებით დაუწყო წმენდა.

— ესე იგი?

— მე თქვენ გეუბნებით, ასე არ შეიძლება, ამხანაგო! — დამარცვლა პროფესორმა.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა სანდრომ, თუმცა სულ არ იყო გასაგები.

— ჩვენ ვმუშაობთ, დღედაღამე არ გვიძინავს, ვიღვით ქართული მეცნიერული აზრის განვითარებისათვის. აქ კი... რა გამოვიდოდა ჰეგელისათვის ვერმანული ესწორებინათ? რთულ აზრებს რთული ენა სჭირდება. დიხან!

თეიმურაზ მაღალაზარიძე
წაშრილი



სანდრო დამინაშავის ღიმილით შეს-
ტკეროდა.

— ესე იგი... მე მხოლოდ...

— ღირეტიტორთან მოვილაპარაკებ! —
თქვა პროფესორმა და წავიდა.

სანდრო დატუქსული ბავშვივით იჭ-
და და მეჩხერ ულვაშს იწიწქნიდა. იგი
კარგი მოქართული იყო, გულიანი მუ-
შაობაც სჩვეოდა. ეს ყველამ იცოდა სა-
რედაქტოროში.

ლადოს მალალი, კეფაზე თამამშვე-
ბული ახალგაზრდა გამოეცხადა. ფაფუ-
კი, გრძელთითებიანი ხელები ჰქონდა,
ჰალსტუხის მაგივრად შავი ბაბთა გაე-
კეთებინა. წიგნის ავტორები გამომცემ-
ლობაში მისვლას ძვირად კადრულობდ-
ნენ და თავიანთ მაგივრად ასისტენტს
გზავნიდნენ ხოლმე.

ასისტენტმა სრული გულგრილობით
მოსიშინა ლადოს ყველა გასწორება.

— რა მეთქმის? ჩვენი საქმე მეცნი-
ერებაა, თქვენი — მართლწერა. — გა-
ნაცხადა ბოლოს.

ამ წიგნის დასტამბვა საშური საქ-
მე იყო, ეს კარგად იცოდა ლადომ.
ახლად გამოჩეკილი მეცნიერისათვის კი,
არ ღირდა ნერვების აშლა.

— მართლწერის ცოდნა არც ისე აუ-
გი საქმეა, ბატონო, — უთხრა ლადომ.
ახალგაზრდამ შემწყყალედ გაიღიმა.

— თქვენ ნამდვილად ფილოლოგიუ-
რი გეჭენებათ დამთავრებული!

— დიახ, ბატონო.

თუ ლადო ხშირად ხმარობდა „ბატო-
ნოს“, ან დასცინოდა მოსაუბრეს, ან გაბ-
რაზებული იყო. მაიამ ყური გაიმახვილა.
სხვა რედაქტორებიც დაინტერესდნენ.

— უცნაურები ხართ ეს ფილოლო-
გები!

— რის თქმა გნებათ?

— ადამიანი სადაცაა კოსმოსში აიჭ-
რება, თქვენ კი წერტილ-მძიმესა და რა-
ღაც პირის ნიშნებს ისეთ მნიშვნელობას
ანიჭებთ, თითქო ამით წყდებოდეს სა-
ქართველოს ბედ-იღბალი.

— იქნებ ვეითხრათ, რითი წყდება?

— ტექნიზაციით, ჩემო კარგო! მო-

გეხსენებათ, რუსთაველები და ტატიშ-
ელები საარსებო პურს ვერ შექმნიდნენ!

— წავიკითხავთ რუსთაველი? — ლა-
დო უფრო და უფრო იმრიზებოდა.

— წამიკითხავს. ჯერ კიდევ სკოლაში.
იციტ, რუსთაველის ასეთი განდიდება
უფრო მოდის ბრალია. მაგალითად, აინ-
შტაინი...

— ახალგაზრდავ, მე მგონი, არ
მსჯელობთ სწორად, — რბილი ღიმი-
ლით ჩაერია რომანოზი, — ადამიანე-
ბისთვის რუსთაველი ისევე აუცილებე-
ლია, როგორც აინშტაინი. ისინი არ გა-
მორიცხებენ ერთმანეთს.

— ნება მიბოძეთ იგივე კითხვით მოგ-
მართოთ, რომლითაც წელან მე მომპარ-
თეს. წავიკითხავთ აინშტაინი? იცნობთ
მის თეორიებს?

რომანოზს ამ ოცდაათიოდე წლის წინ
ლენინგრადში ჰქონდა დამთავრებული
ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

— არ ვიცნობ, — თქვა მან ნირშე-
შცველვად.

— ასეთ შემთხვევაში, ზედმეტად მი-
მაჩნია კამათის გაგრძელება!

ფიზიკოსს გამარჯვებულის ღიმილი
გადაეფინა.

— მეც! — დაეთანხმა რომანოზი,
შუბლიდან სათვალე ჩამოიწია და ხელ-
ნაწერის კითხვა განაგრძო.

ახლა რაღაც ზუსტისა და სუსხიანის
თქმა იყო, საჭირო, მაგრამ ლადომ, რო-
გორც ხშირად ემართებოდა ხოლმე, ვე-
რაფერი მოიფიქრა.

— იცით, ბავშვობაში ლექსებს
ვთხზავდი; სხვათა შორის, არც ისე ური-
გოდ. ერთი სიტყვით, პოეტობა მიწოდ-
და, — ფიზიკოსმა მხიარულად გადახე-
და რედაქტორებს.

— კიდევ კარგი, დროზე აგეხილათ
თვალი და სამეცნიერო სარბიელი აირ-
ჩიეთ, — მიაშველა მაიამ.

— მართლაც! მართლაც! — დაეთან-
ხმა ფიზიკოსი.

მერე ისევ ლადოს მიუბრუნდა:

— თქვენ რამდენი გაქვთ ხელფასი?

მაგრამ ლადო, პასუხის ნაცვლად, რე-
ზინზე მიმაგრებულ ბაბთაში სწვდა, ჩა-

მოქაჩა და გაუშვა. ბაბთა ტყაცანით ეცა
ყელში ფიზიკოსს.

— ე რა კარგი ბანტი გქონია, შე ვე-
რანავ, შენა, არ მამყიდნი?

— მე... თქვენ არა გაქვთ უფლება...
მე...

ბუტბუტებდა და უკან-უკან იხევდა.
კარებში გვერდულად გაძვრა.

სანდროს ცხვირი მუშტში ჩაეყო და
ჩუმი ხითხითით იგუდებოდა. ნადია გა-
ფხორილი ფიქრობდა: — ეამბნა ეს ინ-
ცინდენტი დირექტორისათვის? არ ეამ-
ბნა? პიმენმა აღტაცებით შემოჰკრა ტა-
ში:

— შენ გეხუტუნე, ლადუშა, შენი
მაიამ ფურცელზე დაწერა: „გაგიყ-
დო? დირექტორთან გიჩივლებს“, — და
გადაუგდო. ლადოს ეღვებოდა. მისთ-
ვის აბსოლუტურად სულერთი იყო
უჩივლებდნენ თუ არა დირექტორთან.

რომანოზმა შუბლი მოჭმუნა:

— ნუ დაგავიწყდებთ, რომ დაწესე-
ბულებამო ვართ, ის ყმაწვილი კი, ოფი-
ციალური პირია.

რომანოზის საყვედური მოულოდნე-
ლი იყო.

— რა მექნა, ბატონო რომანოზ, ხომ
გაიგონეთ, — მთელი პოეზია თავზე
დაგვაფხრჩვა.

— ყველას აქვს უფლება საკუთარი
აზრი ჰქონდეს.

— კი ბატონო, მაგრამ მე რატომა
ვარ მოვალე მომწონდეს ეს აზრები?

— ფაქტიურად, ის ვაჟბატონი გამარ-
ჯებელი დარჩა, იცით თუ არა?

— ბატონო რომანოზ...

— ასეა! წავა და იტყვის, — გამომ-
ცემლობაში ხელივგები სხედანო.

რომანოზი უყვარდათ გამომცემლო-
ბაში. უყვარდათ წმინდა სინდისის, გულ-
კეთილობისა და სამართლიანობისათვის.
ლადომ იცოდა, — რომანოზი უბრალოდ
არასოდეს უსაყვედურებდა და მოტყადა.
თავი ჩალუნა:

— პირადად თქვენთან, ბოდიშს ვიხ-
დი, ბატონო რომანოზ.

რომანოზი შეწუხდა:

— კარგი, მამა-შვილობამ, მაგიტომ

კი არ მითქვამს.

უცებ, მაია წამოხტა, ოთახის შუა-
გულში გავიდა და ხმამაღლა გამოაცხა-
და:

— ვკითხულობ ლექსს. ავტორი თქვენ
გამოიცანით!

დაძაბულობა ხელადვე გაქრა. შვე-
ბით ამოისუნთქეს.

— შენი ჭირიმე, ისეთი არაფერი წა-
იკითხო, — უთხრა სანდრომ.

სანდროს ყველაფრისა ეშინოდა. ხში-
რად, მისი შიში კომიკურ ელფერსაც
იღებდა ხოლმე. მაიამ ამღერებულად
დაიწყო:

„ბადე ბაიდებს
ბუდე ბაიდებს
ცირა მუხლებზე გულფილტვს
დაიდებს“.

ნადიამ და პიმენმა გაცეცხილ შებე-
დეს ერთმანეთს. სანდრომ სიამოვნე-
ბისაგან ულვაშების წიწკნას მიჰყო ხე-
ლი. რომანოზს კვიპატი სხივი ჩაუდგა
თვალებში. ლადო უყურებდა მათ და
ძლივს იკავებდა სიცილს.

„უდე ბუდე
უდევს ბადე
და ბაიდებს
ობადების აბადია.“

გადაფრინდნენ, გადმოფრინდნენ,
უბინადრო ფრინველები“...

მაიას მკერდისმიერი, მოღუღუნე ხმა
ჰქონდა. თვალები მიღულა და ლექსის
რიტმს მთელი ტანით აჰყვა. რამდენიმე
წამით სრულიად გამოეთიშა სამსახუ-
რის გასაბეზრებელ, ერთფეროვან გა-
რემოს.

— დაგცინის! — ჩუმად თქვა ნა-
დიამ;

— რაა გოგო, მავ? — იყვირა პი-
მენმა.

ტაში არ იყო ერთსულოვანი. ნადია
ვერ მიხვდა, — შეიძლებოდა ასეთი
ლექსის წაკითხვა დაწესებულებაში და
ისიც მუშაობის დროს თუ არა? ეამბნა
დირექტორისათვის? არ ეამბნა?

თინათინა მალაფერიძე
წაუზრვილი



— ჩემს სტუდენტობაში ამ ლექსს ვერცო ანჯაფარიძე კითხულობდა სცენადან, — თქვა სანდრომ, — ეგპ, რა დრო იყო!

— „გადაფრინდნენ, გადმოფრინდნენ უბნადრო ფრინველებით?“ — იღიმებოდა რომანოზი, — ა? კარგია, კარგი!

ეს ორი სტრიქონი შემოდგომის მოწყენილი ღღის ასოციაციას იწვევდა. და კიდევ გაშლილ, შეყვითლებულ ველზე ხეტიალის სურვილს.

— კონცერტი დამთავრებულია! — თქვა მაიამ, — გაუმარჯოს პოეზიას!

ამ დროს, კარი ჭრიალით გაიღო. გამომცემლობის დირექტორს (ძალზე მსუქანი კაცი იყო, ხვენშით დადიოდა), უზადოდ გამოწყობილი ლავრენტი შემოჰყვა.

— როგორაა საქმე? — იკითხა დირექტორმა. ქონმოღებულ სახეზე თვალები აღარც კი უჩანდა, — შრომობთ ქართული მეცნიერების გაფურჩქნისათვის?

— სულ წინ-წინ მივექანებით, ბატონო კოტე! — დაიროხბოხა ჰიმენმა.

— აბა ჰე, თქვენ იცით!

კოტე ძველი რევოლუციონერი იყო. როგორც ამბობდნენ, თავის დროზე, ყუმბარები კონსპირატიულად გადაჰქონდა ერთი ადგილიდან მეორეზე. ამიტომ, თუმცა კაი ხანია „დროც იყო და გარემოებაც შითხზოვდა“, — ვერ უბედვდნენ პენსიაზე გადიო. თვითონ კი, აზრადაც არ მოსდიოდა აუქმებული ცხოვრება თუ შეიძლებოდა.

— დღეიდან, — გაბეზრებული კაცის ტონით დაიწყო კოტემ, — თქვენს განყოფილებას ამხანაგი ლავრენტი ბედიანი უხელმძღვანელებს, დანარჩენი თქვენ იცით!

კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ საჭიროდ არ ჩათვალა, თუ ვერ გაიხსენა, ხელი ჩაიქნია და ქშენით წავიდა კარისკენ.

ლავრენტი პირისპირ დარჩა ამხანაგების წინაშე.

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა.

ლავრენტის მოყვითალო პირველი ამოწყურული თვალები არაფერს, სრულიად არაფერს გამოხატავდა. კისერი ძველებურად უფამფალებდა საყელოში, ბეჭებშიც ძველებურად იყო ჩადრეკილი, ხეშეშა თმაც ძველებურად ჰქონდა აფშეკილი საქორჩრეზე. და მაინც, თანამშრომლების წინ სხვა ლავრენტი იდგა. სულ სხვა!

რომანოზისაგან დაიწყო და სათითაოდ ყველას ჩამოართვა დონდლო, ცივი და ლიბი მარჯვენა. თვალებში არც ერთისთვის არ შეუხედნია, სადღაც მათ მიღმა იყურებოდა. მკლავი გამეშვებული ეჭრება და რიგრიგობით აჩვენებდა თვითეულს. მერმე ოთახის შუაგულიდან ისევ მოათვალეირა სამწყსო, უსიტყვოდ, ათრეული ნაბიჯებით გაემართა კაბინეტისაკენ და განცვიფრებულთა მზერა წაიყოლა.

— ახდა. ჰიმენ, შენი წინასწარმეტყველება, — ლამის ტირილით ამოიკვნესა სანდრომ.

— შეხედე შენ! რავა დააწინაურეს, ა? — ალტაცებით თქვა ნადიამ.

მაიამ და ლადომ ერთმანეთს გადახედეს. შეუქავებელი სიცილი წასკდათ.

ასე დადგა ახალი ხანა ტექნიკური ლიტერატურის გამოცემათა რედაქციისში.

თავი VIII

საჯარო ბიბლიოთეკის ფართო დარბაზში მკითხველები აქა-იქ ისხდნენ. ოქტომბრის მიწურული იყო და ზამთრის შორეული სესიებისათვის სტუდენტობა ჯერ არ იწუხებდა თავს. თეჯირის მიღმა, ბიბლიოთეკარები საცავიდან ამოწოდებულ ლიტერატურას ახარისხებდნენ. ლადომ თმათეთრა ქალს ჰკითხა: — ხომ ვერ მეტყვით ნუცა ჩიქოვანი სად იქნებაო.

— მოვა, ბატონო, მოუცადეთ! — ჩაიდუდლუნა ქალმა, — რა გახდა ეს ნუცა, ქვეყანა რომ კითხულობს?

ლადოს გუნება მოეშხამა. თაროდან რაღაც ქურნალი აიღო და მექანიკურად დაუწყო ფურცელა.

„ვკითხავ რა ესაქმება იმ მხატვართან და მაშინვე წავალ“.

მაგრამ ეს ფიქრი იმდენად არაგულწრფელი იყო, რომ შერცხვა. ჟურნალი მიაგდო, კიბეზე დაეშვა.

ძახილმა შეაჩერა:

— ლადო, ამიგო!

ზაზა მუჯირი იყო, პოეტი.

— რა მოგივიდა? ფერი აღარ გადევს!

ლადომ უდარდელად გაუღიმა.

ახალი წიგნების სტენდთან გაჩერდნენ. ვესტიბული ცრუ მავრიტანული სტილით იყო გაწყობილი. იატაკიც მოზაიკით მოეჩითათ. მეცნიერ მუშაკთა დარბაზში შესასვლელთან რუსთაველის ქანდაკება იდგა.

— მგონი გეჩქარებოდა...

— სულაც არა! — თავისდაგასაკვირველად უპასუხა ლადომ. ახლა მას, უნდოდა რომ ნუცა გამოჩენილიყო. უნდოდა სცოდნოდა, — ააღელვებდა თუ ვერა მისი მოსვლა;

— კაი ხანია აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს, — თქვა ზაზამ, — რას შვრები, სად მოღვაწეობ?

— გამომცემლობაში. შენ?

— მე? — ზაზას გაეცინა, — მამაჩემის წყალობით ჯიბის ფული არ მაკლია და...

უბიდან გაკეცილი, ილუსტრირებული ჟურნალი ამოიღო. მთელი ერთი გვერდი, სათაურით „ახალგაზრდა პოეტები“, სხვადასხვა ავტორების ლექსებით გავესოთ.

— აი, ნახე!

ზაზას ორი ლექსიც იყო დაბეჭდილი. ლადომ კითხვა დაიწყო. ერთი ლექსი გაზაფხულზე იყო, მეორე — სიყვარულზე. ზაზა დაჟინებით ნატრულობდა ლორთქო ბალახსა და დამსკდარ კვირტებს. და კიდევ, — ქალს საყვედურობდა, — რომ შემომეფეთე და თვალებით დამჭერი, სად დაიკარგეო.

— მაგარია, — უთხრა ლადომ.

ზაზამ კუთვნილივით მიიღო ქება, ჟურნალი შეინახა.

— ახლა კინოდან მოვდივარ. „შიშის საზღაური“ გახსოვს, ანრი კლუზოს ფილმი?

— მერე?

ზაზამ ათვალწუნებით გაიღიმა.

— საბოლოოდ დავრწმუნდი, კინო არ არის ხელოვნება.

— რატომ, რა დაგიშავა?

— ადრე ძველდება, ბატონო ჩემო. ქართულ კინოზე ხომ, ლაპარაკიც ზედმეტია.

ვილაციისაგან გაგონილ ფრაზებს იმეორებდა.

— დამიჯერე, კინო მხოლოდ ფულის გაკეთების საშუალებაა, სხვა არაფერი. აი მე სადაცაა დავამთავრებ სცენარს...

— სცენარებსაც წერ?

— ამ დღეებში დამიდებენ ხელშეკრულებას.

— გამდიდრებულხარ და ეგაა.

— იცის ბიჭმა!

— აუჰ! ერთი ფეხსაცმელი მაინც მიყიდე; ხედავ? — ლადომ პირდაბჩენილი ბათინკა აუწია.

— შენ ხუმრობ და, თუ გინდა ერთად გავაკეთოთ. სიუჟეტი მოფიქრებული მაქვს, წყალი არ გაუვა. ცოტა ლიტერატურულად დავამუშავებთ და მორჩა. ორნი რომ ვიქნებით, სახალისოც კია. ჰონორარს, ცხადია, შუაზე გავიყოფთ. მეტი რა გინდა, ძმაო?

დიდი მადლობა, ჩემო ზაზა, მაგრამ გამომცემლობაში წუთს ვერ ვიცლი.

— ეე, შენცა ხარ...

— აქ რატომ მოხვედი? — სიტყვა აუკრა ლადომ, მოზებრდა უსაგნო ბეჭეტური, — განათლებას ეწაფები?

ზაზას გაეცინა.

— ერთი ქალი მყავს სანახავი.

— ვინაა?

— ვერ გეტყვი. მე, ამიგო, არ ვეკუთვნი იმათ რაცხვს, ქალების სახელის გატეხა რომ სიამოვნებთ; მალე ჩამოვალ, თუ გინდა მომიცადე.

თეიმურაზ მაღალაშვილი
წყურვილი

— კარგი, მოგიცდი, — უთხრა ლადომ.

„ამასობაში, იქნებ ნუცა მოვიდეს“...

„ზაზამ თვალი ჩაუკრა და კიბეები აირბინა.

ნუცას იტალიური ლაბადა და ძალზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. სქელი, წაბლისფერი თმის გაშლილი ბუღული ბეჭებზე ეყარა.

ახლოს, სულ ახლოს მივიდა ლადოსთან, თითქმის მიეკრა მკერდზე და მისი ხალათის ღილს დაუწყო წვალბა. რაღაც ნაზი სუნამო ჰქონდა ნასხურები.

- დიდი ხანია აქა ხარ?
- გცალია?
- თუ შენ გინდა, კი.
- წავიდეთ.
- ახლა?

ნუცა ოდნავ შეეყოყმანდა.

— მთელი დღე გაპარული ვარ. მომკლავენ.

მაშინვე დაუმატა:

- თუმცა... რაც იქნება, იქნება!
- ლადომ კიბეს აპხედა. ზაზა მუჯირი არ ჩანდა.

რუსთაველის პროსპექტი გადაჭრეს და ბესიკის აღმართს შეუყვანენ. აქეთ ქუჩები ვიწრო, დახლართული და ჩაბნელებული იყო. შავი ღრუბლებით წვარავნილი ზეცა დასწოლოდა ქალაქს. ნუცა ფრთხილად მიაბიჯებდა, ეშინოდა ქვაფენილზე ფეხი არ გადაბრუნებოდა. უნდოდა ლადოსთვის ეთქვა, — აგრე სწრაფად ნუ მიდიხარო, მაგრამ სიჩუმის დარღვევა ეკრძალებოდა.

- გაბრაზებული ხარ? — ჰკითხა ბოლოს შემბარავად.
- ჰო!
- ჩემზე?
- საკუთარ თავზე.
- არ გინდა, ლადო! ისეთი ბედნიერი ვარ, რომ მოხვედი... ისეთი ბედნიერი...

როგორღაც სხვანაირად, ქალაქური კილოთი უქცევდა ქართულს, ფრანგულივით ცხვირში დუღდუნებდა. ლადოს

სტანჯავდა არაბუნებრივობის სტანჯვა.

— ზაზა მუჯირს იცნობ? — აჯახა მოულოდნელად.

- ვიცნობ...
- მომილოცავს!
- რას მილოცავ? — ვერ მიხვდა ნუცა.

— თაყვანისმცემელთა რიგების ზრდას.

- ფუჰ, იდიოტი!
- რატომ, კარგი ბიჭია?! გენიალურ ლექსებს წერს.

— მაგისტანა უთავმოყვარო არავინ შემხვედრია. ათასჯერ დავითხოვე და მაინც...

- ესე იგი, მალმალე ნახულობ? ნუცა შედგა, დიდ ხანს უყურებდა ჩამუქებული თვალებით.
- ეჭვიანობ?

ლადოს დაუნდობლად შოლტავდა სურვილისა და ზიზღის მათრახი.

— იცოდე, შენ გეკუთვნი ლადო. სხვას არავის, — მდუღარედ აჩურჩულდა ნუცა. — მხოლოდ შენ!

- მომცილდი!
- ქალი შეშინდა:
- რა მოგდის?!

— სხვას არავის, ა? — მკლავებში წაეტანა, შეაჯანჯლარა, — მაშ ის მხატვარი ვიღაა?! ზაზა მუჯირი ვიღაა? თქვი, ხმა ამოიღე!

ნუცამ დაიკვნესა.
— შენი ბრალია, — ამბობდა ცრემლების ყლაპვით. — გადაიკარგე სენთში, აღარც წერილი მომწერე, აღარც არაფერი...

- მე მამბრალე? მე?
- რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა ამ ქალს, სხვა არაფერი უნდოდა ახლა.
- პატარა ბაღში საბა ორბელიანის მკრთალად განათებული ძეგლი იდგა: ჩაფიქრებული დასცქეროდა ეტრატს. სიჩუმე მტანჯველად გაიწელა.
- მომკალი... — აღმოხდა ნუცას, — ან მამატე!

— არ შემიძლია! — მოსჭრა ლადომ. ლადმართზე თავისუფალი ტაქსი გამო-

ჩნდა, მათ რომ დაუახლოვდა, სვლას უკლო, ლადომ ხელი დაუქნია, გააჩერა და კარი გამოაღო.

— წადი!

ნუცამ დაბინდული მზერა უსწორა, მერმე სწრაფად ჩაჯდა, კარი მიიჯახუნა და მანქანა მოწყდა ადგილიდან.

მარტო დარჩა თუ არა, თვლები ამოიწმინდა, თმა შეივარცხნა.

„სად წავიდე? რა ვქნა?!“...

სამსახურში მიბრუნებას სიკვდილი ერჩია. არც შინისაკენ მიუწყევდა გული. იღბლოდ, მათა გაახსენდა...

— საით? — ჰკითხა შოფერმა, როცა მანქანა რუსთაველზე ჩასრიალდა.

— კამოს ქუჩა, — უპასუხა ნუცამ.

ტაქსმა მარჯანიშვილის თეატრთან შეუხვია, ცოტაც გაიარა და მალალ სახლთან გაჩერდა. ნუცამ წინდაწინვე მომზადებული ფული მიაჩეჩა შოფერს, გადმოვიდა, ბნელ სადარბაზოს მიაშურა, მაგრამ ვიღაც მთვრალს პირისპირ შეეჩეხა და შემკრთალმა დაუთმო გზა. მთვრალი ოდნავ ურევდა ნაბიჯს, საყვლოწამოწეული ტყავის კურტაკი ეცვა. ტროტუარზე გამოვიდა, ჰადარს მიეყრდნო და ქუჩას გახედა, ნუცამ ახლად იცნო ბიძინა მიქელაძე და უნებლიედ შედგა.

„მაიასგან მოდის“...

ამ ფიქრმა საშინლად გაუძლიერა მიუსაფრობის მწვევე ტკივილი. ნუგეში უნდოდა, მოფერება და თბილი სიტყვა უნდოდა. უნდოდა რაიმე მძაფრი, თუნდაც მტანჯველი, განეცადა.

— ბიძინა!

ბიძინამ ნელა მოაბრუნა თავი, ქალი თავიდან ფეხებამდე ჩაათვალეირა და ნაცნობი, ირონიული ღიმილი გაუკრთა.

— აა, თქვენ ბრძანდებით?

— მაიასთან იყავი?

— ბიძინა მოიღუშა:

— დაკითხვავა?

— არა, ისე...

— გახლდი, ძვირფასო.

— როგორ არის?

— კარგად, გმადლობთ. თქვენ როგორ?

— გმადლობთ, მეც არა მიშავს რა. თქვენ?

ბიძინამ ხრინწინად გაიცინა. ლაპარაკის დროს სიმთვრალე თითქმის არ ეტყობოდა.

— ეე, ჩემო ნუცა, როგორ ვიქნები? „სატრფომ კარი მიმიხურა, აღარ მიმიღო“, მიააშ!

— ერთ ბედქვეშ ვყოფილვართ, ბატონო ბიძინა.

— შენც მოგიხურეს? — წამოიძახა ბიძინამ, — გამაგიყებ! ახლა არ მითხრა, ლადომო...

ნუცას მწარედ გაეღიმა:

— სხვას ვის გავაბედვინებდი? ხომ იცი, მარტო ლადოს ვერ ვუხებრებ ვერაფერს.

— სულელია ლადო! შენისთანა გოგოს კარს მიუხებრავენ?

— შენ ეგა თქვი! — ისე უპასუხა ნუცამ, აგრძნობინა: — მიგიხვდი ირონიასო.

— მაიასთან მიდიოდი?

— არა, სახლში!

ახლა მაიასთან ასვლას, ბიძინასთან დარჩენა ერჩივნა.

— იქნებ ასულიყავი, ა? უსტარს გაგატანდი. იცი, როგორ ბოლოვდება? როგორც ერთ ძველ კომედიაში: „გწერს შენგან გულდამწვარი ვანუა“.

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ბიძინა მაიას მისამართით ირონიას არ ერიდებოდა. „ა, განელებულა ხანძარი“, — გაიფიქრა ნუცამ და ესიაშოვნა.

— ვითომ მართლა არ იყო გულდამწვარი!

— საკუთარ დამწვარს მიხედ, ძვირფასო! — ბიძინამ ლოყაზე მოუცაცუნა თითები.

— მაინც, რა გავიხდა ეს მაია? ქალი დაილია ქვეყანაზე? — ხელი გამოსღო, — წავიდეთ, წავიდეთ!

ჩაუარეს მარჯანიშვილის თეატრს,

თეიმურაზ მალაფერიძე
წყურვილი



„წიგნის პალატასთან“ ქუჩა გადაჭრეს და ვერის ხიდზე გავიდნენ.

— მე რომ კაცი ვყოფილიყავი, აზრად არ მომივიდოდა მაიას შეყვარება.

— ოჰო! ეს იუმორია?

— ცხადია! ცხადია! — მაშინვე უპასუხა ნუცამ და ნათქვამი მიაფუჩქია, — მოდი, იცი რა ვქნათ? ჩემთან ავიდეთ. ყავას მოვადუღებ.

ბიძინამ გამომცდელად შეხედა. ნუცამ გაუძლო მის გამსჭვალავ მზერას.

— შენთან? — ფრთხილი, ალესილი ხმით ჩაეკითხა.

— ჰო, ჩემთან.

თავი IX

მარმარილოს დაფას ალაგ-ალაგ გადაშორებოდა წარწერა. საფლავის კუთხეებთან ხმელ კაჭაჭებს ამოეყო თავი.

„უნდა შევაკეთებინო“... — გაიფიქრა პეტრემ.

თერთად შეღებულ რკინის რიკულებსა და მარმარილოს ობელისკების მიღმა მოჩანდა ნაცრისფერი გორაკები, ცივი მზით განათებული ხეული გზა და წყნეთის მიდამოები.

თამარის გვერდით, ერთი საფლავის ადგილი იყო დარჩენილი. ეს — თავისთვის დაიტოვა პეტრემ. ყოველთვის, როცა აქ ამოდიოდა, საფლავად გასაჭრელი მიწა შიშს უნერგავდა. დამამცირებელ, მტანჯველ შიშს.

საიდანღაც მესაფლავე ამირანა მოვიდა. ცოტა ნასუამი იყო, ლაპარაკის სადღერდელი ჰქონდა აშლილი.

— დაჯექი, ამირან, — უთხრა პეტრემ, — დაისვენე.

— როცა სულ დავისვენებ, ის არ მეყოფა? რა დასვენება მინდა?

წასვლას აყოვნებდა. „პრიმა“ ამოიღო, გააბოლა:

— ბიძავ, გადასაკრავის ფულს ვერ მამცემ? მაღლია!

პეტრემ მაშინვე მისცა.

— აი, იცოცხლე. ხო იცი, ამ საფ-

ლავს ისე ვუვლი, როგორც საკრებულის შვილებს.

— რამდენი გყავს? — ჰკითხა ლადომ.

ამირანამ გვერდულად ჩაიღიმა.

— მე შვილი ვინ მამაობრა? ისე ვთქვი, სიტყვის მასალად.

ბილიკს ჩაჰყვა. ლადომ პალტო გადაიძრო, ხმელი ბალახების შეგროვება დაიწყო. ღონიერი ბექები ცხადად ენაკვებოდა ხალათში. პეტრე უყურებდა მის ფართო მხრებსა და მაგარ ქედს და გული სიამაყით ევსებოდა. აქ, სადაც ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი ბუდობდა. განსაკუთრებით სიამოვნებდა, რომ სიცოცხლითა და ჯანით სავსე ნაშიერი ედგა გვერდით. თავისდაუნებურად გაიწოდა ხელი, მკვრივ ბექებზე მოუთათუნა.

— რა იყო?

— არაფერი, შვილო, არაფერი.

ლადოს გული ეტკინა. როგორღაც უძლური დაჩაჩანაკებული მოეჩვენა მამა. პეტრეს არ გამოჰპარვია შვილის მზერა, გაეღიმა.

— დაბერდაო, ფიქრობ; არა?

— საიდან მოიტანე? — ლადო გაწითლდა.

— ნუ გეშინია, ერთ გაფრენას კიდეც გავფრინდები.

— დაიწყე ახლა ტრაბახი, — შეფარული ალერსით უთხრა ლადომ, — მოხუციდი, მორჩა და გათავდა!

— ჰო, შვილო, მართალი ხარ, — ამოიოხრა პეტრემ, — აღარ არის დრო, თუ?

თამარის სურათს ისეთი ცოცხალი გამომეტყველება ჰქონდა, პეტრეს წამით მოეჩვენა, — საუბარში ჩამოგვერევაო. კვლავ მოეძალა სიკვდილზე ფიქრი, თვალი აღმაცურად გააპარა მომლოდინე მიწისაკენ: „რა წერას ატანილივითა ხარ დღეს? სულ კი ნუ დალაჩრდები, ბებერო?“ — შეუწყრა საკუთარ თავს.

— წავიდეთ!

ნაცრისფერი დაჰკრავდა სახეზე, ტუჩებიც ჩასტეტკოდა. ლადო ატყობდა, — ვერ იყო მამა კარგად, მაგრამ თქმას მო-

ერობა. პირიქით, ბაღში გავლა სთხოვა. იმედოვნებდა, — გადაუვლისო.

სასაფლაოს ჭიშკრიდან გამოვიდნენ. ქუჩა გადაჭრეს და იმ გზაზე შეუხვიეს, რომელიც ვაკის პარკში შედიოდა.

ფერდობს წყავის ბუჩქები, ჯახველისა და ფშატის გაძარცვული ხეები შეჭფენოდა. მოცისფრო ნისლში მოჩანდა დიდი ქალაქი და ტელევიზორის ანძიანი მთაწმინდის ცალი გვერდი.

პეტრე ფიქრობდა: — „ნეტა ლაღო მანახა საბოლოოდ გზაზე დამდგარი და მერმე მოვიდეს სიკვდილი, აღარა ვჩივი“...

შადრევანთან სკამზე ჩამოსხდნენ. ლაღო შექმუხნულ შუბლზე ატყობდა მამას, — უამური ფიქრებით იყო მოცული:

— მიჭირს უღედაშენოდ, — ჩილაპარაკა პეტრემ, — ეხლა უფრო მიჭირს.

სევდიანად გაუღიმა:

— შენ ვერ გამიგებ...
— მესმის, — უთხრა ლაღომ, თუმცა ბოლომდე მართლა არ ესმოდა.

— არა, ვერ გამიგებ! კაცი რომ მოხუცდება, მაშინ ყველაზე მეტად უნდა მეგობარი.

მზერა შორეთისათვის გაეშტერებინა, თითქო საკუთარ თავს ესაუბრებო. უცნაურად მეტყველი თვალები ჰქონდა: — დიდრონი, კილოებგაზიდული, წყლიანი. საფეთქლებამდე გადაშვილდულ წარბებქვემოდან ხან ბალღური გულუბრყვილობითა და სიკეთით იცქირებოდა. ხანაც ფარული სევდა გამოუკრთოდა ხოლმე. ზამთარ-ზაფხულ უქუდოდ დადიოდა და ქაღარა. ხვეული თმა ვაჟკაცურ იერს ჰმატებდა.

ლაღოს ხიბლავდა მამის მკერდისმიერი, თბილი, ხმა, დინჯი საუბარი და ქეშმარიტი დარბაისლობა.

„ნეტა როგორი ვიქნები მის ასაკში?“ — ფიქრობდა ზოგჯერ.

შადრევნის გაღმა, მერვე თუ მეცხრე კლასელი ბიჭები ლახტს თამაშობდნენ. ერთნი წრეში დარბობდნენ, მეორენი კი — ყოყინითა და ხარხარით დაუზოგავად უეაპუნებდნენ კანჭებში ქამრებს.

მოულოდნელად, მილიციელი გამოჩნდა, დაერია ბიჭებს. მათ ძლივს მოასწრეს პალტოების სკამიდან წამოკრეფა და სტვენს-სტვენით მიმოიფანტნენ ხეივანში. ლაღომ სინანულით გააყოლა თვალი.

— ნეტა სკოლაში ვმუშაობდე, — თქვა ჩუმად.

— მოგებზრდა გამომცემლობა?
— ძალიან.

— მოუსვენარი ჯეელი ხარ!
— გამომცემლობაში მუშაობა საჩემო საქმე არ არის, მამა;

— მასწავლებლობა საშენოა?
— მგონი, — კი!

პენსიაში გასვლამდე, პეტრე, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. მოწაფეები აღმერთებდნენ. ეს იცოდა ლაღომ და გულში შენატროდა.

— დიდი ტვირთია, შვილო, — თქვა პეტრემ.

— ვიცი.

— ყველა ვერ შეიძლებს მასწავლებლობას. მასწავლებლად უნდა დაიბადო.

— არ ვიყავი ცუდი მასწავლებელი, — ჩაილაპარაკა ლაღომ.

— მაგას ვინ გეუბნება, მაგარამ...
— ?!

— ახლა შენთვის სხვაა მთავარი. ლაღო ვერ მიუხვდა.

— რას ფიქრობ ოჯახზე? ა?
არ ელოდა ამ კითხვას, უხერხულად აიწურა.

— გგონია, არ გჭირდება მეგობარი? ოჯახური სიტბო?

— ეეჰ, მამაჩემო...

— შეილიშვილს მომასწარი, ბიჭო! ლაღო გაფითრდა. ძლივსლა მოიბრუნა ენა:

— ქეთუს შემდეგ?!

პეტრემ ენანა საუბრის წამოწყება, მაგრამ უკან დახევა აღარ ივარგებდა.

— ის მაინც მითხარი, რას აპირებ?
— დაბნეული ვარ, მამა. უცნაურად

თეიმურაზ მაღლავერიძე
ფურცელი

აირია ყველაფერი. სვანეთში იმიტომ წავედი, რომ გამეგო ვინ ვიყავი და რა შემეძლო. თითქოს გავიგე კიდევ, მაგრამ ძალა ბოლომდე აღარ მეყო და პავროში გამოვიდული დავრჩი.

— მაგას ნუ იტყვი, შვილო.

— რით მოვირეცხო დანაშაული? ქალი მომენდო, წამომყვა, მე კი შუა გზაზე მივატოვე.

— კი არ მიატოვე, მიგატოვებინეს!

— ეგ სულერთია! რა მინდოდა, აქეთ რომ მოვდიოდი? რატომ არ მივბრუნდი უკან? შემეშინდა? ეს არის, რომ მაწამებს და ვერ მომინელებია.

— უაზროდ დაილუპებოდი!

— ზოგჯერ უაზრო სიყვდილი სჯობია აზრიანს! — ლაღოს სახეზე შესაბრაღოსი იერი დაედო, — ახლა? მეუბნები ოჯახს მოეკიდო...

— აბა რა უნდა ჰქნა?

— მეც მაგას ვჩივი, — რა უნდა გქნა? სიცოცხლემ თითქო აზრი დაჰკარგა, მამა; ეს მაშინებს ყველაზე მეტად...

— სცდები! ცხოვრებაში საინტერესოს რა გამოიღვეს?

— ქეთუს დავიწყება არ შემიძლია;

— ქეთუა შენი სიცოცხლის აზრი? გაჩუმდნენ.

სუსტი მზით განათებულ ბებერი ტირიფების ხეივანში ახალგაზრდა ქალი ჩვილ ბავშვს დაასეირნებდა.

— სიცოცხლის აზრი, — ჩაფიქრებით თქვა პეტრემ, — კაცმა რომ თქვას, რაშია სიცოცხლის აზრი? იქნებ ერთადერთი აზრი ის არის, რომ დაიბადო, შთამომავლობა დატოვო და მოკვდე?

— არ ვიცი... — მიუგო ლადომ.

— ან იქნებ შემოქმედებაა სიცოცხლის აზრი?

— არ ვიცი...

— იქნებ სიყვარულია ყველაფრის აზრი და საფუძველი?

— არ ვიცი...

— ანდა, იქნებ სიცოცხლის აზრი ძებნასა და ვერ მიკვლევაშია? იქნებ ძებნაა მთავარი?

— არ ვიცი, არა!

საღამოს ქალაქი ცივ ბურუსში გაეხვია. ისმოდა საწვიმარ ღარებში ჩამონადენი წყლის გამაბეზრებელი შხაპუნის ამინდმა უგუნებობა გაუძლიერა პეტრეს. თითქო რაღაც წინათგრძნობით აყვანილი იღვა ფანჯარასთან, გაჰყურებდა ერთადერთი ნათურით აბუქტებულ ეზოს და გულზე ნაღველი აწეებოდა. ლადომ მზრუნველად შემოახვია ბეჭებზე დაბამული ქურთუკი, მაგრამ პეტრემ მაინც ვერ გათბა და ოთახში ბოღის ცემას მოჰყვა.

აივნებიან, ძველისძველ სახლში ვერაინ დაიტრაბახებდა საცხოვრებლის ხალვათობას. იაშვილების სამყოფი ორი პატარა ოთახისა და საკუჭნაოსაგან შედგებოდა. ხეებით დაბურული ქუჩის გადასყურე ოთახი საძინებლად იყო განკუთვნილი. ადამის უამინდელი კაკლის ხის საწოლები გვერდიგვერდ იდგა. ოდესღაც, ისინი თამარს და პეტრეს ეკუთვნოდა, ახლა კი მამა-შვილი იწვნენ. აქვე იყო მოდიდან გამოსული, სარკიანი ტუალეტი, მოუხეშავი ტანსაცმლის კარადა და ხალიჩაგადაფარებული ტახტი, რომლის ზემოთაც თამარის მოზრდილი ფოტო ეკიდა. თამარი სათნო ღიმილით ადევნებდა თვალს ქმარ-შვილის ყოველდღიურ ცხოვრებას. ერთადერთი, შედარებით ახალი ნივთი ამ ოთახში რადიოლა იყო. მის გვერდით ეწყო გრამფირფიტების ვეებერთელა დასტა — უმთავრესად კლასიკური და ხალხური მუსიკის ჩანაწერებით. მეორე ოთახი, რომლის კარიც საერთო აივანზე გამოდიოდა, „მისალეზა და სამუშაო“ იყო. მუხის უზარმაზარ

რი საწერი მაგიდა, მონჯღრეული სავარ-
ძლები და მთელი კედლის გამწვდენი,
წიგნებით დატვირთული თაროები შეა-
დგენდა ამ ოთახის ავეჯს. საწერი მაგი-
დის თავზე მწყემსის ქუდიანი ვაჟა-
ფშაველას პორტრეტი ეკიდა, ხოლო მო-
პირდაპირე კედელზე—ფიროსმანაშვი-
ლის ორიგინალი — „კრუბი და წიწი-
ლები“. ეს სურათი პეტრეს ოცდაათიან
წლებში ვილაც მდებარეობდა ჰქონდა
ნაყიდი. მამა-შვილი ისე იყვნენ შეჩვე-
ული თუ შეთვისებული ამ სურათს, რომ
ოჯახის განუყრელ ნაწილად აღიქვამდ-
ნენ.

მათ ნამდვილ სიამაყეს მაინც ბიბლი-
ოთეკა შეადგენდა. წიგნები დიდი სიფ-
რთხილითა და გემოვნებით ჰქონდათ შე-
რჩეული. „შემთხვევითი“ ავტორი თა-
რობებზე ვერ გაიჭაჭანებდა. პეტრეს და
ლადოს საათობით შეეძლოთ ეცქირნათ
წიგნებისათვის და თვითულ მათგანზე
ისეთი გატაცებით ელაპარაკნათ, რომ
მსმენელს ეგონებოდა ცოცხალ, სისხლ-
ხორციით სავსე ადამიანებზე საუბრობე-
ნო.

აი, ეს იყო ბინის მთელი მორთულო-
ბა. საერთოდ, მთელ სახლში ყველაფე-
რი ისეთი წესითა და რიგით ელაგა, რო-
გორც ლადოს დაბადებამდე იყო. პეტ-
რეს არ უყვარდა შეჩვეული ინტერი-
ერის გამოცეკვა. იქნებ, სწორედ ამის
გამო, იაშვილების ოჯახს ძველი, ტრა-
დიციულ ოჯახებისათვის დამახასიათე-
ბელი ელფერი ჰქონდა.

პეტრემ დაკვირვებით ჩაათვალიერა
წიგნების რიგი. მაგრამ ახალს საინტე-
რესოს ვერაფერს მიაგნო. მერმე მუსი-
კის დაკვრა სცადა; არც ეს გამოუვიდა.
ბგერები, როგორღაც ვერ აღწევდნენ
სულამდე. განუწყვეტლივ აჟრიალებდა
და ისევ ლოგინში ჩაწოლა ამჯობინა. ლა-
დო შემკრთალი უყურებდა, თუმცა ხმა-

მალა არაფერი უთქვამს. საკუჭნაოში
გაზი აანთო და ჩაიდანი შედგა. ცხელი
ჩაი მოუხდებოდა პეტრეს. მერმე წიგ-
ნით ხელში ტახტზე მოიკალათა. პეტრემ
კედლისაკენ ააცურა მზერა, მეუღლის
პორტრეტს მიაჩერდა. უცებ იგრძნო,
რომ საშინლად იყო დაღლილი. დაღლი-
ლი იყო სულთ — ხორცამდე. „რას
იზამს ლადო უჩემოდ? სწორედ ახლა
უნდა მხარში ამოდგომა... სწორედ
ახლა“...

ლადო ჩაპყურებდა ეკზიუპერის „ადა-
მიანთა მიწას“, მაგრამ ტეხილი, ოკრო-
ბოკრო ხაზების მეტს ვერაფერს ხედავ-
და. მამისაკენ გაუბრბოდა ფიქრი.

— შვილო...

წამოხტა, მიეახლა.

— მითხარი რამე, მელაპარაკე...

ლადო ასეთ ღროს ყოველთვის იბნე-
ოდა ხოლმე.

— კაი ხანია, შენი აღარაფერი წამი-
კითხავს.

— ემუშაობ, მამა.

— ახალია?

— ჰო.

— მაჩვენე.

— ჯერ არ დამიმთავრებია.

— ხომ იცი, ლადო, ლიტერატურუ-
ლი ვარჯიშობის ასაკმა გაიარა. ახლა თუ
რამეს გააკეთებ, ნამდვილი უნდა გაა-
კეთო. არა და...

— ვიცი.

— ლიტერატურა გაბედვაც არის! მა-
გრამ უპირველესად მაინც შრომაა, უჯი-
ათი შრომა!

— მე შრომას არ გავუბრბივარ.

— არც უნდა გაუბრბოდე, თუ გინდა,
საკუთარი თავის რწმენა არ დაჰკარგო!
— პეტრემ ნაღვლიანი თვალებით შეხე-

თეიმურაზ მაღალაშვილი
ყუარყული

და, — აი, მე იმითმ დაფიანაკლო, რომ სკოლა მივატოვე. არ უნდა გავსულიყავი პენსიაზე. შრომა არ მლლიდა, პირიქით, ძალას და ხალისს მმატებდა.

ლადოს გაუხარდა, საუბარმა რომ კალაოტი იცვალა.

— რომ დაბრუნდე სკოლაში?

პეტრემ ხელი ჩაიქნია:

— სადღა შემიძლია? გარდა ამისა, ჩემს ადგილას უკვე სხვა მუშაობს.

— სამინისტროში რომ ითხოვო?

— არა! მე ჩემი მოვითავე. ახლა ისღა დამრჩენია, მშვიდად ვუცადო სიკვდილს. აი, შენთვის კი, მივალ მინისტრთან. იქნებ გადაგიყვანონ სკოლაში.

— ნუ ლაპარაკობ, მამა, სიკვდილზე.

— მაპატიე, შეილო. — პეტრემ შესცინა, — წინათგრძნობაა ალბათ. თანაც არ დაგიმალავე. მეშინია.

ლადომ მხრები აიჩეჩა.

— არ გესმის, ხომ? დრო მოგვითხოვს. გეგბ. გმირად იმას კი ნუ ჩათვლ, ვისაც სიკვდილისა არ ეშინია. ის სულელია. გმირი ისაა, ვისაც შეუძლია სიკვდილის შიში დასძლიოს.

ლადო ფეჭრში ეთანხმებოდა მამას. მაგრამ მაინც არ უნდოდა ამ თემაზე ლაპარაკის გაგრძელება.

— ჩაი ადულდებოდა. — თქვა და საკუჭნაოში გავიდა.

როცა შემობრუნდა, პეტრე პირდაპირ ჩამხობილი დახვდა.

— მამა! — შესძახა დაზაფრულმა.

— ო...

პეტრემ თავს ძალა დაატანა, აიხედა. გატანჯული სახე ჰქონდა.

— ცუდად ხარ?

— გულმა დამკრა...

ქუჩიდან ისმოდა წვიმის გამაბეზრებელი თხრაშუნი.

გაგრძელება იქნება



ქუნთი

ქათინო კვინგაძე

ბ ა გ ა ფ ხ უ ლ ი

გადაუღებლად თქორი და თქორი, ვეღარ დაიხსნეს თავი ქედებმა,
ებლაუჭება შიშით ხრიოკებს ღორღი და ღვარი გზაში ბერდება.
წინსაფრებივით შერჩენილ ზამთარს მთები ლუმპავენ ფერშეცვლის ზაფრით
და გულზე ივლებს ბურნიან ღვართქაფს მდინარე სევის პირთეთრი ჩაფით.
კარწახა ბიჭი მუხლამდე წყალში სიცივეს ითმენს და ფაცერს მართავს,
შეპყიუნებენ სოფლის ბავშვები დაჭერილ თევზს და გაქცეულ ზამთარს.

ბ უ რ ვ ე ლ ა *

მე გამოვგზავნე შენთან ბურველა,
აღბათ ჰკიდია სადმე სახურავს,
ჩემი ამბორი მოაქვს წყურვილად,
(ყველა ინგილო თუ დააპურა?)

მომიგდო თმენა, ეშმაკის კერძი,
წარსული, შიშით დახავსებული.

ბურველა, ჩემი სურვილის თერძი,
მტერსამტრო ძაფით ტანავსებული,

მე გამოვგზავნე შენთან ბურველა,
ჩემი ამბორი მოაქვს წყურვილად,
აღბათ ჰკიდია სადმე სახურავს,
მიიპატიე მამა-პაპურად.

ჯერ უნდა შენს მზეს თვალი გავუსწორო.
ღამე ვაღამო და დღია ვადილო,
თქვან: შეპყვარებია
ღვთისმშობლის ერთაო
და ამის გამხელა
ვერ გაუბედაო.
მერე ჩუმაღ ვენთო,

* ბურველა — ინგილოურად ობობაა.


გულში ჩავიღვენთ
შენი მზე, საღმერთო.
დარდი სატიალო
ხმალზე ვატრიალო.
ჰანგი — ვადილა და დილა ვადილაო.
მერე შენ, ჩემს ერთას,
ყველა შვილის ერთას,
ღვთისმშობელის ერთას,
ყოვლის დამვიწყები
და ყოვლის დამთმობი
გულხელს დავიკრებ და
მოგენდობი.

ვგრძნობ, მოიქცევა ქარი ამაღამ
და ფეხქვეშ ნაქვერ ფოთოლს გაიფენს,
გამოიცილიან ჭოტნი არაქათს.

ამოწრიტავენ ღამეს ბუები,
მოიდრიკება ყანები ველად
ნიავის ხელით ანაფუები...

მზე გამოსცურავს ბურანს მხარულით,
მოვა ჩრდილები ჩემს სასთუმალთან
ცისკრის სინათლით და სიხარულით.

საღამოსას თვალთა საყდარს ვიშუქებ შენით
და ზარნიშებში დაცოცავენ ფიქრის თითები.
შენ ხარ ბომონი,
ჩოქვად დასულ მუხლებს ვეყრდნობი
და შენს ტერფთა ქვეშ
დაუზოგველ ლოცვად ვინთები.
მოგართმევ შემკრთალ, მოკრძალებით ანათრთოლ თითებს,
ვედრებებს თითოდ
რგოლებივით ვირკალავ ყელზე,
დამწდარ სისხლძარღვებს იმედების ბუჯერში ვითბობ
და თავდახრილი გამოვდივარ
გუმანის გზებზე.



ისევ გავიდა გლუხიკაცი
 ყრ.რნისფერ ხნულში
 და ფეხშიშველი შეუერთდა
 ძახილს მიწისას,
 მერე კი კალთა ამოივსო
 სიმინდის მარცვლით
 და მშიერ მიწას
 საკენკივით გადაუყარა...
 მოშუადღევდა,
 აყვავებულ ვაშლის ქვეშ დაჯდა
 და მოიყუდა ღვინობისთვე
 სველი ხელადით...
 მერე ბინდამდე დადიოდა
 ყორნისფერ ხნულში
 საგაზაფხულო თესვის სიმღერა...

დ ე ღ ა

ეს კვირაძალიც მიიღია,
 ძვირფასო ჩემო,
 დათოხარიკობს ნახნავებში
 გიორგობისთვე
 და კრამიტები
 მიმწუხრის ცრემლს ვერ იკაგებენ.
 წვიმს, დედაჩემო,
 ზამთრის პირზე სხვა რა იქნება?!
 მე კი ქალაქის
 ტინისწამლები ხმაურის შემდეგ
 ვიცი, ამაღამ დამესიზმრება
 თბილი გომური
 და ჩვენი ფური როგორ ლოკავს
 ბოჩოლას თვალებს...

თავდავიწყებით მღეროდა თოვლი,
 მთელ ღამეს თრთოდა ეჭო სიმღერის,
 უსპეტაკესმა სითეთრემ ყოვლის
 კვლავ დაუბრუნა ქალაქს იერი.

მეც ვუბრუნდები სიმშვიდის წიადს,
მეც მივატოვე სისუსტე კაცთა
და მავიწყდება ის, რასაც ჰქვია
აუხდენელი სურვილის განცდა...

მოედო ქალაქს, როგორც ნუგეში,
გამყუჩებელი ტკივილის ყოვლის
და მთელი დამე მყუდრო ქუჩებში
თავდავიწყებით მდეროდა თოვლი...

წვიმდა, წვიმდა, წვიმდა კახეთს,
თამბაქოსფერ ნისლში თვლემდა
ახმეტა. და ალაზნის ველს
ლურჯ სიზმარში დაათენდა.

გოგო სჭრიდა ნაწვიმარ ველს,
წვიმა უკენკავდა კალთას
და ტყისაკენ ციცქნა კრავებს
ღრუბელივით მირეკავდა.

გადიარა წვიმამ ბონდი,
მერე სულაც გადაიღო...
ზღაპარ-ზღაპარ მოვდიოდით,
ო, რა კარგი ზღაპარ იყო...

ფ რ ა ბ მ ე ნ ტ ი

ისე უეცრად მიეცა ფასი
წიგნის ფურცლებში მივიწყებულ
მინდვრის ყვავილებს —
აივსო ჩემი მყუდრო ჭერი ტყეების
სუნით,

მშვიდი შრიალით,
ვრცელი მინდვრებით,
რომელთა თავზე დაფარფატებს
კოპლებიანი ჩითის კაბა
და თეთრი,
თეთრი,
თეთრი თიკანი...



საქართველო

გიორგი აპოლინერი

გიორგი აპოლინერით იწყება XX საუკუნის ფრანგული პოეზია. თავისი წინამორბედების ვერლენის, ლოტრემონის, უერმენ ნუვოს და განსაკუთრებით რემბოს ტრადიციებზე აღზრდილმა აპოლინერმა შესძლო XX საუკ. რთულ პრობლემებს გამომხატებოდა. იგი არის ფრანგული პოეზიის განმაახლებელი, მან დაუბრუნა პოეზია ცხოვრებას. გაულო კარი ე. წ. „ცხოვრებისეულ პროზას, ხელი შეუწყო ლირიკული ეპოსის განვითარებას, თავი დააღწია სიმბოლისტიკისათვის ღამახასიათებელ ლექსიკურ და რიტმულ ბორკილებს და გაამდიდრა ლექსი ასოციაციური აზროვნებით, არამწიგნობრული ცოცხალი სიტყვით, რიტმით, ინტონაციით. აპოლინერმა უარი თქვა ლექსის პუნქტუაციაზე, რადგან მისი აზრით „ნამდვილი პუნქტუაცია რიტმი და ლექსის პაუზაა.“

პოემა „ზონა“ დაწერილია 1912 წელს, როდესაც მის შემოქმედებაში რევოლუციური ტენდენციები გაძლიერდა.

გ მ ნ ა*

ძველმა ქვეყანამ მოგაბეზრა მოქანცულს თავი

ო მწყემსის ქალო ეიფელო დილა გათენდა მრავალი ხიდი
ჯოგოვით ბღავის

რომაელთა და ბერძენთა შორის ანტიურობა მოგეკიდა
ტანზე ობივით

აქ თითქოს დროსა და საუკუნეს ჩამორჩენია ავტომობილი
დროს არ ჩამორჩა მხოლოდ იესო მხოლოდ იესოს შერჩა
ვასალი

ისევ ქრისტეა და უბრალოა აერთოპორტის ანგარასავით

ქრისტიანობაე დღეს ეგროპაში შენ დარჩი ხავსით
დაუფარავი

და შენზე უფრო მოდერნული პიუს მეთევ არავინ არის
ანლა არავინ

* ზონა — პარიზის მუშათა რაიონი.

შენ კი ფანჯრები რომ გიყურებენ რატომ არ შეხველ
როგორც წესია
რატომ გაეჭექა დილით თავი რად აარიდე ან აღსარებას
ან ეკლესიას
შენ რომ მღერიან ახლა ხმამაღლა იმას კითხულობ
იმ პროსპექტებს და იმ აფიშებს
ო პოეზია დილის ეს არის პროზას გაზეთში წაიკითხავენ
სიმღერას უსმენ და მიაბიჯებ
თუ გადაიხდი 25 სანტიმს საესეა ბოლო ნომრის სვეტებ
პოლიციური სენსაციებით ან მოღვაწეთა გამოსვლებით
და პორტრეტებით

მე შევყურებდი ქუჩას მშენიერს და არ მახსოვდა
ქუჩის სახელი
და მზე ქუჩაში ბუკივით ჭექდა ჰაერი იდგა და
ცაცაცებდა
ორშაბათიდან დღეში ოთხჯერ იქ შაბათამდე მბეჭდავი
ქალი მუშა მმართველი
ან შინ ბრუნდება სამსახურიდან ან სამსახურში
მიემართება
დილა ყოველი სამჯერ ქარხნის საყვირს აკივლებს
და შუადღისას სამრეკლოს ზარი გაანჩხლებული ყფს
ქოფაკივით
ყველგან აბრები და რეკლამები თუ უკანასკნელ მოდას
უშველის
გვთხოვენ გვიჩვენენ და გვარიგებენ ყვირიან როგორც
თუთიყუშები
მიყვარს პარიზის ეს ქუჩები ინდუსტრიული
სადღაც დე ტერნის ავენიუსა და კიდევ ომონ-ტიველის
შორის

აი ქუჩაა სულ ახალგაზრდა და შენ პატარა ბავშვი ხარ ისევ
შენ დედა გაცმევს ტანისამოსს თეთრსა და ცისფერს
ხარ ღვთისმომში და არ გშორდება ძველი ძმაკაცი
რენე დალიზი
თქვენ გაჯადოებთ ეკლესია გაბრწყინებული და იქ დადიხართ
დიდი ხალხით
ცხრა საათია და ყველგან მკრთალი გაზის ცისფერი შუქი
ცაცაცებს
თქვენ შეუმჩნევლად გამოდიხართ დორტუარიდან და მთელი დამე
ლოცულობთ მერე თქვენი კოლეჟის სამლოცველოში
რომლის წყვილია დიდი მარადიული და მომხიბლავი კრთის
ამეთევისკო
და დასციმკ-ებს სხივი დიდების შარავანდედად წამებულ
ქრისტეს
ის შრომანია ნაზი და სათნო ჩვენ მსახურებად რომ
გაგვინაღდა
ჩირადანია ვერ აქრობს ქარი მისი წითელი თმების
ჩირადანს

მარტივი დედის ლოყებდაჟღაჟა და გაცრეცილი სისხლი და
ხორცი
ყველა მლოცველის ამწვანებული და დაბურული ხე არის
ლოცვის
ის სასჯელია ღირსების და მარადისობის ექვსქიმიანი
ვარსკვლავია ის არის ღმერთი
რომელიც კვდება პარასკეობით და კვირით მოდის აღმდგარი
მკვდრეთით
იგი ქრისტეა ამაღლებული ზეცაში რომ იქ ზარები რეკოს
ქვეყნად ყველაზე მაღლა ავიდა აჯობა ყველა მფრინავის
რეკორდს

ქამის გუგაში ბროლია ქრისტე
საუკუნეთა მეოცე ბროლი და ახლა კაცი როგორც ფრთოსანი
დღეს ამ მეოცე საუკუნეში მაღლა ასულა იესოსავით
თურმე ქვესკნელის კუდიანები იმზირებინ სამალავიდან
ამბობენ ბაძავს იუდეველ სიმონ-ჯადოქარს კაცი რომელიც
ცაში ავიდა
თუ ფრენა იცის ამბობენ ქურდი დავარქვათ ცაში ასულა
ქურდი*
მაღლა მშვენიერ მფრინავს გარშემო ანგელოსების მიჰყვება
გუნდი
აპოლონიუს ტიანელი და იკაროსი კიდევ ენოქი კიდევ ელია
პირველ თვითმფრინავს რომ ეხვევიან ეს არცთუ ისე
საკვირველია
ზოგჯერ მფრინავის ირგვლივ მფრინავი თვითმფრინავს ყველა
შორდება ერთად
და გზას უთმობენ იმ ღვთისმსახურებს თავისი სული რომ
მიაქვთ ღმერთთან
ბოლოს ეშვება თვითმფრინავი და დასასრული დაუდგა იმის
ფრენას და წადილს
და მაშინ ზევით დაუტეველი მილიონობით მერცხალი ადის

ცაში ადიან ქორ-შეგარდნები კიდევ ყორნები კიდევ ბუები
და აფრიკიდან მოფრენილან ძენძერუკები ფლამინგოები
მარაბუები
ფრინველი როკი პოეტები ვისაც უმღერენ არვინ არისო
მისი ბადალი
ვისაც კლანჭებით პირველი კაცის თავი უჭირავს თავი
აღამის
ყვირის არწივი და ფრთაგაშლილი ცისკიდურს მისდევს ბნელი
ზოლივით
და კიდევ სამხრეთ ამერიკიდან პაწაწკინტელა მოჭქრის კოლიბრი
ჩიტე პიი მკვიდრი ჩინეთის არის გრძელი და არის მოქნილი
ცალფრთიანია და მიტომ მისი ბუდის ჩიტები წყვილად მოჭქრიან

* აქ სიტყვის თამაშია voler ფრენასაც ნიშნავს და ქურდობასაც.

აფრინდა მტრედი სული უმანკო მან მარტო როდი შეპკრა
კამარა

აჭრელებული ფარშევანგების და ქნარ-ჩიტების მოსდევს
ამალა

აგერ ფენიქსი თავის სხეულში ისევ ხელახლა რომ იბადება
ადის კოცონად და მისი ფერფლი გასურებული ცის პირბადეა
სირინოზებიც იმ სახიფათო სრუტეებიდან დღეს აქ მოსულნი
სამნი გალობენ მათი გალობა იღვრება ტკბილი და ჯადოსნური
ორბიც ფენიქსიც ჩინური პიიც ცაში ასულან მათი ფრთებია
აქ რომ იშლება დღეს თავშეყრილნი ფოლადის ფრინველს
უწყვილდებიან

შენ ხარ პარიზში და ბრბოს მიჰყვები მარტოსული და
მობეტიალე

შენს წინ უეცრად შეჩერებული ავტობუსების ჯოგი დრიალებს
შენ ყელზე გიჭერს სალტე ნაღველის სულშემსუთველი და
შემზარავი

ასე ხარ თითქოს ამიერიდან არ შეგიყვარებს ქვეყნად არავინ
შენ რომ გეცხოვრა გარდასულ დროში მიაშურებდი ალბათ მონასტერს
მოსივენებდი სულით და ხორცით

ასლა კი გული რომ გეფლითება და გინდა ლოცვა გრცხვენია
ლოცვის

შენს თავს დასცინი და შენ სიცილი ჯოჯოხეთური სიცილი
გახრჩობს

შენი სიცილის ნაპერწკლები ოქროს ვარაყით ამშვენებს შენი
სიცოცხლის ჩარჩოს

და აბარია ის სურათი მოოქროვილი ოთახს პირქუშს და ოთახს
უმზეოს

რომ მისულიყავ და შეგეხედა ბევრჯერ სწვევიხარ შენ იმ
მუზეუმს

შენ ხარ პარიზში და შენ გხედებიან ამოთხვრილი სისხლში
ქალები

ეს მაშინ იყო და არ მინდა რომ გავიხსენო იმუქრებოდა
სილამაზე გარდაცვალებით

გარშემორტყმული მგზნებარე შუქით მე დავინახე ნოტრ-დამი
შარტრის

და მიპირებდა რომ წაველეკე მე საკრე-კერის სისხლით
მონმარტრი

ვარ ავადმყოფი თუ გავიგონე სიტყვა აღთქმული ბედნიერების
და სიყვარულის დაწყველილი ავადმყოფობა მერვეა ხოლმე
და ვერ ვერვეი

რომ არ გაძინებს არ გასვენებს და გიმორჩილებს რომ გელანდება
მისი სახეა

სულ ნუნთან არის და ყველგან დაგდევს შენ გეშინია თვალის
გახელა

შენ იქ ხარ ასლა სადაც ზღვა არის და ზამთარ-ზაფხულ ჰყვავის
ლიმონი

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან ზღვასთან მიდისარ და ზღვა
გიმონებს

ზღვაში კარჭაპით სეირნობ ხშირად და მეგობრებთან იმით
ერთობი

ამათში ერთი ტურბიელია ერთი ნიცელი ერთი კიდევ მკვიდრი
მენტონის

ჩვენ შიშით ვუმზერთ როგორ ცურავს ზღვაში რვაფეხა
ზღვის ეს სურათი არის ნაცნობი

იქ წყალმცენარე ქანაობს ბევრი და თევზი სახით მსგავსი
მაცხოვრის

შენ სასტუმროში ცხოვრობ პრადის გარეუბანში და იქ ვერ
აღწევს პრადის ხმაური

და არის ვარდი შენს მაგიდაზე შენს სულში არის დღესასწაული
შენ გულს ვერ უღებ დაწყებულ პროზას შესცქერი ხოჭოს
რომელიც აზის

ვარდს ამაყ მკერდზე და გატრუნულა შენ აკვირდები გიწყდება
აზრი

ო შენ გაზინებს სენ-ვიტის ტაძრის აქატზე უცებ დაცემული
შენივე ლანდი

უსაზღვრო არის სასოწარკვეთა და სიკვდილივით მოსული
დარდი

დღეს შემლილი ხარ როგორც ლაზარე

ხედავ ისარი დადის უკუღმა დაბნეულია ურიათ-უბნის კოშკის
საათი უზარმაზარი

შენი ცხოვრებაც მიდის უკუღმა დაგიტრიალდა უკუღმა ჩარხი
თუ ესტუმრები საღამოს პრადჩანს შენ შეგიძლია უსმინო
ხალხი

ჩეხურ დუქნებში ჩეხურ სიმღერას თუ როგორ მღერის მთელის
არსებით

შეხე რამდენი საზამთროა აი მარსელი

აი კობლენცი შენ ხარ მკვიდრი დიდი ოტელის

ეს კი რომია ზინხარ და ზემოთ იაპონური შრიალებს ზღმარტლი

შენ ამსტერდამში ახალგაზრდა ქალთან დადიხარ ის არის უშნო
და ეძახი ტურფა ელენეს

ის გათხოვდება ძალიან მალე ელის სტუდენტი ლეიდენელი
მე მახსოვს როგორ მომაჭირავეს ო ის ოთახი მე მახსოვს
მუდამ

მე ამსტერდამში ვიყავ სამი დღით კიდევ სამი დღით ვიყავი
გუდას

შენ ხარ პარიზში წაგიკითხეს რაღაც ოქმები

და ჩაგამწყვდიეს საპატიმროში ვით სახელმწიფო ბოროტმოქმედი

შენი წარსული არის სავსე ხან მხიარული ხან სამწუხარო
თავგადასავლით
სანამდე მიხვდი რაა სიცრუე სანამდე მიხვდი რაა ასაკი
შენ სიყვარული გტანჯავდა მუდამ ოცი წლისა თუ ოცდაათი
წლისა იყავი
მე დროს ვფლანგავდი და შიმშილივით დავემორჩილე მხოლოდ
სიყვარულს
ო შენ ვერ ბედავ შენს ხელებზე რომ დაიხედო და გაქვს
თვალეები ცრემლებით სავსე
ვინც მაშინებდა და ვინც მიყვარდა ახლა იმათზე მინდა ქვითინი
და მსურს ქვითინი საკუთარ თავზე

შენ დაინახე ემიგრანტები უნუგეშოთა მთელი არმია
იმათ სწამთ ღმერთი ლოცულობენ მათი ქალები მათი ბავშვები
იქვე დარბიან
ისინი ოფლის სუნით ავსებენ დღეს სენ-ლაზარის მოსაცდელ
დარბაზს
როგორც ჯადოქრის იმათ სჯერათ თავის ვარსკვლავის და ქედს
იხრიან იმის წინაშე
იმათ ჰვონიათ რომ შეიძლება გამდიდრდეს კაცი არგენტინაში
ან გაუღიმებთ ოდესმე ბედი მიაშურებენ თავის ქვეყანას
აი ოჯახი წითელ ბუმბულს რომ ვერ იშორებს როგორც თქვენ
ვერსად გულს ვერ იშორებთ
ო ეს ბუმბული ოცნებასავით ირეალური არის იმათთვის
ზოციერთები აქ დარჩებიან უმრავლესობა ივლის მშიერი
მათ შეიფარებს ბნელ ოთახებში ქურა ეკუფის ან როზიერის
მე მაო ვხვდებოდი მიდგანან თვალწინ საღამოობით ისუნთქავენ
ქურების ჰაერს
ნელა დადიან და ინაცვლებენ ადგილს ჭადრაკის ფიგურებივით
ებრაელები არიან ბევრნი და ატარებენ პარიკს ქალები
ისინი სხედან დიდხანს დუქნებში გაცრეცილები და ფერმკრთალები

ჭუჭყიან ბარში სადაც მრავალი გაჭირვებული მოვა და წავა
შენ დგახარ დახლთან იხდი ორ სუს მიერთმევ ყავას

დიდ რესტორანში გეწევა ღამე

ო ეს ქალები ბოროტები სულ არ არიან და მათ აწუხებთ
ათასი რამე

ავერ ისიც კი აწვალებს ვინმეს რომ არის გონჯი და უსახური
მამა ჰყავს სადღაც ჯერსეს კუნძულზე იქ პოლიციის რაზმში
მსახურობს

ასე უხეში ასე დამსკდარი მე არ მინახავს ქალის ხელები

მე მებრალება მინდა ტირილი იმის მუცელზე ნაჭრილობევს
რომ ვეფერები

და რომ კისკისებს გულისამრევად იმ ქალის კოცნით ვიბილწავ
ტურებს

შენ ხარ მართო და განთიადი გიახლოვდება
მერთვეების ჭურჭლის წკრიალი და ჩხარაჩხური აღვიძებს
ქურებს

ვით მშვენიერი შენი მეწივი გშორდება ღამე დგება და გარბის
ის არის ლეა გულკეთილი ის ფერდინაა რომ დასთამაშებს
ღიმილი ყალბი

გათრობს სასმელი ალკოჰოლი ვიკიდებს ხანძარს შენი ცხოვრებაც
ალკოჰოლია
ის არის შენი გადამბუგველი შენ მას იყუდებ როგორც კონიაკს

ოტეისაკენ მიდიხარ ფეხით არც ადრეა და არც გვიანია
შენ იქ დაგხვდება მრავალი კერპი გვინებისა და ოკეანის
კერპიც ჭრისტეა სხვა გარეგნობის განსხვავებული რწმენის და
რჯულის
და შეუძლია რომ გაგინათოს გაურკვეველი იმედით სული

მშვიდობით მშვიდობით

ყელგამოდარულო მზეო

ფრანგულიდან თარგმნა გივი გავიძაგორაა.





ო დ ი ს ე ა

X

ხანი რა გამოხდა, ეოლისი კუნძულს მივადექით. იქ მკვიდრობდა ღმერთების ნებიერი ეოლოს ჰიპოტადე. სპილენძის შეუვალი გალავნით იყო მოზღდუდელი ზღვის ზურგზე მოტივტივე ეს კუნძული. გალავნის გადაღმა პიტალო კლდე ეშვებოდა. თორმეტი შვილი ჰყავდა ეოლოსს — ექვსი მოწიფული ქალი და ექვსიცი ვაჟი, რომლებიც მას ერთმანეთზე დაეჭორწინებინა. დღისით ძვირფასი მამა-ბატო-

ნისა და სათაყვანებელი ღედის სახლში უხვად გაწოხობს სუფრას უსხდნენ ახალგაზრდები, — დარბაზში გემრიელი ჭამადის საამური სურნელება ტრიალებდა მთელი დღე. დამით კი ეოლოსის ძენი თავიანთ სათნო მეუღლეებთან ორზოვით მოგებულ, ლამაზად მოჩუქურთმებულ საწოლებზე ნებივრობდნენ.

ხომალდიდან ჩამოსულებმა სწორედ მათ მშვენიერ სასახლეს მივაშურეთ. მთელი თვე გვიმასპინძლა ეოლისი მბრძანებელმა, გულდაგულ გამოგვიცხა ილიონის დამბობის, არგოსელთა ხომალდებისა და აქაველთა გამოგზავრების ამბავი. წერილად მოუყუვეი ყოვე-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 3, 4, 5, 6.

ლივე, შეგვედრე, სამშობლოში გავვისტუმრე-მეთქი. უარი არ უთქვამს, ყველაფერი მოგვიმზადა: ცხრაწლიანი ხარის ტყავისაგან გამოყვანილ კოლოტში ავად მსტენავი ქარები დამწყვდია და თან გამატანა. ეოლოსს ნებისმიერ ხელწიფებულა მათი აღძვრა და დაყუფება, რადგან თავად კრონისონს დაედგინა იგი ქართა ხელწიფედ. კოლოტს მაგვრად მოუუკურა პირი, რომ ფიორისოდენი სიოც არ ამოდენილიყო და ვერცხლისფერი თასმით მი-აბა ხომალდზე. მხოლოდ ერთადერთი კეთილად მჭროლი ქალიკონი დავადედენა უკან, რათა მშვიდობით მიგვედღია მშობლიურ ნაპირება-მდის.

მაგრამ არ გვეწერა შინ მშვიდობით დაბრუნება, — საკუთარიმ უგუნურებამ დაგვიბნია გზა-კვალი. ცხრა დღე და ღამე კეთილად მიგვაცივებდა ქალიკონი და, ამა, მეათე დამესითაქის ნაპირებიც გამოჩნდა: უკვე ვეხდავლიო ცეცხლს და მის ვარშემო მოღაირა მწყემსებს. მაგრამ სწორედ ამ დროს, ხომალდის მართვით დამაშვარალს ძილმა წამართვა თავი, — მთელი გზა სწრაფად და უდომოდლად შინ დაბრუნების მოსურნეს არავისთვის მიმინდვია საჭე. ამასობაში თანამგზავრებმა დარტყვნა იწყეს, ეგონათ, თითქოს დიდძალი ოქრო-ვერცხლი გამოეტანებინოსო ჩემთვის ქართა ხელ-მწიფეს:

— ჰაი დედასა! რა ბედი აქვს ამ კაცს! ყველგან, სადაც უნდა მივიდეს, რა პატავით ხედეზიან და რა უხვად დასაქუტრებულს გამოისტუმრებენ ხოლმე! ტროადან ხომ დიდძალი ჭინება გამოიზიდა, ახლა კი ეოლოსმა მეგობრობის ნიშნად უხვი ძღვენი გამოატანა. ჩვენ კი, მისი თანამდგომელნი და ჰირის მოზიარენი ხელცარიელი ვებრუნდებით სამშობლოში. მიიღი, ვნახოთ, რა გაქნეული მოაქვს ამ ვეებერთელა კოლოტი!

ასე თქვეს და დამლუხველი გულისთქმით აღძრულებმა თავი მოხსნეს კოლოტს. შხუილით მოვარდნენ ქარები პირღია კოლოტიდან. გრიგალი დამეგვრა ხომალდს და ცხარედ ატირებულ მგზავრებიანად მშობლიური ნაპირებიდან უუუქცა: გამოდიდებულს ამ ფიქრმა გამოიღვა, — ზღვის მორევით გადავშვება თუ ხომალდზე სხვებთან ერთად დავტრე-მეთქი. ცთუნებას ვძლიე და ხომალდზე დავჩი. მოსასხამში გახვეული გატრუნული მიეწევი დრამატულიანი ხომალდის ფიქრზე, ხოლო დანარჩენნი ოხრადდენ და გაჩენის დღეს იწყებულდენ. ქარიშხალმა კვლავ ეოლოსს კუნძულზე მიგვრეკა.

ნაპირზე გადავიდით თუ არა, სასმელი წყალი მოვიძიარაგეთ. სახელდახლოდ წაიხეხმეთ და ორი კაციის თანხლებით ეოლოსის დიდებული სასახლისაკენ გავსწიე. ქართა მბრძანებელი მთელი სახლეთლითურთ ნაღიმად იჯდა; კარს მივადექით და ზღურბლზე ჩამოგხედით,

დამხვდურებმა განცვიფრებით გადმოგვხედეს: რამ დავაბრუნე, ითაქლო? ვინმე ბოროტი დაიმონი ხომ არ მოგვლდა უკანო? აკი რიგინად გავისტუმრეთ, რომ მშვიდობით დაბრუნებულეყავ სამშობლოში!

ასეთი სიტყვა გვიოხრეს, მე კი გულმწუხარემ მივუთხ: — ძილქუშმა და თანამგზავრების მზაკრობამ დამლუხა-მეთქი. მიშველ რამე, აწ თქვენს ხელთაა ჩემი სხნა! მიწოდოდა, ტბილი სიტყვით მათი გული მომეღობო, მაგრამ უღომბელად სდუმდნენ მონადიმენი, ხოლო სახლის პატრონმა წყრომით შემოამიტია:

— თავიდან მომწყდი, უკეთურო! თვალით არ დამენახო ამ კუნძულზე! ან კი როგორ გაბედე ნეტარი ღმერთებისაგან მოქულებულმა კვლავ ჩემთან სტუმრობა!

ასე მიყვირა ქართა მბრძანებელმა და სასახლიდან გამომაძევა. სასოწარკვეთილნი დავადექით კვლავ გზას. კეთილი ზურგქარი აღარ გვიბერავდა და საკუთარი სულმოკლეობის საზღურად ქანთა აწყდებოდათ ნიბოსნებს, ექვსი დღე და ღამე ასე მივეტურავდით და მხოლოდ მეშვიდე დღეს მივადექით ლამისის ქალაქს, ტელევილოსს. აქ, ლესტრიგონების ქვეყანაში, იმზომად გრძელი დღე და მკვლევ დამე იცოდა, რომ საღამოით დაბრუნებული მწყემსი ქალაქიდან ახლადამოსულ გზადმეყრილ მენახირეს ესალმებოდა ხოლმე. ასე რომ გამარჯვდა ფხიზელი კაცს შეეძლო ორმაგი საფასური აეღო — თეთრმაცხლიანი ცხვირიც ეძოვებინა და ნახირიც დაემწყესა.

თანამგზავრებმა ქარაუბით გარემომდგარ, ორ მაღალ კონცხს შორის მოქექულ უბეში შეაქურეს ხომალდები. ამ ყურეში მარად უმფითველი მყუდროება სუფევდა და არასოდეს იძვროდა წყალი. ხომალდები ბაგირებით მიაბეს ხმელეთზე გვერდიგვერდ, ჩემი შვექვინტიანი ხომალდი კი გამოილი ზღვაში კონცხთან დავაყენე. თავად კონცხის თხემზე ავედი და არემარეს ვადავხედე: არც ხოლბუნები ჩანდა სადმე და არც ბალ-ვენანებები; მხოლოდ მიწიდან ამდგარი ეკამლი შევინრნე. თანამგზავრებიდან სამი კაცი შევარჩიე და კუნძულზე გავგზავნე, რომ გავეთო, რა ხალხი ცხოვრობს და რითი საზრდოობენ ამ ქვეყანაში. ისინი გაუდგნენ საურბე გზას, რომლითაც მთებიდან ქალაქში მორებს ეზიდებოდნენ იქაურნი.

გზად ლესტრიგონელთა მბრძანებლის ანტიფატის ტანუშებერაზი ასული შემოეყარათ, იქვე არტაქის წყაროზე მიმავალი. ქალაქის მკვიდრთ იქიდან მიჰქონდათ სასმელი წყალი. მგზავრები მიეახლნენ ქალს და ჰკითხეს:

კომპარონი
ოქინსა

ვინ არის თქვენი ხელმწიფე და რა ხალხს
პატრონობს იგი? ქალმა დაუზარებლად მი-
ასწავლა მამამისის პერმალალი სასახლე.

სასახლეში შესულგებს ერთი მთასავით დეე-
ქალი დახვდათ და ეჭადა ცვათ. დიაცმა საფი-
ხნოდან დაუძახა ქმარს, მძლავრ ანტიფატეს.
იგი სწრაფად მოიჭრა, ხელი სტავა ერთობით
თანამგზავრს და უმაღლ შეხარამუნა. დანარჩე-
ნები თავზარდაცემულნი გაეცივნდნენ ხომალ-
დებისაკენ. ანტიფატემ ყურისწამლები ყვირილი
თქვნივ დააყენა მთელი ქალაქი. მის ძა-
ხილზე სახლებიდან გამოეფინნენ დევური აღ-
ნაგობის, კაცის არშესავგანი ლესტრიგონები.
მათ კლდის უზარმაზარი ნაგვევები დაუშინ-
ნეს ყურეში მდგარ ხომალდებს. ატყდა ერთი
ორმოტრალიო, ლაწა-ლუწი გაჰქონდათ ჩვენს
ხომალდებს და განწირულთა შემზარავი კი-
ვილი აყრუებდა არემარეს. თევზებივით ერთ-
ვანეთზე ააცვეს კაციკამიებმა უხედური
ტყვენი და შესაზარი ლხინისათვის წაიღეს. ვი-
დრე კლდით შემოზღუდულ ყურეში ეს სა-
ცილობა ტრიალებდა, მახვილი ვიშოშვლე და
ჩემი შავჭიტიანი ხომალდის ბაგირი გადაე-
ჭრა. თანამგზავრებს ვუბრძანე მთელი ძალით
დასწოლოდნენ ნიბებებს, რათა ჩვენ მაინც გა-
დავრჩენოდით სიკვდილს. ნიჩბოსნებმა ააქა-
ფეს ზღვა და ჩვენი ხომალდი გასცდა ნაპირზე
გადმოკიდულ პირქუშ კლდეებს.

ასე გავედით სამშვიდობოს, დანარჩენი ხო-
მალდები კი თანამგზავრებთურთ დაგვეღუპა.
გულმწუხარენი კვლავ გავუდევით გზას, ისდა
გვახარებდა, რომ თავად გადაურჩით სიკ-
ვდილს.

მერე აიას კუნძულს მივადექით, სადაც თმა-
მშვენიერი, კაცებრ მოუღარი გოგონელი ცირ-
ცი ცხოვრობდა. გულსატყვი აეტის დიდილი
დაი იყო ეს ქალმფრთი. ორივენი მოკვდავ-
თათვის ნათლის მომდენელი ჰელიოსისა და ოქ-
ეანის ასულის, პერსეს შვილები იყვნენ.

რომელიდაც მოწყალე ღმერთის წინამძღვა-
რობით უჩუმრად შეეცურეთ მყუდრო ყურე-
ში. იქ, დარდით გულგასწონილი და დამაშ-
ვრალნი ორი დღე და ღამე ვეყარენით ქვიში-
ან ნაპირზე. მესამე დღე რა გავიფიქრე თმა-
მშვენიერმა ეოსმა, მახვილი მხარილივ გა-
დავივიღე და ხელშუბიანი გორაკზე ავედი, ვი-
ნძლო კაცის ნიშან-წყალი დამენახა ან ხმა
გამეგონა. ბექობს რა მივადექი, მიწიდან ამ-
დგარი ბოლი შევნიშნე. ეს ბოლი თურმე
მუნხნართი ვარშემორტყმული ცირცეს სასახ-
ლიდან ამოდიოდა.

ჭერი იყო, ვიფიქრე, — მივალ და ვნახე-
მეთუ, საიდან ამოდის ეს კვამლი. მაგრამ ვამ-
ჯობინე ხომალდზე დავბრუნებულიყავი, დამე-
პურებინა ამხანაგები და შემდეგ კუნძულის
დასასვერად გამეგზავნა ზოგი მთავანი. ნაპირს
რომ უახლოვდებოდი უმწეო და მარტოხელი
შეგებარაუდ აღბათ რომელიდაც ღმერთს და

გზაზე ქობრუდა ხარირემი წამომიგლო, მქვეს-
გან დასიხტული ირემი მდინარეზე ჩამოვარდა
დასარწყულწლად. ფერდში ვამეგრე შუბი და
მეორე მხარეს გავეტარე. ერთი შეპბლავლა
ირემმა და უსულოდ ჩაიეცვა მტვერში.
მსწრაფლ მივგარდი, ფერდიდან შუბი ამოვა-
ცაღი, მეგრე წელი დავგარე, ფეხები მვეუ-
კარი და უზარმაზარი ირემი ზურგზე მოვიე-
დე. ცალი მხრით ვერც ვზიდავდი, იმსძიმე
ყო. შუბს დაბეჭნილი ასე მივდიოდი სვენებ-
სვენებით. ნანარეგები ნაპირზე დაავადე და
სასომიხილი მეგობრები საითითად გავამ-
ხნევე:

— ნუ შედრებით, ძმებო! რა ჭირშიც უნდა
ჩავეარდეთ, ხედრით განჩინებულ სიკვდილის
დღემდე ვერავინ ჩავგლოავს შვეთში! სანამ
სასმელ-საქმელი არ დავგვევია, შიმშილით
რა მოგვკლავს!

თანამგზავრებმა მოსასხამები მოიშორეს,
გლოვის ნიშნად თავზე რომ ეფარათ, წამოი-
შალნენ, ირემს შემოგხვივნენ და განციფრე-
ბულნი უმზერდნენ უზარმაზარ ნაღირს. ექე-
რით რა გაძლენ, ხელები გაღიბანეს და მშვე-
ნიერი სადღიო მოამზადეს. მშის ჩასკამედ
ვისხედით ასე, ირმის მწვედებს ვკამდით და
მაგარ ღვინოს შევექციოდით. მზე როცა მიდ-
რკა და სიღამე ჩამოწვა, იქვე ნაპირზე მიე-
წყეით და ძილს მივეციოთ თავი.

როგორც კი ახლადშობილმა ეოსმა ვარდის-
ფრად ირიერაჟა, თანამგზავრები საბუოდ შეე-
ყარე და ასეთი სიტყვით მივმართე:

— მისინეთ, ჭირგადახლო ჩემი მეგობ-
რებო! ხომ ხედავთ, რა დღემო ვართ! არ ვი-
ციოთ სად ჩადის მოკვდავთათვის ნათლისმომ-
დენელი ჰელიოსი და საიდან ამოდის კვლავ
სასწრაფოდ უნდა ვილონოთ რამე. თავად მე
ვერავფერი მომიხაზრებია, თუმცა გორაკზე
ასულმა დავინახე, რომ თვალწუდენელი
ზღვით გარემოცულ კუნძულზე ვართ და ხში-
რი მუნხნარიდან ამოდენილ კვამლსაც მოკე-
არი თვარი.

ეს ვუთხარი და მათ შიში შეეპართ გულ-
ში, რა გაახსენდათ კაციკამია ლესტრიგონელი
ანტიფატე და ციკლოპი პოლიფემე. ატარდნენ
და ღვარად დასდინობთ ცრემლები. მაგრამ
ცრემლი რას უშველიდა საქმეს? მაშინ მე გა-
დავთავადე და ორ რაზმად გავყავი თანამ-
გზავრები. ერთ რაზმს მე დაუდღევი წინამ-
ძღლოად, მეორე კი გულად ევრილოქეს ჩავა-
ბარე. მეგრე წილი ვყაროდ ბრინჯაოს მუზა-
რადით, წილი ევრილოქეს ხვდა და იგი ოც-
დობრი კაცის თანხლებით დაუყოვნებლივ გა-
ემართა კუნძულის დასაზვერვად. ოცდობრი-
ვე მწარედ ატარდა და ჩვენც ცრემლის ღვრით
გავაცილეთ წამავლანი.

ტყე ვაიარეს და მალე მყუდრო ველობზე
წამოკიმულ, თლილი ქვით ნაგებ ცირცეს სა-
სახლეს მიადგენ. სასახლის ენოში ნებივრად

წამოწოლილიყვენ ქალღმერთის ჯადო-წამალით
გაჩნებული მგლები და ლომები. კაცს არ ერ-
ჩოდა არცერთი, კუდის ქიკინით ზედებოდნენ
უცხოთ, ისევე როგორც ეგებება ხოლმე ერ-
თული ძალი ნადიმიდან დაბრუნებულ პატ-
რონს, რომელსაც მისთვის ჩვეულებრივ სახ-
რავი მოაქვს ხოლმე. ასე ელაპუტებოდნენ ბა-
სრბრჭყალაინი მხეცები ახალმისულთ, გულ-
შემტრთაღნი რომ შემდგარიყვენ თამაშვინე-
რი ნიშფას კარიბჭესთან.

სასახლის დარბაზიდან ცირცეს ტბილი სი-
მღერა შემოესმათ. თამაშვინეირი ქალღმერ-
თი ვეებერთელა ბექსახეხელს გარს უვლიდა
და ღმერთების უცუეთელი და გაუხუნარი სამ-
ოსტლისთვის ქსოვილს ქსოვდა.

ჩემთან შეთვისებულმა და გამორჩეულად
საყვარელმა მამაკმა პოლიტემ ასე უთათბირა
ამხანაგებს: მოყმენო! დარბაზში ვიდაც უტ-
რიალებს ბექსახეხელს, თან ტბილად მღერის
და მის სიმღერას ბანს ეუბნენიან დარბაზის
თაღები. მოდი, დავუძახოთ. გავივით ვინაა
— მოკვდავი თუ უქდავთავანი!

დაუძახეს. დაძახილზე ბრწყინვალე კარნი
განახენა ქალღმერთმა და შინ შეიპატარა
მისულნი. არც დაფიქრებულან, ისე შეჰყვენენ
უგუნურნი. მხოლოდ ერთი ევრილოქე დარჩა
გართ, გულმა თუ უგრძნო, რომ საცთურს
ვადაყვებოდა რასმე. მასპინძელმა სავარ-
ძებმებზე დასხა წვეულნი. მერე ყველი, ფქვი-
ლი და ოქროსფერი თაფლი პრამენულ ღვინოში
განახავა, შიგ თავისი ჯადო-წამალი შეურია და
სტუმრებს მიართვა, რათა მათ სამშობლო ქვე-
ყისა და სახლელთა ხსოვდა წარხოცოდათ. თს
ქადოსნური ჰამიდი რა შეჰქამა, ცირცემ
კვერთხი დაჰკრა თვითელს და საღორეში
შერქვა. ბედურულთ ღორის თაგები გამოე-
ბათ მიყსეულად, ქედზე ჯავარი დაესხათ და
საოცრადი ღრუტუნნი მოართან, რაკი კაცებრი-
ვი ცნობა მინც შერჩენოდათ, პირტყეხებად
ქედულებს ცირცემ რკო და პანტა — ნიადავ
წუმეში მონებრივე ღორების საჰმელი დაუ-
ყარა.

ევრილოქე სასწრაფოდ უქუიქვა შავვინე-
ტიანი ზომალდისკენ, რათა ჩვენთვის ეუწყე-
ბინა სვეუბედური ამხანაგების ამბავი. მაგრამ
შემარწუნებულს ენა ჩავარდნოდა და სიტყვის
ვერ სძრავდა, ერთთავად ცახცახებდა. გამოი-
თხვა რომ დავუწყეთ შეშფოთებულებმა, მხო-
ლოდ და მაშინ ამოიღდა ენა და გვიამბო:

— ო, მრავალნაცადო ოდისეკს, შენი ბრძა-
ნებისამებრ ვადაკვირით მუნხარი და ველოზზე
გავედით, სადაც თლილი ქეთ ნაგები ცირცეს
სასახლე დგას. სასახლის დარბაზიდან დიაცის
უტკებესი ხმა შემოგვესმა. შევეხამურეთ და
მანაც სახლში მივიწვივა. მარტოდენ მე დავ-
რჩი გართ, რადგან გულმა რაღაც ავი მიგ-
რძნო. დიღხანს ეელოდი ჩვენინებს, მაგრამ,

მათი ჩამიჩნუმი არ ისმობდა, თითქოს მიწამ
უყოლო პირი!

ეს რომ გავიგონე, ფიცხლად ვადავიციე
მხარბილივ ვერცხლისვადიანი დიდი სატევა-
რი და მშვილდიც ხელთ ვიპყარი; ხოლო ევ-
რილოქეს გუბრძანე იმავე გზით წინ გამ-
ძლოლოდა. მუხლებზე მომეხვია და ცხარე
კრემლით ატირდა ევრილოქე:

— ნულარ წამიყვან ოქ, ზეცის ნებიერო!
გული მუებნება, რომ ვეღარც შენ დაბრუნ-
დები იქიდან და ვერც შენს ამხანაგებს დაი-
ხსნი. თავს ვუშველოთ, გავიქცეთ ამ კუნძული-
დან, ჩვენ მინც ვადავურჩეთ შვე დღეს!

ასე მვედრებოდა ევრილოქე.

— კარგი, კარგი, ევრილოქე, დარჩი ფერ-
დასველ ზომალდთან; სვი და ჰამე. მე კი წავალ,
ჩემი წაუსვლელობა არ იქნება. — ეს ვუთხა-
რი და მუნხარისაკენ ვავემართე.

ის იყო წმინდა ველოზზე ვავიდი და ჯადო-
ქარი ცირცეს სასახლეს მოვკარი თვალი, რომ
გზად ოქროსკვერთხოსანი ჰერმესი ახლადშე-
ღერებული ჰაბუის სახით შემომეყარა. ხელა
ჩამეჭიდა და მითხრა:

— საით ვაგწვივა, ბედურული! მარტოდმა-
რტო რას დაყილობ ამ უცხო მხარეში? ღო-
რებადქეული შენი ამხანაგები საღორეში
ჰყავს გამომწყვდეული ცირცეს. თუ მათ ვამ-
ოსასხნელად მიდიხარ, ვეჭვი, უქან დაბრუნება
მოგიწიოს. შენც მათივე ბედი მოგელის. მინ-
და ხიფათს აგარიდო და შემოგეშველი. ამი-
ტომ გეტყვი: ეს წამალი გამომართვი და თან
წარიტანი. — მხოლოდ ეს გიხსნის შვიი დღი-
საგან. ქალღმერთის ავბედით ხრიკებს ვავი-
მხელ: ჯადო საწამლაით ჰამადს შევიგმზადებს,
მაგრამ ვერ გავჩნბავს, რაკი ჩემი წამალი თან
გექნება. ასე კარვად მომისმინე: როგორც
კი ცირცე შენზე კვერთხს აღმართავს, მყისვე
მახვილი იშიშვლე და მოსაკლავად მიეტანი-
თუ შემიწინა და სარეცელზე მივიწვივა, არამც
და არამც არ უთხრა უარი, მთ ნებას დამ-
ყევი, რადგან ამით მის გულს მოიგებ და მეგ-
ობრებსაც დიხსნი. მაგრამ მანამდე ნეტარი
ღმერთების საშინელი ფიციით დაფიცე, რომ
იარაღაყრლს მამრობას არ დავაკარგვინებს.

ეს მითხრა, მიწოდან რაღაც ბალახი ამოძი-
რკვა არგუსის მკვლელობა და მისი ნიშატიც
ამიხსნა. ფეცვი შავი ჰქონდა ამ ბალახს, ყვა-
ვილი კი — რძისფერი. ამ ბალახს მოღვის
უწოდებენ ნეტარი ღმერთები, მათ გარდა არ-
ავის ძალქმს მიწიდან მისი ფეცვებითურთ ამ-
ოგლუქა. ასე დამარივა ღმერთების მაცნემ, მე-
რე დასტოვა ტყიანი კუნძული და მაღალ ოლ-
იმბოს მიავურა.

გზა განვაგრძე გულამკერებულმა. ცირცეს
კარიბჭეს რა მივადექი, ვუხმე თამაშვინეირ

ჰომეროსი
ოღონდა



ქალღმერთს. ცირცემ ბრწყინვალე კარნი გა-
სხვავა და შინ შემიატია. გულშემერთალი
შეყვევი. მასპინძელმა ვერცხლით მოკვდილ
საყოცხლულზე დამსვა და წინ საფერხო სკა-
მი მიპოვდა. შემდეგ ოქროს თასში სასმელი
შემოქა და ავადმზრახველმა შიგ თავისი ჯა-
დო წააღო ჩაყარა. თასი დაჯვალე, მაგრამ
მისმა წაქალმა ვერ გასჭრა. მერე კვერთხი
მომიღერა და შემძახა: მიდი, შენც ღორივით
გაგორდი შენს ამხანაგებთანო!

მახვილი ვიშიშველ და ვითომც მოსაკლავად
მივეტანე. ცირცემ ერთი შეკვივლა, მომგარდა
და მუხლებზე მომხეხია: ვინ ხარ და საიდან
მოსულხარო? ვისი ძე ხარ, სად გიდგას სა-
ხლო? ვაოცებას ვარ, წვამი რომ შესვი და
ვაუტხიხიავი დარჩი. პირი თუ დააყარა, მოკვ-
დავთავანი ვერავინ გადურჩება ჩემს სამსალას,
შენ კი დაუტოგუნავი ყოფილხარ. იქნებ ოდი-
სეისი ხარ, მრავალნაცადი. ხშირად უთქვამს
ჩემთვის ოქროსკვერთხოსან პერმესს: ტროა-
დან სამშობლოსკენ მიმავალი ოდისეისი შავი
ხომალდით მოადგებოა შენს კუნძულს... ჩააგე
მახვილი. მოდი, ვაიზიარე ჩემი სიყვარული და
სარეკლო. მივედინო ერთმანეთს!

— როგორ მოგენდა, — ეუბასუხე, — რო-
გორ დავწვე შენს სარეკელზე, როცა შენგან
ღორებადქცეული ჩემი ძვირფასი მეგობრები
საღორემს ყირანს! ამ იქნებ ვინდა, იარაღაყ-
როს მამრობა დამაყარავინო? არ დავწვები
შენს გვერდით, ვიდრე საშინელი ფიცით არ
შემომფიცავ, რომ არას მავნებ!

ეს ვუთხარი და როცა ჩემი ნებისაგარე ქალ-
ღმერთმა საშინელი ფიცით შემომფიცა, მამი-
ნეე აველი მის ღიღმშვენიერ სარეკელზე.

ოთხი მოახლე ემსახურებოდა ცირცეს. ეს
პირმშვენიერი ასულნი წმინდა ნაყადულების,
ქალებისა და წყაროების ნაშვირნი იყვნენ. ერ-
თა საყარძლებზე საგებელი დაავო და ზედ
მეწამული ორხოვა დააფინა; მეორემ ოქროს
ლანგარებით გაწყობილი ვერცხლის ტაბლა
ჩადაგ მათ შუა; მესამემ თაფლივით ტკბილი
ღვინო გააზავა ლავინში და შემდეგ ოქროს
თასები ღვინით შეავსო; მეოთხემ წყლით საე-
სე დიდი ქვაბი საფეხა ზედადგარზე შემოიდა
და ცეცხლი შეუქეთა. წყალი რა გაცხელდა,
ამაზანში შემოყვანეს და განკლებული წყლით
დამბანეს, რომ ჩემი სხეულის ასოთაგან დაღ-
ლოლობა და სიძაბუნე გამოდევნილიყო. შემ-
დეგ სურნელოვანი ნელსაცხებლით დამოხილეს
ტანი, ახალთახალი ქიტინი ჩამაცვეს, მხრებ-
ზე ძვირფასი მოსასხამი მომახურეს, დარბაზში
შემიძღვენ, სავარძელზე დამსვეს და საფერხო
სკამი ახლოს მომიწიეს. შემდგომ ამისა მოახ-
ლემ ოქროს სურა და ვერცხლის ტაშტი შემ-
ოტიანა, ხელები დამბანინა და წმიდად ვარა-
ნდული სუფრა მომიდგა. ერთაუღმა მეკუჭ-
ნავემ პატივსადებ სტუმართათვის განკუთვნი-
ლი მრავალფერი ჭამადით გამოიწყო სუფრა.

მიირთვით, — მითხრეს, მაგრამ კრცვენი
ჭამადისთვის ხელი არ მიხლა, სხვაგან
და ჩემი გონება უკვანებობა რა შემატყო ცი-
რცემ, მომავალა და ეს მითხრა:

— პირი რამ შეგვკრა, ოდისესო! ჭამადს
რატომ არ ეკვრები? ხომ არ ეტყობა, რომ გი-
მხილვით? ავიკანელი ფიცით შემოგფიცე,
არას გავნებ-მეთქი!

მე მივეუბნე:
— მძათა მოყვარული კაცი როგორ ჩაიდებს
პირში ლუკმა, ვიდრე ჭირისაგან დახსნილ თა-
ვის თანამომეებს არ იხილავს? უკეთუ გულით
გწადია, სმა-ჭამით მოვილხინო, გაათავისუ-
ფლე და თვლით დამანახვე ჩემი ძვირფასი
მეგობრებო!

ხელკვერთხიანი ცირცე მაშინვე გავიდა და-
რბაზიდან, საღორის კარი გამოაღო და დიდ-
რონ ტახებად ქცეული ჩემი ამხანაგები გამო-
რეკა. გრძნულმა ქალღმერთმა ჩამოუარა მათ
და სათითაოდ რაღაც სხვა ჯადო-წამალი სცხო.
უმაღლე დაცვივდათ მათ ჯაგარი და კვლავ კა-
ცებრივი სახე შეიმოსეს, ოღონდ უფრო ახა-
ლგაზრდები, ახოვანი და ლამაზები ჩანდნენ.
მიცნეს თუ არა, ტირილით შემომხევივნენ
თანამოყმენი, სიხარულის კრემლები ღვარად
სდიოდათ და მათ ქვითის ბანს აძლევდა ხმი-
ერი დარბაზი. გული მოუღმა ქალღმერთსაც,
მომეახლა და მიმპართა:

— ოდისისასხო ოდისესე, ლაერტეს ძეო!
ახლა წადი ზღვის ნაპირზე და თქვენი შვა-
ქვინტიანი ხომალდი ხმელთზე ამოათრიეთ.
ალკაშულობა და ბარგი გამოქვამულში შე-
ზიდეთ. მერე დაბრუნდი, თან წამოყვანი იქ
დარჩენილი თანამგზავრები.

ცირცეს დაეუკრე, სასწრაფოდ ვაგსწიე
ხომალდისკენ. როგორც საძოვრიდან ბაქებ-
ში დაბრუნებულ ჯქინსავე ფუტრის შვა-
ბლაგებენს ხოლმე რძეს დანატრებული ხბო-
რები და კუნტრუშით გაცვივდებიან საჩიხე-
დან, ისე შემომხევივნენ ატირებული ჩემი თა-
ნამგზავრები. თითქოს საშობლოში, ფიცხელ-
კლოვან ითავაში დაბრუნებულიყვნენ, იქ-
სადაც შობილან და გაზრდილან, აღფრთოვა-
ნებულნი შემომხევივნენ და ცრემლების ფრქვე-
ვით შემძახეს:

— როგორ გავციხარა გული შენმა მშვიდო-
ბით მობრუნებამ, ზევსის ნებიერო! თითქოს
ჩვენს ითავაში ვყოფილიყით უკვე. ახლა კი
გვამცნე, იმ ჩენი ბედკრული ამხანაგების
ამბავი!

ასე მეუბნებოდნენ და მეც მივეხმატვილიე:
— დარდი ნულარფრისა გავქო! ჯერ ხომა-
ლდი ამოვთარიოთ ნაპირზე, ბარგი და საუკ-
რეელი გამოქვამულში შევიწახოთ, მერე კი
წამოყვებით, რომ თვლით იხილოთ, როგორ
ილხენენ ცირცეს ღვითურ სასახლეში უხვი
ჭამადით გაწყობილ სუფრაზე მსხდარი თქვენი
მეგობრები.

უმალვე დემორჩინდნენ ჩემს სიტყვას, მაგრამ იქნებული ვერლოქე გაპირვეულად:

— საღ მიღისართ, უგმუნრნო კიდევ რა უბედურება მოგნატრებიათ, ცირცესკენ რომ მივწევთ გული? ეშვიან ტახებად, მგლებად ან ლომებად გადაგვაცეცეს ჯალბაქარი ქალღმერთო, რათა თავისი ჭერმაღალი სახლი გვადარაჯებინოს. ციკლობი მინც გავახსენდეთ, ოღისევისს დურთიდალი სითამამის წყალობით შავი დღე რომ აყარა ჩვენს საცოდვე მეგობრებს! განრისხებულმა მახვილზე გავიკარი ხელი. თავი მინდოდა წამეცალა ევრილოქესათვის, თუმცა მოყვარედ კი მერგებოდა. მაგრამ მშვიდი სიტყვით დამიყვავეს თანამგზავრებმა:

— ჩვენ შენთანა ვართ, ზევისს ნებებო! და, აქ დარჩეს ევრილოქე და ხომალდს უყარაულოს. ახლა კი გავგიძღე ცირცეს წმინდა სასახლისაკენ!

ზღვის ნაპირი დაცროვეთ და მუნწარისაკენ გავსწვით. ჩემი მუქარით დამწინებულნი ევრილოქე აღარ დარჩა ხომალდთან, — ისიც ჩვენთან ერთად წამოვიდა.

ამასობაში ცირცესთან დარჩენილები გულდავლუ განებანათ, ნელსაცხებდნენ დავხილათ და ახალი ქიტონებითა და მოსახამებით დამოსათ, კარიბჭეში ჩვენი შესვლისას, ისინი დარბაზში ისხდნენ და ნადიმობდნენ. მოსულდამსხედურნი რა შეიყარნენ, გარდახდილი ჭირი მოვანდათ და ყველანი ცრემლით ატირდნენ. მათ ტირილს ბანს აძლევდა ჭერმაღალი დარბაზის ხშიერი თაღები.

ამ დროს ქალღმერთი მომეახლა და მითხრა:

— ღვთისნასახო ოღისევეს, ლეარტეს ძეო! ცრემლის ღვრა და ვაება აღარ შეგშვენიოთ, ისედაც ციცი რაოდენი ჭირ-ვარამი გარდავხდათ ზღვასა და ხმელზე გზადაკარგულებს. შეირგეთ ეს ღვთაებრივი სასმელ-საჭმელი, რათა ისეთივე გულოვანნი და ძალმოსილნი იყვნეთ, კლდეციცხელი ითაკიდან წამოსვლისას რომ იყავით. გარდასულ ჭირთა მოვანებებს დაუგახნხართ და ამ ჭირმარავლ გზაზე ერთხელაც არ მოგილხნით გულსაცხედ!

ჭკუაში დავვიჯდა ქალღმერთის რჩევა. მთელი წელიწადი დღე ცისპარე სუფრას ვუსხედით და მრავალფერ ჭამადასა და სურნელოვან ღვინოს შევექცეოვარ.

რა მიიყარნენ დღენი და თვენი, წელიწადის სწორს თანამგზავრებმა დამიმარტხებულეს და ასეთი სიტყვით შემომადგნენ:

— ბეჩაოვ ოღისევეს! გონს მოდი, დროა მოვავანდეს შენი სამშობლო, თუკი ითაკის ხილვა და შენს ჭერმაღალს სახლში დაბრუნება გიწერია!

ასე მეთუნებოდნენ და მეც დავყვიე მათ ნებას. იმ დღეს მზის ჩასვლამდე ვისხედით და ნაირ-ნაირ ჭამადასა და ტკბილ ღვინოს შევექცეოდით, მზე რა ჩაუსვენა და სიღამე ჩამოწვა, ჩემი მეგობრები ჩამობნელებულ დარბაზში

მიწვნენ და მიიძინეს. მე კი ცირცეს მივაშურე, მის დიდმშვენიერ სარეცელთან მუსლა მოვიყარე და ასე შევევედრე:

— ცირცე, ჩვენი მწყალობლო ქალღმერთო! აგვისრული დანაპირები, გავვისტურზე ითაკაში; ყველას იქითკენ მივგწივებს გული! დამხებულებენ თუ არა მარტოს, გარს შემომეხვევიან ხოლმე ამანაგები და ტირილით მევედრებიან შინ დაბრუნებას.

ქალღმერთთა შორის უტურფესმა ასე მომიგო:

— ღვთისნასახო ოღისევეს, ლეარტეს ძეო! ძალით აღარ დავაკეებ ჩემს სახლში. ოღონდ სამშობლოში დაბრუნებამდე კიდევ ერთი ძნელსავალი გზა გიძევთ: ჯერ პირქუში ჰადესისა და პერსეფონეს საფლოს უნდა შთახდით. იქ თებელი უსინათლო ქადაგის ტრევისის სულს უნდა ამკითხვინოთ, რადგან შევეთში მხოლოდ მას შერჩა წინასწარხედის ნიჭი. პერსეფონეს წყალობით მხოლოდ მასა აქვს მორჭმული იმგვარივე სიბრძნე, სამზეოში რომ ახლდა. სხვები გონანხდარნი აჩრდილებით დაფარვატებენ სულთში.

შემზარა ქალღმერთის ნაუბარმა. ჩავიქცეე მის დიდმშვენიერ სარეცელთან და გულშეღონებულნი ავტარიდი, მომამადა და მზე-ქვეყანა და სხივანათულო ჰელიოსის ეჭრეცა. ტირილით რა მოვიოხე გული, ესღა გვადრე ქალღმერთს:

ო ცირცე! ვინ მიწინამძღვრებს შავეთის გზაზე? შეგვიწინებანი ხომალდით ჯერ ხომ არავინ მისდგომია ჰადესის ბუეებს!

ქალღმერთთა შორის უტურფესმა ასე მომიგო:

— ღვთისდანაბადებო! წინამძღვარი არც დაგპირდება, — ამაზე ნუ ინადლებ. შენ მხოლოდ ანა აღმართე ხომალდზე, თეთრი იალქნები გაშალე და შენთვის იჭექი. მძლავრი ბორეასი თავად დაგაყენებს გზაზე. ოყენესა გადალახავ, ერთ ჩავარდნილ ნაპირზე პერსეფონეს ჰალას დაინახავ, სადაც შავფოთლიანი ალვისხეები და უნაყოფო ტირიფები შრიალბენ. იქ დააყენე ხომალდი, თავად კი ჰადესის სულსაშეხუთველ სამყოფელისკენ გასწვი. შავეთში შთასულს აქერონისა და ცეცხლმოდებული პირიფლეგეტონის ღრიალი შემოგესმება. აქერონს იქვე კოკიტოსი, ტირილის მდინარე, ერთვის, რომელიც სათავეს სტიგისს წყალბიდან იღებს. ორივე ეს მდინარე აქერონს უერთდება, ხოლო მათ შორის კლდეა შემართული. ამ კლდის ძირში ერთი წყრთის სიღრმეზე ორმო ამოთხარე, ორმოსთან მკვდარსა სულებს მსხვერპლი შესწირე: ჯერ რძეში გაზავებული თაფლი, მერე ზედა-

პომპროსი
ოღისაა



შე, ხოლო შემდეგ წყალი და ყოველივე ამას წმინდა, თეთრი ფეკილი მოაფრქვევ. მზეგადასულთ მსხვერპლს რა შესწირავ, აღუთქვი, რომ ითავაში დაბრუნებისას საუკეთესო უშობელს დაუქვავი და კოცონზე ძვირფას შესაწირავს დაუქვავი. ხოლო ტირისიას ცალკე შესწირავ შენს ფარაში გამოჩრქვე შევ ცხვარს; მერმე შეგმატელიან დედალ-მამალ ცხვარს ერეზისისაყენ თავები დაუდრავი და სახელოვან აზრდელეს შესწირავ, თავად კი მდინარისაყენ პირსწექუთი დადექ. როცა მგვდათა სულეზი მოდებინან, თანამგზავრებს უბრძანე, საკლავი გაატყაონ, ცეცხლს დაუდინ და მრისხანე ჰადესსა და საშინელ პერსეფონეს შევედღარე. შინ კი, ერისმთავარო, მახვილი მომიბარჯვე და უხორცოთა გუნდი სისხლთან არ მიუშვა, ვიდრე ტირისიას არ ამკითხვინებ. მისანიც მალე გამოჩნდება, სამშობლოსაყენ გზას მივასწავლის და ვიარჩევს, როგორ გადალახო თვეგმბრავალი ზღვა.

ეს მითხრა და ოქროსტახტოსანი ეოსიც ამობრწყინდა. ქალღმერთმა ქიტონი ჩამაცვა, მოსახამი მომასხა, თავად კი უსხეტაყესი კაბით შეიმოსა, წელზე ოქრომკვდით მოსიარული სარტყელი შემოირტყა და თავზე მსუბუქი თავსაფარი მოიადო. მე ცირცეს ჰერმადალი სასახლის პალატები დავიარე, მძინარე მეგობრები წამოვიყარე და ვახარე, — ადექით, იკმარეთ ძილი! მშვენიერი ქალღმერთი სამშობლოში გვისტუმრებს-მეთქი!

თანამგზავრები უმალვე წამოიზალნენ და სასახლის შეუდგნენ. მაგრამ აქაც ვერ გადავღვრითი ფათურაკს: გვეყვდა ერთი ვინმე, ელპენორი, ყველა ჩვენთავანზე უმარწყმესი, არც კუთით ვაპირჩხეოდა და არც ომში შემართობით. ღვინო დაელოა და გახურებულს სასახლის გროლ თავანზე წასძინებდა. მეგობრთა უეცარი ყვილ-ხივილი რა გავჯონა, დაფეთებული წამოვარინდიყო თავგზაბანეულს კიბე აღარ ვახსენებოდა და პირდაპირ მანისკე გადმოვლავებინა. საცოდავს ხერხემალი გადაემტვრა და სული ჰადესისყენ გაუფრინდა.

გავსწიეთ შავქვინტიანი ხომალდებისაყენ. გზაში თანამგზავრებს გამოვუტყდი, — არ გეგონოთ, ახლავე სამშობლოში მივემგზავრებოდეთ. სხვა გზა დამისახა გრძნელმა ცირცემ: პირქუში ჰადესისა და საშინელი პერსეფონეს საფლოს უნდა ჩავხედოთ და თებელი ქადაკის, ტირისიას სულს უნდა ვამკითხვინოთ-მეთქი.

თანამგზავრებს თავზარი დასცა ჩემმა ნათქვამმა. მტერში ჩაიყენენ, მღუღარედ ატირდნენ და სიმწრისაყენ თმები დაივლოყენ. მაგრამ რას არგებდათ ეს ტირილი, ეს უსარგებლო ცრემლთა დენა?

ამასობაში ცირცეს ორი სამსხვერპლო ცხვარი მოეყვანა და ხომალდთან დაება. ვერც კი

ვცანით, როდის გადაგვისწრო გზაში წყვენილი დეათავანი ვერავინ იხილავს ღმერთსაყენ თავად არ ინება გამოჩენა.

XI

ნაპირზე მისვლისას შავქვინტიანი ხომალდი ზღვაში ჩავთრეთ, ანმა აღმართეთ, ადრები გავემით და სამსხვერპლო ცხვრები ერდოზე ავიყვანეთ. მერე გულმუწუნარნი და თვალცრემლიანი მიეუსხედით ნიჩხებს. თმამშვენიერმა ნიმფამ კეთილ თანამგზავრად ზურგქარა დაგადევნა. ქარმა და მესაქვე აღვახშული ხომალდი სწორ გზას გაუყენეს. მოელი დღე ქართი იყო დაბერილი ჩვენი ხომალდის იალქნები.

როცა მზე ჩავიდა და ირგვლივ სიღამე ჩამოდა, ხომალდი უკვე მისდგომოდა უფსკრულოვანი ოკეანის საზღვრებს, მარადი ნისლითა და ბურუსით მოცული კიმბრიელთა ქალაქი. მინათობელი მზის სხივები არასოდეს ევრქვევა ამ მხარეს, არც მამინ, როცა ვარსკვლავიან ცაზე ამოდის მზე და არც მამინ, როცა მიწისაყენ ეშვება იგი. გაუთენებელი უქუნი ბურათ ამ ქალაქის ბედგრულ ბინადართ.

ხომალდიდან ცხვრები ვადმოვდენეთ და ოკეანის დინებას თავქვე დავეუყვით. მალე მივადექით იმ ადგილს, ცირცემ რომ დავგითქვა. პერიმედესა და ევრილოქეს ხელში ჩავხელუჯათ საკლავი, მე კი ქალღმერთის რჩევისამებრ ერთი წყრთის სიღრმეზე ორმო ამოთხარე. უხორცო აზრდელეს ჰერ თავლში გავაზებული რძე დავეღვარე, შემდეგ ტუბილი ზედაში, ბოლოს კი წყალი და ყველაფერს ამას თეთრ ფეკილი მოვაფრქვევ. მერე აღვეუთქვი, რომ ითავაში დაბრუნებისთანავე საუკეთესო უშობელს დავეუქვავდი ზეარაკად და ძვირფას შესაწირავს დავეუქვავდი ცეცხლზე, ხოლო ტირეზიას სავანგებოდ შერჩეულ შევ ცხვარს შევწირავდი.

ეს რა აღვეუთქვი, ორმოს პირას საკლავი დავკალი, რომ შავი სისხლი ორმოში ჩაღვრილიყო. სისხლის ომშვივარმა მოიზიდა ერბოსის წყვილიაღში მოფარფრე დედათა და ქალწულთა, უწვერულო ქაბუების, ქირგადახილი მოხუცებისა და სასტეკ ომებში შუბით განგმირულთა სულნი. შემზარავი ვიშით მოაწყენდნენ ისინი სისხლიან ორმოს და თვაზარი დამცეს. ზარგანხილი უყვდემქი, მაგრამ გული გამომგვარე, თანამგზავრებიც გავამხნევე და ვუბრძანე გაეტყავეინით მსხვერპლო, ცეცხლზე დაედოთ და პირქუშ ჰადესსა და საშინელ პერსეფონეს შევედრებოდნენ. მახვილშემართული ვიჭექი ორმოსთან და სისხლზე არ ვუშვებდი აზრდელებს, ვიდრე ტირეზიას არ ვამკითხვინე.

ყველაზე ადრე ჩვენი მეგობრის ელპენორის სული მოგვადგა, — მისი ცხედარი დაუტოვებ-



ლად და დაუმარხავად დავტოვეთ ცირცეს სასახლეში, რადგან სხვა საჭირო საქმეს ვეშურებოდით მაშინ. თვალები ცრემლით ამგვისო და სიბრალულით გულშეპრულმა ესლა ვუთხარი:

— ო, ელპენორ, რაგორ მოხვდი ამ ნისლიან შავეთში, ხომალდზე ამხედრებულს ქვეითმა როგორ გამოამსწარი?

ტირილით მომიხირო ელპენორმა თავისი ამბავი:

— ზევისი ნაშიერო, მრავალნაცადო ოდიხესეს! ავმა დამონმა მომიღო ბოლო ღვინით გალუილს. ცირცეს სასახლის თავანზე მწოლარეს დამავიწყდა, რომ მაღალი კიბით უნდა ჩამოვსულიყავი ძირს. მე უგუნურმა კი პირდაპირ გაიმთავაბიჯე, მიწას დავასკდი, ხერხემალი გადამმეტრა და ბედარული სული ჰადესს გამომიფრინდა. ახლა გაფიცებ სამშობლოში დატოვებულ შენს მეუღლეს, შენს გამზრდელ მამას და პირმშოს შენსას, ტელემაქეს, რომლის ანაბარად დავარჩენია სახლი, — არ დავაიწყდეს ჩემი დამარხვა. აკი ვიცო, რომ ჰადესის სამეფოდან კვლავ აიას კუნძულზე დაბრუნდებო. საკადრისად დამიტოვე, კოკონს დაუღე დასაწვავად ჩემი ცხედარი და სატურრელო, ზღვისპირას სამარხი ბორცვი აღმიმართე, რომ შთამომავალთა ხსოვნიდან არ აღიხოცოს ჩემი სახელი. ზედ ნიჩაბი დარკვე, რომლითაც მე სვეუბედურს ჩემს ამხანაგებთან ერთად ღვინისფერ ზღვას ვაქაფებდი. შემირთულე, გვედრებო, ყოველივე ეს, ჩვენო პატრონო, რათა ჩემს გამო ღმერთების რისხვა არ დავატყდეს თავს!

ასე მივედრებოდა ელპენორის სული და მეც დავპირდი: ამაზე ნუ ინაღვლებ, ბედშავო, ყველაფერს აგისრულებ-მეთქი!

დიდხანს ვიჯექით ასე — მე სისხლიან ორმოსთან მახვილმოღერებულს, ის კი მოპირდაპირე მხარეზე — და ნაღვლიან სიტყვებს ვუხუნებოდით ერთმანეთს.

შემდგომ ამისა დედაჩემის, დიდსულოვანი ავტოლიკეს ასულის, ანტიკლავას სული მომეახლა. ილიონს გამგზავრებულმა ცოცხალი დავტოვე დედაჩემი, ახლა კი, აქ რომ დავინახე ცრემლები წამსკდა და მწარედ ავტირდი. მაგრამ სისხლიან ორმოსთან მიანც არ მივუშვი, რაკი ჯერ ტირეზიასთვის უნდა მეგმითხინებინა.

ბოლოს, ხელში ოქროს კვერთხით ტირეზიას აჩრდილიც გამოჩნდა. მიცნო და ასეთი სიტყვა მითხრა:

— ბედშავო, რატომ დავიგდია მზისქვეშეთი? რისთვის მოსულხარ მზეგადასულთა უსიხარულო ქვეყანაში? ჩაავე მახვილი და გზა მიტოე, რომ შევსვა სისხლი და უტოთმოდლა გიწინასწარმეტყველო!

მახვილი ჩაავაე და უკუვადეძი. სახელგან-

თქმული მისანი ხარბად დაეწავა სისხლს და მერე ასე დაიწყო:

— ეპე, შეუშავარო ოდიხესეს! სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებას მიილტვი! მაგრამ ევეკე, გაეკეე მიწისმრეყველის რისხვას, — შენ ხომ მის საყვარელ მეს აველისჩინი წაართვი! მრავალჭირგადახდილ ითავს მიიღწევე, უკეთუ საკუთარ გულს და მეგობართა გულსიტქმას დაიურეგებ, რაკა კეთილქმნილი ხომალდით თრინაიკის კუნძულს მიადგები. იქ ყოველისმბილველი და ყოველისმეცნაური ჰელიოსის ნახირო და ცხერის ფარა დაბალახობს. თუ ხელს არ ახლებთ მათ, დიდი ვასაქირი კი ვადაგზებდათ, მაგრამ უნებლად მიადგევეთ სამშობლოს. ხოლო თუ დახოცავთ, ხომალდიცა და თანამგზავრებიც ერთიანად დაგელუებთ, თუმცა თავად შენ გადარჩები, დიდი ხნის შემდეგ სხვისი ხომალდით დაბრუნდები შენ და იქაც ფათერაკს ვადაუყრები, რადგან შენს სახლში თავისული თანამემამულენი პარპაშებენ და საბადებელს გინანაგებენ, შენი ღვთისდარი მეუღლის ცოლობის მოსურნენი ძვირფასი საჩუქრებით ცდილობენ მისი გულის მონადირებას.

მისვლისთანავე გაუსწორდები მოძალადე სასიძოებს: ხერხით იქნება თუ ღონით, ერთიანად შემუსრავ მათ, ხოლო შემდეგ მხარზე გაიღებ კარვად გამოთილი ნიჩაბს ხომალდისას და იმ ხალხს მოსძებნი, რომელთაც არც მარხილით შეშაადებული ჰამადი იციან და არც ნიჩბებით ფრთაშესხმული, ფერდებამოზნეილი ხომალდებით ზღვაოსნობა. გეტყვი, როგორ გამოიცნო ეს ხალხი: როდესაც გზადმიმავალს, მგზავრი ვინმე შემოგყვრება და გკითხავს, — ეს რა ბარი ვაგივდიო, უცხოელო, ძალოვან მხარზე, — მაშინ იქვე ჩაარკობ იმ ნიჩაბს და მეუფე მოსვიდონს ვერსი, ხარსა და ეშვებიან ტახს შესწირავ. შემდგომ ამისა შინ დაბრუნდები და ცის ბინადარ ყველა ღმერთს რივისამებრ წმინდა ჰეკატომბას მოუშაადებ.

ამასაც გეტყვი: ზღვაზე სიყვდილი არ გიწერია. მზეგრძელი ტყბილად დაბერდები საკუთარ სახლში და სიყვდილის შემდეგ ბედნიერ და მაღლიერ შთამომავლობას დასტოვებ. შეუძცადარი და ვარდაუვალია ეს ჩემი წინასწარმეტყველება!

— ღმერთების ნება ყოფილა, ტირეზიავ, ყოველივე ეს, — მიუფე, — შენ სხვა რამ მამცნე, არ დამიძალი: აგერ დედაჩემის მწუხარე სული უმზრხანად დამჯდარა სისხლიან ორმოსთან. ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის და ხმა არ ვაუცია. მითხარი, წინამძღვარო, როგორ მოვიქე, რომ იცნოს დედაჩემის სულმა მისი საყვარელი ძე?

— არ დავიზაღვ, ამასაც გეტყვი, — მიზა-

კომპროსი
ოდიხესა

სუბა სახელგანთქმულმა მისანმა, — მხოლოდ ის გინჯობს და გავგზავნებ, ვისაც სისხლზე მიუშვებ. ხოლო ვისაც დაუშვია ორმოსთან მოსვლას მსწრაფლ უსიტყვოდ გაგვეცლება.

ეს რა მამცნო, ჰადესის ბუკებს მიეფარა ტირილის აჩრდილი. მე კი ლოდინი დავუწყე დედამისის სულს. მაღე ისიც მომეახლა, და რა შესვა შავი სისხლი, ტირილით შეიცხადა:

— სანატრელო შეილო ჩემო! ცოცხალი რამ მოგიყვანა ამ ნისლიან შავეთში! ხორციელი კაცისათვის ძნელია აქ მოსვლა. როგორ გამოძლიახე ჰადესის მდინარეები და ეს გობოქარი ოკეანე? ტროადან გამოგზავრებულს ალბათ დიდხანს მიმოვარბებდა უკიდევანო ზღვა! ხომ არ მისულხარ ითაკაში, ხომ არ გინახავს შენი სახლი და საყვარელი მეუღლე?

ეს მეთხა და მეც არ დავუყოვენი პასუხი: — საყვარელო დედა! საჭიროებამ მომიყვანა ჰადესის ზღურბლთან — თებელი ტირიზის სულისათვის უნდა მემოთხივინებინა. ჯერ არ ვყოფილვარ აქავეთში და არც ჩემს მშობლიურ ქუთუხლზე დამიდგამს ჯერ ფეხი. მას შემდეგ, რაც ჩვენს ბელადს, აგამემნონს წაყვევი ცხენ-მრავალი ილიონის დასამოზად, დღენიადაგ ჰერას და ვიავგლახში ვარ. ახლა კი დაუფარავად მამცნე, რა წერამ მოგიყვანა აქ, ხანგრძლივმა სნებამ მოგილო ბოლო თუ მშვილდოსანი არტემიდეს ანახდელულმა ისარმა? ისიც მითხარი მირამ, — რა დღეში არიან მამაჩემი და ჩემი მხოლოდშობილი ძე? ჯერ კიდევ პატრონობენ სახლ-ქარს თუ ვინმე სხვამ მიიხვეჭა ჩვენი საბადებელი? კვლავ მელიან თუ იმედი გადაეწურათ ჩემი დაბრუნებისა? მართალი მითხარი, რას ფიქრობს ის როგორ იქცევა ჩემი ცალი; წესისამებრ ოჯახში დარჩა და ერთგულებას მინახავს, თუ უკვე გაჰყვა რომელიმე წარჩინებულ აქაველს?

დედა-ბატონმა იმწამსვე მომიგო პასუხი: — შენს გულმწუხარ პენელოპეს არ მიუტოვებია შენეული სახლი, თვალტრემლიანი შენს ლოდინში ათენებს ღამეებს. არც შენი ქონება მიუტაცნია ვისმე, კვლავ ტლემოქე ივლიოს მას უშფოთაველად. პატრიოტ მიწვეული იგი ღორსუტა შორის ზის ნაღიმებზე, როგორც ქვეყნის განმგებელსა და მეტრქეს შეეფერება. მოხუცებული მამაშენი სოფლად ცხოვრობს, ქალაქში აღარ დაიარება. თბილი ქვეშავები და საბანიცი კი არ გაანჩნა ბედშავს და ზამთრობით მონებთან ერთად კერიის ნაცარში ცეცხლს ეფიცება, ძონძებში გამოხვეული. გამოზაფხულზე და შემოდგომის ეამს მისი საგებელი ვაზის ჩამოცვენილი ფურცლებია. გენახში ნეშოზე წევის იგი გულგანინილი და შენზე დარდი კლავს. უსიხარულო სიბერე ხვდა წილად მამაშენს! მეც შენზე დარდს გადავეყვი, შეილო. არც მშვილდოსანი არტემიდეს ისარს დავუღუპივარ და არც ხორცის დამად-

ნობელ სნეულებას. დაკარგულ შეილზე გემუქმულს დმბებულ ფიქრით გულდამდნარი დარდმანს მიყვანა მიყვანა.

ასე ჩიოდა დედაჩემი. გულაჩუყებულმა სამჯერ ვცადე მოგვევოდი, მაგრამ სამჯერვე სიზმარულ ჩვენებასავით ხელიდან დამიხსლტა მისი აჩრდილი. საშინელი ნიღელი შემომაწევა გულზე და ეს ამოვიგმინე:

— რატომ მიმირბი შენს ჩასახუტებლად როცა მოვიწვევ, დედა? რა იქნებოდა, თუნდაც ჰადესის სახლში ტირილით მოგვევოხებინა გული? ან იქნებ სასტიკმა პერსეფონემ იმითომ მომივლინა შენი ჩვენება, როგ უარესი მწუხარება მოესართა ჩემთვის?

ასე მომიგო დედაჩემმა: — ვაი, ჩემო შეილო, კაცთა შორის უბედურესი! ზევსის ასული, პერსეფონეს, არ მოუტოუნებინარ! ასეთი ხვედრი აქეთ მოკვდავთ: სიკვდილის ეამს ძვალ-რბილი შემოცნარეობით და მხურვალე აღოსქარი დაანარებს მთა, ხორციან გაყრილი სული კი სიზმარით ჰადესს გაფრინდება. სამზუნს მიაშურე კვლავ, შეილო! ვახსოვდეს, რაც გითხარი, რომ შინდაბრუნებულმა ყოველივე უამბო შენს მეუღლეს.

ეს თქვა და განშორდა დედაჩემი. მეერ პერსეფონესაგან მოვლენილი ქალ-რძალნი მოჯარდნენ. ესენი იყვნენ ძველი დროის წარჩინებულთა თანამეცხედრენი და ასულნი. ორმოს დაეხვივნენ და ერთმანეთს არ აცდილდნენ სისხლის შესმას. და რაჟი მსურდა საითთოდ გამომეკითხა მათი ვინაობა, მახვილი ვიშმშელე და რიკრიკობით მივეშვი სისხლზე. თითო-თითოდ დაწაფებულენი შვა სისხლს, თავიანთ ამბებს მივებოდნენ.

პირველად ტირო დავინახე, კეთილშობილი გვარიშვილი, სალმონესის ასული და მეუღლე ეოლოსის ძის კრეთევისისა. მდინარის ღმერთი ენიბევის სიყვარებოდა ტირის და ხშირად ზანაობდა ხოლმე მშვენიერი მდინარის ჭვირვალე წყალში. ერთხელ ენიბევისის სახით პოსეიდონი გამოცხადებია ქალს და მდინარის შესართავთან დაწოლილა. მთებად აღმართული ტალღები რკალად შემორტყმინ ღმერთისა და მოკვდავ დიაცს. პოსეიდონს შეუხსნია მისთვის სიქალწულის სარტყელი, ხოლო თავად იგი ნეტარი ძილით მიუძინებია. სასიყვარულო საქმე რა მოუთავებია, ხელი მოუქილია ტიროსათვის და ასე უთქვამს: — სიხარულად მიითვალ, დიაცო, ეს ჩემი ტრფობა! დადგება ეამი და ორი მშვენიერი ბავშვი გეყოლებას: ღმერთთან ვაზიარებულ სიყვარული არასოდეს ჩაივლის უნაყოფოდ. ბავშვებზე ორბრედ და საყარისად აღზარდე. ახლა შინ დაბრუნდი და არავის გაუშვლანო ეს ამბავი. იცოდე — მიწისმრეველი პოსეიდონი ვარ! ასე უთქვამს და აღელვებულ ზღვაში გაუჩინარებულა. ტირო დარ-



სულდა და ჯამისად შვა პელოისა და ნელევის, რომელნიც შემდგომ მაღალი ზევისს თანამდგომნი შეიქნენ. პელოისა ცხვარმზავალ იოლკოსში ჰქონდა სამევიდრებელი, ნელევის კი ქვიშაინ პილოსში ბასილევსობდა. თავის ქმარს კი, კრეთევსს, დიაცთა დედოფალმა ტრომომ სანამი ძე უშვა: ეზონი, ფერესი და ფიცხელტლო-სანი ამითაონი.

შემდეგ აზოპის ასული ანტიოპე დავინახე, ის ანტიოპე, რომელიც ამაყობდა, ზევისს სარეცელზე მეძინაო და ორი სახელოვანი ძე ვუშვიო მეხისმტყორცნელს — ამფიონი და ძეთო-სი. ამათ ჩაუყარეს საძირკველი შვიდღარბქიანი თემეს. მათვე შემოურტყამთ ვალაფის ამ დიდმშვენიერი ქალაქისთვის, რადგან ძალმოსილნი კი იყვნენ, მაგრამ უვალაფონ ქალაქში არ დევდამებოდით მაინც.

შემდეგ აღკმენე დავინახე, ამფიტროონის თანამეცხებელი, რომელმაც ლომგული ჰერაკლე შვა, ზევისს მკლავზე განცხრომით მწოლარემ. მის გვერდით მოურევნელი ჰერაკლეს მეძულეს, დიდსულოვანი კერონის ასულს მოვეკარი თვალი. ხოლო შემდეგ ოიდიპოსის დედა, მშვენიერი ეპიკასტე გამოჩნდა. საშინელი ცოდვა ედო ამ დედოფალს კისრად: გონებადბანელებული მისდა უნებურად ცოლად გაჰყვა საკუთარ შვილს, რომელსაც ჯერათუნახავი მამა შემოჰკვეცილობდა. ოიდიპოსი სანატრელი თებეში მბრძანებლობდა კადმოსიანთა ტომს. ღმერთებმა რა გამაძლავნეს ეს უღვაინი საქმე, სიკაცსტემთაი ჩამოიღრჩო და ჰადესს ჩახლდა, ხოლო საცოდად შვილს მშობლის კერინიებისაგან ხვედრად განუზომელი ტანჯვა ერგუნა.

შემდეგ ულამაზესი ქლორისი დავინახე, ამფიონის უმრწემესი ასული, რომლისთვისაც ნელევისმა აურაცხელი ურვალი გადაიხადა, რომ ცოლად შეერთო იგი. ნელევისი ჯერ მინეველთა ორქომენს განაგებდა მორჭობით, მერე კი პილოსს დამევიდრდა. აქ დაიბადნენ მისნი ძენი და ასულნი: ნესტორი, ქრომოსი, პერიკლიმენოსი და იგავიმუწვდენელი მშვენიებით მოიილი, ქალწულთა შორის სასწაულებრივად ლამაზი პეტრო, რომელსაც უამრავი მოხოვნელი ჰყავდა. ნელევის დათმული ჰქონდა იმისთვის მიფხოვებინა თავისი ქალი, ვინც იფეკლოსს მიერ უსამართლოდ მიტაცებულ რჯადარგხილ და ფართეშუბლიან ხარებს ფილაკოსიდან მოდენდა. მაშინ გამოჩნდა ერთი განთქმული მიანდი და ამ საქმის მოგვარება იკისრა. მაგრამ ღმერთების განგებით იფეკლოსს გატყუარებულმა მწყემსებმა შეიპყრეს იგი და დაატყვევეს. წარხდნენ დღენი და თვენი, და წელიწადი რა მიიყარა, იფეკლოსმა გაათავისუფლა ტყვე, რადგან მისანამ სწორად უმკითხავა ყოველივე...

შემდეგ დედა დავინახე, ტინდარეოსის მეუღლე, ორი ძალგულოვანი და მამაცი შვილის

დედა. ერთს — ცხენთამხედნელს კასტორი ერქვა, ხოლო მეორეს — მოკრივეს, პოლიდეკე-ორივენი ცოცხლოვ შთანთქა ცხოველმყოფელმა დედამიწამ. მაგრამ მათმა მოყვარულმა ზევსმა სამუდამოდ არ გასწირა შვეთისათვის: ისინი დღევამოშვებით კვდებიან და კვლავ ცოცხლებიან.

შემდეგ იფიმედეა დავინახე, ალოევისს მეუღლე, იფიმედეა ივეხსნიდა, პოსეიდონისგან მყავთო ლეთისდარი ოტოსი და სახელოვანი ეფიალტე. ორთავეს ადრე მოესწრაფა სიცოცხლე: ერთიცა და მეორეც ცხოველმყოფელმა დედამიწამ გამოზარდა და სილამაზით მხოლოდ განთქმულ ორიონს თუ ჩამოუვარდობდნენ. ცხრა წლისანი რომ შეიქნენ ცხრა წყრთაზე წაუვიდათ მხრები და ცხრა მკლავის გამულაზე აყარათ ტანი. ძალღონით მიქაძულნი უკვდავ ღმერთებსაც კი არ ებუებოდნენ: იმით ემტკრებოდნენ ოლიმპიელს. ასე განიზრახეს: ოლიმპოს მწვერვალზე ოსას მათს შეედგამთ, ხოლო ოსაზე — ტყითდაბურულ პელიონს, რათა ადვილად შეეწვდეთო ზესსენლის ბინადართ. სიბუბუემდე რომ მოყრილიყვნენ, იქნებ აესრულებინათ კიდევაც წაღლი. მაგრამ ზევსისა და თვალმშვენიერი ლატონას ძემ, აპოლონმა შემუსრა ახლადმწვარიამოდინარი ყმაწვილები.

ფედრა, პროკრისი და მშვენიერი არიადნე შვენიშნე, ბრძენთაბრძენი მინოსის ასული, ოდესღაც თეზევსმა კრეტადან წმინდა ათენში რომ ჩამოიყვანა. მაგრამ ვიდრე თეზევსი მისს წაიყვარებულ დატკებობდა, ოიონისგანდა წაქეზებულმა არტემიდემ განგებრა იგი დიას კუნძულზე. მაირა, კლიმენე და საძაფელი ერიფილეც ვნახე, რომელმაც ერთგული ქმარი ოქროზე გასცვალა.

ყველას ამბავს ვერ მოგიყვებო, დიდსულოვანი ალიკნოე! თეთრად დაგვათენდებო ეს ღვთაებრივი ღამე, ძლევამოსილი გმირების თანამეცხედრეთა და ასულთა მარტოოდენ სახელები რომ ჩამოგითვალთ. ძილის დროა უკვე! ხომალდზე წავალ ჩემს ამხანაგებთან ან თქვენის ნებით აქ მოვიხვეწებ. თქვენც კი ღვთის მშვენივით გამგზავრების საქმე მომიგვარეთ!

გატრუნულები უსმენდნენ ფეაკელი ოდისეისს ნაამბობს. მონუსხულნი ისხდნენ ისინო ალიკნოეს ჩამოხვეწებულ დარბაზში. პირველმა თითარმუღავება აერთო წარსოვლა სიტყვა:

— მოთხარით, ფეაკელო, შედრებმა ვინმე ამ კაცს ახოვანებით, სიღარბისლითა და ჰქუაგონებით? ჩემი სტუმარია დღეს იგი, მაგრამ ჯერ არს თქვენც მიაგოთ საყადრისი პატივი. ანქარებით ნუ გაეისტუმრებთ ამ ღირსეულ

ჰომეროსი
ოდისეა



კაცს. გავუქვალათ საბოძარი. ზეცის წყალობით სავანძურები სავსე გაქვთ უჩაით.

მაშინ წამოდგა ფეაკელთა უხუცესი გმირი ექნეოსი და ასე მიმართა თვისტომთ:

— გზიანი სიტყვა გვითხარა დედუფალმა არუთამ და ჩვენნი წადილიც ხომ ეგ არი! ხვარამ, ვნახათ, რას გვიბრძანებს ალინოე: მის ბეღთაა სიტყვაც და საქმეც!

აქ სიტყვა დასძრა ალინოემ, ფეაკელთა მბრძანებელმა:

— დასტური მოთქვამს, — უკეთუ ზღვაოსან ფეაკელთა ხელმწიფე მქვია, ეგრემც იქნება! თუმც გზად მიუწევს გული, მცირე ხანს უნდა დაითმინოს ჩვენმა სტუმარმა. ხვალ დილაღრიან თასს მოფუყრი ფეაკელთაგან მისთვის ნაბოძებ საჩუქრებს, ხოლო მის გამგზავრებაზე ერთობლივ ვიზრუნებთ. მაგრამ სხვებზე მეტად მე მმართვეს ზრუნვა, ავი ფეაკელთა შორის პირველი კაცი ვარ!

ოღისეცსა მიუგო:

— ერისმთავარო ალინოე, თვისტომთა შორის უბირველესო! ერთი წელიც რომ დამტოვოთ თქვენთან, რათა შედეგ ძირფესვი საჩუქრებთ გამოსტუმროთ, უფარს ან ვეტყვოლით. იმას რა სჯობს, დოვლათით ხელსავსე დაუბრუნდეს კაცი დიდხნის უნახავ სამშობლოს. შინდარუნებულს მეტი პატივით შემეგებებიან ითაქვლი!

პასუხად ალინოემ ასეთი სიტყვა უთხრა ოღისეცს:

— პირგადახილო სტუმარი! იმ ვერავ და ცრუ კაცებს არ ჰგავხარ, კიდითიყად რომ თეღვენ დედამიწის ზურგს და ლაქარდანი ერთი ჭორებს ჩმახვენ. ენაწყლიანიცა ხარ და ბრძანდომობარც. ტკილხმინი აედევით გვიამბობი არგოსელთა და აქაველთა ძნელბეღობაზე. მაშ, ისიც გვითხარი, შეხვდი თუ არა ილიონის ბუეებთან დაცემულ შენს სახელომბეჭედილ თანამოსაგრეთა აჩრდილებს? ძილი ჯერ აღრეა, წინ დიდი დამე გვიძებს და თუ არ მოწყინდება, ჩვენც მოუწყენლად მოვისმენთ გათფენებამდე შენს საყვირველ ნაამბობს.

მრავალჭირანხულმა ოღისეცსა ასე მიუგო:

— ერისმთავარო ალინოე, თვისტომთა შორის გამორჩეული! მართალი ბრძანე: ძალს კიდევ მოვესწრებით. თუკი გულითა გსურთ, მოგყუებით ჩემი დაღუპული თანამბრძოლები ამავეს. იმ დიდებულ კაცზეც ვიამბობთ, რომელიც სამშობლოში კი დაბრუნდა, მაგრამ მზაკვარი დიაციის ხელით მოიკლა თავისავე სახელში.

მას შემდეგ, რაც უტოდველმა პერსეფონემ განუდგრა დიაცთა მოფარფატე აჩრდილები, აგამემნონის მწუხარე სული მოდგა. მას გარს შემოხვეოდნენ იმათი აჩრდილები, მასთან ერთად რომ დაიღუპნენ ევისიუსი მიერ გამართულ ნადიმზე. როგორც კი იგემა აგამემნონის სულ-

მა შავი სისხლი, მყისვე მიცნო დამწყობი ატირდა. ხელები გამოიწოდა ჩემს მისახვევად, მაგრამ ძველებურად აღარ ეჩრთა მკლავი. ამის შემხედვარეს ცრემლები წამსკდა და გულშეძრულმა ეს ეუთხარა:

— როგორ დავაგზო სიკვდილმა, ატირების დიდებულ ძეო, ერის წინამძღვარო აგამემნონ! გრავალი დავაწია გზად პოსიდიონმა და ზღვის უფსკრულში დაგინთქა ხომალდები, თუ ხმელეთზე გამოგასალმეს წუთისთველს, როცა მოტაცებულ ქარავანს მოერეებოდი? ან იქნებ მაშინ დაეკი განგმირბოთ, როცა ქალაქსა და დედაწულთ იცავდი მომხდური მტრისაგან?

— არა, ღვთისნასახო ლაერტეს ძეო, არც მიწისმკრეველი პოსიდიონის გრივალს დავენთქევირ ზღვაში და არც მომხდურ მტრებს მოვეუქვავარ ხმელეთზე. მუხანათი მეუღლის წაქეზებით მიმიწვია ნადიმზე ევისთემ და ბავაზე დაბმულე ხარიეთ დამკლა. ასე საცოდავად გამოვესალმე წუთისთველს ჩემსავე სახლში. ჩემი მხლებლები კი იმ ღორბეგით დააღუს, რომლებსაც ქორწილოს, თხზარისა ან მდიდარი კაცის სუფრისათვის წამოაქცევენ ხოლმე მესუფენი. შენ ხომ ბევრი სასტიკი ორთაბრძოლისა და სისხლისმღვრელი შერკინების მომწერ ხარ, მაგრამ შეგზარავდა რომ გენახა, როგორ ვცურავდი სისხლში სანადიმოდ ვაწვობოლ სუფრასთან ღვინო სავსე ლაგვინებს შორის. სულთმობრძავს პრიაიმისის ასულის, კასანდრას საწყალობელი კივილი შემომესმა: ისიც თავზე დამაკლა კლიტემნესტრამ. მომაქცევამა ერთი წამოვიწიე, მახვლისთვისი მიწოდდა წამებთან ხელი, მაგრამ გამექცა ის ძალთაპირი დიაცი, — სულთმობრძინარს არც პირი დამიმუწა და არც თვალები დამიხუჭა. ეჰ, მრავალნაცადო ოღისეცს! არაფერი ყოფილა უმაღლურ დიაცზე საძაგელი! მეგონა, შინდარუნებულს სიხარულით შემოხვდებოდნენ ცოლი და მოყუთანი. მაგრამ ვაი, რომ მოყვარული ქმარი სასიკვდილოდ გამიმეტა ურცხვამა დიაცმა და სამუდამოდ ლაშვი ამოსვარა არა მარტო საყუთარი თავი, არამედ ქალთა მთელი ჯალაგი, ისინიც კი, ვისაც უმწყევლოდ უტყობრია ამ ქვეყნად.

ასე შემომჩიოდა აგამემნონი და მე აღმომხდა:

— ვავახს! როგორ დაუწყევლბია დიაცთა ხვანჯვების გამო მალთიმრკვინავ ზეცის ატირვისის მოდგმა! ელენემ ხომ ბევრი სახელოვანი მამრი შეიწირა ილიონის კედლებთან და კლიტემნესტრამაც ავი ხედრი დავახვედრა შინდარუნებულს!

ამ სიტყვაზე ვიცხლად მომიგო აგამემნონმა:

— გულიც ნურც შენ გიფხობი მეუღლეს, ოღისეცს, ყველაფერს ნუ გაუხმელ! ასე აჯობებს, თუმცა ღალატს არც უნდა ელოდე პუნელოპესგან: ბრძენი და ერთგულია იკარიოსის

ასული. მასსოცს, ილიონს რომ მივეშურებოდით, ახლად დაქორწინებული იყავი, ძუძუმწოვარა დაგრჩა ვაჟიშვილი, რომელიც ახლა ალბათ ღირსეულად ზის დარბაისელთა შორის. მალე შეიყრებნით მამა-შვილი, დაგიდგებათ ეს სანატრელი ყამი. მე კი, სევადვისლს, ორკულმა ცოლმა არ დამაცილა შვილის ნახვით გახარება. ერთ რამესაც ვეტყვი და გულში დამარბავ: ფართულად მიაყვანე შენი ხომალდი მშობლიურ კუნძულს, და სახლში შესულიც მამინ. ვე ნუ გააცხადებ ვინაობას. გახსოვდეს, მიუნდობელია ქალთა წილაგი! ახლა ეს მამცნე, ნუ დამამბავ: რამე ხომ არ გსმენია ჩემი შეილისა? ხომ არ იცი, სად არის, — ოქრომენმა თუ ქვიშიან პილოსში, ან იქნებ ლაკედემონსა შევეკვლა ბიამისს, მენელაოსს? რადგან ვიცი, მკვდრებში არ სწერია, — სამზეოს დაიარება კეთილშობილი ორესტე!

— რას მკითხებნი-მეთქი, ატრევსის ნაშვირო, — ეთხარა, — ორესტესი არაფერი მსმენია. ვერ გეტყვი ცოცხალია თუ მკვდარი, ფუჭი ლაპარაკი მე არ მჩვეია!

ასე ესუბრობდით დიდხანს მე და ავამეზონონი და მდულარე ცრემლი გვილტობდა სახეს.

შემდეგ რიგრიგობით მოდგნენ პელევსის ძე აქილეუსი, პატროლე, ანტილოქე და აიანტი, რომელიც დანაეღთა შორის მხოლოდ აქილეუსს ჩამოუყარდებოდა ახვანებით. მიცნო თუ არა ვაკეს ფეხმარდამა შთამომავალმა, ტირილით შემომამბა:

— ზევისს ნაშვირო ოდისევეს, ნეტა კიდევ რა განუზრახავს შენს შეუპოვარ გულს? რამ ვაგაბედინა ჰადესის შვეთში ჩამოხდომა, იქ, სადაც უზორცოთა აჩრდილები უგრძნობ-უაზროდ დაბორიალობენ?

ასე მკითხა და მეც ვუბასუხე:

— აქავეღთა სიქადულო, აქ იმისთვის მოვედი, რომ ტირეზიასგან ვამეგო ითაკაში ჩემი დაბრუნების ამბავი. მე ხომ აქამდე ვერ მიესულვარ აქავეთში და ფეხი არ დამიდგამა მშობლიურ მიწაზე. სულ ასე ჰქირსა და ვაივავლაბში ვარ. შენზე ბედნიერი კაცი კი, აქილეუს, მე არ მეგულემა ქვეყნად, არც ვარდასულთა და არც ნამიჯალთა შორის! ცოცხალი იყავ და ღვთისდარ პატრეს გვემდნენ არგოსელნი. ახლა კი, ჰადესს ჩამხდარი მკვდართა სულელებზე ბატონობ, და ამიტომ ბედს ნუ დაემდურებ!

ასე ვანუგუმუბდი აქილეუსს, მაგრამ მან სიტყვა მომიჭრა:

— ამაოდ სციდილობ ჩემს ნუგუმისცემას, ოდისევეს! ჰადესის აჩრდილებზე ბატონობას მირჩენვია ვინმე ლატკ მდაბიორს ეულდე მოქამავარე! ახლა ის მითხარ, რასა ეტყვი ჩემი კეთილშობილი ძე, ომში კვლავ მეწინავეთა შორის იბრძვის თუ არა? რამე ხომ არ ვაგიგონია პელევსზე, ჩემს მოხუცებულ მამაზე?

კვლავაც ეთაყენებთან მირმიდონელნი, თუ უკვე დადიწყადთ მისი სახელი ელადასა და ფთიაში? რა ხანია სიბერე სჭირს და ღონე აღარ მოსდებდა მკლავსა და მუხლში. სამზეგონი უკვე არად ვარკვიარ ბერცას, მე ხომ ის აქილეუსი აღარა ვარ, არგოსელთა საშველად რომ ვმუსრავდი ტროელ გვირგბთა. ო, ნეტაე შვეთიდან ცოტახნით დამაბრუნა მოსიქულ სახლში, — არამ პელევსის შემაჭირებელთა და შეურაცხყოფელთ საკადრისი მივეზღო!

ასე ბობოქრობდა აქილეუსი, ხოლო მე მივეუბე:

— პელევსისა არაფერი ვიცი, შენს ძვირფას ნეობტოლემზე კი ბევრ რამეს ვეტყვი: მე თავად წვაყვანე იგი და სკიროსში მშვენიერსა-საბარკულთან აქაველებს მივგავარე. როცა ილიონის ციხე-სიმაგრეს შემოვადექით, ერისმთავართა საბჭოზე შემემდარ ჩრეჯის იძლეოდა მუღამ. მეზრბეთავან მხოლოდ ღვთიე-გაბრძნობილი ნესტორი და მე თუ შევეცილებოდით სიტყვაში. ილიონის მისადგომებთან მეწინავეთა მხარდამხარ ბრძოლა მას არ სჩვევდა, — მარტომბრძოლი წინ მიბრბოდა ხოლმე. ვინ მოსთვლის, რამდენი გვირი ვამოასალმა წუთი-სოფელს! ნეობტოლემემ მოჰკლა ვერაილი, ტილეფიას ძე, და გასწყვიტა მისი თანამდგომი ქეთელები, რომლებსთვისაც ბრძოლაში შეწევის სახლურად პრიაშოს თავისი ასულე-ბი უნდა მიეთხოვებინა. ღვთაებრივი მემონის შემდეგ ვეზომ პირმშვენიერი ჰაბუეი მე არ მინახავს. ეპიოსის ნახლავ ხის ჰუნემა რა ჩავსხვიდით, რომლის ვაღვე და დასწევა ჩემს ხელთ იყო, დანაელთა ბელადებს ჰირისოფლო ასხამადთ და მუხლები უკანავლებდათ, მხოლოდ შენს ძეს არ შეუხრია წარბი, — მახვილის ვადა მივადულე და ტროელთა შემეცხვრის მოქადული ჰუნედან გასვლას მევედრებოდა. წმინდა ილიონი რომ დაეამხეთ, დავლამარეულად ავიდა იგი ხომალდზე. ხელჩართულ ბრძოლაში, სადაც განუზრახველად მიმინვარებს არე-სი, შენს ხმაშეუვალ ძეს თითიც არ ვაყაწვრია.

ეს რა მოვახსენე, გამშორდა ფეხმარდი აქილეუსი, შვილის სიფაყაცის ამბით გახარებულმა ლად ნამიჯით ვადაიარა ასფოდელოს ვე-ლი.

დაღვრემილნი იგდნენ ჩემს წინ სხვა აჩრდილებიც და რიგრიგობით მიზიარებდნენ თავიანთ სიმძიმისს. მხოლოდ აიანტი ვამდგარიყო ვანზე. პირმოდულე მემომეტროდა, რადგან აქილეუსის სიკვდილის შემდეგ ხომალდებთან გამართულ ყრილობაზე მე მარტუნეს წილად სწორუპოვარი გვირის ფარ-ხმალი. თავად აქილეუსის დედამ მემომეტროდა საჭურველი და ტროელებმა და ქალმერთმა

ჰომეროსი
ოდისეა

ათინამაც ეგვეც დაადგინა. ნეტავ მისთვის მიეცათ ეს საკუთრელო! მაშინ ხომ მიწას არ ამოეფარებოდა ძღვევამოსილი აიანტი, რომელიც დანაგულა შორის მხოლოდ პელევსის ძეს უთმობდა პირველობას. ტკბილი სიტყვით მივეფერე აიანტს და ასე ვკადრე:

— სახელოვანო ტელამონის ძე! ნუთუ შვეთშიც ვერ დაიხბე გულისწყრომა ამ ავბედითი ფარ-ხმალის გამო, არაგოცელთა დასალუპავად რომ გამოუქედავთ ღმერთებს? ეჰა, რა მტკიცე ფარი შეეხსნათ შენი სიკვდილით დანაელებმა! აქაველებმა შენც ისევე დაღიბირეს, როგორც ლომეული აქილეუსი. უბრალონი ვართ ჩვენ, — ზევსს მოპკობთხონ შენი სიკვდილი დანაელებმა! ახლოს მოდექ, სპათა წინამძღოლო, კეთილშობილი გული დაიხბე და ქედმაღლობა დაიოკე!

ხმა არ გამცა აიანტმა, პირი იბრუნა და ერებოსის აჩრდილებს შეერია. ცოტას რომ ვაყვოლოდი, იქნებ მოღობობოდა გული და გამსაუბრებოდა, მაგრამ სხვათა ნახვის წადილმა დამძლია.

მერე მინოსი დავინახე, ზევსის სახელგანთქმული ძე. ოქროს ტახტზე იჯდა, ხელთ ოქროს კვერთხი ეპყრა და გარს მომდგარ მკვდართა სულებს, თავიანთ ავ-კარგს რომ მოახსენებდნენ, ჰადესის ბუკემბალს სახლში განიკითხავდა.

შემდეგ ბუმბერაზი ორიონი დავინახე, — ასფოდელოს ველზე იმ ნაღირებს დასდევდა, ერთდროს უკაცრიელ თემებში რომ დაეხოსოდა დაუმტვრეველი სპილენძის კომბალით. ტიტიოსიც დავინახე, დედა-მიწის შვილი. ცხრა უტყევანზე გართხმულიყო ბედაკრული, ორი ძერა ჭანგებით ჩაბდაუჭებოდა შიგნეულში და ღვიძლს უკორტნიდა. ასე დაესაჯათ მის გამო, რომ პანოპევიდან პითოსს მიმავალი მშვენიერი ლეტო, ზევსის საყვარელი, გზად მოეხელთა და გაეზახებინა.

ტანჯული ტანტალოსიც ვნახე, — მწყურვალო — წელამდე წყალში იდგა: როგორც კი თავს დახრიადა წყლის დასალევად, რომელიც დაიბონი იმწამსვე დაუშრობდა ხოლმე წყალს და საწყალ მოხუცს შავი მიწა და რჩევალს ფეჭვეშ. ბროფეულით, მსსლით, ვაშლით, ლედვითა და ზეთისხილით დახუნძლული რტოები მის ცხვირწინ იხრებოდა, მაგრამ მოსაწყვეტად გაიწყვედნა თუ არა ხელს, მძლოავრი ქარი დაჰბერავდა მყისვე და ნაყოფით დამძიმებულ რტოებს შავი ღრუბლებიხსავენ ატყორცნიდა.

ილაჩაწყვეტელი სიზიფეც დავინახე, —

ძმელბერძენულიდან თარგმნის ზურაბ კიანაძემ, თამაჯ ჩხენკელმა.

გაგრძელება იქნება

უზარმაზარ ლოდს მიაგორებდა მთის მწვერვალსაცენ. თხემამდე მისვლას ცოტა და რომ დააკლდებოდა, ლოდს უცნაური ძალით მოწყდებოდა ხოლმე და გრილით დაგორდებოდა ფერდობზე. ოფლში გაღვრილი და მტვერში ამოვანგულული სიზიფე თავიდან იწყებდა საქმეს.

ბოლოს გამირთავმირი ჰერაკლეს აჩრდილიც გამოემეცხადა. თავად იგი ღმერთებთან ერთად ნაღირებდა და თან კოკლამაზი ჰება ახლდა, ზევსისა და ოქროსხამლოსანი ჰერას ასული. აქ კი, მის გარშემო მღამობებივით დამფრთხალი სულების გულისშემზარზენი წვილი-კივილი გაისმოდა. უკუნი ღამისაებრ იდგა ჰერაკლეს აჩრდილი, ხელთ მოზიდული მშვილდი ეპყრა და გორიზად იცქირებოდა აქეთ-იქით, თითქმის სროლას ეპირებოდა. მკერდზე მხარბილივ ოქროს ფართე ღვევი ერტყა, რომელზედაც ხილვადსაშიში სანახაობანი — მძვინვარე დათვები, ეშვიანი ტახები, თვალგბრილა ლომები, სისხლისღვრული ბრძოლები და დახსოცილთა გვამები იყო ამოტივრული. ამ საკვირველი სარტყელის ოსტატი უკეთესს ვერაფერს შეჰქმნიდა, ისეთი სრულქმნილი ხელოვნებით იყო იგი ნაყოფი.

თვალი რა მომკრა, იმწამსვე მიცნო ჰერაკლემ და ასე მომმართა:

— ჰე, ღვთისნასახო, მრავალტანჯულო ოდიხვე! შენც ჩემდაგვარად ბოროტი ხედილი გრგვებია წილად მზისქვეშეთში! თუმცაღა ზევსის ძე ვიყავ, მრავალი ჰირი გარდამხდა მაინც: დიდხანს ვემსახურებოდი უღირსსა და ჭაბანკაცს, რომელიც უძნელეს საქმეებს მავლებდა. ერთხელ ცერბერის მოსატყვევლად გამომისტუმრა აქეთ, — ეგონა, აქვე დაერჩებოდა და სამზეოს ველარ ავადწყვედი. მაგრამ ჰერამისისა და თვალსხივოსანი ათინას შემწეობით მოვიტაცე და მივეგარე ეს საშინელი ძალი.

ეს თქვა ჰერაკლემ და შეველო ჰადესის კარიბჭე.

მე ცოტხანს შევეყოფიდი, ვინძლო კიდევ გამოიჩენილიყო გამირთავანი ვინმე. გულით მინდოდა მეხილა ღვთისნაბადები თუზევსი და პერითოე. მაგრამ საშინელი კვილით გუნდგუნდად მომეგარანენ უსახო აჩრდილები და შიშმა ამიტანა: — უერსეფონენ შემზარავი გორგონას თავი არ მომიგზავნოს-მეთქი. სწრაფად გავეცალე იქაურობას, ხომალდზე ავედი და თანამგზავრებს ეუბრძანე ბავირები აეხსნათ. ნიჩბოსნები მიუსხდნენ თავიანთ რიკულებს. მალე გადავლახეთ ჰადესის წულები და კეთილმა ზურგპარმაც დაგვიბერა.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

დაკი აღიომნაკი

ტერენტი გრანელის პოეზია

ტერენტი გრანელმა ქართულ პოეზიაში სამართლიანად დამკვიდრა წრფელი და ფაქიზი გაცდების ლირიკოსის სახელი. მისმა პოეზიამ გვაგვრანობინა უნაზესი ემოცია და მელოდირობა, ხალასი გულის დიდი ტივილი და სულის სინათლე.

ტერენტი გრანელმა თავის ფილოსოფიურ ლირიკაში გამოხატა ადამიანის ჰუმუნა სამყაროს საბედისწერო მოუწესრიგებლობათა გამო. მისი სულიერი მარტვილობა აყვანილია ნათელ კათარზისამდე, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი „შერბილებულია“ დიდი ზნეობრივი იდეათ“ (დღირო). ტერენტი გრანელის შემოქმედებაში შემოფოთებული ტემპერამენტის მხილებასთან ერთად შეიგრანობა მლოცველი ადამიანის აღსარება, აღვლენილი სინათლისა და სიწმინდისათვის. პოეტის ესთეტიკური იდეალია დათრგუნვა ბნელის-ბორბობისა და ამაღლება სინათლისასიკეთისა. თითქოს მთელი კაცობრიობა გვესაუბრებოდეს პოეტის ხმით: „შე ჰეყნის გაჩენიდან ნელა მოვდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე“. ამაშია, მისი ტრაგიზმის ჰუმანიური განათება. თუმცა, ეპოქისეულმა სიმწვევემ ერთგვარად დაამუქა ტერენტი გრანელის შემოქმედება, ვინაიდან მისი სეველა და პესიმისზმი ნაწილობრივ იმ სულიერი დეპრესიის ანარეკლიც არის, რომლითაც გამსქვალული იყო იმდროინდელი საზოგადოების დიდი ნაწილი.

დაირღვა საუკუნეობით განმტკიცებული წესწყობილება, დატოვა სარბიელი ძველმა სამყარომ, მაგრამ ერთბაშად, უბრალოვლად როდი დამკვიდრებულა ახალი ცხოვრება, უდიდესი მსხვერპლითა და ჰარტახილებით მიმდინარეობდა ეს ბრძოლა, რი სრულიად საწინააღმდეგო სამყაროს გათიშვა-დაშორება. ტერენტი გრანელს ამ რი ეპოქის მიჯნაზე მოუხდა თავისი შემოქმედების გაშლა, სწორედ იმ დროს, როდესაც

საქართველო ტივილებს განიცდიდა და, რათქმა უნდა, ამ ტივილებს მწვევედ იგრანობდა მისი პირში, რომელსაც ასე უყვარდა სამშობლო, თავისი ერი. ტერენტიმ, როგორც ფაქიზი გრანობების ადამიანმა და სამშობლოს ჩუმი მოტრფილემ, ღრმად განიცადა ათიანი წლების მეორე და რიიანი წლების პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული ვითარება და ცხადია, იგი ვერ იქნებოდა ინდივიტუალური საქართველოს ბედის მიმართ:

რალაც მინდა სიცოცხლეზე მეტი,
უფსკრულია, და შენ მარტო კივი.
შე მაღიქრებს საქართველოს ბელი,
შე განვიციდი ჩემს სამშობლოს ტივილს.

არ შეიძლება არ გავახსენდეს აღექსანდრე ბლოკის სიტყვები: «В эпохи бурь и тревог нежнейшие и интимнейшие стремления души поэта также преисполняются бурей и тревогой».

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში აისახა ის სირთულე, შფოთვა, სასოწარკვეთა თუ იმედი, რომელიც მის თანამედროვე სინამდივლეს ახასიათებდა. აისახა და თავისებურად გადატყდა პოეტის შემეცნებაში და წარმოსახა უადრესად ლირიკული, ალევგორიულ-სიმბოლური ფორმიტი. ტერენტი გრანელი, როგორც ჰემარტი ლირიკოსი, საგნებს და მოვლენებს ზედამხირულად როდი გვიხატავს, — მათს არსში იმანენტური წვდომის შედეგად მიღებული შთაბეჭდილების ემანაცია გვთავაზობს. ეს კი მისი პოეზიის შემეცნებითს და მხატვრულ-ესთეტიკურ დირსებაზე მეტყველებს, ვინაიდან, „რეალურის მიმხიდევილი ძალა უჩვეულოდ იზრდება (ხელოვნებაში), როცა მისგან იდეა, სიმბოლო გამოკრითს“ (თომას მანი).



ტერენტი გრანელის პოეზიის ლირიკული გმირი გადმოგვცემს პირად განცდებსა და ემოციებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს, და სწორედ პირადის (სუბიექტურის) კრილში წარმოგვიდგენს ობიექტურ სამყაროს, რომლის ხილვა და აღმოჩენა მკითხველის საზრიანობასა და გემოვნებაზე დამოკიდებულია. ტერენტი გრანელის პოეზიაში ორი პოლარული მხარე — პიროვნულისა და საზოგადოებრივისა ისე ძლიერად არის ერთმანეთთან შეტყობილნი, ზოგადად ისეთნაირად არის ინდივიდუალიზებული, ისე ღრმად და ორგანულად არის გათავისებული, რომ პოეტის თანამედროვე საზოგადოებისათვის (მეცნიერისათვის დღესაც) გაუგებარი დარჩა მისი სეკულის წარმოშობის ობიექტური მიზეზები და იგი სუბიექტურისადაც, ინდივიდუალისადაც მონათლეს. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა პოეტის დამოკიდებულება თავისი თანადროული საზოგადოების მიმართ:

მარტო მივდივარ, ჩემი დამეა,
მივდივარ ასე შეუცნობელი.

პოეტი იძირება საკუთარ განცდათა სამყაროში, ემოციათა ლეღვაში.

მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობს და ჩემად ვიტან წამებებს ამდენს, სხვა ვინ მიხვდება, მხოლოდ მე ვიგრძნობ ჩემს დაფიქრებას გაქვეყნებამდე.

ბინდი და მღვთარება აუტანელია პოეტისათვის, მას „სიბნელე აბრაზებს“, („სული ვერ უძლებს დამის ნაბრალეს, ო, სიბნელე და გულგრილობა“). პოეტს სწყურია ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლაში არა ჰყავს თანამდგომი, იგი ობოლად, განმარტოებულად გრძნობს თავს („მინდა ისე შევებრძოლო ქარებს, და ვიდაცას უღარ-ღელად ძინავს“). პოეტი ბორავს უკმაყოფილოდ და ცდილობს ამ მდგომარეობიდან გამოსვლას, მაგრამ არავენ გააჩნია რომ გაანდოს საწადელი და ეს უაღაშიანობა სტანჯავს:

მიღის ფარული ეს გამწარება,
ვექებ თანამგრძნობ მეგობრის ხელებს,
ჩემს გულისწყრომას, ჩემს აღსარებას,
მე ვეუბნები ოთახს, სიბნელეს.

სინამდვილიდან მორალურად გასული პოეტი იძირება წარსულის მოგონებათა სამყაროში, რომელიც მასში აღძრავს სასიამოვნო გრძნობას და თან იწვევს სინანულს: „მე ახლა გავიგონებდა ჩემი ცხოვრების ქარიშხლიანი დღეები და სინანულის ყრუანტელო მივლის“. ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ნიავის ქროლვასავით არის შეჭრილი ბავშვობის მოგონებანი. პოეტი ნაზი ლირიკული სიტოზით იგონებს თავისი ცხოვრების გარდერაჯს, ცდილობს დაიბრუნოს

წარული ზაფხული თუ გაზაფხული, რომელიც სურნელოვანი დღეები, დრო, რომელიც ალსაგესე იყო იმედებით, მომავლისადმი რწმენით:

ახლა არის იენისი, ახლა გვიან დამდებია.
მაგონდება ბავშვობა. ეს ცა მაშინ სხვა იყო!
ამ მალობზე-ველოდი ქრისტეს გამოცხადებას
შემდეგ თეთრმა სიჩუმემ ის იმედი წაიღო.

პოეტი დაღლილი სულის დავალებას ბუნების წიაღში პოულობს, ბუნებას თავისი სულიერ განცდათა მესაიდუმლედ, ვინაიდან მის განწყობილებას ერთგვარად შეესაბამება გარინდებული ბუნება თავისი იდემალებით, რაღაცნაირი გრძნეულობით. იგი თავის აზრებს ბუნების საგნებს და მოვლენებს უზიარებს და შინაგანი ტკივილების თანაზიარობასაც მათგან მოეღოს. სწორედ ასეთ განცდათა საფუძველზეა შექმნილი მისი ლექსი „მომართვა ხისადმი“, სადაც ბუნება (ხე) ისე მართლად არის გასულიერებული, თითქოს პოეტი ადამიანს მიმართავდეს და არა ხეს:

ძვირფასო ხეო, შენ მიგვეყრდნობი,
ძვირფასო ხეო, რამე მიჩრჩიე,
მე ვეუბნები მწუხარე გრძნობით,
ეს ტკივილები შენ მომიჩრჩინე!

მე ისევ შენთან ვსაუბრობ მარტო,
და მეც შენსათვის ქარი მაწუხებს.
ძვირფასო ხეო, მე რას მიემართო,
ამაზე მაინც შენ მიბასუხე!..

ტერენტი გრანელის მიერ ბუნების ავგვარი ლირიკული განსულიერება მეტ ფსიქოლოგიურ სიღრმეს და პოეტურ გამოხსახელობას ანიჭებს მის განცდებს.

პეიზაჟის მეშვეობით პოეტი ზოგჯერ უღიდეს შთაბეჭდილებას ახდენს თავისი სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად:

ენლა წყდებოდა ფოთლები ხეებს
და საღაღც სდუმდა ხე გაძარცული.

მის შემოქმედებაში არაიშვიათად საგანს თუ მოვლენას ეყარება პირველყოფილი მნიშვნელობა და იქნეს სიმბოლური თუ ალევორიულ ფორმას. პოეტმა ერთ თავის წიგნს უწოდა „Memento mori“. („გახსოვდეთ სიკვდილის...“) და ამ გამოთქმას გადატანითი მნიშვნელობა მიანიჭა, რითაც გახაზა წიგნში დასტამბული ლექსების ალევორიულ-სიმბოლური ხასიათი. უნდა აღინიშნოს, რომ ტერენტი გრანელის სიმბოლო თუ ალევორია ყოველთვის გარკვეული იდეის, გარკვეული მრწამსის გამოხატეულია. ასე, როცა პოეტი ამბობს:

ღმერთო! ბნელდება, ღმერთო! რა დღეა,
სანატრელია მზიანი დარი.

ან.
შუალაშა, რაღაც ვერ ვისვენებ,
და ახლა მინდა იყოს ვათენება; —

აქ, დაბნელებაა და მზიანი დარიც, შუალა-
შეც და ვათენება თეიანთი კონკრეტული ნიშ-
ნებით პირდაპირი სახითაც გვევლინებიან და
ალეგორიულ — სიმბოლოური ხასიათითაც, რაც
სათქმელს განმარტავდებელ მნიშვნელობას
ანიჭებს.

ტერენტი გრანელის მსოფლმხედველობის
ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრუ-
ლა პოეტის შემოქმედებითა ინდივიდულობამ,
შინაგან სამყაროს თავისებურებამ, რაც იმაში
გამოიხატება, რომ მისი სევდის უმთავრეს მა-
საზრდობებელ წყაროს წარმოადგენდა სამყაროს
ტრაგიკული, ფილოსოფიური ჰერტიტი ათეი-
სება, ეს მისი შინაგანი პოეტური ბუნების თან-
დაყოლილი თვისება იყო, სწორედ ესაა მისი
პოეზიის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

ტერენტი გრანელს გააჩნია სამყაროს ფილო-
სოფიურად აღქმის საკუთარი, მხოლოდ მის ში-
ნაგან პოეტური სამყაროდან მომდინარე მანერა,
რაი წარმოადგენს პოეტის შინაგანი ცხოვრების,
აზრების დაუღალავი ექილის. მდებარე გან-
ცდების რთული ურთიერთწინააღმდეგობების
სრულყოფილ გამოვლინებას, ყოველივე ნაგრძ-
ნობი და მოაზრებელი შეუტყველად ისახება
მის ნაწარმოებებში, მხატვრულ სახეებში, აღ-
წევს ფილოსოფიურ განზოგადებას და იწვევს
პესიმოზმს, რომელიც ვიწრო სუბიექტურ საფუ-
ძელზე როდია დაყრდნობილი, — ყოფიერების
მნიშვნელოვან საკითხებზე ღრმა ჩაფიქრების ნა-
ყოფია და ზოგადსაკუთრებო მარადიულ პრობ-
ლემებს გვიხატავს. რა თქმა უნდა, ეს პრობ-
ლემები ახალი არ არის, ისინი ჯერ კიდევ ანტი-
კური საუკუნეებიდან მომდინარეობენ. მაგრამ
არც ძველია; ვიდრე კაცობრიობა იარსებებს ეს
პრობლემებიც იარსებებენ. პოეზიაში კი მარად
შეინარჩუნებენ თავის ცხოველყოფილობას.
ტერენტი გრანელის, როგორც შემოქმედის ღი-
რსება იმაშია, რომ ამ პრობლემებს განსხვავე-
ბული, მხოლოდ მისეული პოეტური ტრანსლობა
და მხატვრული სახეშისილება მიანიჭოს.

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ზოგად-
ადამიანური ტიპილები პირადი განცდის სახით-
აა გადმოცემული, მაღალი ძაბვის ემოციაში
გატარებული, გულწრფელობითა და ბუნებრი-
ობით არის მაღალმხატვრულ საშისელში გახვე-
ული; ასე რომ მითვისელი სრულიადაც არ გა-
ნიცდის წამოჭრილ აზრთა სიმძიმეს, მათ ხელო-
ვნურობას, ყოველივე ეს გამოირიცხავს ტერენ-
ტი გრანელის ლექსების აბსტრაქტულობას და
ხელს უწყობს მათ ესთეტიკურ მიმზიდველობას.
სამყაროს მარადისობისა და ადამიანის წარმავ-
ლობის მტკივნეულ პრობლემას ასეთი სისადა-
ვით გადმოგვეცეს პოეტი:

ამ ღრუბელს, ამ ცას ვიღაც უმზერდა
წინათ, როდესაც მე არ ვიყავი.

* * *

ჩვეულებრივი მთავარ ამოვა
და გაქრებიან თეთრი ფიფქები,
ამ ყრუ ადგილას ვინმე სხვა პოვა
მაშინ, როდესაც მე არ ვიქნები.

ტერენტი გრანელს ძლიერ აწვებდა სი-
ცოცხლისა და მისი წარმავლობის საიდუმლო-
ება, ტრაგიკული არის სიკვდილისა, ქვეყნად აღ-
ამიანის არსებობის აზრი, მისი ადგილი სამყა-
როს უსასრულობაში. ცხოვრების ბრუნვა, ქეშ-
მარიტების ძიება პოეტის სულში ბაღვს ყოვე-
ლივე არსებობის წარმავლობის შეგნებას და
აქედან გამომდინარე, ზოგადადამიანურ სევდას:

რა ვქნა, მომდევს ამნაირი სევდა,
სევდა უფრო მარადიულ სახის.

* * *

ნისლივით მიმაქვს ციციკენ
გლოვა სხვისი და ჩემი.

* * *

მე ვიფერვლები, გულის გარშემო
მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია.

ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემების
მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრება პოეტის
წინაშე ბუნებრივად სვამს კითხვას: როგორ
დაიბადეთ და რა არის სიცოცხლის მიზანი?
თუ სამყაროში სიცოცხლის დასრულების შემ-
დეგ უნდა დაიღუპოს ის დიდი ხელოვნება, რა-
მელოც ქვეყნა ადამიანმა, მაშინ რა აზრი აქვს
შემოქმედებას, პოეზიას?! ყველაზე დიდ შემა-
ძრწუნებელ შფოთვის პოეტში სიკვდილის უაზ-
რობა იწვევს: „არაფერი არ არის ისეთი საი-
დუმლო, მიუწვდომელი ადამიანის გონებისათ-
ვის, როგორც ეს წყეული სიკვდილის რაობა.
აქ არის უმაღლესი ტრაგიზმის ბნელი ცეცხლე-
ბი დანთებული, რომელიც მთელ მსოფლიოს
დაფარვადებს თავზე, როგორც საშინელების
შავი აჩრდილი“. რამდენადაც ტერენტი გრანე-
ლი მთელი საშინელებით შეიცნობს ქვეყნად სი-
კვდილის არსებობას, იმდენად უფრო მეტად
შეიგრძნობდა მის პოეზიაში სიცოცხლისადმი სი-
ყვარული, ვინაიდან, „ადამიანს სიცოცხლე უყ-
ვარს და სიკვდილის იმიტომ ეშინია“ (დოსტო-
ვესკი).

ტერენტი გრანელი სულის უყვადევებს, სუ-
ლის მარადისობის აპოლოგეტია. „ასე მგონია,
სულთან ახლოა ცისფერი შუქი მარადისობისა, —
ამბობდა პოეტი, და მას სწამს, რომ ადამიან-
ში არსებობს შეუცნობი სპეტაკი ძალა, შემოქ-
მედი ძალა-სული, რომელიც მუდმივად ცოცხ-

ლერი ალიონასი
ტერენტი გრანელის პოეზიაში



ლობს; მოკვდავი სხეული კი ადამიანს ავსებს ათასგვარი ვნებით, ცოდვებით და დიდ დაბრკოლებას უქმნის სულს, რათა განთავისუფლდეს სხეულის „პატიმრობისაგან“, გაფრინდეს ცაში და ეზიაროს ჰემპარიტებას. სხეულისაგან განთავისუფლებული სული, „სული-უცნობი, სული-ანგელოზი“, ექსტაზის გზით (რომელიც სულის განწმენდით მიიღწევა) იოლად შეუხსნებულდება ღმერთს — უმადლეს სიკეთეს. ტერენტი გრანელისათვის გზა ღმერთისაკენ არის გზა ბედნიერებისაკენ: „მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ სასწრაფთან, ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველა ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაღვლესისაგან“. გამუდმებული ძიება ღვთისა ტერენტი გრანელის პოეტური სამყაროს ორგანული თვისებაა. მაგრამ მის ღმერთს არავითარი კავშირი არა აქვს მითოლოგიურ ღმერთთან, — იგი პოეტის მიერ წარმოსახული ღმერთია, რომელსაც მხატვრული სახის მოვალეობა აკისრია და პოეტურ ასოციაციებში აღიჭმება სიკეთის, რწმენის, მშვენიერების სინონიმად. ქუკოვსკი ამბობდა:

«Я бы каждое прекрасное чувство назвал богом».

პლატონურია პოეტის ვაგება, თითქოს სული კვლავ და კვლავ ახალი ძალით მოველინება ხოლმე ქვეყანას, ახალი ძალით გაახვიოსნებს პოეზიას და კვლავ წინანდებური ტკივილებით თუ სიხარულით ადვისება. და ასე დაუსრულებლივ:

სული ჩქარია მრავალ სირბილით,
და ვიცი ისევ, რომ ავენთები
როგორც სიციცხლე, როგორც სიკვდილი,
როგორც სიშორე და პლანეტები.

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში სულს აქვს ერთგვარი თვისებაც მატერიაში განსხეულებისა, მატერიალიზაციისა, რომელიც მოიცავს სამყაროს ელემენტებს და კოსმიური, მარადიული სახით გვევლინება:

დავდივარ ღამით, და მე ვარ თოვლი
და მე ვარ ნისლი, და მე ვარ წვიმა,
და სულს ცეცხლისკენ მივყვარ თრთოლივით,
ისე ვარ, როგორც ვიყავი წინათ.

როგორც პოეტის ფილოსოფიური წარმოსახვიდან ჩანს, მას აწვალეს დროისა და სივრცის შეუცნობელი სიიღუმლოება. თითქოს პოეტი მოწყვეტილიყო ყოველივე მიწიერს და სამყაროს მარადიულ ძალებს ეხმინებოდეს იღუმლად. „შავი წამები მიჭრიან და მე ისევ ცოცხალი ვარ, ისევ ვცინებობ და ისევ ვფერობ არყოფნაზე, — წერდა პოეტი თავის ეგეობარს აკაკი ანდრაშვილს, — შენ თითქოს შორის იმყოფები ჩემგან და ეს უფრო საშინელს ხდის ჩემს მარტობას; და მე ხომ ყოველთვის მარტობის ქვეშ ვიფერვლები; და ეს მარტობა

საყვარელია და თან საშინელი... მე მტრად მალე მოვმორღე მიწას და წვიდე ზეცისკენ... ხანდახან ხელებს გავიშვარ იმ მიმართულებით, საითყენაც მინდა გაფრენა. ძვირფასო! რა ექნა, სად არის ის დიდი ზღუდე, რასაც ადამიანი ყოველთვის ეძებს. მე დავიდალე გრძნობისაგან და ახლა დროა გადავეშვა მარადისობის გარინდებულ უფსკრულში. მე ხომ არ უშმიძლია ჩემი მწუხარე გულის დანახვა და ეს უფრო ამაფრებებს ჩემს ტრაგედიას... ვის მივმართო, რომელ ადამიანს, სად არის ჩემი ხსნა? სხვა ვინ არის, ისევ საყოთარ სულში ვიხედები და ვგრძნობ ბედნიერებას. ვარ მე და არის ეს ძვირფასო ქვეყანა, ქვეყანა, როგორც ბუნება და არა როგორც მექანიკა. მე ყოველთვის გგრძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროთან ახლობელ კავშირს“.

მეგობრისადმი მიწერილი ეს ბარათი ნათელს ჰფენს იმას, რასაც პოეტი თავის ლექსებში, პოეზიის ენაზე გადმოგვცემს (თუმცა, ზემოთხატონილი ბარათი არაფრით არ ჩამოუვარდება პოეტის თეთრ ლექსებს). აქ ყველგან იგრძნობა პოეტის მღელვარება და დაუცხრომლობა გზის მისაგნებად. ბინდში მდგარი პოეტი ნათელს დაეძებს და ამის გამო ზენართა ნათელი სამყაროსაკენ აღაპყრობს თვალთ. იგი მთელი სიმძაფრით ელტვის უსასრულო სივრცეებს. ცის ლაყვარდში ეძებს მიუწვდომელ ჰემპარიტებას, მარადისობას. სწორედ ამაშია გამოკვეთილი მისი მოუსვენარი, ცეცხლოვანი პოეტური აღტაცება, მისი რომანტიკული სტიქია:

ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს,
არ მინდა გული სამარც მივცე;
მე ხომ მიწოდდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მიწოდდა გაფრენა ცისკენ!

კონსტანტინე კაბანელი აღნიშნავდა: „ტერენტი გრანელის ლექსებში სტირის სული ადამიანის, რომელიც შეშინებულია ქვეყნის უსახლდროებით და ოცნებათა შორეული გაალებით... იგი თითქო შეყვარებულია, თითქო ვატაცებულა სევდის გრძნობით; გრძნობა სიშორისა და მარტობის მისი პოეტური კულტია, მისი „ოღეე ფიქსია“... ტერენტი გრანელის ლექსების წაკითხვის შემდეგ თქვენ უსათოდ იგრძნობთ ერთგვარ სიყვარულს საერთოდ ადამიანისადმი — ადამიანისადმი, რომელიც დაკარგულია უსახლდროებაში და რომელსაც საშინლად სწყურია მარადისობა“.

ტერენტი გრანელის პოეტური მუზა რაღაც იღუმალეების ამოხსნას მიეღტვის. „განუჭრეტლ უუწყუნთს უჭერეტს“ (თავორი). პოეტი სიკვდილისა და სიციცხლის შუა ექებს „მესამე გზას“ („ახლა სიციცხლე ჩემთვის ლანდია, რაღაც სხვა მინდა სიკვდილზე მეტია“), იმ გზას,

1 გზ. „ტერენტი გრანელი“, 1924 წ.

რომელმაც ბედნიერება და უკეთება უნდა მოუტანოს ადამიანს, იხსნას იგი როგორც ამქვეყნიურ, ისე იმქვეყნიურ სასიშროებათაგან. თითო, მარადიული ადამიანის ხმა დაღადებს საუკუნეების წიაღიდან: „მე არ მინდოდა სიცოცხლე. არც სიკვდილი. მე რაღაც სხვა მსურდა. ახლაც ვფიქრობ და მწამს მესამე გზის არსებობა, როგორც იღუმენტისა“. მესამე გზის ძიებაში იჩენს თავს მისტიკურ სამოსელში გახვეული პოეტის ჰუმანიზმი. ტერენტი გრანელი „მორიდ მძოსულ“ ქრისტედ აცხადებს თავს, რითაც არსებითად ცდილობს მიწასა და ზეცას შორის ხიდის გადგებას. ზეცაში არსებული სილამაზისა და ლეთაებრიობის მიწაზე დამკვიდრებას. ამის მიუღწევლობა პოეტში იწვევს ღრმა სურვილს დეპრესიის („რომ ვერ შექმელი ვასკე-და მიწიდან, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“); მიჰყავს იგი წარმავლობის სასიშროებად, ქვეყნად ადამიანის არსებობის უმიზნობამდე:

შენ, დედამიწე! უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ;
წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მთხოვია?!

აქედან გამომდინარეობს მიწიერი ცხოვრებისაღმდეგ უკმაყოფილება და ზეციურისაკენ მისწრაფების იდეა, რაც წითელ ზოლად გასდევს ტერენტი გრანელის მთელ შემოქმედებას. ტერენტი გრანელის პოეზიაში დასმულია იდეალსა და სინამდვილეს შორის ზეცისა და მიწის დაპირისპირების ასპექტში მისტიკურად აღქმული წინააღმდეგობების პრობლემა:

შავი ფიქრები გროვდება ისევ,
დგება წამების თეთრი საათი.
მიწა არ მინდა, და როგორც ქრისტე,
მეც ვეზადებო გაფრინისათვის.

ეს კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს შორის პოეტს უბიძგებს ახალი გზების ძიებისაკენ, მოქმედების ფილოსოფიისაკენ.

სწორედ აქაა გამქდაცნებული ტერენტი გრანელის შემოქმედებითი მრწამსი: — დაძლევა მიწიერ-რეალური ყოფიერების ნაყოფიანებისა და ამაღლება ზენარულ-იდეალური არსებობის სრულყოფილებამდე.

ტერენტი გრანელი რთული პოეტია. ძნელია მის შემოქმედებას მოუხაზო რაიმე ფორმულა, რადგან მისი პოეზია სულის გულწრფელი ამოძახილია, დაუოკებელი ლტოლვაა და ჩარჩოებს ვერ ითმენს. გავევირდება იმის დადგენა, თუ მის შემოქმედებაში სად იწყება სიმბოლიზმი და იმპრესიონიზმი, და სად თავდება რომანტიკული ამფაფრენა თუ რეალიზმი. მართალია, პოეტი პირველ ხანებში მოექცა სიმბოლიზმის გავლენის სფეროში, მაგრამ ამ პერიოდში შექმნილი ლექსები (უმთავრესად სონეტები) არ წარმოადგე-

ნდა მისი პოეზიის ორგანულ გამოვლინებას. ამ ნაწარმოებებით პოეტი ეძებდა გზას შემოქმედებითი ინდივიდუალობის მოსაპოვებლად. ტერენტი გრანელის შემოქმედება ჩამოყალიბდა გარემოსთან უშუალო ურთიერთობის პროცესში, ყოველგვარი თეორიული და წინასწარ აჩემებული ესთეტიკური იდეალის გარეშე. ამის გამო, მისმა პოეტურმა ბუნებამ ვერ შეივსა სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ხელოვნურობის მანტია და უმაღლესი ჩამოიშორა იგი.

უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ტერენტი გრანელზე ყველაზე დიდი ზემოქმედება იქონია ვალაკტიონის ჯადოქრულმა ლექსებმა. „არტისტულმა ყვეალებმა“ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ტერენტი გრანელზე. მას ამ წიგნში ხიბლავდა უნაზუსი განცდები, განსაკვიფრებელი სახეები, ფილოსოფიური პრობლემები. პოეტმა მამნივე იჭრა და აღიარა ვალაკტიონ ტაბიძის პოეტური სიდიადე, მისი სიხალე.

„საქართველოს პოეზიის რენესანსში ვალაკტიონმა თავისი წვლილი შეიტანა,—წერდა იგი, — მის ლექსებში უმთავრესად სივარჯილის და სინაზის მისტიკიზმი გამოსჭვივის, ვალაკტიონი ინდივიდუალიზმის ცეცხლით არის გამსჭვალული, მას სწამს მხოლოდ „მე“, როგორც მსოფლიოს განუხაზვრელი და განუყრელი ნაწილი. ვალაკტიონის შემოქმედებაში არის თავისებური საწყარო, რომელიც ხილულ ქვეყნის ანარქია, იგი ყოველთვის საგნების გადღამს ეძებს მსოფლიოში გახვეულ ფიქრებს. მას უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება, რომლის სინთეზში ადამიანს ძალუძს ემოციონალურ და ესთეტიურ გრძობის დაქმყოფილება. ვალაკტიონმა ნახა თავისი სახე, სახე მეტად ძლიერი და პოეტური ბუნებით აღჭურვილი. სხვა ლექსებს თავი რომ დავანებოთ, „ლურჯა ცხენები“ შედევრია, რომლის ვრცელი დინამიკა უმაღლეს წერტილს აღწევს. ვალაკტიონი ვიწრო ყალიბებში არ თავსდება, იგი თავის შეუქაეებელი სულით ლიცენციისაკენ მისწრაფვის და აქ იშლება მისი პოეტური სახის უზენაესი ატრიბუტები. ჩვენ ამ წერილში ყოველივე პრეტენციებს გვერდს ვუვლით და თამამად ვამბობთ, რომ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში არ დავეთანხმოთ ვალაკტიონს, მაგრამ რამდენიმე ლექსით ჩვენ მას ვვებულობთ, როგორც პოეტს... ვალაკტიონმა დაიმსახურა პოეტის წმინდა სახელი... მომავალში იგი სავსებით დაიკავებს იმ ხაზს, რომლის წიაღში პოეზიის აბსოლუტური გამარჯვება აუცილებელი იქნება.“¹

¹ გაზ. „ახალი ნაყაი“, 1920 წ.

ლარი ალიშოსვაი
ტერენტი გრანელის პოეზია



არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ვალაკტიონ ტაბიასი პოეზია ისე მღვირვალად არავის განუცდია და უგრძობნია, როგორც ტერენტი გრანელს. ტერენტი ვალაკტიონის სულის პირველი მემკვიდრეა. მაგრამ აქვე, გახაზვით უნდა აღვნიშნო: ტერენტი გრანელს დიდი ღონისძევა იმაშია, რომ მან, როგორც ჰემსპირიტმა მხატვარმა, იოლად დააღწია თავი ვალაკტიონის პოეზიის ზეგავლენას და შექმნა დამოუკიდებელი, ორიგინალური, გრანელისეული პოეტური სამყარო. ტერენტი გრანელის შემოქმედების ყოველი ნიჟარსიც კი თავისებურია, თვითმყოფია, მხოლოდ მისეული პიროვნული ინტუიციის იგრით არის აღბეჭდილი. პირდაპირ ფორმულასავით ძღერს პოეტის სტრუქტურები:

ავად ვიყავი, წუნელ კვდებოდი,
ახლა მიგონებს ალბათ ზოზბია.
ვალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.

ტერენტი გრანელმა თავისი პოეტური ბუნების შესატყვისი გარემო დაივანა ვალაკტიონ ტაბიასის პოეზიის სახით, და ამ უკანასკნელმა მისი პოეტური სახის ჩამოყალიბებაში მხოლოდ მასტიმულირებელი როლი შეასრულა.

ტერენტი გრანელის შემოქმედება, ჩვენი ღრმა რწმენით, თავისი ხასიათით ყველაზე მეტად რომანტიკურია და რომანტიზმს უახლოვდება. ტერენტი გრანელის პოეზიას და რომანტიზმს შორის მრავალი ნათესაობითი ხაზია გაბმული: არსის აზრის ამოუხსნელობა, ზნაობრივი დაუტყაობადობა, შეუსაბამოა მის იდეალსა და ობიექტურ სინამდვილეს შორის რწმენის ტერენტი გრანელის რომანტიკული გმირის სულიერ ცვლილებას, სწრაფვას მიუღწეველის მიღწევისაკენ, არსებობის უმაღლესი იდეალისაკენ, გზათა დაუსრულებელ ძიებებს. მან თავისი მისწრაფებებით გამოხატა ყოველი დროისა და ეპოქის ადამიანის ლტოლვა შეუცნობის შეცნობისაკენ. და ამ მხრივ ჩვენ მოწმენი ვართ ჩვენი დროის მშფოთვარე და მარცხელი სულიერი განწყობილების ახალი ხერხეჭითა და საშუალებებით მაღალმხატვრულად გადმოცემისა. აქი ამბობდა ვალაკტიონი: „ახალი პოეზია ძველი რომანტიზმის განახლებული სულისათვის აივებოა“. უსათუოდ ეს ჰქონდა მხედველობაში პროფესორ ალექსანდრე წერეთელს, რომელმაც 1922 წელს ჟურნალ „ილიონში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ტერენტი გრანელი თავისი თაობის იმ მწერალთა გვერდით დააყენა, რომელთა გარდაქმნასთან იყო უმთავრესად დაკავშირებული „ახალი სტილის შემქმნის ცდა ჩვენს ხიტყვაჯამბულ მწერლობაში“. მეცნიერის აზრით, ეს ახალი სტილი თავისი განწყობილებებით „უაღრესად ენათესაება რომანტიზმს.“

ტერენტი გრანელმა განვლო მოკლე, მაგრამ რთული, ღრმა წინააღმდეგობებით მოცული შემოქმედებითი გზა. თუ კარგად დავაკვირდებით მისი სულის ინტიმურ მოძრაობას, პესიმისმის ფონზე ნათლად შევიგრძნობთ პოეტის მისწრაფებას სიცოცხლისაკენ, გაზაფხულისაკენ:

მე ბევრჯერ მქონია დარდი იშვიათი,
ბევრჯერ თავის მოკვლა მქონია განზრახული.
გუშინ მომნებარა ფოთლების შრიალი
და ჩემი საღამო ისევე გაზაფხული.

მის მშფოთვარე სულში სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მიმდინარეობდა ნათელისა და ბნელის, კეთილისა და ბოროტის შეურიგებელი ჭიდილი; იგი მრავალჯერ სდგარა სიცოცხლე-სიცოცხლის მიჯნაზე. ეამოდან ეამზე მისია სიცოცხლის სითბოთი გამოწვეული სიხარულის შუქი ჩაანათებდა პოეტის ლოცვად დამდგარ სულში:

წითელი მზე აიღვარა და მინებთან,
მოდის ჩემი და ცისფერი ღამე.
უიმედო გულის ძეგრა მინელდა,
შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!

მსგავსი განწყობილებები მკითხველში თანაგრძობის, აღტრთოვნების, ბოროტებისადმი მძულვარების გრძობებს იწვევს, იწვევს მისი სულის განწმენდას, კათარსის, რაც ადამიანს მოვლენებში ღრმად ჩახედვის უნარს ანიჭებს. ტერენტი გრანელის გულწრფელი სევდის ფონზე უფრო დამაჯერებლად და ბუნებრივი უშუალობით იჭრება მკითხველში იმედის გრძობა, ვიდრე ცარიელი, ყალბი პათეტიკური სტრუქტურების კითხვისას.

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ძალუმაღმედ განვლიდა სამშობლოს სიყვარული, რომელიც მან მაღალი პოეტური განცდილი გამოხატა თბილისისადმი მიძღვნილ გულთბილ სტრუქტურებში. თბილისი იყო მისი პოეტური მეუღის შთამავლებელი. პოეტი ისე გრძობდა თბილისის სუნთქვას, როგორც სულის უნტიმუს მოძრაობას. ტერენტი გრანელს სიკვდილის შემდეგაც კი ვერ წარმოედგინა უთბილისოდ ყოფნა:

დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები,
სადმე ახლო თბილისთან თუ სამარე ვიშოვე.

მაღე მოკვდები და ვიცი გულზე,
რომ დამყარებ თბილისის მიწას.

თავისი ქვეყნის, მშობლიური ხალხისა და ხელოვნების უსაზღვრო სიყვარულმა დააწერინა მას ბრწყინვალე ლექსები ფიროსმანისა და ვანო სარაჯიშვილზე. დიდი ხელოვანის ვანო სარაჯიშვილის დაკარგვით გამოწვეულ გლოვის დღეებში პოეტმა დაწერა ლექსი, რომელიც შეიძლება

თანამედროვე ქართული პოეზიის საუკეთესო-
თა რიცხვს მივაკუთვნით:

დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,
შეწყდა შრიალი და მისტერია.
ვანო აღსრულდა შენი სიმღერა:
„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“.

ტერენტი გრანელმა 1920 წელს სონეტი
უძღვნა ფიროსმანს, რითაც სათავე დაუდო მისი
პოეტური სახის დამკვიდრებას ქართულ პოე-
ზიაში.

ჩემად გეწვია საოცრების რუხი ხაზები,
ფარულ კოშმარებს ატირებდი სევდის მინაში;
შენ არ იცოდი დამშვიდებით ყოფნა ბინაში,
და ღამის ლოთებს დაეძებდი ღვინის თასებით.

შენი ოცნება ისვენებდა წითელ ნარმაზე-
ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხისამარა.
საშინელებამ უცნაურად დაგასამარა..

სულიერად ტერენტი გრანელს ბევრი რამ
აკავშირებდა ამ მეტად საინტერესო შემოქმედ-

თან და თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ფი-
როსმანივით მასაც ტრაგიკული დასასრული მო-
ელოდა.

ტერენტი გრანელმა, მიუხედავად ღრმა მწუხა-
რებისა და გულგატეხილობისა, არა ერთხელ გა-
მოიხედა თავის შინაგან სამყაროდან. თავისი გა-
რემომცველი სინამდვილის წიაღშივე პოეტი
გამაფრებით დაეძებდა ახალ გზებს, ახალ რწმე-
ნას და იმედებს. მაგრამ, პოეტში ისე ძლიერად
იყო შესისხლბორცებული სამყაროს ტრაგიკუ-
ლი ხილვა, რომ მან ბოლომდე ვერ დააღწია თა-
ვი პესიმისტურ განწყობილებებს:

ირგვლივ სიკვდილის ხელი მეხვია,
რა მექნა, სულო, დაუცხრომელო!
მსურდა სიბნელე რომ გამერღვია
და კვლავ ქვეყნისთვის თვალი მომეგლო.

სურდა, სურდა, მაგრამ მისმა დაღუპულმა
სულმა ვერ გაარღვია ბნელეთი, ვეღარ გაუძლო
სულიერ განცდათა მკვეთრ ცვალებადობას და
ჩემად, თოვლის ნაზი ფანტელივით ჩააღწა თა-
ვის სალოცავ თბილისის მიწას.



აკაკი პასაძე

როცა თქველ არ ღალატოვ პოეზიას

თავის ესეიში ლიტერატურული კრიტიკის შესახებ, გამოჩენილი ინგლისელი პოეტი სუინბერნი წერდა: არ არსებობს ლიტერატურული კრიტიკა, ლიტერატურული შეფასება მწერლის შემოქმედებისა, სიმპათიების გარეშე. და ჩვენი „სიმპათია“ მურმან ლებანიძისადმი, როგორც პიროვნებისა და პოეტისადმი, მხოლოდ ვიწრო ლიტერატურული წრით არ იფარგლება. ძნელად თუ მოგნახავთ ისეთ ხელოვანს და მკითხველს, რომელიც იცნობდეს მურმან ლებანიძეს — ამ ადამიანს თავის მთლიანობაში, — და არ იყო მისადმი სიმპათიით გამსჭვალული.

მურმან ლებანიძეს აქვს ერთი ლექსი, რომელშიც იგი ამბობს: „ზოგს დაუტოვეს ოქრო და ვერცხლი, ზოგს — ბოჩკილივით პატიოსნება“. ადამიანისათვის ყველაზე სასურველ განსაზღვრებას, ვგონებ სწორედ პატიოსნება წარმოადგენს. მურმან თუ არა შემოქმედი აკისიათვის პატიოსნება მორალური კოდექსის ერთ-ერთი მუხლია, და თუ მისი უქონლობა შენდობის დიმილით მიტევიება მას, შემოქმედისთვის პატიოსნება — ეს ვალდებულებაა; თანაც არა გარედან მიკერებული ანუ იძულებითი, არამედ, ვალდებულება — როგორც ბუნებრივი მოთხოვნა. უპატიოსნო ხელოვანი — ეს პარადოქსია, ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებული პარადოქსია, პატიოსნების გარეშე ნამდვილი შემოქმედება შეუძლებელია. და ჩვენი „სიმპათიებს“ მურმან ლებანიძისადმი, სხვა თვისებებთან ისიც განაპირობებს, რომ იგი ამ ვალდებულებას ღირსეულად ასრულებს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პატიოსან ხელოვანთან, რომელსაც „ყოველი სტრიქონი ურჩევნია მთელს იმპერიებს!“

მიუხედავად იმისა, რომ მურმან ლებანიძე სამწერლო ასპარეზზე ორმოციანი წლების დასაწყისში გამოვიდა, იგი ძირითადად მაინც მე-

ოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის წარმომადგენელია. ამ პერიოდის პოეზია კი უკვე დღეისთვის წარმოგვიდგება, როგორც მრავალმხრივ საინტერესო, მრავალი ნიშნისა და დადებითი თვისებების მქონე ლიტერატურული პროცესი. ეს ლიტერატურული პროცესი, რომელიც ოცი წლის მანძილზე წარმოებდა, უადრესად რთული და სხვადასხვა ფარულად თუ აშკარად გამოვლენილი საზოგადოებრივი, ნაციონალური და ფსიქოლოგიური მიზეზებით არის განპირობებული. ჩვენი აზრით, ეს ოცი წელი ჭერჭეროვით წარმოადგენს ახლის დღეის, შემზადების პერიოდს, როდესაც სულ უფრო და უფრო საგრძობად ხდება თვისობრივად ახალი ლექსის ჩამოყალიბების ნიშნები. და აი, ამ პერიოდის პოეტთა საუკეთესო წარმომადგენელია მურმან ლებანიძე. იგი ერთ-ერთი საყრდენი ძალაა და ბიძგის მიმცემია უახლესი ქართული პოეზიისა, რადგან მან შეძლო ლიტერატურაში შემოეტანა ახალი სუნთქვა, ახლებურად აეცვლინა ქართული სიტყვა და საკუთარი პოეტური თვალთ გასწავრიტა ახალი ადამიანი, ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი; მის შემოქმედებაში პოეტის შინაგან სამყაროს ბუნებრივად ერთვის ადამიანისა და სამყაროს სიყვარული, რაიც ამაღლებული ჰუმანისტური მისწრაფებების მალწყებელია. მურმან ლებანიძემ პოეზიაში მოიტანა თავისი სითქმელი და ჩვენ გვჭირდება ეს სიტყვა — სიტყვა პატიოსნების, რწმენის, მამულის სიყვარულის, ერთგულების და „პირისა შიგან გამაგრების“.

ჩვენ გვჭირდება ის სიტყვები პოეტისა, რომლებიც მუდამ და ხელახლა გავცხახნებენ ქართველის დღის მანდილისა და კაბის კალთის მნიშვნელობას, საქართველოს დროშის სიმბოლოს არსს:

ხოლო მანდილს და
კაბის კალთას, ქაჩთელის დედისა,
ვით რესპუბლიკის დროშას —
ვემთხვევით!

მურმან ლებანიძის შემოქმედების წყარო
ქართული კლასიკური და ხალხური ხელოვნების
სიმაღლეებში პოულობს სათავეს; მისი შემოქ-
მედების ფესვები ღრმადაა გამჯდარი წარსულის
წიაღში; ამ ფესვებს ღრმად შეუწყოვით წინა-
პართა გამოცდილება და მისი თვით უპარესად
ინდივიდუალური, ორიგინალური ძიებები მუ-
დამ ემყარება წინაპარ-თანამოკალმეთა მიერ
შექმნილ საფუძველს. და მართლაც, თუ მაინ-
ცაღამინც იმ წინასწარგანზრახვით არ მიეუ-
ფლებით პოეტის ნაწარმოებში შეფასებას,
რომ აღმოვაჩინოთ მასში უპარესად ორიგინა-
ლური, განსხვავებული თვისებები, — დავრწ-
მუნდებით, რომ თვით ყველაზე ორიგინალური,
ყველაზე უცნაური მისი უახლესი ქმნილება
„საღდაც“ და „როგორღაც“ ენათესავება უკვე
კარგად ცნობილს, უკვე ოდესღაც თქმულს. ეს
„საღდაც“ და „როგორღაც“ მსგავსება ხან აშ-
კარაა, ხანაც ფართული და ძლიერ შესამჩნევია;
მაგრამ მაინც მუდამ არსებულნი. სწორედ ამი-
ტომ აღნიშნავდა თომას ელიოტი, ყოველი
უახლესი გამონათქვამი თანამედროვე პოეტისა
შინაგანად ენათესავება ძველს და უფრო ხში-
რად მის ფერმკრთალ ანარქულს წარმოადგენ-
სო.

მურმან ლებანიძის საუკეთესო ლექსებში
აუცილებლად შეინიშნება ტრადიციის ძალა და
გავლენა. მის ლექსებს ახასიათებს ჩვეული და
იმავე დროს ახალი სურნელი, ტრადიციული სი-
წაღქმე ჩვენი კლასიკოსებისა და იმავე დროს
ფრაზებისა და სიტყვების ახლებურად ავლერე-
ბა. ზოგადაა ეს იქნებ ნაკლად ჩითვალოს, ჩვენ კი
მისი შემოქმედების ერთ-ერთი დადებითი თვისე-
ბად მივგაჩნია. ჩვენი აზრით, ტრადიციების
საფუძველი ერთადერთი და საუკეთესო საყრ-
დენია იმ შემოქმედებისთვის, რომელიც ახლისკენ
ისწრაფვის, — ეს არის ერთადერთი საშუალება
ეროვნული ნიადაგიდან არ და ვერ მოწყვეტის.
რადგან პოეტი, რომელიც მყარად დგას ეროვ-
ნული ტრადიციების საფუძველზე, (რა თქმა
უნდა, მსოფლიო ლიტერატურის მეგვიდრე-
ობის გათვალისწინებამათან ერთად), — ახლის
ძიებაში ძნელად თუ ასცდება მართალ გზას და
უმეტეს შემთხვევაში იმარჯვებს.

ქართულ კლასიკური და ხალხური პოეზიის
ტრადიციის საფუძველზე მყარად დგომამ, წი-
ნაპართა მიმართ უღრმესმა თაყვანისცემამ და
მოწინებამ (რაც მრავალ მის საუკეთესო ლექ-
სში ჩანს) განაპირობა მ. ლებანიძის შემოქმე-
დებაში პატრიოტული თემის ესოდენ მძლავრი
და მაღალმატეხული გამოხატულება. მის ლექ-

სებში აშკარად შეიგრძნობა ის სიყვარული და
თავგანწირვის სურვილი, რომელიც პოეტს სამ-
შობლოს მიმართ ამოძრავებს. აღსანიშნავია,
რომ ბევრ ისეთ ლექსშიაც, რომელიც უშუ-
ალოდ ამ თემაზე არ არის დაწერილი, ეს გან-
ცდა უნებურად გამოიკვეთება და სრულიად
განსხვავებულ სწრაფვებს ორგანულად შეერწყ-
მება ხოლმე.

ქართვლად არასდროს ყოფილა და არც
ახლა არის იოლი საქმე. ამას ცოდნა უნდა.
ამას უნდა განცდაც. სწორედ ასეთი ცოდნა და
განცდა გამოიხატება მურმან ლებანიძის ლექ-
სებში ხან ქვეტექსტებით, ხანაც ისე აშკარად,
როგორც ამას ზოგიერთ ანგვარ სტრუქტურებში
ვეითხულობთ:

პოი, წამებაე,
სიყვარული გერქვას სახელად...
პოი, მამულის სიყვარული —
გერქვას წამება!

არ შეიძლება მუდმივი, ნამდვილი სიყვარუ-
ლი იმისა, რაიც არ იცი. რადგან სხვა გრანო-
ბებისგან განსხვავებით, სიყვარული ყველაზე
ხანგრძლივი და ყველაზე უკვიანური“ გრანო-
ბაა. ცოტას ნიშნავს, გიყვარდეს შენი ხალხი
მხოლოდ ავადსიტუარად, გიყვარდეს შენი ქვე-
ყანა მხოლოდ ემპირიულად, მხოლოდ ხელშე-
სახები მოვლენებისა თუ საფნების გამო. შენი
ხალხი, შენი ქვეყანა უნდა გიყვარდეს მის სუ-
ლიერ გამოვლინებაში, მის ისტორიულ განვი-
თარებაში, მის მთლიანობაში. სწორედ ასეთი
სიყვარული მამულისადმი ჩანს მურმან ლება-
ნიძის პოეზიაში, — სიყვარული შეგნებულ და
გააზრებულ. სიყვარული მამაფრი და მტკიენე-
ული, სიყვარული ღალი და სულდიდი; სიყვა-
რული — როგორც ტვირთი, მოვალეობა, სტი-
მული, ტანჯვა და ნუგეში; როგორც თავდასა-
ცავი ცხენსიმაგრე, რომელსაც თავის მხრივაც
დაცვა სჭირდება. მურმან ლებანიძე თავისი
ქვეყნის მოპირანხულ და თანაზიარია, რასაც
მოწმობს მრავალი მისი ლექსი და მათ შორის
ამ ბოლო წლებში დაწერილი „ოდესმე დიდი
ყოფილა საქართველო“. ეისაც კი წაუციხავს
ეს შესანიშნავი ლექსი, აუცილებლად ამოც-
ნობდა მასში აღბეჭდილ ნაღველსა და მილან-
ქოლიას, ღრმა მწუხარებასა და დარღს. მიუხე-
დავად იმისა, რომ პოეტი აქ ეხება ჩვენი ერის
უპარესად მტკიენულ საკითხებსა და მოვლენ-
ებს, იგი არსად არ წარმოგვესახება ყალბად
რომანტიკული, ყალბად მჭმუნვარე, ყალბად
ტრაგიკული პოზით. იგი ნაძალადევად არსად
არ „ათორთოლებს ხმას“, რაიც მელოდრამა-
ტიულ ოაფუასიან მსახიობებს სჩვევიათ ხოლმე
მყურებელზე მეტი ზეგავლენის მოსახდენად.

ბაკი ბახხში
როცა თავად არ ღალატობ კოზიხას



პირიქით, ყოველი თვით უპირატესად მტკივნეული ფიქრიც კი, პოეტისთვის დამახასიათებელი უბრალოებით, ინტიმური, სასაუბრო მეტყველებისთვის ნიშანდობლივი ინტონაციითა და სატყვეობით არის გადმოცემული.

იმავე წლებში დაწერილ მეორე ლექსში „ეს ნანგრევები“, რომელშიც პოეტი თითქმის იმგვარსავე განწყობაზეა, თითქმის იმავე მწუხარებას და ნაღველს შეუტყარია იგი, იმედი და რწმენა უნებურად იღვიძებს და ნათდება:

ეს ნანგრევები
მეც მომბერუნ ათასგვარ ქარებს;
შავით მოსილებს,
მსასოფრებს, ჩუმებს და წყნარებს,
მოაქვთ წყალი
კუნეთიდან
მოწყენილ ქალებს...
მოაქვთ იმედიც —
მოკაეზარე ჩემი და მომძე.
აქ ხალხმრავლობის
და მძლავრობის
ვეყოფილვარ მოწმე
და ვიმედოვნებ,
რომ ხელახლა ვიქნები რისმე!

ჩვენ შეგვიძლია კიდევ მრავალი ლექსი მოვიყვანოთ იმის საჩვენებლად, თუ როგორ მძაფრად აისახა მურმან ლებანიძის პოეზიაში სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა. პატრიოტული თემა მის შემოქმედებას სწორ, აღმაჯალ ხეულად გასდევს. მის ყოველ ახალ წიგნში ჩვენ ვეცნობით ამ თემაზე დაწერილ ახალ-ახალ ლექსებს, განსხვავებულ ფიქრებსა და გრძნობებს, სურვილებსა და მისწრაფებებს.

აღენიშნავთ კიდევ ერთ თემას, კერძოდ იმის თემას, რომელიც მის პოეზიაში ფრიად საინტერესოდ არის დამუშავებული. მ. ლებანიძის შემოქმედებაში იმის, როგორც მოვლენა, ორ პრიზმაშია გარდატეხილი, ორგვარად არის განცდილი და გააზრებული: 1) იმი — როგორც ობიექტურად არსებულ საქვეყნო საშინელება, როგორც ცხოვრების არანორმალური, მახინჯი გამოვლინება და 2) იმი — გარდატეხილი პიროვნების სუბიექტურ არსში; იმი — როგორც ინდივიდის დამორგუნველი, გამომფიტავი, უპირატესად შემბოკავი და დამტანჯველი მოვლენა. ამ თემაზე დაწერილი მისი ლექსების წაკითხვამ ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა ის მოსაზრება, რომ პოეზიის სავანი პოეტის მესხიერებასა, გულსა და სულში ჩაჩენილი და იქ აღბეჭდილი მოვლენა, და არა უშუალოდ თვალწინ ამობოქრებული დღე ან ღამეა. ამიტომ ამბობდა სუინებრინ, რომ პოეზია — ეს ვახსენება, წვდომა, განთავისუფლება და სწრაფვა არისო. ამიტომ ურჩევდა მა-

იაკოვსკი პოეტებს, რათა დიდხანს შეტყუებული თავიანთ თავში ესა თუ ის საინტერესო იდეა ან ჩანაფიქრი, და დასძენდა: დრო ვერ გაახუნებს ნამდვილ იდეებსა და ჩანაფიქრებს, პირიქით — უფრო გააღრმავებს, გაამრავალფეროვნებს და დახვეწავსო. მართლაც, ყოველთვის უკეთ გამოითქმება ის მოვლენა, ის იდეა, ის სახე, რომელმაც შენში გადმოინაცვლა. რომელიც შენს საკეთრებად ვადაიქცა: რომელიც დრომ და ცონიერმა განვეტრება მკაფიოდ გამოძერწა ინდივიდუალურ წარმოსახვაში. ასეთი „შენში გადმოინაცვლებული“ სახე, იდეა, მოვლენა ლექსში გამოისახება არა მარტო გარგნული მხარეებით, არამედ არსობრივად. შესაძლებელია დრომ, ემპირიულმა დაწორებამ დააეწიოს პოეტის რაიმე ეფექტური შტრიხი, მაგრამ სამაგიეროდ აღმოცენდება ცოდნა, აზრობრივი მეტაფორა, სულიერი წვდომა.

მურმან ლებანიძის მიერ უშუალოდ იმის და იმის შემდგომ დროინდელი ლექსები უდაოდ გაიტაცებს მკითხველს დეტალების ეფექტური აღწერებით, მძაფრი განწყობილებით. ჭერ კიდევ ცოცხალი ტიპილებით. იმ წლებში დაწერილი ბევრი ლექსი — კარგია. მაგრამ უფრო მაღალპოეტურია იმის დროიდან ათი-თუთმეტი წლის შემდეგ დაწერილი ლექსები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია არა გარგნულ სიმართლეზე, არამედ მოვლენის უმთავრესად შინაგან არსობრივ გააზრებაზე. ასე მაგალითად, ვაგისენით 1943 წელს დაწერილი ლექსი „გარბიანი-კლუნიდან კრასნოდარამდე“, სადაც ჩვენ თითქმის ხელით ვეხებით „სისხლით და ცრემლით განაზანებ მიწას“, სადაც ჩვენ თითქმის ცხადად ვგვისმის „ბომბების გრუხუნა“, სადაც თითქმის აშკარად ვხედავთ ნაღმსატყორცნებით „გაბზარულ ცას“... და შეუფერისბიროთ იგი უკვე 1968 წელს დაწერილ ლექსს „ათასი კილომეტრი თოვლიში“.

ორივე ლექსში ერთი და იგივე მოვლენაა აღწერილი, მოქმედების ადგილიც ერთი და იგივეა, დროც იგივეა... აქაც იმისი ბომბების ვრუხუნა, აქაც ვხედავთ გაბზარულ ცას. მაგრამ ლექსის წაკითხვისას ხომ ჩვენ ყოველთვის უფრადღება უნდა ვავამახვილოთ აზრობრივად და ვერსიფიკაციულად აქცენტირებულ ძირითად სიტყვებსა და ფრაზებზე. ამ ლექსში კი („ათასი კილომეტრი თოვლიში...“) ჩვენ უპირველეს ყოვლისა განცდისათვის გვეძლევა არა რაიმე საგნობრივი დეტალი, არამედ ისევ და ისევ განცდა, და გააზრება იმის სინამდვილისა. ლექსში ძირითადად გამოკვეთილია ორი მომენტი: 1) ათასი კილომეტრი გასავლელი თოვლი და 2) ეძინა პოლს და მძინარი მიაბიჯებდა. ლექსი აგებულია იმ ანტითეზაზე, რომელიც ვლინდება: ერთის მხრივ — ხმაურის დაპირისპირებაში ყრუ დღემილიან და, მეორეს მხრივ — იმის უშფოთვარების დაპირისპირებაში

ძილთან, ე. ი. ერთის მხრივ — მოძრაობა, ხოლო მეორეს მხრივ — შინაგანი სიციარიელე და ეჭვობა; ერთის მხრივ — ხმაური, მეორეს მხრივ — ღუმილი. დიხა, სწორედ აი აქ, აი ამით ჩასწვდა პოეტი ომის არსს, როდესაც გრეინვა გარეგნულ შოფოთავაგებს, მღელვარების, გრეინვა-გრუნუნის მიღმა დაბუღუნული ძილი, ანუ იგივე ინდიფერენტიზმი იმისადმი, რაც გარშემო ხდება, ინდიფერენტიზმი ყველ თვით საშინელეობის წინაშეც. ათასი კომპერტი ვასავლელი თოვლი, ანუ იმავე სიციარიელეში... ამგვარი ქვეტექსტებით, ამგვარი სიმბოლოებით პოეტი გეინერავს განწყობილებას, გეინერავს ცოდნას თანამედროვე ომის უხეზობის, სიყვლის, სიციარიელის.

ეს ლექსი და მრავალი სხვა ლექსი მურმან ლებანიძის ჩვენ მოგვეჩვენა იმიტომ, რომ მათში ფიქრი გრძნობა და ფანტაზია მაღალპოეტურად არის გამოყოფილი.

მურმან ლებანიძის ლექსებში გამოხატული ფიქრი, გრძნობა, ფანტაზია არის პოეტური, არის მხატვრული, ეს მისთვის რომ იტყოდნენ ხოლმე, ღვთივ მონიჭებული მადლია; რადგან ხელოვნებაში ამ სამი კომპონენტის გაწერონა და გამომუშავება არ შეიძლება. ხელოვნებაში შეიძლება თითქმის ყველაფრის გაწერონა და გამომუშავება. გარდა ამ სამი კომპონენტისა. ამიტომაც, რომ იყენებ და არიან სიბერემდე მიღწეული ისეთი „კარგად გაწერონილი“ პოეტები, რომლებიც თავიანთ ლექსებში ფრიადონა აზრებს გამოთქვამენ ხოლმე; მაგრამ ის აზრები და ფიქრები არაპოეტურია და ხშირად ახელდახელოდ ნასესხებია სქელყდიანი მძიმე წიგნებიდან. არიან და იყენებ სიბერემდე მიღწეული აღიარებული პოეტები, რომლებიც ლექსებში ხმამაღლა ვაჰყვირიან საკუთარ გრძნობებს; მაგრამ მათი გრძნობები უმეტესად ამოკრეფილია ღვთისთვის უკვე სავანებოლ ვაზაზადებული „პოეტური გრძნობების“ სიყვირიდან“. პოეზიაში კი მთავარია ინდიფერენტური პოეტური ფიქრი და გრძნობა.

მურმან ლებანიძის მიერ გამოთქმულ პოეტურ ფიქრს ყოველთვის ახასიათებს ინდიფერენტურობა, საკუთარი სიღრმე და ბეჭი. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ, რომ ამა თუ იმ ლექსში გამოთქმული პოეტური ფიქრი პოეტის სისხლხორციული ნაწილია. ეს იმიტომ ხდება, რომ მურმან ლებანიძის ყოველი ფიქრი წარმოადგენს მისი მგრძნობელობის ინტეგრალურ ნაწილს, ორგანულ ნაწილს ნაწარმოების განწყობილების მთლიანობისა. — რასაც ფეხვი უღვას პირვენების გამოცილებებაში, მის საკუთარ ცხოვრებაში. ამას გარდა მურმან ლებანიძის პოეზიაში სიტყვა არასდროს არ არის გამოყენებული მხოლოდ როგორც ფიქრის გამოთქმის საშუალება, არამედ გამოყენებულია როგორც

ფიქრის გამხელის საშუალება, — იმ ფიქრისა, რომელიც მწერალმა განიცადა.

მურმან ლებანიძის ვერც ერთ ლექსში ჩვენ ვერ შევხვდებით „იდეის“ მხოლოდ იდეის სახით უკვიანურად გადმოტანას ქედალღზე. იგი უფრო ხშირად ჰქმნის იდეას. და რა თქმა უნდა, იდეისა თუ ფიქრის განვითარებად წარმოდგინებაში მეთი მხატვრული ძალაა, ვიდრე მის ფორმულირებაში. მურმან ლებანიძის პოეტური ფიქრი ყოველთვის უშუალოა, რადგან მას არ ახასიათებს ზოგადი და აბსტრაქტული მსჯელობის წარმართვა ლექსში. და დაკვირვებული მკითხველისთვის კი ესეც ცხადია, რომ სადაც ზოგადი და აბსტრაქტული ფიქრი დომინირებს, იქ უშუალო პოეტური ფიქრისთვის ადგილი აღარ რჩება ხოლმე.

ამისდა შესაბამისად, მურმან ლებანიძის ლექსებში გამოთქმული პოეტური გრძნობა, უმეტეს შემთხვევაში, ნატოვ, წმინდა სახით ვეველინება. პოეტმა შესალო წლების მანძილზე დაეთრუენა მის გრძნობათა ხან სენტიმენტალურობისკენ, ხანაც ეგზალტაციური გამოსახვისკენ მიდრეკილება. თითქმის ვერც ერთ მის ლექსში ვერ ვნახავთ ყალბ, მხოლოდ და სპეციალურად ლექსის დასაწერად „გაღიზიანებულ“ და გამოწვეულ გრძნობებს. ამასში ვლინდება ისევე და ისევე პოეტის პატიოსნება საკუთარი საქმის მიმართ და, მეორე ისიც, რომ იგი დაუფლებულია გრძნობებს, ანუ გრძნობები მისი კონტროლირებულია. მურმან ლებანიძე არასდროს არ ეპირფერება მკითხველს და მის წინაშე სავანებოლ არ იწონებს ხოლმე თავს საკუთარი გრძნობებით. იგი არასდროს არ იწონებს გრძნობებს, არამედ ამხელს მხოლოდ იმას, რასაც ნამდვილად განიცდის.

ლიტერატურის კრიტიკაში ბოლო დროს მოდული გახდა პოეტების დაყოფა ორ ჯგუფად: ფიქრის და გრძნობის პოეტებად. ასე მაგალითად, სიმონ ჩიქოვანს „ფიქრის პოეტს“ უწოდებენ, ხოლო გალაკიონ ტაბიძეს — მუსიკოს, გრძნობის პოეტს. მაგრამ განა ვალაკიონის ლექსებში ცოტა ფიქრია გამოთქმული, ან იმაზე ნაკლები (თუ მეთი არა), ვიდრე სიმონ ჩიქოვანის ლექსებში? და განა თვით სიმონ ჩიქოვანის თითქმის ყველა ლექსში უნატიფესი განცდები არ არის გამოხატული? უბრალოდ ეს პირობითი დაყოფა სინამდვილეში ეფუძნება პოეტის „პრაქტიკულ“ თვითგამოსახვის, თვითგამოცხვენების ხერხების სხვადასხვაობას; და რა თქმა უნდა, პოეტების ასეთი დაყოფა მხოლოდ კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში შეიძლება, რადგან თავად პოეზიაში (თავად მწერლის შინაგან

აკაკი მახაძე
როცა თავად არ ღალატობ კოეზიას



შემოქმედებით სამყაროში) ასეთი წინასწარ ჩამოკალიბებული ჯგუფები არ არსებობს.

და თუ ამ პირობით დაყოფას ჩვენ ასევე პირობითად ვაღიარებთ, მურმან ლებანიძეს მონივრულ ვერც ერთ ჯგუფს პოეტებისა ვერ მივაკუთვნებთ. იგი არღვევს ასეთი დაჯგუფების საზღვრებს და თავის ნაწარმოებებში უხვად ავლენს როგორც ფიქტურს პოეტთა, ასევე გერმანიის ან მუსიკის პოეტთა ჯგუფის წარმომადგენლებს თვისებებს. და მართლაც, მურმან ლებანიძეს — ლირიკაში მძაფრი გერმანობისა და რადიკალიზებული ვაღმოცემების გამომსახველ ამ პოეტს, იმგვარადვე მძაფრ ფიქრებსა და მედიტაციებს მოეუნახავთ, დაფიქრება სიკვდილ-სიოცნებებზე, კაცის ბედსა და ყოფაზე, სამყაროზე, სულიერ და ფიზიკურ კატეგორიებზე, — ამგვარი ფიქტური და წუხილით აღსავსეა მისი პოეზია.

ზოგჯერ ამგვარ საკითხებზე დაწერილ ნაწარმოებებში ჩვენ ვამჩნევთ, რომ ამა თუ იმ პოეტს ესა თუ ის აზრი სახელმწიფოდ უსესხებია და ლექსი ყალიბში ჩაუმწყვედვია. ეს უმთავრესად საკუთარი სათქმელის უქონლობის, ცხოვრებაზე დაუყვირებლობისა და ცხოვრებასეულ გამოცდილების უქონლობის მიზეზია. მურმან ლებანიძის პოეტური ფიქრი კი ყოველთვის უშუალოა. ყოველთვის ემოციურია, — როგორც ყოველი ინდივიდუალურად განცდილი გონებისმიერი მიგნება, — ზოგჯერ იქნებ გულუბრყვილობა, მაგრამ რაც მთავარია ყოველთვის საკუთარი და უშუალოდ გამოთქმული.

მურმან ლებანიძის პოეზია უმთავრესად გადმოგვცემს ფიქრების, წარმოსახვათა და შეგრძნებათა ბუნებრივ, ასოციაციურ დინებას. მის ლექსებს ყოველთვის იმგვარი განვითარების სახე აქვს მინიჭებული, როგორც თავად აღაშინა თვის თავისუფალი, ძალდაუბრუნებელი აზროვნებისთვის არის დამახასიათებელი. ხოლო „ბუნებრივი“ აზროვნება იშვიათად ემორჩილება წინასწარ გამოჩნულ პრინციპებს და ამიტომაც კონტრასტულობისა და პარადოქსულობის ელემენტებს უხვად შეიცავს. სწორედ აქედან გამომდინარეობს მურმან ლებანიძის მეტაფორისტიკის ორგანიზებული ხასიათი, მისი „უსუნაურიობა“ (გავიხსენოთ მის მიერ თუნდაც ასეთი ერთი კონკრეტული მოვლენის აღქმით გამოწვეული სრულიად საპირისპირო ასოციაცია: „ნაწიფიარ ასფალტს ჰქონდა გაჭრილ საზამთროს სუნია“). მაგრამ იგი თვითმიზნურად აღაშინა არ იყენებს ამ პოეტურ ხერხს, არასდროს არ ცდილობს დატვირთოს ლექსები ამგვარი „უსუნაური“ შეპირისპირებული ასოციაციებით. მეტაფორა მურმან ლებანიძისთვის არ არის უბრალო აქსესუარი, დეკორატიული ელემენტი ან პოეტური ჩუქურთმა. ეს არის ერთგვარი ჰოვარტი, საიდანაც იგი ხედავს ჩვეულებრივი თვალისთვის მიუწვდომელ და-

ფარულ ფერებსა და თვისებებს. მურმან ლებანიძის მოვლენისა, — ეს არის მისთვის „სახეობითი“ აზროვნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. მისი მეტაფორა არის უმეტეს შემთხვევაში აზრობრივი, ანუ გამომდინარე მთლიანი ლექსის იდეისგან, რის გამოც მთლიანად ლექსი მეტაფორულ ხასიათს აღემატება. ხოლო ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავს მეტაფორულ, წმინდა პოეტურ ფრაზებს იგი ფრიად იშვიათად იყენებს ხოლმე.

მომავალში ლიტერატურის მკვლევართათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება მურმან ლებანიძის წერის კულტურის, წერის ტექნიკის განალიზება. მურმან ლებანიძე შესანიშნავად ფლობს ლექსის ყოველ სახეს და სათქმელის მიხედვით, საჭიროებისამებრ გამოიყენებს ხოლმე რომელიმე მათგანს: მის წიგნებში ჩვენ შევხვდებით როგორც კლასიკურ, ასევე თეთრსა და თავისუფალ ლექსებს, მაგრამ ყურადსაღებია და აღსანიშნავია ისა, რომ მურმან ლებანიძის ყოველი სახის ლექსი მიუხედავად გარეგნული „საყოველთაოობისა“, ატარებს განკერძოებულობისა და პიროვნულ ხელწერის ანაბეჭდს; მისი ყოველი სახის მისი ლექსი მხოლოდ მისია, მხოლოდ მურმან ლებანიძისეულია, რადგან აშკარად გადააკრავს თვით პოეტის სუბიექტური სახეების ანარეკლი. კლასიკური ზომით დაწერილ ლექსებსაც (ვთქვათ თორმეტ ან რვაპიროვნულ ან გარიტმულ ლექსებს), რაღაც განსხვავებული რიტმი და მუსიკალურობა ახასიათებს. და ამ განსხვავებულ, მხოლოდ მურმან ლებანიძის პოეზიისთვის დამახასიათებელ იერსა თუ ეფერს მისი ლექსები იტყვიან როგორც ვრახტებში გამოვლენილი ინტონაციური მახვილების უჩვეულო მონაცვლეობით, ასევე სიტყვების ზუსტი და ლაკონური გამოყენებისა და ფიქრისა და გრძნობის უარესად უშუალოდ „ინტიმურად“ გამხელისადმი შინაგანი მიღრეკილების შეშვებობით.

თუ კარგად დაუფიქრებდით, შეენიშნავთ მურმან ლებანიძის შემოქმედებისთვის დამახასიათებელ ერთ ძირითად თვისებას: მისი პოეტური ფიქრი და გრძნობა ზედმიწევნით კონკრეტული, ემპირიული და სუბიექტუალური სახეებითა და მოვლენებით იფარვლება. ანუ მისი ფიქრები და გრძნობები უმეტესად ტროპებს და მოქმედებს ემპირიული სტილის სფეროში. პოეტი უფრო ხშირად მკითხველს აწვდის უარესად ინტიმურ განცდებს, დეკავშირებულთ ასევე ინტიმურ საგნებთან, აღაშინებთან და მოვლენებთან. სწორედ ეს თვისება განაპირობებს მისი პოეტური მეტაფორების სტილს; მის პოეტურ ფრაზებში ხშირად აშკარად გვეხმის ყოველდღიური ყოფილი საუბრისთვის დამახასიათებელი ინტონაცია; ხოლო ზოგიერთი ირონიულად წარმოქმნილი

დილოვები და მოსაზრებები საგაზეთო მეტ-
ყელების პაროდის სახესაც ღებულობა ხო-
ლდა. ამაში ნათლად დაერწმუნდებით, თუ გა-
დაცეითხავთ მის ისეთ ლექსებს, როგორცაა:
„ჩვენ ვართ კოლუმბები!“, „ოჯახი“, „რომ
შეშვებდროდა დიოგენი...“, „მოტოროლერა
მისწყდება ვაკე“, „შეგუბლება“, „ბერნუში
დაცხატია, ზახული“, „მასოვს“ და სხვა.

ასეთ თემებზე, ასეთ მხოლოდ ემპირიული
განცხადებიდან გამომდინარე ლექსების წერა —
ეს არის ბეწვის ხიდზე გავლა პოეზიაში. ამ
დროს აღინაგადაც რომ უმეტესენს პოეტს
„შეიდგრმა მუხამ“ ან პოეტურმა უშუალო-
ბამ პოეტს წამიერად რომ წაფიფიფიფებს და
შეცადოს ხელოვნურად შექმნას ესა თუ ის
სურათი, განწყობილება, სახე ან ფიქრი, —
მას უცილობელი მარცხი ელოდება. მაგრამ
როდესაც პოეტი ამ სფეროში ყველაფერ ამ-
სი თავს გაართმევს, მაშინ მისი შემოქმედების
საყოფი — ნამდვილი პოეზიაა. და მურმან ლე-
ბანიძის ეს „ემპირიული ლოკალურ სფერო-
ში“ მომწვედელი ლექსები ნამდვილი პოე-
ზიის ნიმუშს წარმოადგენენ. დღეს, რა თქმა
უნდა, უფრო იოლია „ტურფად მძინარე მთე-
რზე“ ლექსების შეთხზვა, ვიდრე სრულიად
წათვითცნობიერებელ მკითხველთან საუბრის
წარმართვა, ვთქვათ, შურა ბანძელაძეზე ან
პროფესორ აღამ ჩახტაურზე, რომელთაც
მკითხველთა უმრავლესობა არ იცნობს და
პროფესორად არც აინტერესებთ მათი ვინა-
ობა. მაგრამ მურმან ლებანიძე „აიძულეს“
მკითხველებს დიალექტისდენ ან აღამიანებით.
ლექსში იგი უაღრესი კონკრეტისაიისა და
სუბიექტივისაიის მეშვეობით ანსოვადობებს
ერთად აღამიანთა პიროვნულ არსს და თავი-
სი ტლანტის ძალით გადააქვევს მათ მარ-
თალი პოეზიის მოვლენებად.

მაგრამ საიდუმლოება მინც სულ სხვაგან
მალდება:

მიუხედავად იმისა, რომ მურმან ლებანიძის
ბევრ ლექსში საუბარია ამა თუ იმ კონკრე-
ტულ კაცზე ან ქალზე, როგორცაა შეუმჩ-
ნებლად, როგორც „ლადი და ახრდლი“,
სტიქონებს მიღმა აღმობრთება თვით პოეტი,
თვით მისი ვიფურა, თვით მისი განცდა და ხე-
ლვა. და საბოლოო ჯამში ჩვენ მივალთ ხელო-
ვნების იმ მუღბზე პარადოქსთან, რომელიც აქ
ნათლად გამოსკვივის: მიუხედავად იმისა, რომ
პოეტი ამა თუ იმ ლექსში გვიხატავს უცხო
კაცს, ქალსა თუ სავანს, — ყველა იმათ აღ-
ვილას ჩანს მინც მურმან ლებანიძე, მისი
პიროვნული სახება: და ამასთანავე, მის მიერ
მოცემული უაღრესად ინტიმური, კონკრეტუ-
ლი სახანები, აღამიანები და მოვლენები ზო-
გადი განცდის, ყველასთვის მისაღები და გა-

საზიარებელი განცდის სიმალღებშია ატანილი.

და მინც მიუხედავად ამისა, ერთგვარი უე-
მარისობის შთაბეჭდილება გვრჩებოდა ამ უკა-
ნასკნელ წლებამდე; თითქოს პოეტს არც სურ-
სო იმ ემპირიული სამყაროს საზღვრების გა-
დალახვა, რადგან იგი იქაც „სავსეა პოეტური
გრძნობებითა და ფიქრებით. ამგვარი უკმარო-
ბის შთაბეჭდილება ჩვენ შეგვიქმნება ხოლომე
ხელოვნების ყოველი დარგის წარმომადგენლი-
სადმი: მსახიობისადმი — როდესაც იგი მხო-
ლოდ ერთი აშკლულით გამოყოფილდება; მხატ-
ვრისადმი — როდესაც იგი გატაცებულია ბუ-
ნების რაიმე ერთი კონკრეტული გამოვლინე-
ბით (მაგ. აივანოვისკი), მწერლისადმი — რო-
დესაც იგი ერთი მანერით წერს ან გვიჩვენ-
ებს ცხოვრების რომელიმე ერთ მხარეს. „ემპი-
რიულის ლოკალური სფეროთი“ დაქმყოფილება
სწორედ ასეთ „ხილვას“ უქადას მურმან ლე-
ბანიძეს. მაგრამ აი, 1969-70 წლებში იგი აქვეყ-
ნებს ისეთ ლექსებს, რომლებიც უკვე სრულიად
სხვა პოეტური პრინციპებისა და კრდის გა-
მომსახველია. ამ სახის ლექსებიდან აღსანიშ-
ნავია განსაკუთრებით „მკვდრები“.

ამ ლექსში უკვე მოწმენი ვხდებით იმისა,
თუ როგორ არღვება, როგორ სცილდება მურ-
მან ლებანიძე მისთვის ჩვეული ემპირიულ სამ-
ყაროს; თავისი პოეტური ფიქრითა და განც-
დით როგორ მალდება ჩვეულებრივ საგნე-
სა და მოვლენებზე; როგორ ეუფლება მას „ზე-
მღგომი“ ფიქრები. ჩვენს აზრით, თუ მურმან
ლებანიძე ამ ახალი წყდომის, ახალი მკვდრის,
ახალ სამყაროსთან სულიერი მიახლოვების
გზას ისევე უშუალოდ გაჰყვება, ვით წინან-
დელს მიჰყვებოდა. — მისი შემოქმედებითი
ღიაპაზონი ორმაგად გაიზარდება, დაუფლებული
„ორსავ სამყაროს მუხებს“.

დასასრულ ჩვენ გვინდა გაიხსენოთ კიდევ
ერთი ლექსი მურმან ლებანიძისა, სადაც იგი
თავის შვილს ამ სიტყვებით მიმართავს:

ვიცის ხალათი გერჩიოს, თოლიგე,
მხატვრის და მგოსნის ხალათს,
საყვარელ ქალის დალატი,
შვიდფერი მუხის დალატი!

ამ ლექსიდან („ბერნუში დაცხატია, ზახუ-
ლი“) აშკარად ჩანს, თუ რა სიფრთხილით
რა მოწმენით ეკიდება მურმან ლებანიძე ხე-
ლოვნებას, შემოქმედებას; და მურმან ლე-
ბანიძის იმტიომ არ პლატატობს „შვიდფერი მუ-
ხა“ ანუ პოეზია, რომ იგი თავად ერთფულია
მისი; რადგან მურმან ლებანიძისთვის პოეზია
— ეს ერთადერთი საშველია ამქვეყნიურ
ცხოვრებისა; რადგან პოეზია არის მისი პირო-
ვნული თვითგამოსახვის ერთადერთი სწორი
საშუალება.



პეპამ პეპამ

მნიშვნელოვანი ფაქტი

სარგის ცივილიზაციის თითქმის ორი ათეული წელია სწავლობს ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებს („თამარაინი“, სულხან-საბა, დავით გურამიშვილი, იოსებ ტფილელი, „ყარაშაინი“, ფეშანგი, ბესიცი) და განსაკუთრებით, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერ მეცნიერებასა და უკვდავი პოემის ტექსტის ისტორიასთან დაკავშირებულ ძირეულ პრობლემებს: პოემის რედაქციები, ქვერედაქციები და მათი ურთიერთმიმართება, ჩანართი პლასტების წარმოშობა, ვახტანგისეული რედაქციის რაობა, „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტის ევოლუცია და პოემის თავდაპირველი (პოეტის ხელიდან გამოსული) ტექსტის რეკონსტრუქციის ცდები, ამასთან, რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ტექსტოლოგიური პრობლემატიკის ისტორიის გამოკვეთა თანამედროვე ტექსტოლოგიის მიღწევათა გათვალისწინებით.

ამ მიმართულებით, ს. ცივილის მრავალწლიანი შრომის ნაყოფია მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, რომლის პირველი ტომი 1970 წელს გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებაში“ (გვ. 3-348, რედაქტორი — ალ. ბარამიძე). მკითხველმა მიაღწეოთ მეორე ტომიც, სადაც აღწერილია ვეფხისტყაოსნის ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული (როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში) ყველა ხელნაწერი თუ ცალკეული ფრაგმენტი (სულ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი), დაიბეჭდება აგრეთვე ამავე საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე გამოკვლევა: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ნაირკითხვაობათა ანალიზი და ხელნაწერთა კლასიფიკაციის შედეგები, ვახტანგის რუსთველოლოგიური შეხედულებები მისივე კომენტარების მიხედვით, პოემის პირველი ხელნაწერული ლექსიკონები, მე-19 საუკუნის მწიგნობართა ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელ-

ნაწერებზე! წერილი, რომელშიც მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შესწავლის ისტორია. ამავე ტომს დაერთო საძიებლები და აგრეთვე, რეზიუმე რუსულ ენაზე.

წინამდებარე ნაშრომი შედგება 8 თავისა და ბოლოსიტყვაობისაგან. პირველი თავი: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია და თანამედროვე ტექსტოლოგიის ზოგადი საკითხები“ (გვ. 3-16) თეორიული ხასიათისაა და ავტორის კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპების გადმოცემას წარმოადგენს. ს. ცივილიზაციის ტექსტოლოგიური მეცნიერების განვითარების ძირითად ასპექტებს როგორც ანტიკური დროისა (ვთქვათ, პისისტრატე), ისე შუა საუკუნეებისა და რასაკვირველია, ახალი ეპოქისა, კერძოდ, დაწვრილებითაა მიმოხილული ტექსტოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბება მე-19 საუკუნეში (ა. პაუზმანი, რ. ბენტლი, ფრ. ვოლფი, კ. ლახმანი, შ. ბელიე) და მისი შემდგომი განვითარება ჩვენს დროში (ა. შახმატოვი, ა. კასტელანი, ბ. ეიხენშაუმი, დ. ლიხაჩოვი, ე. პროხოროვი). ამ ფონზე კარგად არის წარმოჩენილი კლასიკური თუ ე. წ. აღორძინების ხანის პირველ მეცნიერ-მწიგნობართა და რედაქტორ-გადამწერთა დეალო, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანისა და სწავლული მეფის ვახტანგ მეექვსისა. ძეგლების გამოცემის თვალსაზრისით, დახასიათებულია ქართული ფილოლოგიური მეცნიერების დონე მე-19 საუკუნეში (პლ. იოსელიანი, ზ. ჭიჭინაძე და სხვ.).

ნაშრომის მეორე თავი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის ისტორიიდან“ (გვ. 17-145)

1. ამ რიგის ზოგიერთი დაკვირვებანი იხ. ავტორის ადრე გამოსულ წიგნში: ლიტერატურული წერილები, თბ. 1966, გვ. 59-119.

რამდენიმე ქვეთავს შეიცავს, რომელშიაც განხილულია ვახტანგამდელი პერიოდი რუსთველოლოგიაში (ჭაბოსოი ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ I, არჩილი, სულხან-საბა), ვახტანგი და ვეფხისტყაოსნის საკითხები, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები თეიმურაზ ბაგრატიონისა და მის მოწაფეთა (მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, პლ. იოსელიანი) შრომებში, მწერალთა კომისიის მიერ მომზადებული ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემა, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ მეცნიერებაში (ნ. მარი, დ. კარიჭაშვილი, ს. კაკაბაძე, იუსტ. აბულაძე), ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები ქართულ მეცნიერებაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (და, მათ შორის, 1934 და 1953 წლის ვეფხისტყაოსნის გამოცემები), ვეფხისტყაოსნის პირველი საიუბილეო (1937 წ.) გამოცემა (ვეფხისტყაოსნის რედაქციები და პოემის ზოგიერთი ტექსტუალური საკითხი). დადებით შეფასებასთან ერთად ს. ცაიშვილი აღნიშნავს ადრე ტექსტის დადგენის საქმეში არსებულ ძირითად ნაკლევან მხარეებს, მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებს.

საკითხთა ასეთი უბრალო ჩამოთვლიდანაც კარგად ჩანს, თუ რაოდენ ფართოა ავტორის მიერ ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოები მისი კვლევის ძირითად პრობლემებზე განდსახელებლად, რომლისადმიც არის მიძღვნილი შრომის მომდევნო თავები.

წიგნის სპეციალური თავი «ვეფხისტყაოსნის რედაქციები» (გვ. 146-165) ს. ცაიშვილს უკვდავი პოემის ტექსტის ისტორიის ზოგადი სურათის მიმოხილვისთვის დაეთმო. აქ, იგი, პირველ რიგში, საბჭოთა ტექსტოლოგების (ბერტელსი, ლიხაჩოვი, პროხოროვი, ზაბავიცი...) მიღღარი გამოცდილებების გათვალისწინებით, სრულიად მართებულ მეთოდოლოგიურ თვალსაზრისს გვთავაზობს: «წინააღმდეგ ვეღვი შეხედულებებისა, ლიტერატურის თანამედროვე ისტორიკოსი და ტექსტოლოგი თავის მუშაობაში უნდა ხელმძღვანელობდეს საყოველთაოდ აღიარებული დებულებით: პირველ რიგში საჭიროა ტექსტის ისტორიის შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვეთ ტექსტი და არა პირიქით, როგორც წინათ იყო: ჯერ გამოვეთ და შემდეგ დაიწყოთ ტექსტის ისტორიის შესწავლა» (გვ. 147). ამის შემდეგ მკვლევარი ვადადის «ვეფხისტყაოსნის» შედგენილობის, პოემის ტექსტის სახეცვლილების მიზეზების განხილვაზე: «ვეფხისტყაოსნის ტექსტი საუკუნეთა მანძილზე მოიკვლევდა გზას და როგორც ცოცხალი ორგანიზმი რალაცას იძენდა, რალაცას კარგავდა. მასში, ისევე როგორც ყოველ ლიტერატურულ მოვლენაში, აირეკლა ჩვენი ხალხის ისტორიული წარსული, მისი ბედის ცვალება-

ობა, მრწამსი და მხატვრული მიდრეკილება».

ახალი და ახალი პლასტები ემატებოდა პოემას, ზოგი სიყვარულით, ზოგიც სიძულვილით (ესეც გარკვეული ეპოქის დამახასიათებელი იყო) და მათში, როგორც ნიჟარაში ჩარჩენილ წვეთში, ისმის დიდი ზღვის ხმაური, იგრძნობა ახალი ეპოქების სუნთქვა...» (გვ. 148).

ფრიალ საყურადღებოა, ს. ცაიშვილის მიერ ჩამოთვლილი ამისი მიზეზები:

1. აღორძინების ხანის მწერლობამ ვერ აითვისა და ვერ გაიგო რუსთველის მიერ დიდი მხატვრული შთაგონებით გადმოცემული გმირთა სულიერი ცხოვრება, თავისი ვნებებითა და ინდივიდუალურებული ხასიათით, რაც ბადებს იმ მძაფრ დრამატიზმს, რომლის გარეშეც «ვეფხისტყაოსანი» ვერ ამაღლებოდა შუა საუკუნეთა სამიწნერო თუ სათავგადასავლო რომანებზე, პოემის მეორეხარისხოვანი ტენდენციების წინ წამოწევამ, საგმირო-საფალავან ამბების თხრობით გატაცებამ განაპირობა ამ ხნის მწერლობაში ნაშვილად რუსთველური სიუჟეტის სრული დეფორმირება: «საკმარისია გვეჩხენოთ „ინდო-ხატეულითა“ ან განსაკუთრებით, „ხვარაზმელთა ამბის“ მთელი რიგი ეპიზოდები, რომ ამაში აშკარად დავრწმუნდეთ. ასეთივე ინტერესის ნაყოფია აგრეთვე ტიპური საგმირო-ფანტასტიკური ნაწარმოები „ომიანიანი“, რომელიც ფაქტიურად ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა გაგრძელებას წარმოადგენს» (გვ. 156).

2. «ვეფხისტყაოსნის» ტექსტზე დართული (თუ შიგ ჩართული) სხვადასხვა პლასტების შექმნა რუსთველის პოემის გარეშე არსებულ წყაროთა გამოყენებას გულისხმობს. მართალია, «შაშ-ნამეს» პირველ მთარგმნელებზე, ისე როგორც ე. წ. აღორძინების ხანის მთელ ქართულ მწერლობაზე, აშკარა გავლენა მოუხდენია «ვეფხისტყაოსნის», მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თავის მხრივ «შაშ-ნამემ» გარკვეული გავლენა მოახდინა «ვეფხისტყაოსნის» დანართ ტექსტებზე (ვთქვათ, «ხვარაზმელთა ამბავი»). ცნობილია, რომ ასეთმა დაკვირვებამ პოემის დანართ ტექსტებზე «შაშ-ნამეს» ქართული ვერსიების გავლენისა თუ ინტერპოლაციონობა მხატვრული გემოვნების გათვალისწინების გარდა, საშუალება მისცა ჩვენი მკვლევარებს ზუსტად განესაზღვროთ «ვეფხისტყაოსნის» პლასტების წარმოშობის დრო.¹

¹ შტრ. ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის, თსუ-ს მოამბე, 1928.

ზურაბ შარაძე
მნიშვნელოვანი წვლილი



3. ვეფხისტყაოსნის ინტერპოლატორები კარგად იცნობენ ქართულ ფოლკლორს, კერძოდ, ხალხში გავრცელებულ „ტარიელაის“ და არ გაიგავენ შესაძლებლობას, რათა აღუქვამონ იგი რუსთველის პოემას, რაც ჩანართთა წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზია. ამ მხრივ, ს. ცაიშვილმა ჯერ კიდევ 1957 წელს მეტად საგულისხმო ფაქტს მიაგნო: „ვეფხისტყაოსნის ერთ, 1688 წელს გადაწერილ ნუსხაში (S—2829) მან აღმოაჩინა ხალხური „ტარიელაის“ ფრაგმენტი, კერძოდ — „ავთანდილ ვაღინაძისა“ ენობრივად ერთი ყველაზე უფრო ცნობილი ერთი კვდიანი...“, რომელიც ვაღამწერს პოემის ძირითად ტექსტში მოათავსებია, სწორედ იმ ადგილს, სადაც ავთანდილის მიერ ტარიელის უშუალოდ ძეგლი გამოყვეული მწუხარებაა გადმოცემული. ვარდა იმისა, რომ ეს არის პირველი ჩანაწერი ხალხში თქმულებად გასული „ტარიელაისა“ და თითქმის საუქუნენახევრით წინ უსწრებს „ტარიელაის“ აქამდე ცნობილ ყველა ჩანაწერს, ს. ცაიშვილმა მიიღო მნიშვნელობანი, და ჩვენი ფიქრით, მართებული დასკვნა: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერში აღნიშნული ფრაგმენტის არსებობა ხაზს უსვამს, რომ მე-17 საუკუნის განათლებული ქართველობაც ისევე აკავშირებდნენ ხალხურ „ტარიელაის“ რუსთველის პოემასთან, როგორც დღეს, როცა რუსთველოლოგთა უმრავლესობა მხარს უჭერს ხალხური „ტარიელაის“ ვეფხისტყაოსნიდან წარმომდინარეობას.¹

4. ჩანართების ავტორთა შემოქმედებაში გამოსჭვივს „ქართლის ცხოვრების“ წიგნთა ცოდნა და სიყვარული: ბევრი ადგილი, სახე თუ შედარება ქართული მითიანეებიდან უნდა მომდინარეობდეს. ს. ცაიშვილს ამ დებულების საინტერესოდ ბევრი საინტერესო მავალით მოკავს, რაც მკითხველს ადვილად არწმუნებს მის სისწორეში.

ჩამოთვლილ და აგრეთვე, სხვა მიზეზთა გათვალისწინების შედეგად, ს. ცაიშვილი დაასკვნის: „ყოველივე ამის გამო, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში ძალზე რთული ვითარებაა. ჩვენამდე მოაღწია სხვადასხვა შედგენილობის, წარმოშობის დროითა და ენობრივი თავისებურებებით ერთმანეთისაგან განსხვავებულმა ხელნაწერთა დიდმა რაოდენობამ; საკმარისია აღინიშნოს, რომ როგორც სხვა მკვლევართა, ისე ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ამჟამად ცნობილია პოემის 162 ხელნაწე-

რი და რამდენიმე ათეული ცალკეული მხრის მქონე ეპიგრაფიკული თუ სხვა ხასიათის... პირველ რიგში საჭირო იყო ძირითადი ნიშნების მიხედვით ამ ზღვა მასალის კლასიფიკაცია, ძირითადი რედაქციების გამოყოფა“ (გვ. 164).

ამ მიზნით, ს. ცაიშვილი 1957 წლიდან შეუდგა მუშაობას, როცა ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ დასახული პროგრამით საჭირო გახდა „ვეფხისტყაოსნის“ უფრო მნიშვნელოვან ხელნაწერთა შერჩევა. მკვლევარმა ჩატარებული მუშაობის საფუძველზე მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო; შესაძლებელი გახდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მეკვიდრეობიდან ითხი ძირითადი რედაქციული ჯგუფის გამოყოფა:

1. ყველაზე რთული, მაგრამ პოემის ტექსტის აღდგენისათვის სხვაზე მნიშვნელოვანი ხელნაწერთა ჯგუფი, რომელსაც ს. ცაიშვილი „ვეფხისტყაოსნის ძველ რედაქციებს“ უწოდებს.
2. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია.
3. ვეფხისტყაოსნის ე. წ. არტანუჯული ვარიანტი.
4. ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა და მისი გავლენა ხელნაწერებზე.

წინამდებარე მონოგრაფიაშიც ამ თანმიმდევრობით (IV, V, VI, VII, VIII თავები) არიან შესწავლილი ეს რედაქციული ჯგუფები, ლაპარაკია ჩანართი პლასტების ჩამოყალიბების დროის შესახებ, ამასთან დახასიათებულია ცალკეულ რედაქციულ ჯგუფებში მითიანებულ ხელნაწერთა თავისებურებანი და ურთიერთმომართებანი (სიწორე-სიახლოვის თვალსაზრისით), რისთვისაც ცალკეული მთავანისთვის ს. ცაიშვილს შეუდგენია სქემებიც (სულ 5).

მე-4 თავის: „ვეფხისტყაოსნის ძველ რედაქციები“ (გვ. 166-281) ძირითადი დებულებები ავტორს უფრო აღრცე (1963 წ.) ჰქონდა გადმოცემული. წინამდებარე მონოგრაფიაში იგი წარმოდგენილია შევსებულ სახით და მოთავსებულია ახალი მომენტის გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ ჩვენამდე მოაღწია პოემის გვიანდელმა ხელნაწერებმა (მე-17 ს.), ამასთან ისინი ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდებიან თავიანთი რედაქციული სახით პოემის მთელი ტექსტის მანძილზე. ხელნაწერი შემკვდარე-

¹ ს. ცაიშვილი, ხალხური ტარიელაისის პირველი ჩანაწერი, ვაზ. „სახალხო განათლება“, № 12, 1957; შტრ. მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966, გვ. 75-79.

1 ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 3, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, აღ. ბარამიძის საერთო რედაქციით, ტ. I, თბ. 1960, გვ. 6.
2 ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველ რედაქციები, თბ., 1963.



ბით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი სამი ძირითადი მონაკვეთით გვაქვს წარმოდგენილი: პროლოგი, ძირითადი ტექსტი (პოემის შუა მონაკვეთი ე. ი. პროლოგიდან „ხვარაზმელთა ამბამდე“), ე. წ. გაგრძელებები („ხვარაზმელთა ამბიდან“ მოკიდებული ვრცელი დასართული), ს. ცაიშვილის დაკვირვებით დაახლოებით ერთნაირ ხელნაწერებს სხვადასხვა თანმიმდევრობის ან სხვადასხვა მოცულობის მქონე პროლოგი გააჩნია. ან კი, ვთქვათ, პროლოგი და ძირითადი ტექსტებით (პოემის შუა წელით) დაახლოებით მსგავს ხელნაწერებს სრულიად სხვადასხვა მოცულობის მქონე დასართული ახლავთ, გვიანურებული ე. წ. „გმირთა ანდერძებით“. ამ მოვლენის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ გადაწერები, ნებისა თუ უნებლიეთ, სხვადასხვა პლასტი მქონე ხელნაწერებს იყენებდნენ სახელმძღვანელოდ და თუ ერთი ხელნაწერიდან იღებდნენ პროლოგს ან ძირითად ნაწილს, სხვა დენიდან ავსებდნენ დასასრულის ვრცელ თავებს“ (მაგ., H-757) ან კიდევ „პოემის გადაწერის პროცესში მათ სხვა ხელნაწერებიდან, თავის გემოვნების მიხედვით, შემოპქონდათ ესა თუ ის ჩანართი სტროფი (ზოგჯერ რამდენიმეც), ან კი თვითონვე ქმნიდნენ მათ ანალოგებს“ (მაგ., H-740, H-1839).

ხელნაწერთა სტროფული შედგენილობისა და ნაირკითხვაობათა ძირითად მონაცემთა გათვალისწინებით, ს. ცაიშვილი ვეფხისტყაოსნის ძველ რედაქციებს გამოაყოფს პროლოგის, შუა მონაკვეთისა და გაგრძელებათა მიხედვით.

მძიმე და შრომატევადი მუშაობის ჩატარებამ საბოლოოდ მკვლევარს ასეთი სურათი მისცა: პოემის ძველი რედაქციები პროლოგის მიხედვით გვაძლევენ 3 ტიპს (აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ს. ცაიშვილი ლაპარაკობს პროლოგის ტიპებზე და არა რედაქციებზე):

1. EFZ... ჭგუფის ხელნაწერები.
2. ABC... ჭგუფის ხელნაწერები.
3. DGU... ჭგუფის ხელნაწერები.

შუა მონაკვეთის მიხედვით, პოემის ძველი ხელნაწერები 4 სხვადასხვა რედაქციის გვიჩვენებენ:

1. EF... ჭგუფის ხელნაწერები ანუ პოემის უმოკლესი რედაქცია 54 ჩანართი სტროფით (ა პლასტი).
2. DGU... ჭგუფის ხელნაწერები, სადაც პლასტი ემატება 69 ჩანართი სტროფი (ბ პლასტი).
3. ABC... ჭგუფის ხელნაწერები ანუ პოემის ვრცელი რედაქცია, სადაც ა და ბ პლასტებს ემატება 47 ჩანართი სტროფი (გ პლასტი).
4. KOT... ჭგუფის ხელნაწერები ანუ შედარებით მოკლე რედაქცია, სადაც მხოლოდ ა პლასტს (ბ და გ პლასტები გამოტოვებულა) ემატება 50 ჩანართი სტროფი (დ პლასტი).

ამიტომ იგი შედარებით ახლო დგას პირველ რედაქციასთან. (EF...): რედაქციასთან. გაგრძელებათა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები 2 რედაქციად იყოფიან:

1. EFIRTHNQ ხელნაწერები, რომელთათვის საერთოა გაგრძელებათა პირველი რედაქციის შემცველი პლასტი და გაგრძელებებში წარმოდგენილია 160-მდე სტროფი.

2. BCGH... ხელნაწერები, რომელთათვის საერთოა დამატებათა მეორე პლასტი, ამათგან, აგრეთვე, ზოგ ხელნაწერს ერთის იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული ანდერძები, არის ხელნაწერები, რომელთაც დაერთვის ყველაზე გვიან შეთხზული მეხუთე ანდერძიც.

ფიქრობთ, სახეებით ლოგიკურია და დამაჯერებელი მკვლევარს მიერ უშუალოდ ხელნაწერთა მონაცემების საფუძველზე პოემის ტექსტის სამი ძირითადი მონაკვეთის (პროლოგი, შუა წელი, გაგრძელებები) სამი სხვადასხვა რაოდენობის (3, 4, 2) რედაქციულ ჯგუფებად დაყოფა: გადაწერათა ხელში პროლოგი ირგოდა მისი მკაცრი გამაერთიანებელი სიუფეტური რკალის უქონლობისა და პოემის ძირითადი, სიუფეტური ტექსტისაგან ცალკე აღქმის გამო (ამიტომაც ხელნაწერებში პროლოგი 3 ტიპისაა, ძირითადი ტექსტი — 4 რედაქციისა), ხოლო გაგრძელებები გვიანდელი ხანისა და, ზოგიერთი მათგანი, ვთქვათ, იოსებ ტფილელის ინტერპოლაციები, ზოგიერთი ხელნაწერის, ვთქვათ, მამუკა თაყაჩარაშვილისეული 1646 წლისა, გადაწერის შემდეგაა შექმნილი 1660-იან წლებში და, ბუნებრივია, ისინი ყველა ხელნაწერში არც იყო მოსალოდნელი, რომ მათთვის მყარი რედაქციული სახე შეექმნა (ამიტომაც, გაგრძელებების მიხედვით, ხელნაწერები 2 რედაქციად იყოფიან).

როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციული კლასიფიკაციის ძლიერ შთამბეჭდავი სურათი, რომლის მისაღებად ს. ცაიშვილს ანალოზისა და სინთეზის მეთოდისათვის მიუმართავს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ამ ხელნაწერთა სხვადასხვა რედაქციული სახის უფრო მართებული გამოვლინებისათვის მეთოდოლოგიურად სწორი იქნება ამ ცალკეული ელემენტების (რომელთაც გარკვეული თავისებურებანი გააჩნიათ) შედარებითი შესწავლა ხელნაწერთა მექანიკურების გათვალისწინებით და მხოლოდ მათი შემდეგი შეერთებით თვითონვე ამ რედაქციის დახასიათება. ხელნაწერთა ამგვარი განხილვა მოკვლევას ნამდვილ გასაღებს, რათა დაახლოებით მაინც გამოვარჩიოთ ძირითადი რედაქციული ტიპები“ (გვ. 167).

ხელნაწერთა სწორ რედაქციულ კლასიფიკა-

გურამ შარაძე
მეცნიერებათა აკადემიის წევრი



ციასთან არის დაკავშირებული პოემის ტექსტის რეკონსტრუქციის მთავარ ხაზებში მიანც ვადაქრის პრობლემა, რომელსაც ს. ცაიშვილი ახდენს კომპლექსური, ისტორიულ შედარებით მეთოდის მომარჯვებით: აღდგენილია შედარებით ახლო მდგომარეობის პროტოგრაფები, რომლებიც უშუალოდ რგოლებს წარმოადგენენ პირვანდელ დედანსა და ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის, რის შედეგად გამოკვეთილია ხელნაწერთა წარმოშობის თავისებურებანი (გვ. 300-301, სქემა № 5).

წლების მანძილზე ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა დეტალურმა შესწავლამ და ანალიზმა მკვლევარს საშუალება მისცა პოემის ხელნაწერილი მეგვიდრეობის ზღვა მასალაში გარკვევასა და მათი რედაქციული დაჯგუფებისათვის, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღსადგენი სამუშაოებისათვის: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა უნდა ითვალისწინებდეს ტექსტის ისტორიის მონაცემებს და სწორედ ამის გამო, საფუძვლად უნდა ავიღოთ ვეფხისტყაოსნის ოთხივე რედაქცია და მათში შემავალი ნუსხები“ (გვ. 312). ხოლო რაც შეეხება პოემის შედგენილობის შემდგომ დახვეწას, ავტორის მოსაზრებით, აქ აშკარა პრიორიტეტი უნდა მიეცეს შედარებით მოკლე (პირველსა და მეოთხე რედაქციებს), თუმცა მთლიანად არც მესამე და, განსაკუთრებით მეორე რედაქციის მონაცემები უნდა იქნეს უპირობელოდ გამოყენებული (იქვე).

მე-6 თავი „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“ მიძღვნილია რუსთაველის პოემის პირველი ბეჭდური გამოცემის (1712 წ.) წყაროებისა და ამ რედაქციის ხელნაწერთა შემკვდრობაზე გავლენის საკითხისადმი.

ავტორი, აქ, საგანგებოდ აღარ მსჯელობს პოემის ვახტანგისეული გამოცემის ხასიათის შესახებ. ამ საკითხს, იგი, სპეციალურად ეხებოდა 1957 წელს გამოსულ თავის მონოგრაფიულ ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“. ამ მხრივ, რუსთაველოლოგიურ მეცნიერებაში აღიარებულია ს. ცაიშვილის მიერ მოპოვებული შედეგები.¹ ცნობილია, რომ იქნეს მეცნიერებაში დიდხანს დავა იყო პოემის ვახტანგისეული გამოცემის ხასიათის შესახებ: ერთი ნაწილი (დ. კარბუაშვილი, იუსტ. აბულაძე, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა) მას მიიჩნევდა პოემის რომელიღაც ძველი ხელნაწერთა უცვლელ გამოერებად; ე. ი. არაკრიტიკულ გამოცემად, ხოლო მეორე ნაწილი კი (ე. თა-

ყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, კ. კვიციანი) მას კრიტიკულ, მეცნიერულ გამოცემად თვლიდა. ნამდვილი აღმოჩნა ამ საკითხის გარკვევისათვის აკავი შანიძის ეკუთვნის: 1937 წელს, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენილ გამოცემაზე მუშაობის დროს, ა. შანიძემ გამოარკვია, რომ ვახტანგს „თარგმანში“ განუმარტავს რიგი ისეთი სიტყვა და სტროფი, რომელთაც მისი სახელით გამოცემულ ტექსტში ვერ ვპოულობთ და რომლებიც შემონახულია ვრცელი რედაქციის ხელნაწერებში. მასასადავამ, ვახტანგს ხელთ ჰქონია ვრცელი რედაქციის ხელნაწერი, ხოლო საბოლოოდ სხვა რედაქცია შემუშავებულია და დაუბეჭდავს.¹

მიუხედავად ამისა, ვახტანგისეული გამოცემის კრიტიკულ გამოცემად აღიარებაში დიდ დაბრკოლებას ქმნიდა პოემის U (S-5006) ხელნაწერი, რომელიც მე-17 ს-ით თითოიღებოდა და გარკვეულ მონაკვეთში ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს მისდევდა. ამიტომაც, პ. ინგოროყვა კვლავ თავის ძველ შეხედულებას ადგა.²

აღ. ბარამიძის სიტყვებით „დიდი სამუშაო შეასრულა და ს ხელნაწერი დაწერილებით შესწავლა სარგის ცაიშვილმა. მან გამოარკვია, რომ 1) U ხელნაწერი გადაწერილია არა მე-17 საუკუნეში, არამედ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, ყოველ შემთხვევაში ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის შემდეგ; 2. ხელნაწერის ერთი ნაწილი (თავ-ბოლო ნაწილი) გადმოწერილია მე-17 საუკუნის ჩვეულებრივი ტიპის ვრცელი ხელნაწერიდან, ხოლო მეორე ნაწილი (პოემის შუაწილი) თვითონ ვახტანგის გამოცემიდან... მასასადავამ, ის „ერთადერთი მოსაზრება, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებდა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის კრიტიკულობას, უარყოფილ უნდა იქნეს.“³

მას შემდეგ, მკვლევარმა უმთავრესი ყურადღება ვახტანგისეული გამოცემის წყაროების კვლევაზე დაუთმო და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „1712 წლის გამოცემის უშუალო წყაროს წარმოადგენს ე. წ. „ზაზახეული“ ხელნაწერი, ხოლო ამასთან ზოგი წაითხვა შემოტანილია მე-17 საუკუნის სხვა ხელნაწერებიდანაც“ (გვ. 324). საკულისხმოა, რომ ს. ცაიშვილის ასეთი დასკვნამ მხარი დაუჭირა 1870 წელს პლ. იოსელიანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, სწორედ ე. წ. „ზაზახეული“ ხელნაწერის მიხედ-

¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები, X, 1968, გვ. 270; აღ. ბარამიძე, ნარკვევები, IV, 1964, გვ. 15; ა. შანიძე, დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, თბზულებანი, II, 1966, გვ. 223.

¹ ა. შანიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენილი გამოცემა, თბ. 1937, გვ. 391.

² ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციით. თბ., 1953, გვ. 508.

³ აღ. ბარამიძე, ნარკვევები, IV, 1964, გვ. 15.



ეთ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ვახტანგის 1712 წლის გამოცემა¹.

ნაშრომის მე-7 თავი «ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ვარიანტის შესახებ» (გვ. 326-336) პოემის ერთი საკმაოდ თავისებური ვარიანტის გარკვევას ემსახურება. მე-17 საუკუნის ვრცელი ხელნაწერებისაგან იგი განსხვავდება შედარებით სიმოკლედ, მაგრამ მას მოეპოვება ვახტანგისეულ გამოცემაზე მეტი სტროფი (სულ 17) და აგრეთვე, ერთი ეპიზოდი, რასაც სხვა რედაქციები არ იცნობს.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევარს პოემის ზოგი ხელნაწერის ანდერძში დამოწმებული სიტყვების ... „ერქოთა არტანუჯისათა“ მიხედვით, ამ ჭკუფში დაეუღლ პოემის რედაქციას მიეცა არტანუჯული ვარიანტის სახელი. ასეთია შემდეგი ხელნაწერები: S — 4732, S — 1586, S — 2686, S — 2781, S — 305, H — 933, H — 302, H — 1205, Q — 376, Q — 737, ლიტ. მუხ — 12914 (194).

ჯერ კიდევ 1908 წელს ე. თაყაიშვილი ხელნაწერთა შეყვარებად დაარწმუნა, რომ ამ ჭკუფის ხელნაწერებიდან S — 4732 ყველაზე აღზრდილია და პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, მათ დედანს წარმოადგენს. ხელნაწერი გადაწერია ცნობილ კალიგრაფსა და პოეტს პეტრე ლარაძეს 1827 წელს, უკეთ 1827 წლის 1 იანვრისათვის დაუმთავრებია მას ამ ხელნაწერის გადაწერა. მაგრამ რაც მთავარია, ხელნაწერისთვის დაეუღლ ანდერძში ა. ლარაძე იუწყებოდა, რომ თითქმის მას ეს ნუსხა გადმოწერილი ჰქონდეს ვეფხისტყაოსნის იმ უძველესი ნუსხიდან, რომელიც გიორგი ეგნატეს იე თუმანიშვილს მოეპოვა „ერქოთა არტანუჯისათა“. აქედან წარმოიშვა აზრი ამ ტიპის ხელნაწერების ვითომცდე ვახტანგამდებლობის, მათი უძველესობის (იუსტ. აბულაძე, ს. კვაბაძე, ს. ყუბანეიშვილი) შესახებ.

1915 წელს გამოქვეყნდა ალ. სარაჯიშვილის შესანიშნავი გამოკვლევა: „არტანუჯის ვარიანტი ვეფხისტყაოსანში“. მან ხელში ახლადჩაგარდნილ პოემის ნუსხაზე დაყრდნობით (ამჟამად H-1079), გამოარკვია რომ პეტრე ლარაძის მიერ 1827 წელს გადაწერილი ხელნაწერის დედანის არის 1823 წელს, ცნობილი მწერლისა და კალიგრაფის დავით რექტორის მიერ გ. თუმანიშვილის შეკვეთით გადაწერილი ნუსხა და ის ზედმეტი სტროფები, რომლებითაც იგი ვახტანგის გამოცემიდან განსხვავდება, სხვა არაფერია

¹ П. Иоселиани, Шота Руставели, Кавказ, 1870, № 13.

² Е. Такашвили, Описание, II, стр. 554.

³ ძველი საქართველო, ტ. IV, II განყოფილება, 1914-1915.

თუ არ თვით ხელნაწერის მომგებლის გიორგი თუმანიშვილის ინტერპოლაციები, რომლებიც პ. ლარაძეს უკვე საუფროვე ტექსტში შეუტანია. ს. ციციშვილმა თუმანიშვილისეული ტექსტი, ჩასწორებათა და აწივებზე მინაწერ სტროფთა გარეშე, ხელახლა შეუდარა ვახტანგის ტექსტს და აღმოჩნდა, რომ იგი ზუსტი პირია 1712 წლის გამოცემისა (გვ. 330), ხოლო „პეტრე ლარაძეს გადაწერია დავით რექტორის მიერ შესრულებული ვახტანგისეული გამოცემის პირი იმავე ჩასწორებებით, რომლებიც შესრულებულია გ. თუმანიშვილის ხელით“ (გვ. 332).

მაგრამ ამ ნუსხათა იდენტურობის აღიარებას ერთდგირთ დაბრკოლებად ეღობებოდა ლარაძისეულ ნუსხაზე დათული ლექსიკონი, რომელსაც არ იცნობს თუმანიშვილისეული ნუსხა. აქ მის ადგილს ვახტანგის თარგმანი იჭერს. თუ აღმოჩნდებოდა, რომ ლარაძისეული ლექსიკონი ვახტანგამდელია, მაშინ თავისთავად იხსნებოდა აზრი ამ ნუსხის გვიანდებლობისა.

ს. ციციშვილმა სპეციალურად შეისწავლა იმ ლექსიკონის წყაროები და გამოარკვია, რომ ძირითადად იგი აგებულია სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონისა“ და ვახტანგის „თარგმანის“ მიხედვით. მასსადავად, საბოლოოდ დადგინდა, რომ „პეტრე ლარაძის ბუნდოვანი ცნობა უძველესი, არტანუჯული დედნის შესახებ ლეგენდაა“ (გვ. 334).

ნაშრომის უკანასკნელი, მე-8 თავია: „ვეფხისტყაოსნის მეორე (1841 წ.) გამოცემა“. სადაც განხილულია გამოცემის თავისებურებანი, წყაროები და ამ გამოცემის ხელნაწერებზე.

ცნობილია, რომ 1841 წელს, პეტერბურგში მ. ბროსემ, დ. ჩუბინაშვილმა და ზ. ფალავანიშვილმა თეიმურაზ ბაგრატიონის უშუალო მონაწილეობით განაზოციველეს „ვეფხისტყაოსნის“ რიგით მეორე გამოცემა. ჩვენს მეცნიერებაში მისადმი ბევრი საინტერესო გამოკვლევაა მიძღვნილი და ბევრი საკითხიც უკვე საბოლოოდ გაშუქებულ-გადაწყვეტილი. მაგრამ დღემდე გამოურკვეველი იყო იმ 46 დამატებითი სტროფის წყარო, რომელიც ბროსემ ამ გამოცემაში შეიტანა განსხვავებით ვახტანგისეული ტექსტისაგან.¹ ს. ციციშვილის დამატებებზე უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ

¹ როგორც ვიცით, ბროსემ გამოცემაში ვახტანგთან შედარებით სულ 50 დამატებითი სტროფისა შეტანილი. მაგრამ ახლა უკვე ზუსტად არის დადგენილი, რომ ოთხი იმათგანი უშუალოდ თეიმურაზ ბაგრატიონის რჩევითაა დამატებული.

ბურამ შარაძე

მნიშვნელოვანი წვლილი



მან მიავნო ამ დამატებითი 46 სტროფის წყაროს: ესაა „ამჟამად ოქსფორდში უორდრობის კოლეჯიაში დაცული თარხან-მოურავისეული ხელნაწერი Z N-27“ (გვ. 324).

საიდან შეძლო მ. ბროსემ თავისი გამოცემისთვის Z ხელნაწერის მონაცემთა გათვალისწინება? ს. ცაიშვილის აზრით, იგი ბროსესთვის პეტრე ქებაძეს უნდა მიეწოდებინა, თუმცა „რომელი ხელნაწერიდან აიღო პეტრე ქებაძემ ეს სტროფები, ეს შესაძლოა არც სცოდნოდა მარი ბროსეს, რადგან პეტრე ქებაძეს ხელნაწერი საქართველოში უნდა ჰქონდეს ნახული, ან იქნებ ეს ამონაწერები მას ხელნაწერის პირველმა მფლობელმა პ. კარბელაშვილმა გამოუგზავნა საქართველოდან“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პ. კარბელაშვილი ვერ იქნებოდა ამ ხელნაწერის პირველი მფლობელი მისი სიძველის გამო და ვერც პ. ქებაძეს გაუგზავნიდა საქართველოდან რაიმე ამონაწერს მისგან 1841 წლის გამოცემისთვის, რადგან ამ დროს იგი დაბადებულიც არ იყო (პ. კარბელაშვილი 1855 წელს დაიბადა).

წიგნში, სამწუხაროდ, გააბრუნა ტექსტური ხასიათის შეცდომები. გვაქვს დამოწმებულ ლიტერატურაზე არასრული მითითების შემთხვევებიც.

ჩვენი წერილის მიზანია მკითხველთა ფართო წრეს გაუთვალისწინოს ს. ცაიშვილის მონოგრაფიის ძირითადი მონაპოვრები, თუმცა, ამომწურავი სისტულითა და სიღრმით, შეიძლება, ვერც ეს მიზანი იყოს მიღწეული. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის, რის გადმოცემაც აქ მოვახერხეთ, უდავოდ უნდა ხდიდეს იმ გარემოებას, რომ „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ მნიშვნელოვანი წვლილია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის მეცნიერული შესწავლის საქმეში და კვლევის ახალ პერსპექტივებს შლის.

სასურველია, ამ წიგნის რუსულ ენაზე გამოცემა (პ. ნ. ბერკოვი), რადგან აკად. დ. ს. ლიხაჩოვის სიტყვებით, იგი მიძღვნილია: «не только частным вопросам текстологии величайшей грузинской поэмы, но также затрагивающем общиe теоретические вопросы изучения текстов средневековых произведений».



ბრიგოლ მარკიანი

უახლესი გეოგრაფიკა საქართველოს ახალ ისტორიაში

საქართველოს ახალი ისტორია, ანუ ქვეყანაში კაპიტალიზმის ჩასახვისა და გამარჯვების ეპოქა, ქრონოლოგიურად XIX საუკუნესა და მიმდინარე საუკუნის რევოლუციამდელ ხანას უკავშირდება. ეს არის პერიოდი, როცა საქართველო მოკლებულია ეროვნულ სახელმწიფოებრიობას და მისი ეროვნული არსებობაც რეალურ საფრთხეშია. ვითარებამ განსაზღვრა მოცემული ხალხის თანადროული ქართული ისტორიოგრაფიის ინტერესები და რომანტიკული განწყობილება: „უცხოეთი წარსული“ საოცნებო იდეალად იქცა, ხოლო „უსახელმწიფოებრიო თანადროულობა“ — „უისტორიო“ ხანად იქნა აღიარებული. ხსენებულ თვალსაზრის თავის მხრივ ასულდგმულებდა დამკვიდრებული მანკიერი მეთოდოლოგია, რომელიც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისა და ისტორიულ პიროვნებათა იდეალიზაციას აკანონებდა, ხალხის ისტორიულ შემოქმედებას კი უგულბებლყოფდა. ყალბი დოქტრინა, — „უსახელმწიფო ქვეყანა უისტორიოა“, — საქართველოს ახალი ისტორიისადმი ინტერესს აქარწყლებდა. მის წინააღმდეგ პირველად და გადაპირით გაილაშქრეს თერგდალეულებმა, რომლებიც ხალხის ისტორიის შესწავლას სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ისტორიას მშობელი ხალხის ეროვნული არსებობისათვის ბრძოლის საიმედო იარაღად მიიჩნევდნენ. სახელოვანი მოღვაწენი, ერთი მხრივ, თავგამოდებით იღვწოდნენ ერის ისტორიის პატრიოტულად და ამასთანავე ობიექტურად გაშუქებისათვის, მეორე მხრივ კი და-

უნდობლად ებრძოდნენ კოსმოპოლიტიზმსა და ნიჰილიზმს, რამაც თავი იჩინა ჩვენს ისტორიოგრაფიაში და რაც „აკადემიზმის“ აღმით ან კიდევ ისტორიული პერსპექტივის უნებლიე უგულბებლყოფით ქართველი ერის კულტურულ წარსულს აუფასურებდა. ამ ბრძოლაში თერგდალეულები არ განუდგნენ პირუთენელი ისტორიული კვლევის პრინციპს, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენება. ისინი ძირითადად სწორი პოზიციიდან აკრიტიკებდნენ ერის ისტორიისა და აწმყო-მომავლის შეგნებულად თუ უნებლიეთ უარმყოფელებს, მათ შორის ზოგიერთი ხალხოსანი მოღვაწის ნიჰილისტურ შეხედულებებსაც.

საქართველოს ახალი ისტორიის საერთო პროცესის ძირითადად სწორი სქემა, ასევე კლასობრივ ძალთა განლაგების მართებული გაგება პირველად ქართველი მარქსისტების პირველმა თაობამ შეიმუშავა, თუმცა ზოგიერთი მათგანი ვერ აცდა გულგარულ-სოციოლოგიურ და ნიჰილისტური კონცეფციების გავლენას, რაც, სამწუხაროდ, საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ იმეცვიერა და კარგა ხანს ვერ დაძლია.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდან ისტორიული კვლევა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის დანერგვის ბაზაზე გაიშალა. დაიწყო ინტენსიური და გეგმაზომიერი მუშაობა, თუმცა საქართველოს ახალ ისტორიას ამჯერადაც ბედმა იმთავითვე არ გაუღიმა. ამ უბაზუვ კვლევა-ძიება შედარებით სუსტად და ცალმხრივად წარიმართა. იქნებ ეს აიხსნება „ტრადიციის“ სიმძვირით ან არადა „დისტანციის თეორიის“ გავლენით. სავარაუდებლად, რომ ახალ ისტორიის მკვლევარები გაურბოდნენ როგორც „უსახელმწიფოებრიო ხანას“ (მსგავსი „თვალსაზრისი“ დიდი ხანია სულს ღაფავს, მაგრამ აქა-იქ დღესაც სულდგმულობს).

ე. ვ. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში. წიგნი I (გვ. 1-208), II (გვ. 1-204), გამომცემლობა „მეცნიერება“. 1966 და 1968 წწ.



უკუღმართი მიდგომით გაუთვალისწინებელი რჩებოდა ის, რომ ახალი ისტორია ქართველი ერის უდიდესი და მრავალფეროვანი ისტორიულ-კულტურული შემოქმედების ხანაა, საქართველოს ისტორიაში სწორედპირვარი სოციალურ-პოლიტიკური წინსვლისა და გარდაქმნების მთელი ეპოქაა.

საქართველოს ახალი ისტორიის კვლევა-ძიებას ძლიერ აბრკოლებდა ისტორიული მემკვიდრეობის შეფასებაში ერთ ხანს ფუნდამენტული ვულგარულ-სუბიექტივისტური კონცეფცია. აღნიშნულის მიუხედავად, ახალი ისტორიის შესწავლის საბუთია პერიოდში მალე ჩაეყარა საფუძველი. 30-იან წლებში თანდათან გაიშალა მუშაობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, საზოგადოებრივი აზრის, ასევე მშობლიური ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად. მაგამა, ისტორიული პროცესის მიმდინარეობის განმსაზღვრელი ფაქტორები (ბაზისური მოვლენები) და კერძოდ, სოციალურ-ეკონომიური ისტორია, მხოლოდ ერთეულ მკვლევართა ყურადღებას იპყრონდა.

დიდი სასამულო ომის შემდეგ საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევართა რიგები თვალსაჩინოდ გაიზარდა, კვლევა-ძიება ფართო თემატიკით გაიშალა, დოკუმტში აღიკვეთა. ეპოქის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და სისტორიო წყაროების ჭეშმარიტად დიდი მრავალფეროვნება ისტორიული კვლევის წარმატების პირობად იქცა, ისტორიული ძიების თემატიკა გაზრავალფეროვნდა, შეიქმნა უამრავი მეტ-ნაელები ღირსების გამოკვლევები (რომელთა უმეტესობა XIX საუკუნისადნია მიძღვნილი), განმარტავდებელი ნაშრომები, სისტემატიური კურსები, ვზადაგზა განხორციელდა ზოგიერთი წყაროს პუბლიკაცია. აღნიშნულის მიუხედავად, უფრო დიდი სამუშაო რჩება, ვიდრე შესრულდა. ისტორიული პროცესის მრავალი მხარე შეუსწავლელია ან დამატებით გამოსაკვლევიია ახალი წყაროების მოშველიებით და ისტორიოგრაფიის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით. მხედველობაში ვვაქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის პრობლემატიკა, კერძოდ, კაპიტალიზმის გენეზისი და განვითარება, სოციალისტური რევოლუციის ისტორიული წინამძღვრების დადგენა-შეფასება. ეს სამუშაო ამჟამად აზრთა ბძოლისა და დისკუსიების ვითარებაში მიმდინარეობს.

აღნიშნული თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა ე. ხოშტარის მონოგრაფია „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში“, რომელიც ორ წიგანდ გამოიცა. საუკრნალოდ წერილში შეუძლებელია ვრცელი გამოკვლევის მიმოხილვა. ჩვენი მოკრძობებული ცდაა, თუნდაც ზოგად ხაზებში, წარმოვადგინოთ მისი უმ-

თავრესი ღირსება და სიახლე, რითაც გამოწვეულია თვალსაჩინო წვლილი შეაქვს საქართველოს ახალი ისტორიის შემუშავებაში.

ე. ხოშტარის პირველ წიგნში გაშუქებულია დამმუშავებული მრეწველობის განვითარება XIX ს. საქართველოში, მეორეში, რომელიც პირველის ლოკუტური გაგრძელებაა, განხილულია სამთო მრეწველობა და, რაც მთავარია, გამოკვლეულია დაქირავებული შრომის გამოყენება XIX ს. რეფორმამდელ ხანაში, ასევე მუშათა კლასის ჩამოყალიბება რეფორმების შემდგომ პერიოდში (1904 წლამდე). კომპლექსურ ისტორიულ-ეკონომიურ გამოკვლევაში ნაყალიბდა საქართველოს მრეწველობაში კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების პრობლემების გადაწყვეტა ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაყრდნობით.

ავტორი იყენებს შესასწავლ პრობლემებზე არსებულ ლიტერატურას, რომელიც განხილულია ორივე წიგნის შესავალში (ისტორიოგრაფია). ის სრულად ითვალისწინებს აქამდეც ცნობილ საისტორიო მასალას და, რაც მთავარია, ეყრდნობა დიდძალ, დღემდე უცნობ საბუქივო და სხვა წყაროებს, რომელთა მიმოხილვა ასევე ორივე წიგნს აქვს წამძღვარებული (წყაროთმცოდნეობა). მოცემული თემატიკით არ ვუვალეუბა სხვა გამოკვლევა, სადაც ესოდენ სანიმუშო სიხედაით იქნებოდა ნაჩვენები არსებული ლიტერატურისა და წყაროების აკარგინაობა. მკითხველს თვალწინ წარმოუდგება ავტორის შემოქმედებითი ლაბორატორია, საშუალება ეძლევა ნაშრომშივე შეაფრწმოს გამოყენებული მასალის სანდობა, კვლევის მეთოდის ღირსება და მიღებული დასკვნების საბუთიანობა.

მონოგრაფიაში ახლებურადაა დასმული და გააზრებული ქვეყნის სამრეწველო განვითარების რიგი სიკვანძო საკითხები, ზოგიერთი უფრო ღრმადია გაშუქებული, ვიდრე ადრე იყო. დარგობრივად ნაჩვენები მრეწველობის მარტივი ფორმებიდან (ოჯახური მრეწველობა, ხელოსნობა, წერილი სისაქონლო წარმოება) კაპიტალისტური მრეწველობის მაღალ სტადიებზე (მანუფაქტურა, ფაბრიკა) გადასვლა, მრეწველობის ფორმათა თანაფარდობის ცვალებადობა XIX ს. სიგრძეზე, ასევე წერილი წარმოების დაშლა და კაპიტალისტური ევოლუცია, გადასინჯულია თვალსაზრისი, რომელიც შინამრეწველობას მრეწველობის დამოუკიდებელ ფორმად მიიჩნედა. დადგენილია სამრეწველო განვითარების ხასიათი, ჩანონზომიერება და სუბიექტივა. ფართო გეგმით ჩატარებული კვლევით ავტორმა ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარებაზე, განსაზღვრა მრეწველობაში საწარმოო ძალთა განვითარების დონე. ავტორის აზრით სა-

ქართველში კაპიტალისტური წყობა ჩისახა XIX-ს. რეფორმადელ ხანაში. ეს ანგარიშგასაწევი თვალსაზრისი კვლავაც სადგოა და ვფიქრობთ, პრობლემის საბოლოოდ გადასაჭრელად საჭიროა დამატებითი კვლევა-ძიება. სამაგიეროდ, ნაშრომი მკაფიოდ ასახავს საქართველოს დამშეშავებელი მრეწველობის განვითარებას XIX-ს. რეფორმის შემდგომ პერიოდში. ავტორის დასკვნით, 80-იან წლებში ძირვესიანად იცვლება წერილი და მსხვილი წარმოების თანაფარდობა, ხორციელდება სამრეწველო რევოლუცია ანუ მანქანურ წარმოებაზე გადასვლა. — 1900 წელს მანქანური წარმოებაზე წერილ წარმოებასთან ისტორიულად 5-ჯერ მეტ პროდუქციას უშვებს. ამრიგად ავტორი გაემიჯნა ჩვენს ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოსდა რევოლუციამდელ საქართველოს მრეწველობაში წერილი წარმოება პირველობადა, ხოლო მსხვილი წარმოება მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა.

ე. ხომუტარიას ნაშრომში ნათლადაა წარმოდგენილი საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში. ვაბათილებულია ისტორიოგრაფიაში დღემდე გაბატონებული თვალსაზრისი, თითქოსდა დასახლებული დარგი რევოლუციამდელ ხანაში წერილი, კუსტარული და პრიმიტიული წარმოების წესზე იყო დაფუძნებული და მკვდარ წერტილზე გაყინული. ასევე მართებულადაა გადასინჯული მოსაზრება, რომელიც საქართველოს სამთო მრეწველობაში მხოლოდ მანუფაქტურების არსებობას აღიარებს და ერთობ უგულბებლყოფს როგორც წერილი, ისე მსხვილი, მანქანური წარმოების არსებობას. ნაშრომში ცხადად ნაჩვენებია სამთო მრეწველობის დაბალი სტადიებიდან მაღალზე გადასვლა, რაც მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაარსებობის პირობებში მიმდინარეობდა.

ავტორმა სანიშნულო სიცხადით გააშუქა რევოლუციამდელი საქართველოს მრეწველობის განვითარების რთული პროცესი, დაასაბუთა, რომ მრეწველობის გადასვლას მანქანური წარმოების სტადიაზე (სამრეწველო ვადატრიალება) არ გამოუწვევია მრეწველობის მარტივი ფორმების სრული გაქრობა. ამით მან თვალსაჩინო სახსლე შეიტანა საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლაში, კერძოდ, საწარმოო ძალთა განვითარების დონის შეფასებაში და, მამასადამე, ჩვენში სოციალისტური რევოლუციის ისტორიული წინამძღვრების დადგენაში.

კვლავ გვიხდება იმ ანბანური ჭეშმარიტების გამოკრება, რომ ნებისმიერი ქვეყნის მრეწველობის განვითარების დონის დაუდგენლად შეუძლებელია მისი პირშობი — სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბების მიმდინარეობის ხანის დადგენა, მოცემული პროცესის მეცნიე-

რულად გაშუქება (სამრეწველო პროლეტარიატი მრეწველობაში მანქანური წარმოების გამარჯვების პერიოდში და მის შედეგად ყალიბდება) ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჩვენს ავტორს მრეწველობის შესწავლაში გასაღები მისცა საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესის მეცნიერულად გაშუქებისა და გავგებისათვის: ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში საქართველობის მუშათა კლასის ფორმირება მხოლოდ ზოგად ხაზებშია დახასიათებული, ისიც ამ დიდი პროცესის წარმოშობი ფაქტორის (სამრეწველო განვითარების) გაუთვალისწინებლად.

ავტორმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველმა შესწავლა დაქირავებული შრომის გამოყენება რეფორმამდელ საქართველოში, დაადგინა დაქირავებული შრომის წყაროები და მასშტაბი. მისი ანგარიშგასაწევი მოსაზრებით მოცემულ პერიოდში ბატონყმური დამოკიდებულებისაგან თავისუფალი მუშახელის არსებობა ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალისტური წყობის ჩასახვის მომასწავებელია. ნაშრომში ასევე ვრცლად და მნიშვნელოვანწილად ახლებურად გაშუქებულია საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბება რეფორმების შემდგომ პერიოდში, ნაჩვენებია მუშათა კლასის რიცხოზობის ზრდის წყაროები, მის შემადგენლობაში მომხდარი თვისობრივი ცვლილებები, მოცემულია მუშათა კლასის სოციალური დახასიათება. ავტორმა დაადგინა, რომ XIX ს. დამლევს საქართველოში თავის შრომის აქირავებდა დაახლოებით 90 ათასი მუშა (სოფლის მეურნეობის მუშების, ასევე სეზონური მუშების დიდი ნაწილის ჩათვთვლად).

ეს ცნობა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მოცემული საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა დიდი უმრავლესობა შესაბამის ჯამურ მონაცემებს სპეციალური კვლევის გარეშე იძლეოდა, ისიც აბარებულად, მხოლოდ ერთი რომელიმე წყაროს (მაგალითად, 1897 წლის აღწერის, გენდინის „ნარკვევის“ ან კიდევ გუბერნატორების ანგარიშების დანართების) მონაცემების გათვალისწინებით.

ე. ხომუტარიამ დაადგინა მე-XIX ს. რეფორმების პერმინდელ საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, წერილი და მსხვილი წარმოებაში დასაქმებული მუშახელის თანაფარდობა, მუშათა სტესობრივი, ასაკობრივი და ეროვნული შედგენილობა, ასევე განათლების დონე. ავტორი სავანებლად დავიკრებას აწარმოებს იმაზე, თუ როგორ სუსტდებოდა მუშათა კავშირი სოფელთან — „პაწია მეურნეობასთან“, როგორ მიერთდებოდა ნადელიან მუშათა რიცხვი,

ბრივლ მარგინი

უახლესი ბამოკვლევა საქართველოს ახალ ისტორიაში



როგორ იქმნებოდა კადრის მუშათა კონტინგენტი. ამასთან კავშირში განიხილავს მუშათა მატერიალურ მდგომარეობასა და ფსიქოლოგიაში მომხდარ ცვლილებებს, მუშათა შრომის პროლეტარული სულიერებას და მკვიდრებას, რაც ხელსაყრელ პირობას ქმნიდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისათვის. მეორე მხრივ, მართებულად მიუთითებს, რომ მუშათა გარკვეული ნაწილის მიერ სოფელთან ერთგვარი კავშირის შენარჩუნება ხელს უწყობდა მუშათა კლასისა და გლეხობის საბრძოლო კავშირის განმტკიცებას, ზრდიდა მუშათა კლასის რევოლუციურ გავლენას გლეხობაზე.

წინამორბედ მეკვლევართაგან განსხვავებით, ე. ხოშტარია მუშათა კლასის ჩამოყალიბებასა და მუშათა მოძრაობას განიხილავს ორგანულ კავშირში, მთლიანობაში. საქართველოს მუშათა მოძრაობა, როგორც ენობრივი, ვრცელდება გაშუქებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ავტორმა შემოქმედებითად გამოიყენა საბჭოური ისტორიოგრაფიის მიღწევები, საკუთარი მოსაზრება გამოთქვა სადაო საკითხებზე, დაახუსტა არა ერთი დებულება თუ ფაქტი, დღემდე უცნობი საბრძოლო წყაროების მოშველიებით ახლებურად გააშუქა მუშათა მოძრაობის საწყისი ეტაპები.

ნაშრომში, პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ვეცნობით ქართველ მუშათა სპორადულ ეკონომიურ გამოსვლებს („ბუნტები“) XIX საუკუნის პირველ ნახევარში. სწორადაა შეფასებული რევოლუციური ხალხსნების როლი მუშათა შრომის სოციალიზმის იდეების გავრცელებაში. ავტორი რელიეფურად განიხილავს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მრავალფეროვან მოღვაწეობას საქართველოში, აჩვენებს მის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს რევოლუციურ მოძრაობაში. ნაშრომში გადასინჯულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული არასწორი შეხედულება, თითქოსდა საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბება მე-XIX საუკუნის დამდეგს დასრულდა. ავტორმა არ გაიზიარა დღემდე გავრცელებული თვალსაზრისი, რომელიც საქართველოს მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებას 1898-1900 წლებით ათარიღებს. ირკვევა, რომ ორივე მოვლენა უფრო გვიან (XX საუკუნის დამდეგს) დასრულდა.

თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, ე. ხოშტარია მუშათა მოძრაობას მარქსისტული წრეებისა და სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ მოღვაწეობას განიხილავს არა განყენებულად, არამედ მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესის ყველა ასპექტის გამოკვლევის საფუძველზე.

სამრეწველო პროლეტარიატის ფორმირების ეტაპების დადგენით ავტორს თვალსაჩინო სიახლე შეაქვს საქართველოს მუშათა კლასის მეცნიერული ისტორიის შემუშავებაში.

საქართველოს ქალაქების განვითარების საუკუნეში კვლავაც საჭიროებს დამატებით კვლევა-ძიებას, მთლიანობაში განიხილვას. ზოგიერთი ქალაქისადმი მიძღვნილი ცალკეული გამოკვლევები ვერ იძლევიან საქალაქო ცხოვრების ევოლუციის სრულ სურათს. საქართველოს ახალი ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევისას რაც შემთხვევებში გარმდენადმე გაუთვალისწინებელი რჩება ის გარემოება, რომ ქალაქი კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარი ქვეყნის მთელი ცხოვრების ბარომეტრია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესში „ბურჟუაზიამ სოფელი ქალაქს დაუმორჩილა“, რომ მან „სოფელი ქალაქისაგან... დამოკიდებული გახადა“. ამდენად, საქალაქო ცხოვრების შესწავლა საიმედო ვასალებს იძლევა შესაბამისი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკური განვითარების პროცესის დასახსიათებლად და შესაფასებლად. მით უფრო საყურადღებოა ე. ხოშტარიას ნაშრომის ის ნაწილი, სადაც განიხილულია საქართველოს ქალაქების განვითარება მე-XIX საუკუნეში. ავტორი დიდძალი, მნიშვნელოვანიწილად ახალი მასალის დეტალურად განიხილვით მკაფიოდ ახსიათებს ქალაქების ზრდის განმაპირობებელ ფაქტორებს, იკვლევს საქალაქო მოსახლეობის ზრდის წყაროებს და სოციალურ შედეგნილობას. ავტორი ცხადყოფს XIX საუკუნის რეფორმების მომდევნო პერიოდში საქართველოს ქალაქების განვითარებას ახალ ეკონომიურ საფუძველზე. ის, ერთი მხრივ, გვიჩვენებს სამრეწველო და სავაჭრო ქალაქების (თბილისი, ბათუმი, ნაწილობრივ ქუთაისი) და სამთო მრეწველობის ცენტრების (ჭიათურა, ტყებუღი) დაწინაურებას, მეორე მხრივ, ვჭირის სსსაქონლო წარმოების და სამუშაოელო სავაჭრო ცენტრების, სამაზრო ქალაქებისა და მსხვილი დაბა-სოფლების სახეცელოებას. ირკვევა, რომ XIX საუკუნის სივრცეზე ქალაქების მოსახლეობის რიცხვი სოფლის მოსახლეობასთან შედარებით სწრაფად დიდდებოდა, ქალაქების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში განუხრებლად იზრდებოდა, 40-იანი წლებიდან ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესის პარალელურად მწვავედებოდა ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება, პირველ უფრო და უფრო იზორჩილებდა მეორეს. ქალაქის, როგორც სამრეწველო ნაწარმის მიმწოდებლისა და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის მომხმარებლის, მნიშვნელობა იზრდებოდა, ქვეყნის შიგნით შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ღრმავდებოდა, იქმნებოდა შინაური ბაზარი. ე. ხოშტარიას ნაშრომის ზემოთ დახსიათებული მონაკვეთი XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელია.

ფართო გეგმით ჩატარებული კვლევა-ძიების

შედგება ავტორმა ჩამოყალიბა და, რამდენადაც ეს ერთი ნაშრომის ფარგლებში შეიძლება, დაასაბუთა საქართველოში კაპიტალიზმის წინსვლისა და განვითარების საკუთარი კონცეფცია, რომელსაც ის კარგა ხანია დაბეჭდვით იცავს თავის ადრინდელ ნაშრომებში და უკვე ჩატარებული საჯარო დისკუსიებისას.

ჩვენ მნიშვნელოვანწილად ვიზიარებთ ავტორის კონცეფციას, თუმცა ზოგიერთი მისი დებულება სადავოდ მიგვაჩნია. ვფიქრობთ, დამატებით კვლევას საჭიროებს XIX საუკუნის რეფორმამდელ საქართველოში „კაპიტალისტური წყობის“ საკითხი. მოცემულ პერიოდში კაპიტალისტური მრეწველობა ძალზე სუსტად წარმოგვიდგება, ის ნელა იკავებს გზას, თავისუფალი მუშახელის გამოყენების მასშტაბი მცირეა, ქალაქის თვითმოქმედი მოსახლეობის ძირითადი მასა ჩაბმულია არა კაპიტალისტური ტიპის ურთიერთობაში, არამედ ფეოდალურში (ხელოსნური წარმოება, ისევე როგორც საშუაშელო ვაჭრობა, ფეოდალიზმის კუთვნილება).

ნაშრომში ზედმიწევნით დეტალურად განხილულია ასობით წერილი საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლები, ხოლო მსხვილი წარმოება შედარებით სქემატურადაა გაშუქებული. მართალია, ე. ი. ლენინი თავის შესანიშნავ ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ დიდ ადგილს უთმობს წერილი წარმოების განხილვას, რითაც აცამტერებს ნაროდნიკულ თვალსაზრისს, რომელიც წერილი წარმოების ბურჟუაზიული ევოლუციის ფაქტს უარყოფდა, მაგრამ იმავე ნაშრომში თვალსაჩინო ადგილი უკავია

მსხვილ წარმოებას, რომელიც სამრეწველო წარმოების განვითარების ძირითად კანონზომიერებას განასახიერებდა.

სადავოდ გვეჩვენება ავტორის ზოგიერთი დებულება ცარიზმის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომელიც XIX ს. უკანასკნელ მეხუთედში ცარიზმის მიერ საქართველოში საქციო საზოგადოებათა დაშვებას კოლონიური ეკონომიური პოლიტიკის შესუსტების მაჩვენებლად მიიჩნევს. ჩვენ ხელთ არსებული სანდო საისტორიო წყაროები მოწმობენ, რომ ამ დროს და განსაკუთრებით XX ს. დამდეგს ცარიზმის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკა უფრო შოვინისტური გახდა. მიგვაჩნია, რომ კოლონიური პოლიტიკის ავტორიული ინტერპრეტაცია, დახუსტებასთან ერთად, მეტ დასაბუთებას საჭიროებს.

სასურველი იყო ნაშრომში მეტი ადგილი დამოზოდა სამრეწველო ბურჟუაზიის ჩამოყალიბების, ასევე ქალაქის გარდამავალი ფენების დახასიათებას. ვფიქრობთ, ავტორი გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს ზოგიერთ წყაროს (მაგალითად, გენდინის „მოხსენებას“ და სხვ.).

ეს და ზოგიერთი სხვა შენიშვნა, რაც ნაშრომის მიმართ გვაქვს, შედარებით უმნიშვნელოა იმ მაღალ ღირსებასთან, რითაც ის ხასიათდება. ე. ხოშტარიას ორივე წიგნი მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებული ვრცელი და ორიგინალური გამოკვლევაა. ეს უახლესი ნაშრომი ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო შენაძენია.



ემზარ კვიციანი

ჩრდილოეთის ყვავილები

ორიოდ წლის წინათ გამომცემლობა „საბ-
ქოთა საქართველომ“ გამოსცა საქვეყნოდ განთ-
ქმული კარგულ-ფინური ხალხური ეპოსი „კა-
ლევალა“. ამ დიდებული ქმნილების ქართულად
ამტყვევების თავკაცი იყო უდროოდ გარდაც-
ვლილი ნიჭიერი პოეტი შოთა ჩანტლაძე, რო-
მელმაც თავის მეგობრებთან — მუხრან მაჭავა-
რიანთან და გივი ანელაქესთან ერთად დიდი
შემოქმედებითი ენერჯია შეაღია აღნიშნულ სა-
ქმეს. მასსოვს რა შთაგონებით ხვეწდა და სრუ-
ლყოფდა განსვენებული ახლადთარგმნილ რუ-
ნებს. არაერთხელ უთქვამს, „კალევალას“ თარ-
გმნის იდეა, ჯერ კიდევ სტუდენტობაში, თამაზ
ჩხენკელმა მომცა და დიდად ემადლიერებოდა.

მთარგმნელთა თვალსაჩინო, უპირველესი და-
მსახურება ისაა, რომ ვეება ეპოსს (იგი ორმოც-
დაათი რუნისაგან შედგება) ეროვნული სახე
და სული შეუწარმუნეს, გვაგრძობინეს უსა-
ხლოდ გამჭრალი სკალდების გრძნეული ხელო-
ვნება. ლალად დაძრულ სიმღერებში სამუდამოდ
აღბეჭდილია კარელიის მკაცრი სილამაზე, მო-
სარკულ ტებებში სანთლებივით აღანდული არ-
ყის ხეები, ჩრდილოეთის მხუჯაყლელი ყვავილე-
ბი, უკაცრიელ გზაზე ვაჭროლებული მარხილი,
ჩაგვსმით ლუღით დამთვრალ მეჭორწინეთა
გრძელი, მონოტონური სიმღერები...

„კალევალას“ გარდასული, დროის უფსკრულ-
ში სამუდამოდ ჩაქანებული საუკუნეების სუნ-
თქვა შემოუნახავს, აქ აშკარაა გვიაროვნული
წყობილების ამსახველი სურათები, თემებად
მცხოვრები ტომების განუმეორებელი ყოფა, სა-
წესჩვეულებო რიტუალები. ეპოსის არქაულო-
ბაზე მეტყველებს, აგრეთვე, რეფრენის ქარ-
ბი გამოყენება (საკმარისია თუნდაც „ილიადა-
სა“ და „ოდისეას“ ვახსენება).

მიჯრით მიჰყვებიან ერთმანეთს სტრიქონები

და ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ადგნებული
მომღერლის სახე, იხატება მისი დაუფიწყარი სა-
სიათი:

თუ მომიტანეს ახალი ლუდი
და შავი პურის ნატეხი მცირე,
გრძნეულ სიმღერებს ვიმღერებ მაშინ
და ყველა მსმენელს სიამეს მოგვეკრი.
თუ არ მომართვეს სასმელი რამე,
არ მიწილადეს ნატეხი პურის,
გამშრალი ყელით ვიმღერებ მაშინ,
ანდა გაღვივლი მარტოდენ წყალზე,
რათა საღამო სიამეს გვეკრიდეს,
რათა დღე ჩვენი ბრწყინავდეს ირგვლივ,
და ზვალინდელი ლამაზი დილა
მხიარულებით დაიწყოს ისევ.

მსგავსად მოტიანილი ნაწყვეტისა, შოთა ჩან-
ტლაძე თითქმის ყველა შემთხვევაში ინარჩუ-
ნებს აზრის სინათლეს, ფრაზის ლაკონიურობას,
შეუმცდარ ტონს. იგივე ითქმის დანარჩენ ორ
მთარგმნელზეც.

პირველსავე რუნაში უდიდესი შთაგონებითა
და ნათელმხილველის სიმღერითაა გადმოცე-
მული სამყაროს წარმოშობის მითოლოგიური
სურათი, ზუსტი, ჩამოქნილი პოეტური ხატები
საოცრად შთამბეჭდავს ხდის ამ კუნძობრივად
კონსპორ ხილვისა:

წყლის დედამ მუხლი გაწია განზე
და შეარბია სხელი მიელი
და მოიტაცა კვერცხები ტალღამ
და მიიზიდა კვერცხები სიღრმემ,
მიმოფანტენ მღელვარე ზღვაში
და ნამსხრევებად გარდქმენენ უმაღ-
არ დაღუპულან კვერცხები შლამში,
არც ნამსხრევები ტალღებში ზღვისა,

მაგრამ თანდათან გამოიკვალნენ
და გარდაიქნენ უცნაურ რამედ:
ლაშაზი კვერცხის ქვედა ნაწილი —
იქცა სოველ და მორბილი მიწად,
ლაშაზი კვერცხის ზედა ნაწილი —
წამოიშარა თაღებად ზეცის,
და კვერცხის გულის ზედა ნაწილი —
გამოგვეცხადა დიდებულ მზედა,
და კვერცხის ცილის ზედა ნაწილი
მიმოიფანტა მთიებად ცაში,
ლაშაზი კვერცხის ბნელი ნაწილი
გამოგვეცხადა ზეცაში ღრუბლად.

გვიანტურ კვერცხთან სამყაროს შედარება და
ამ კვერცხის დაქუცმაცება, ნამსხვრევებად
ქცევა არ წარმოგვიდგება მართოდენ პოეტუ-
რი ფანტაზიის ნაყოფად. აქ აღწერილი სურათი
საოცრად უახლოვდება სამყაროს წარმოშობის
ერთ-ერთ მეცნიერულ ჰიპოთეზას. ამ ჰიპოთე-
ზის ავტორები — ცნობილი უცხოელი ფიზიკო-
ნები ჯორჯ გამოვი, ბეტე და რალფ ალფერი
მიიჩნევენ, რომ თავდაპირველად სამყარო წარ-
მოადგენდა „კოსმოსურ კვერცხს“, რომელიც
უძლდებოდა აფეთქების შედეგად ცალკეულ ნე-
იტრონებად დაიშალა და დასაბამი შეეცა დღე-
ვანდელ პრივეს (იხ. А. Азимов, Вселенная,
М., 1969, გვ. 225-273).

სამყაროს წარმოშობის აღნიშნულ თეორიას,
მართალია, მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგ-
რამ დღემდე არ დაუქარავს არსებობის უუ-
ლება.

„კალევალას“ შემქმნელები მრავალ დაფარულ
ცოდნას ფლობდნენ, კარგად იცოდნენ ბუნების
მრავალი საიდუმლო. ბრძენმა მკვლელმა, ილ-
მარინემმა ზედმიწევნით იცის მადნის დამუშა-
ვების ურთულესი ტექნოლოგია. ბრძენაკი
ღრმად ჩაწვდა რკინის საწყისს, მისი ბოროტ
არსს; რკინისგან გამოქვადილი მახვილი ადამიან-
თა მოდგმას რისხვად დაატყდა თავს, სისხლის
ნიადვრები დააყენა. მიბლითური გარეკნობის
თვთრწვერა მოხუცი, ბრძენი მკვდელი ნანობს,
რომ მიინარე წილის გულს გამოსტაცა რკინა
და ფორმა მისცა; ადამიანებმა ბოროტად გამო-
იყენეს მისი აღმოჩენა — მამა მძის სისხლი და-
ღვარა, შვილმა — მამისა.

აღნიშნულ პასაჟს დიდი სიმბოლური მნიშე-
ნელობა ეძლევა და ჩვენს დღევანდელობაში
პიოვებს გამოაბიჯებს (ამ მხრეს საკუროსხობა
ატომური ბომბის შემქმნელის რობერტ ოპენ-
ჰეიმერის პირადი ტრაგედია).

მეცხრე რუნა, სადაც მოქმედი ადამიანთა შო-
რის მშვიდობას ქადაგებს და ბოროტების მთეს-
ველ მახვილს წყევლის, შოთა ჩანტლაძეს, გან-
საკუთრებული მგზნებარებობით აუფლებრბია. სა-
ნიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე ფრაგმენტს.

რკინავ, შენ დიდი არ იყავ წინათ,
არ იყავ დიდი და არცა მცირე,

ოდეს საზარელ ჰაობთა შორის
ფლოჰეით თელავდა ველური დობა
და გჰყლებდა მგელთა ფეხები მწარე,
ვეება დათვი გჰაწრავდა თათით.
რკინავ, შენ დიდი არ იყავ წინათ,
არ იყავ დიდი და არცა მცირე,
ოდეს გიბოვა მკედელმა დიდმა
და ბნელ სიღრმიდან მოგვიარ ზვეით,
და მოგათრია ქურასთან ახლოს
და მოგათავსა მხურვალე ფსკერზე.

შენ ესლა დიდი შეიქენ, რკინავ,
შეიქენ, რკინავ, მამფრი და მამემ,
გატეხე ფიცი და როგორც ძალმა
შენ შნათქე წმინდა სინდისი შენი
და აღარ ინლობ საყვარელ თვისტომს,
და ანდგუტრე საყუთარ მოდგმას.

„კალევალა“ რთული შედგენილობის ქმნილე-
ბაა. მძაფრ, ამალღებულ ინტონაციებს დროდა-
დრო ენაცვლება ნაღვლიანი მოტივები. გუ-
ლისმომკველეა სათნო და უმშვენიერესი ქა-
ლწულის აინოს თავგადასავალი. კლდეზე შემდ-
ვარ დარდიან გოგონას ბედმა უმტყუნა, კლდე
აქაფებულ ტალღებში ჩაიქცა და თავად წყლის
ნიმფასავით სამუდამოდ ზღვის ფსკერზე დარჩა.
იღუპალებით აღსავსე ხმა დაღუპული ქალწუ-
ლისა თავზე ევლება წყალმცენარეებს და ახ-
ლობელთა სმენას ძლივს აღწევს:

მე საბანად მოვედი ზღვასთან,
რომ მენანავა ტალღებზე ამოდ,
მაგრამ უფერად ჩავევარი ზღვაში,
მოულოდნელად დაეკვეი ფსკერზე.
უსაყვარლესი ძამიყო ჩემო,
ამ ქვეყანაზე იცოცლებ ვიდრე,
წყალი ბედაურს არ ასეა ზღვაში,
არ მოიყვანო ამ წყეულ ზღვასთან!

გივი ძნელადის მიერ თარგმნილი მონაკვეთი
ორგანულად ერწყმის წინა ოცდასამ რუნას, შე-
ნარჩუნებულია სტილისტური მთლიანობა, სა-
ერთო პრინციპი. აღსანიშნავია, რომ მთელს
უზარმაზარ ეპოსში, იშვიათი გამოჩაყლისის გა-
რდა (ამ გამოჩაყლისისაც თავისი ფუნქცია აქვს)
სტრიქონის ბოლო ტურფი ქორეულია. ეს ორ-
მარცვლიანი ტურფი დიდად ამაფრებს, გამოკ-
ვეთილ სახეს აძლევს ლექსის რიტმს, რაც ესო-
დენს სასურველია. გივი ძნელამე შესანიშნავად
ფლობს ლექსში დინჯ, თხრობით ცილოს. მის მი-
ერ თარგმნილ სტრიქონებში ერთი შეხედვით
ჩვეულებრივი ყოფითი დეტალები კუმშვარტი
პოეზიის სიმალღებვა აყვანილი.

მეზარ კვიტარხილი
ჩრდილოეთის უკანძილება



ამ ბოლო ზამთარს და ბოლო ზაფხულს —
 კარის სახელურს სულ თვალწინ ედგა
 ბეჭდებიანი თითები შენი
 და ხელთა შენთა შეხებას გრძნობდა.
 არც თუ იმდენად მაღალი ზღურბლი
 შენს მოლოდინში თავს ხრიალ მდებლად,
 ეჩვენებოდა: გამოჩნდი ვითომ,
 და იღებოდა თავისით კარი.
 ამ ბოლო ზამთარს და ბოლო ზაფხულს —
 შენს ცოცხს ელოდა ეს ჩვენი ეზო,
 შენს ლამაზ თითებს ელოდა ნემსი,
 შენს ხელს ელოდა, რაც კია ირგვლივ:
 იატაკს მტვერში უწუხდა გული.
 კრიალ-კრიალით უხმობდა მშველელს,
 არდგმულსაც ერთი ამბავი ჰქონდა —
 შენს გამოჩენას ელოდა ისიც.

„კალევალას“ ბოლო თხზომები რუნის თარგ-
 მანი ოცდამეთექვსმეტედან მოყოლებული ორ-
 მოცდამათეს ჩათვლით, მუხრან მაჰაჯარიანს
 ეკუთვნის. აქ აშკარად ჩანს გამოცდილი ოს-
 ტატის ხელი, ლექსიკის დიდი სიმდიდრე, მოკ-
 ვეთილი, სავე ფრაზა.

საუცხოო სიზუსტითა დახატული ჯადოქარი
 მძნობელის, ბრძენი ვეინგმეინეს სახე, რომლის
 გალობას, მსგავსად ავთანდილისა, ტყის ბინა-
 დარნი კლანჭებმოკეცივით უსმენენ. საამოდ აჟ-
 დერებს ვეინე ბარბოსს და თავად ღვარად სდის
 მოძალებული ცრემლი.

ჩქარჩქარა წვეთავს თვალთავან წყალი,
 ფეხმარდად რბიან ცრემლები მსხვილი,
 მიიჩქარიან ყბებისკენ თაქმვე,
 რბიან და რბიან ლაწვების გავლით,
 უკან ტოვებენ მოხუცის ლაწვებს,
 მიადგებიან განიერ ნიკაპს,
 განიერ ნიკაპს ტოვებენ უკან,
 მიცუნეულგებენ ვეინეს მკერდზე.
 უკან ტოვებენ ვეინეს გულმკერდს,
 მაგარ მუხლებზე მიქრიან ახლა,
 უკან ტოვებენ ამ მაგარ მუხლებს,

ფეხის ზურგებზე გარბიან მკვირცხველებს
 მერე კი, ფეხის ზურგების შემდგომად
 რის გავლილია ქურთუვი ხუთი,
 მოოქროვილი სარტყელი ათი,
 ლიაცისფერი ხიფთანი შვიდი,
 და რვა-წელამდე მწოდომელი კაბა, —
 ვეინეს ფერხითი ეცემა ყველა.

კიდევ მრავალი მავალითის მოტანა შეიძლე-
 ბოდა, რაც თვალნათლივ წარმოაჩენდა მთარგ-
 მნელის ოსტატობას, მაგრამ, ვფიქრობთ, ამის
 საჭიროება არ არის. ამოვიწერთ მხოლოდ
 ერთ პატარა ადგილს, სადაც ყოველი სტრიქონი
 ნამდვილი პოეზიით სუნთქავს, სადაც ყოველი
 სიტყვა თუ ბგერა თავის ადვოლზეა:

ღიასახლისო პოხელის მხარის,
 დიღეშვი მთვარის ნუკი გსურს ჩასმა,
 მზის ნუკი გინდა დამწყვედევა კლდეში,
 უბედურება მოისვი გვერდით,
 წინ ბოროტება დაიდგი ვობით,
 იტანჯვა ჩაპყეტე ორწოხთა შინა.

განსაკუთრებით ლაღად, ძალდატანებლად
 იკითხება ეპოსის ბოლო, ორმოცდამათე რუნა,
 რომელიც კრავს და ამთლიანებს ნაწარმო-
 ებს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი უნებლიე
 ლაფსუსი — მეორმოცე რუნაში (გვ. 571). ერთ-
 გან შემთხვევით რითმაა გაპარული; წყვილეთუ-
 ლი: თავი—ნავი; რაც ამ ეპოსისთვის არაა და-
 მახასიათებელი.

საერთოდ თარგმანი, როგორც აღვნიშნეთ, ძა-
 ლზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. რასაკვირ-
 ველია, ამხელა მასალიდან შეგვეძლო, ამოგვე-
 წერა ცალკეული უხერხულად აგებული ფრაზე-
 ბი, მაგრამ ეს წიგნის დიდ ღირსებას ჩრდილს
 ვერ მიაყენებდა.

„კალევალას“ ქართული თარგმანი ჩვენს ლი-
 ტერატურულ ცხოვრებაში თვალსაზრისით მოკლე-
 ნაა და კარგი იქნება თუ იგი უფრო საფუძვლი-
 ანი შეფასების საგანი გახდება.



საქართველოს უნივერსიტეტი „სოსკაჯუი“

თეიშუაჲ ჴანჯიქიჲ

ბიბლია გუშინ, ღეს, სჲალ

ალბათ არც ერთ წიგნს, არც ერთ ფილოსოფიურ თხზულებას არ გამოუწვევია იმდენი დავა და კამათი, ალბათ არც ერთ პრობლემაზე არ დაღვრილა იმდენი სისხლი და მეღანე, და ალბათ არც ერთ ნაწარმოებს არ განუსაზღვრავს იმდენი ადამიანის ბედი, როგორც ბიბლიას — ებრაელებისა და ქრისტიანებას საღმრთო „წმინდა წიგნს“.

„საღმრთო წერილი“ ანუ ბიბლია ორი რელიგიის — იუდაიზმისა და ქრისტიანობის „წმინდა წიგნია“, ამ რელიგიების საფუძველთა საფუძველია. მაგრამ მარტო ამის თქმით ჩვენ მთლიანად ვერ გამოვხატავთ ბიბლიის როლს საზოგადოების ისტორიაში. მისი სრული დახასიათებისათვის აუცილებელია ითქვას, რომ ეს არის წიგნი, რომელმაც მთელი ეპოქები შექმნა საზოგადოების ცხოვრებაში; რომ იგი გარკვეულ პერიოდებში (განსაკუთრებით ეს ითქმის შუა საუკუნეებზე, ფეოდალიზმის ხანაზე), მთლიანად ბატონობდა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, იქნებოდა ეს მეცნიერება, მორალი თუ ხელოვნება. რომ ამ პერიოდში, ქრისტიანულ სამყაროში ბიბლიური დოგმატები აბსოლუტურ კუშიარტებად იყო გამოცხადებული, და რომ ყოველ მეცნიერულ აღმოჩენას მას უფარდებდნენ, და ვაი მას, ვისი ახალი სიტყვა მეცნიერებაში არ შეესაბამებოდა „ღვთის მიერ ნაბოძებ“ ბიბლიურ დებულებებს. ასეთ

აღმოჩენებს ჩვეულებრივ ეშმაკეულად და სახიფათო ერესებად აცხადებდნენ, ხოლო მის ატორებს სასტიკად სჯიდნენ.

ბიბლიური მსოფლმხედველობის გამო იდეენებოდა ბუნებისმეტყველების მეცნიერული კვლევა, იგი შეიცვალა სქოლასტიკით, ხელოვნური ფორმალური არგუმენტებით, რომლის მიზანი იყო „საღმრთო წერილის“ დოგმატების გამართლება. ცუდ დღეში იყო ფილოსოფიაც, რომელსაც თეოლოგიის მსახურის როლი დაეკისრა.

შუა საუკუნეებში ბიბლიის სახელით „წმინდა ინკვიზიცია“ კოცონზე აჯაენიდა, საყრობილეში ავდებდა, ეკლესიიდან კვეთდა და აჩვენებდა ეკლესიისათვის არასასურველ პირებს; სდევნიდა ყოველივე პროგრესულს, რაც კი კაცობრიობის ისტორიაში იყო შექმნილი და რაც ბიბლიურ მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგებოდა.

ბიბლია წინ მიუძღოდა ჯგარსნებს, როდესაც ისინი მაცხოვრის საფლავის განთავისუფლების საბაბით მახლობელი აღმოსავლეთის დასაპყრობად და გასაპარკვავად გაემართნენ.

ბიბლიაზე აფიცებდნენ სამართალში მიცემულ ადამიანებს, რომ იგი აუცილებლად სიმართლეს ილპარაკებდა, მაგრამ ალბათ არსად არ თქმულა იმდენი ტყუილი, რამდენიც ამგვარ სასამართლოში გაისმოდა.

ბიბლიამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგა-



დოების ცხოვრებაზე, მაგრამ როგორც ერთმა ათეისტმა მოხდენილად შენიშნა, „არც ერთ წიგნს არ შეუშლია იმდენი ადამიანი ჭკუიდან, რამდენიც ბიბლიამ შეშალა“.

„საღმრთო წერილის“ შექმნიდან მრავალი საუკუნე გავიდა. ამ ხნის მანძილზე კაცობრიობის ისტორიაში ბევრი რამ შეიცვალა: მართალია, ამ დროის განმავლობაში ბიბლიის ტექსტი არ შეცვლილა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითოეული თაობა თავისებურად აღიქვამდა „საღმრთო წერილს“. როგორც დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ლუდვიგ ფოიერბახი წერდა, „...ბიბლიაში არ შეიძლება ერთი ასოს შეცვლაყ კი, მაგრამ მისი შინაარსი ცვალებადია, ისევე როგორც ცვალებადია კაცობრიობის შინაარსი, თითოეული ეპოქა ბიბლიაში ამოიკითხავდა ხოლმე მხოლოდ სა-

კუთარ თავს. თითოეულ ეპოქას ატყუებდა, თვითნაკეთი ბიბლია“¹.

ბიბლია დღესაც აგრძელებს თავის ცხოვრებას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მრავალ ენაზე იგი კვლავაც მილიონობანი ტირაჟით გამოდის. მაგრამ, რასაკვირველია, მისი ავტორიტეტი წარსულთან შედარებით განუზომლად დაეცა. მის მსოფლმხედველობას სერიოზულად, თეოლოგების გარდა, თითქმის აღარაინც აღიქვამს. რაც შეეხება ებრაელთა და ქრისტიანთა „წმინდა წიგნის“ ფუნქციას, იგი, მართალია გაკირვებით, მაგრამ მაინც ასრულებს. გარდა ამისა, ბიბლია მართო რელიგიური წიგნი როდია. იგი ამავე დროს კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლიცაა. ამიტომ სწავლობენ მას გულდასმით სხვადასხვა რწმენისა და მსოფლმხედველობის ადამიანებმა თვისტებიცა და ათვისტებიც.

ბიბლიის კრიტიკა და ბიბლიური წინააღმდეგობანი

როგორც ცნობილია, ბიბლიის კრიტიკა უკვე ანტიკურ ხანიდან დაიწყო. იგი ძირითადად ორი ბოჰიციიდან მომდინარეობდა — რაციონალური და ისტორიული პოზიციებიდან. პირველი მათგანი ჯერ კიდევ რომელიმე მწერლის ცელსიგან (ჩვენი წ. აღ.ის II საუკუნის უკანასკნელი პერიოდი) მოდის. ამავე პოზიციებიდან „საღმრთო წერილის“ უაზრობებსა და წინააღმდეგობებს აკრიტიკებდნენ ირანელი ებრაელი ხივი ჰაბალკი (VIII საუკუნე) და ფრანგი განმანათლებლები და მატერიალისტები: ე. მეილი, ვოლტერი, ს. დიუმარსი, პ. ჰოლბატი, კ. ფ. ვოლფი, ს. მარტალი და სხვ.

ბიბლიის ისტორიულ კრიტიკას საფუძველი ბენედიქტ სპინოზამ ჩაუყარა. მის ფილოსოფიურ-მატერიალისტურ ტრაქტატს, რომელიც „ღვთისმეტყველურ-პოლიტიკური ტრაქტატის“ სახელწოდებით გამოვიდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიბლიის კვლევის გაზაზე. „საღმრთო წერილის“ მეცნიერული კვლევისათვის მნიშვნელოვანი შრომები შექმნეს ე. ასტრიუკმა, კ. დე-ვეტემ, კ. გრაფმა, ი. ველაუტუნმა, ე. რეისიმ, გ. ევალდომ და სხვ.

„ახალი აღთქმის“ ისტორიული კრიტიკის დასაწყისად ითვლება ვ. ს. რეიმარუსის „ვოლფენბუტელის ფრაგმენტების“ გამოსვლა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დ. ფ. შტრაუსის, ფ. ნ. ბაუერის და ტიუბინგენის სკოლის სხვა წარმომადგენლების მიერ დაწერილ შრომებს. ასევე მნიშვნელოვანია იყო ბ. ბაუერის, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს კი მითოლოგიური სკოლის წარმომადგენლებს: ა. პირსონის, ა. დ. ლომანის, დ. მ. რობერტსონის, ა. დრეგისის, ს. ლიუბლინსკის შრომები.

„საღმრთო წერილის“ მარქსისტი მკვლევარებიდან უნდა აღინიშნოს ლ. ალფარკი, ი. ი. სკვორცოვ-სტუპანიოვი, ე. მ. იაროსლავსკი, ნ. მ. ნიკოლსკი, ი. გ. ფრანკ-კამენეცკი, ა. ბ. რანოიჩი, ი. ტენენჩენი-ვალდაფელი, ს. ი. კოვალიოვი, ა. რომბერტსონი და სხვ.

ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი მეცნიერული კვლევის შედეგად „საღმრთო წერილში“ დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი ურთიერთსაპირისპირო დებულებები, შეუსაბამობანი, განშორებები. წინააღმდეგობანი და დაქტიური ხასიათის შეცდომები, რაც არასაგზით არ უნდა იყოს ღმერთის მიერ „შთავიწყებულ“ „წმინდა წიგნში“.

ბიბლიაში წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებების სიუხვე იმიტად უნდა აიხსნას, რომ „საღმრთო წერილში“ ბევრი რამ არის წყაროებიდან შესული. ასე, მაგალითად, მოსეს „ხუთწიგნეული“ ეყრდნობოდა ოთხ თხზულებას: იახვისტს, ელოხისტს, მეორე შევულსა და ქურთუთა კოდექსს.

ბიბლიაში საერთოდ შეიმჩნევა ტენდენცია. რაც შეიძლება მეტი დოჯით ყოფილიყო ეს წყაროები შენარჩუნებული, ამიტომ ბიბლიაში ეხვედებით თვით ურთიერთსაწინააღმდეგო ვარიანტებსაც კი. ამით უნდა აიხსნას განსხვავება ღმერთის სახელში. ერთგან ღმერთის იახვე ჰქვია, მეორეგან — ელოხი. ორივე წყაროში არის სამყაროს შექმნის სურათი, რომელიც ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. ორივე ეს ვარიანტი შენარჩუნებულია ბიბლიაში და დაქტიურად სამყაროს შექმნის ორი სურათი

¹ Л. Фейербах. Избранные философские произведения, т. I, 1955, стр. 264.

გვაქვს. ამ ვერსიების წინააღმდეგობის მავალითად გამოდგებოდა ის ფაქტი, რომ პირველ ვარიანტში ღმერთი აღმსა და ევას ერთდროულად ჰქმნის, ხოლო მეორეში — ჯერ აღმს, მერე კი ევას აღმის ნეცნისაგან. პირველში აღმსიანები შექმნილია ცხოველების შემდეგ, მეორეში კი პირიქით. ასევე საწინააღმდეგო ვერსიები არსებობს იოსების გაყიდვის შესახებ. ასეთ ადგილებს სხვა წიგნებშიც ვხვდებით. წინააღმდეგობაა მსოფლიოს წარღვნის ხანგრძლივობის განსაზღვრისას. ერთგან ლაპარაკია 40 დღეზე, მეორეგან კი 150 დღეზე. შეუთანხმებელია ნოეს მიერ კილობანზე აყვანილი ცხოველების რიცხვი. ერთ შემთხვევაში ნოეს კილობანზე უნდა აყვანა „ორ-ორი ყოველთაგან“. ხოლო მეორე ვარიანტი, წმინდა ცხოველებისაგან უნდა აყვანა „შვიდ-შვიდი, ხოლო არაწმინდათაგან ორ-ორი, დედალი და მამალი. მოცემული გვაქვს ერთმანეთთან შეუფერებელი 10 მცნების ორი ვარიანტი.

ურთიერთსაწინააღმდეგო თხზულებებით არის საეცე „ახალი აღთქმაც“. როგორც ბიბლიის მკვლევარები აღნიშნავენ, „ახალი აღთქმის“ წიგნებში დასტურდება ორი საბირისბირო მიმართულების არსებობა — პეტრისა და პავლესი. საეკლესიო ტრადიციით, იესო ქრისტეს სიკვდილის შემდეგ პეტრე მოციქული ქადაგებდა იუდაურ თემებში, იგი ქრისტიანობის სხვა ხალხში გავრცელების წინააღმდეგი ყოფილა, მეორე მიმართულებას კი სათავეში ედგა მოციქული პავლე, რომელიც ქრისტიანობას წარმართთა შორის ავრცელებდა. როგორც ჩანს, „ახალ აღთქმაში“ აისახა ამ ორი დაპირისპირებული მიმართულების კომპრომისი.

„ახალი აღთქმის“ პრინციპების წინააღმდეგობა უნდა აიხსნას აგრეთვე ქრისტიანობის სოციალური შემადგენლობის ცვლილებით. რაც უფრო მეტი რაოდენობით შედიოდნენ მკონებელთა კლასის წარმომადგენლები ქრისტიანულ თემებში და რაც უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იქ, მით უფრო მეტ ადგილს უთმობდა მემამბოხე იდეები მორჩილებსა და მოთმინების ღონისძიებებს.

„ახალ აღთქმაში“ სულ სხვადასხვაგვარ და მოკიდებულებას ვხვდებით შრომის მიმართ, სიმდიდრის მიმართ, ხელისუფლების მიმართ და სხვ. წინააღმდეგობები და ურთიერთგამორიცხავი დებულებები კი ბიბლიურ მორალურ პრინციპებშიც მრავალ იძებნება.

განსაკუთრებით ბევრია ბიბლიაში ისტორიული შეცდომა, ანაქრონიზმი. მავალითად, მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებში ქრისტეს ცხოვრება სულ სხვაგვარადა აღწერილი, ვიდრე იოანეს სახარებაში. ხშირად ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ავტორის სხვადასხვაგვარად აქვს აღწერილი. მავალითად, ბიბლიური ტრადიცია იესოს აბრამის ჩამომავ-

ლად თვლის. ამ ფაქტს იზიარებს ყველა სახარების ავტორი, მაგრამ არ არის თანხმობა თაობების რიცხვზე, რომელმაც გაიარა აბრამიდან იესომდე. მათეს სახარებაში თაობების რიცხვი ორმოცდაორს უდრის, ხოლო ლუკას სახარებაში — ორმოცდათექვსმეტს. ამასთანავე, წინაპართა სახელები სხვადასხვაა. ბიბლიური ტრადიციის მიხედვით, იესო ქალწულ მარიამს უბიწოდ ჩაესახა, მიუხედავად ამისა, სახარებებში ქრისტეს მამად აბრამის შთამომავალი იოსებია გამოცხადებული. ვინაიდან იესო ქრისტე იოსების შვილად მხოლოდ ფორმალურად ითვლება, ამიტომ მისი აბრამის შთამომავლად გამოცხადება არასჯობილ არ შეიძლება.

მათეს სახარებაში ნათქვამია, რომ იესო ქრისტე დაიბნა პეროდეს (ბროდი) მეფობის ხანაში, რომ ამ დროს სირიას მართავდა მეფისნაცვლი კვირინეი, მაგრამ ამყამად უკვე დამტკიცებულია, რომ პეროდე მომკვლარა 4 წლით ადრე, ვიდრე ქრისტეს დაბადებამა ნუვარაუდევრი. ხოლო კვირინეი ამ დროისათვის არ მართავდა სირიას.

ამგვარად, როგორც „ძველს“, ისე „ახალ აღთქმაში“ დაუსრულებლად შეიძლება წინააღმდეგობების, დაპირისპირებებისა თუ ისტორიული შეცდომების აღმოჩენა.

რა თქმა უნდა, „საღმრთო წერილის“ წინააღმდეგობებს მარტო ათვისები როდეს ხედავდნენ. ამ უხერხულობებს ბიბლიის ტექსტში ღვთისმეტყველებიც ამჩნევდნენ და ცდილობდნენ კიდევ თავიდან მოეშორებინათ ისინი, მაგრამ ამის გაკეთება ბიბლიის ღვთისშთაგონებულობის დგამის დაურღვევლად შეუძლებელი იყო. ამიტომ ყოველი ასეთი ცდა წარუმატებლად მთავრდებოდა.

ბენდიქტ სპინოზას აზრით, ეზდრამ (რომელსაც თვლიან ბიბლიის ერთი ნაწილის რედაქტორად) რაღაც მიზეზების გამო ვერ მიიყვანა თავისი სარედაქციო მუშაობა ბოლომდე. „ეზდრამ შეკრება სხვადასხვა ავტორების ისტორიები, ზოგჯერ პირდაპირ გადმოწერა და შთამომავლობას დაატოვა“ შემოწმებელი და წესრიგში მოუყვანელი²

ასე დარჩა მასში დაპირისპირებები, წინააღმდეგობანი და პარალელური ადგილები. ასეთი სახით შთაირაცხა ეს წიგნები წმინდად რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ბიბლიისათვის „ხელის სლება“ უკვე აღარ შეიძლებოდა. დღეისათვის ბიბლიურ წინააღმდეგობებს თითქმის ყველა აღიარებს. მავალითად, ამერი-

² Бенедикт Спиноза, Избранные произведения, т. II, М., 1957, стр. 143—144.

თეიმურაზ ზანჯიანი
ბიგლინი გუშინ, დღეს, ხვალ



კელმა პასტორმა სენდერლენდმა „საღმრთო წერილში“ დათვალა ათი ათასი წინააღმდეგობა, რომელიც ეხება ბიბლიის ფაქტიურ მხარეს ან რომელიმე ცნობას ამა თუ იმ ამბის, რე-ლიგიური მოძღვრების აზრისა თუ ზნეობ-რივი ნორმის შესახებ.

თავის დროზე ავგუსტ ბებელი აღნიშნავდა, რომ ბიბლიაში აღმოჩენილია 50.000 წინააღ-მდეგობა.3

პირველი, ვინც გაბედა და შეეცადა შეესწავ-ლა „საღმრთო წერილის“ ტექსტი, არა რო-გორც ღვთისშთაგონებული ნაწარმოები, არა-მედ როგორც ადამიანის მიერ შექმნილი თხზუ-ლება, იყო დიდი ფილოსოფოსი-მატერიალის-ტი ბენედიქტ სპინოზა. მისგან იწყებს თავის ისტორიას ახალი საგანი — ბიბლიური კრი-ტიკა, რომელიც მოკლედ ბიბლიესტიკის სახე-ლითაა ცნობილი. მას შემდეგ მრავალი მეცნი-ერი იკვლევდა ბიბლიას სხვადასხვა პოზიცი-იდან. ერთნი ცდილობდნენ აეხსნათ „საღმრთო წერილის“ ჭეშმარიტი არსი, გაეგათ ვინ იყო ამ წევნების ნამდვილი ავტორი, დაედგინათ მისი დაწერის დრო. მეორენი ცდილობდნენ დაეკვათ ბიბლია მეცნიერული კრიტიკისაგან, ეხსნათ მისი ავტორიტეტი. ამ მიზნით ფალსი-ფიკაციასაც კი არ ერიდებოდნენ. მსგავს მოღ-ვეულობას ეწეოდა და ეწევა ვატიკანში არსე-ბული ბიბლიის ინსტიტუტი, რომლის ამოცანას „საღმრთო წერილის“ მეცნიერული გამოკვ-ლევა“ წარმოადგენს, სინამდვილეში კი იგი ბიბლიური ტექსტის მეცნიერულ გაგებას ყო-ველმხრივ ეწინააღმდეგება.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ პი-რობებში მიმდინარეობდა ბიბლიის კვლევა. ეს არ იყო აღმოჩენათა უწყვეტი ჯაჭვი, რო-მელიც შეუფერხებლად მიდიოდა წინ. როგორც

ილდური, ასევე ქრისტიანული ეკლესიის სტრუქტურული ძალით ებრძოდა ბიბლიური სინამდვილის განმაქიქებელ მეცნიერულ სიახლეებს. რა თქმა უნდა, მეჩვიდმეტე საუკუნეში ასეთი მეამბოხე აზრების შექცევაზე მთელი ფიზიკურად უკვე აღარ უსწორდებოდნენ, მაგრამ ბიბლი-ური ტექსტის ღვთისშთაგონებულობის გამა-ბათილებელი მეცნიერები მაინც სასტიკად იდევნებოდნენ. ასე სდევნიდნენ, მაგალითად, ბენედიქტ სპინოზას, ასე სდევნიდნენ ყველა პატიოსან მკვლევარს, ვინც ბიბლიური ტექ-სტის ჭეშმარიტ შინაარსის გაგებას, მათი წარმომავლის ცხოვრებისეული მიზეზების ასნას შეეცდებოდა.

ეკლესიის მესვეურნი მარტო მეცნიერთა ღვთის რიდი ცდილობდნენ ბიბლიის ავტო-რიტეტის ხსნას, ისინი სხვა შენიღბული მე-თოდებითაც მოქმედებდნენ. ღვთისმეტყველე-ბი ბიბლიის სერიოზულ, მიუკერძოებელ კვლე-ვას უპირისპირებდნენ ბიბლიის ფალსიფიკა-ტორთა „ნამოღვაწიარს“. ეკლესიას ყოველთ-ვის ჰყავდა და ახლაც ჰყავს ისეთი მეცნიე-რები, რომლებიც მზად არიან ყველა ზერხი გამოიყენონ, მათ შორის სიყალბეც იმისათვის, რომ დაიკვან „საღმრთო წერილის“ ღვთის-შთაგონებულობის დღვატი და ხელი შეუ-შალონ ბიბლიის ჭეშმარიტი აზრის გაგებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის ასეთ ფალ-სიფიკატორთა შორის ბევრია განათლებული, ისტორიკოსი და არქეოლოგიაში კარგად ჩაბე-დული, მრავალი ენის მცოდნე ადამიანი, მაგ-რამ, სამწუხაროდ, მთელი მათი ენერჯია ბი-ბლიის მეცნიერული კრიტიკისაგან დაეცეს არცთუ ისე კეთილშობილური მიზნისაკენ არის მიმართული.

ბიბლიის აპოკრიფების გადარჩენის ცდები

თეოლოგთა მტკიცებით, ბიბლია ღვთის შთა-გონების შედეგია, ღმერთის ღვთაებრივი გო-ნების ნაყოფია. მასხადამე, როგორც უკვე არა ერთჯერ აღვნიშნეთ, მასში რაიმეს შეცვ-ლის, თვით ერთი წინადადების, ერთი სიტ-ყვის, ერთი ასოს შეცვლაც კი არ შეიძლება. ასეთ ვითარებაში ღვთისმეტყველებისათვის რჩება ორი გზა, რომლითაც ასე თუ ისე და-ცული უნდა იქნას „საღმრთო წერილის“ ავ-ტორიტეტი მეცნიერების შემოტევისაგან. 1. გა-მოაცხადოს ბიბლიის ტექსტი იდამიანის გო-ნებისათვის მიუწვდომლად, იგი მორწმუნე-ებმა, მხოლოდ უნდა იწამონ; 2. ბიბლიური უაზრობები ახსნან ალეგორიულად, სიმბო-

ლურად, ან რაიმე სხვა არაპირდაპირი მეთო-დით.

პირველი გზა ძველზე ძველია: იგი ნათ-ლად ჯერ კიდევ 2-3 საუკუნის ცნობილმა ქრისტიანმა თეოლოგმა ტერტულიანემ ჩამოა-ყალიბა: „credo, qui absurdum“ („მწამს, სხვაგვარად უაზრობა“). ამ დებულებით ტერტულიანე ცდილობდა თავიდან აეცი-ლებინა ბიბლიური ტექსტის შესუსტაბო ად-გილები, ისტორიული შეცდომები და დაპი-რისპირებანი. ტერტულიანესა და მისი თანა-მოაზრე სხვა თეოლოგების მიხედვით, ადამიან-ებმა არ უნდა დაიწყონ ბიბლიის ტექსტის განხილვა, არ უნდა ეცადონ მის გაგებასა და მეცნიერულ შესწავლას, რადგან ადამიანის გო-ნება ასეთი საქმიანობისათვის მოუშვადებე-ლია. ბიბლიური ტექსტი მისთვის მიუწვდომე-ლია. ტერტულიანე ამასთან დაკავშირებთ

3 А. Бебель, Христианство и социализм, Гослитиздат, М., 1959, стр. 21.



წარდა: „ძე ღვთისა ჯვარს აცვენ და ჩვენ არ გვრცხებოდა ამისა მივითმ, რომ ეს სასიარტხოა; ძე ღვთისა მოვცდა, ესეც გვეჭრა, რადგან დაუჭერებელია; და დასაფლავებული მკვდრითთ აღსდგა, ესეც მართალია, რადგან შეუძლებელია“.

ტერტულიანეს გარდა, ქრისტიან თეოლოგებს შორის ბევრი იყო ისეთი მოღვაწე, რომელიც კატეგორიულად ილაშქრებდნენ ბიბლიის ალეგორიული ან სხვა რომელიმე თავისუფალი განმარტების წინააღმდეგ. ასეთ საეკლესიო ავტორიტეტთა შორის უნდა აღინიშნოს იერონიმის მოღვაწეობა.

თვით ოფიციალური ეკლესია სასტიკად კრძალავდა „საღმრთო წერილის“ თავისუფალ გაგებას. ან, მაგალითად, V მსოფლიო საეკლესიო კრებაზე არა მარტო ვაიციხა, არამედ შეაჩვენა თეოდორ მოპსუტეელი იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ალეგორიულად ხსნიდა სული წმინდის ქრისტესაგან გამოსვლის დოგმატს. ოფიციალურმა ეკლესიამ VII მსოფლიო კრებაზე ვაილაშქრა მეორე დოგმატის პურისა და ღვინის ქრისტეს სისხლად და ხორცად ქცევის ალეგორიული განმარტების წინააღმდეგ.

„საღმრთო წერილის“ სხვაგვარი გაგების წინააღმდეგ ილაშქრებდა მართლმადიდებელი ეკლესიაც. ერთხელ რუსული ეკლესიის ცნობილ მოღვაწეს მიტროპოლიტ ფილარეტს ჰკითხეს, როგორ შეიძლება „საღმრთო წერილის“ იმ ადგილის გაგება, სადაც ლაბარია იმაზე, რომ ვეშაპმა ჩაყალბა იონა, ხოლო მესამე დღეს უკანვე გადმოაფურთხა ცოცხლად გადარჩენილი ღვთისმეტყველი. ვეშაპს ხომ ძალზე პატარა ყელი აქვს, რომელშიც ადამიანი ვერ პატეცვა; და თუკი მაინც მოახერხა მისი გადაყალბვა, მაშინ იონა რატომ არ დაიხრჩო ვეშაპის კუჭშიო. ამ მეტად საკოჭმონო კითხვაზე მიტროპოლიტმა ფილარეტმა ტრადიციულად უპასუხა, „საღმრთო წერილში“ პირიქით რომ ეწეროს, ვეშაპმა კი არა, იონამ გადაყალბა ვეშაპი, სულ ერთა მაინც უნდა ვირწმუნოთ და არაფერი არ უნდა ვიკითხოთ. ამ პასუხში ნათლად ჩანს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია ბიბლიის ტექსტის გაგების საკითხში.

რაც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას, ის საუკუნეების მანძილზე სიამაყით იმეორებდა „Semper edem“ (ყოველთვის ერთი და იგივე). ეს მოასწავებდა იმას, რომ კათოლიკე თეოლოგებს სიტყვა-სიტყვით ესმოდათ და ესმით ბიბლიის ტექსტი.

ბრმა რწმენის ამ პრინციპს ხშირად იმეორებდნენ ეკლესიის უფრო გვიანდელი ავტორიტეტებიც. იმავე დებულებას იმეორებდნენ არა მარტო კათოლიკე და მართლმადიდებელი თეოლოგები, არამედ ამ კვალს გაჰყენენ ქრის-

ტიანობის მესამე მიმართულების — პროტესტანტიზმის ფუძემდებლები ლუთერი და კალვინი. მაგალითად, ლუთერი პირდაპირ წერდა: „მოსემ თავისი აზრი გამოთქვა ნათლად და უბრალოდ, ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავიგოთ ისე, როგორც ტექსტშია, ყოველგვარი ალეგორიისა და მეტაფორისა გარეშე, და თუნდაც იმის, რომ სამყარო შეიქმნა ექვს დღეში, ჩვენც უნდა გავიგოთ, რომ სამყარო ექვს დღეშია შექმნილი“.⁴

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ეკლესია ასე დაბეჭითებით მოითხოვდა ბიბლიის ტექსტის სიტყვა-სიტყვით გაგებას, ბიბლიური წინააღმდეგობანი და ურთიერთდაპირისპირებანი იმდენად თვალსაჩინოა, რომ თვით ყველაზე თავგადასებული ღვთისმეტყველებიც კი იძულებული იყვნენ ოდითგანვე ეძებნათ სხვა გზები ბიბლიის ტექსტის ასახსნელად და გასამართლებლად. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ბიბლიური იდეოლოგია ერთგვაროვანი ხასიათის არ არის. მასში ჩვენ ვნახულობთ სხვადასხვა რელიგიური რწმენებისა და კულტების კვალს, და არა მარტო ქრისტიანობამდელი რელიგიის ფორმებს, არამედ იუდაიზმამდელი რელიგიური შეხედულებებისა და კულტების კვალსაც. მასში შეიძლება ნახოთ ყველაფერი, დაწყებული ყველაზე უფრო პრიმიტიული რელიგიური შეხედულებებიდან და დამთავრებული ფილოსოფიურ-იდეალისტური მოძღვრებით ღმერთის სიტყვის „ლოგოსის“ შესახებ.

გარდა ამისა, „საღმრთო წერილში“ არის წიგნები, რომელთაც ძალიან ცოტა რამ აქვთ საერთო რელიგიასთან. ისეთები, მაგალითად, როგორცაა „წიგნი იობისა“, „ეკლესიასტე“, „ქება-ქებათა“ და სხვ. მართალია, ეს წიგნები შეკრებულია რელიგიური ფრაზეოლოგიით, მაგრამ ამ ფრაზეოლოგიის მიმატებით ან გამოკლებით ამ წიგნების შინაარსი არ იცვლება.

„საღმრთო წერილის“ გულუბრყვილო თქმულებებს, მის შეუსაბამობებს, წინააღმდეგობებსა და დაპირისპირებებს ჯერ კიდევ ძველ ბერძნებში დასკინდნენ. ასეთი კრიტიკა რომ თავიდან აეცილებინათ, ამისათვის ზოგიერთმა ღვთისმეტყველმა ბიბლიის ტექსტის ალეგორიულ განმარტებას მიმართა. პირველი, ვინც ასეთ გზას დადგა, იყო ალექსანდრიელი იუდეველი ფილონი (I საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ფილონი ალექსანდრიელი თვით განიცდიდა ბერძნული იდეალიზმის

⁴ იხ. Э. Д. Уайт, Борьба религии с наукой, М., 1932, стр. 16.

თეიმურაზ ზანჯიანი
ბიბლია გუშინ, დღეს, ხვალ



გავლენას და ცდილობდა ბიბლია მისაღები გაეხადა ბერძნებისა და სხვა განათლებული წარმართებისათვის. ფილონი თავის ალეგორიულ განმარტებაში ძალზე შორს მიიღოდა იმისათვის, რომ ნათელი გახედეს მისი მეოთხედით ბიბლიის ტექსტის ახსნა, მოვიყვანათ რამდენიმე ადგილის ალეგორიული ახსნა-განმარტება. ასე, მაგალითად, „საღმრთო წერილში“ აღწერილი სამოთხის ბაღის ოთხი ნაკადული ფილონს ესმოდა, როგორც ღვთისმოშიში ადამიანის ოთხი სათნოება. სოლომის ხუთი ქალაქი ფილონის მიხედვით ნიშნავს ხუთ გრძნობას. ქვეყანა, საიდანაც წამოვიდა აბრაჰამი, ადამიანის სხეულს ნიშნავს, ხოლო აბრაჰამის დატოვებული ნათესაეები — ამ სხეულის ნაწილებს. თავისებურად ხსნიდა ფილონი ბაბილონის გოლოლის აშენების მითს, ენების აღრევის ამბავს, აბრაჰამის ცოლის მიერ თავისი შონა ქალის აჯარის დევნას, კეთნის მიერ ქალაქის აშენებას და სხვ. ფილონი ალექსანდრიელი საიდუმლო, მისტაურ მნიშვნელობას მიაწერდა რიცხვებს 4, 6 ან 7-ს.

უფრო გვიანდელ ხანაში ებრაულმა სამღვდელთებამ მოგვცა „ძველი აღთქმის“ დახლართული, კაუსისტური განმარტებანი. იუდაიზმში მთელი დარგი შექმნა ქაბალას სახელწოდებით, რომელიც მიზნად ისახავდა, თითქოსდა ბიბლიაში დაფარული იდუმალი ჭეშმარიტების გაგებას. ქაბალისტები ბიბლიას დამოურთულ ტექსტად თვლიან და ამტკიცებენ, რომ მასში მოცემულია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე ეს უბრალო ადამიანს შეუძლია წიაკითოს. ქაბალიზმის ერთ-ერთ წიგნში, XIII საუკუნის ძველში „ზანგარში“ (შარავანდელი) პირდაპირაა მითითებული: „გვი მას, ვინც კანონში (ე. ი. თორაში) ვერ ხედავს სხვა რამეს, გარდა უბრალო მოთხრობებისა. სიტყვა კანონში შეიცავს გაცილებით უფრო ღრმა აზრსა და დაფარულ საიდუმლოებას. კანონში მოთავსებული მოთხრობები ფაქტიურად მხოლოდ კანონის გარეგნული სამოსელია და ვაი მას, ვინც კანონის სამოსელს თვით კანონად სთვლის“.⁵

ბიბლიის ტექსტის ქაბალისტური მანიატაციები ძირითადად ეყრდნობოდა იმას, რომ ებრაულ ანბანში (როგორც ცნობილია, „ძველი აღთქმა“ ამ ენაზეა დაწერილი) 22 ასოა და მასში ფაქტიურად ხმოვნება არ არის. ეს უკანასკნელნი ტექსტში აღინიშნება წერტილებით ასოების ქვეშ. მაგრამ უძველეს ებრაულ ტექსტებში არც ეს წერტილებია დასმული. ამიტომ ხშირად სხვადასხვა სიტყვა ერთი და იგივე ასოებით გამოიხატებოდა. მათ წარმოთქმა და მნიშვნელობა კი იმაზე იყო

დამოკიდებული, თუ რომელ ხმოვანს მიეკუთვნებოდა თებდნენ დაწერილ თანხმონებს. ქაბალისტები ასოთა სხვადასხვაგვარი გადაჯგუფებით ბიბლიის ტექსტისაგან ჰქმნიან მოულოდნელ, სრულიად ახალ სიტყვებს და ამ სიტყვებით თითქოს იგებენ ბიბლიურ წინასწარმეტყველებას მოსალოდნელი ამბების შესახებ. ძველი ებრაული დამწერლობის სხვა მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ მასში არ იყო ციფრები. რიცხვებს, ჩვეულებრივ, ანბანის ასოებით გამოხატავდნენ. აქედან გამომდინარეობდა ქაბალიზმის ძირითადი კანონი: ყოველი სიტყვა არის რიცხვი და ყოველი რიცხვი არის სიტყვა.

ქაბალისტურ მეთოდებს სამად ჰყოფენ: ჰემატრიად, ნოტარიკონად და თემურად. **ჰემატრიკონის** მიხედვით, ბიბლიურ ტექსტში ცალკეული სიტყვა უნდა შეიცვალოს ამ სიტყვის თანაბარი რიცხობრივი მნიშვნელობით ქაბალისტები ამ მეთოდით ცდილობენ თორაში ცალკეული სიტყვებისა და აზრების ჭეშმარიტი არსის გაგებას.

ნოტარიკონის მიხედვით, არსებობს ორი წესი ბიბლიის ტექსტის მანიპულირებისა. პირველი ხერხი, ერთი სიტყვის თითოეულ ასოს იღებენ სხვა სიტყვის საწყის ასოდ. ამგვარად, ერთი სიტყვისაგან შეიძლება რამდენიმე წინადადების შედგენა. მეორე ხერხით კი, პირიქით, მოცემული წინადადებიდან იღებენ ცალკეული სიტყვების საწყის და ბოლო ასოებს და ამით ადგენენ ახალ სიტყვებს, რომლებმაც უნდა ახსნან ბიბლიის იდუმალი აზრი.

მესამე მეთოდის — **თემურას** მიხედვით, ბიბლიის ტექსტში ასოებს გადაადგილებდნენ წინასწარ დაფიქრებული წესით და ამგვარად ცდილობდნენ ბიბლიაში დაფარული ჭეშმარიტების აღმოჩენას.

ბიბლიის ტექსტის ქაბალური გაგების მაგალითად გამოდგება „იოანეს გამოცხადებაში“ მოცემული ადგილი: „ჰეი არს სიბრძნე; რომელსაც აქუს გონებაი, აღიპყარ რიცხვი იგი მხეცისაი, რამეთუ რიცხვი კაცისაი არს რიცხვი მისი ექვსას სამეოც და ექუს“ (იოანეს გამოცხადება, 13, 18). 666 რიცხვი, როგორც ვხედავთ, შიფრის სახითაა მოცემული; მასში, როგორც ვარაუდობენ, იმპერატორ ნერონის სახელია ნაგულისხმევი.

ქაბალისტში რამე ლოგიკის ან კანონზომიერების აღმოჩენა შეუძლებელია; ასეთ დასკვნამდე მივიდა რელიგიის ცნობილი მკვლევარი ა. ლემანი. „მე არ ძალმიძს, — წერდა ის, — ვადმოვეცე ქაბალისტური თხზულებების რამდენიმე მინც ნათელი სურათი... ქაბალაში შეუძლებელია ლოგიკის უმცირესი ეკლის ნახვაც კი... ქაბალისტი მიღის თავის შედეგებამდე არა თანამიმდევრული დასკვნების გზით, არამედ ფანტაზიის გზით. თითოეული აზრი აქ

⁵ Л. Лемани, История суверий и волшебства, М., 1901, стр. 136.



გამოითქმის წინა აზრისაგან დამოუკიდებლად, მასთან რაიმე კავშირის გარეშე, უბრალოდ როგორც შიშველი მტკიცება, რომელშიაც ეპის შეტანა არ შეიძლება... ქაბალაში აღმოსავლური ფანჯარა იმარჯვებს ყველაზე ველურ ფორმებში“.⁶

ებრაელი თეოლოგები ამტკიცებდნენ, რომ „ძველი აღთქმის“ თითოეულ ტექსტს 70 სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, რომ თვით ღმერთი ყოველდღიურად სამ საათზე მეტ ხანს ანლომებს ამ მნიშვნელობათა შესწავლას.

ალეგორიზმის კვლავ, რომელიც თავდაპირველად ებრაელმა თეოლოგებმა დასახეს, უფრო გვიან ხანაში ქრისტიანი თეოლოგებიც გაპყვნენ. ამ მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო მეორე-მესამე საუკუნის თეოლოგი კლიმენტ ალექსანდრიელი, მისი მტკიცებით, ბიბლიის მთელი ღმერთი, პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით კი არ უნდა გაეგოთ, არამედ ალეგორიულად, იგაფურად. ასე, მაგალითად, აბრაამის სამღლიანი მოგზაურობა მორის მთაზე ადამიანის სულის მთერ ღმერთის შეცნობის სამი ეტაპის გავლას ნიშნავს. კლიმენტ ალექსანდრიელს თავისებურად ესმოდა „ახალი აღთქმის“ სახარებებში გადმოცემული ამბავი, თუ როგორ დააბრუნა იესო ქრისტემ ხუთი პუროთა და რამდენიმე თევზით ხუთი ათასი კაცი. მისი აზრით, აქ მართლა პურზე და თევზზე კი არ არის უნაბრაკი, არამედ მასში ქრისტეს მოძღვრება უნდა ვიკვლიოდა. თევზში, კლიმენტ ალექსანდრიელის მიხედვით, ჩადებულა უნდა იქნას ასეთი შინაარსი: ისევე როგორც თევზები ჩნდებიან ზღვის ტალღებში, ასევე განადა ქრისტე მოძღვრებაც წარმართობის ტალღებში; რაც შეეხება პურს, იგი ქრისტისა იყო, ხოლო ჭერი, როგორც ცნობილია, ზორბალზე უფრო ადრე შემოდის. ე. ი. კლიმენტ ალექსანდრიელის აზრით, როგორც ქერი შემოდის პურზე ეჭრე, ასევე არსებობდა ქრისტეს მოძღვრება უფრო ადრე, ვიდრე იგი სახარებებში აისახებოდა.

ბიბლიური ტექსტის იგავური გაგების მომხრე იყო მესამე საუკუნის ცნობილი ქრისტიანი თეოლოგი ორიგენიც. ორიგენი იგავურად ხსნიდა ბიბლიურ მოთხრობას მიწიერ სამოთხეზე და ადამის ნეკნისაგან პირველი ქალის — ევას შექმნის მითს.

ბიბლიის სიტყვა-სიტყვით გაგების და, მეორე მხრივ, ალეგორიულად გაგების მომხრეებს შორის ოდიფანევი დიდი კამათი იყო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაეგოთ იოანეს სახარების სიტყვები, რომელშიც ნათქვამია, რომ „იესომ... ვითარცა ესე თქვა, შეპებრა... მათ და პრქვა: მიიღეთ სული წმინდაი“ (იოანე, XX, 22).

აქ, როგორც გხვდავთ, სულ წმინდა ძალზე მატერიალისტურადაა გამოყვანილი. ასევე კამათი იყო იმის შესახებ, პირდაპირ გაეგოთ პურის ქვევა ქრისტეს სხეულად, ხოლო ღვინისა ქრისტეს სისხლად თუ არა.

მეცხრამეტე საუკუნეში, როგორც ქრისტიანობაში, ასევე ილარიზმში ჩნდება მიმართულება, რომელიც მოდერნიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მიმართულება მიზნად ისახავდა შეგვეუბინა ბიბლიური თქმულებები საღ აზრთან და მეცნიერებასთან, რომელიც ამ დროისათვის მალე საფეხურზე ავიდა. მოდერნიზმი საკმაოდ ძლიერი მიმართულება იყო. მას მრავალი თეოლოგი გაჰყვა, მაგრამ მოდერნიზტებს შორის არ იყო ერთობა. ისინი ვერა და ვერ თანხმდებოდნენ იმაზე, თუ რამდენის დათმობა შეიძლებოდა საღი აზრისათვის. ვერც ერთმა მოდერნიზტმა ვერ დაადგინა, სად იყო ის მიჯნა, სადაც შეიძლებოდა დათმობისათვის ზღვიარის დადება. საერთოდ მოდერნიზტები ორ ცეცხლშია იყვნენ: თუ ბევრს დაუთმობდნენ საღ აზრს, მაშინ ჩნდებოდა იმის საფრთხე, რომ მთლიანად გაქარწყლდებოდა ბიბლიის ღვთაო-შთაგონებულობის დოგმატი, სრულიად დაეცემოდა ბიბლიის ავტორიტეტი. თუ ცოტას დაუთმობდნენ, მაშინ კვლავ უნდა დაეტოვებინათ „საღმართო წერილში“ წინააღმდეგობები, უაზრობები და შეუსაბამობანი. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ ბიბლია კვლავ დაუცველი იქნებოდა კრიტიკისაგან.

არსებითად, მოდერნიზტები გადაუწყვეტელი პრობლემის წინაშე იდგნენ.

ამვე საუკუნეში მოდერნიზმს დაუბირისპირდა მიმართულება, რომელიც ფუნდამენტალიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. ფუნდამენტალიზტებსაც იგივე მიზანი ამოჰრავებდათ, რაც მოდერნიზტებს, კერძოდ, ბიბლიის ავტორიტეტის დაცვა, მაგრამ ისინი ბიბლიის დასაცავ გზებზე და საშუალებებზე ვერ თანხმდებოდნენ. ფუნდამენტალიზტები ამტკიცებდნენ, ბიბლიის გადარჩენის მოდერნიზტული გზა მცდარია, რადგან მასში იფარება მეცნიერების წინაშე „საღმართო წერილის“ მთლიანი კაპიტულაციის საფრთხე.

აქედან გამომდინარე, ფუნდამენტალიზტები მტრულად ეკიდებოდნენ და ეკიდებიან ყოველგვარ სიახლეს ეკლესიის ცხოვრებაში. მაგალითად, თუ მოდერნიზტები ასე თუ ისე მაინც სცნობენ დარვინიზმის მოძღვრებას, ფუნდამენტალიზტები კატეგორიულად ილაშქრებენ მის წინააღმდეგ. ყველასათვის ცნობილია „მაიქლის პროცესი“, რომელიც ამერიკაში 1925 წელს მოაწყვეს ამ მიმართულების მიმდევრებმა. აღნიშნულ პროცესზე გასამართლეს მას-

⁶ Л. Лемани, История суевений и волшебства, стр. 145.

თეიმურაზ შანჭიკიძე
ბიბლია გუშინ, დღეს, ხვალ



წავლებელი სკოზის, რომელიც თავის მოსწავლეებს დარვინიზმს ასწავლიდა. აშშ-ს ზოგიერთ შტატში ახლაც კი იკრძალება კანონით დარვინიზმის სწავლება.

ფუნდამენტალისტების შეხედულებას ამ საკითხზე კარგად გამოთქვამს თანამედროვე ამერიკელი ბაბტიტი, ღვთისმეტყველების პროფესორი მორისი: „სრულიად შეუძლებელია, — წერს ის, — ვიწამოთ ბიბლია, როგორც ღვთის პირდაპირი და მთლიანი სიტყვა, და ამავე დროს დავუჯეროთ ევოლუციის თეორიას. კიდევ მეტი, შეუძლებელია ვიწამოთ რომელიმე პირადი ღმერთი, თუკი დავუბრუნებთ ევოლუციას... თუკი სამყარო ღმერთმა შექმნა, ცოცხალი არსებების ჩათვლით, ევოლუციის მეთოდით, მაშინ მერყეება, რომ მას აღრჩევია ყველაზე ნაკლებად ეფექტური, უსარგებლო და სულელებრი მეთოდი თავისი ქმნადობისათვის, რომელიც კი შეიძლება კაცმა მოიფიქროს. თუკი მას მიზნად ჰქონდა ადამიანის შექმნა, რაღა საჭირო იყო დედამიწის ისეთი უხერხული არსებებით დასახლება, როგორც დინოზავრია; მხოლოდ იმისთვის ხომ არა, რომ ისინი ადამიანის წარმოშობამდე გამჭარალყვენ სცენი-დანაშაულებს?“⁷

თავისდაუნებურად ამერიკელი ღვთისმეტყველი ნათლად გვიჩვენებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც მეცნიერებასა და ბიბლიურ თქმულებებს შორის არსებობს. მაგრამ ამ თვალსაჩინო ფაქტთან მორისი სულ სხვა დასკვნას აკეთებს, ვიდრე ამას ლოგიკა თხოვლობს. ამერიკელი პროფესორის განცხადებით, განუსჯეულად უნდა გვწამდეს „საღმრთო წერილი“, ექვი არ უნდა შევიტანოთ მასში და თუ მეცნიერული აღმოჩენა არ ემთხვევა ბიბლიურ მარადიულ ჭეშმარიტებას, მით უარესი მეცნიერებისათვის.

ბიბლიური წინააღმდეგობის, შესუსამოთბობისა და დაპირისპირებებისაგან თავის დასაღწევად ალტერნატიულ მეთოდს თანამედროვე პირობებშიაც იყენებენ თეოლოგები. ამ მეთოდს ფართოდ იყენებს მაგალითად, ანგლიკანური ეკლესიის ღვთისმეტყველი დოდდი. მართალია, ზოგჯერ იგი აცხადებს, ბიბლიის ასეთი გაგება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლებაო, სინამდვილეში ასეთ მეთოდს ძალზე ხშირად იყენებს. დოდდი არ მალავს იმ ფაქტს, რომ „საღმრთო წერილის“ გადარჩენის ერთადერთ საშუალებას ალტერნატივიზმი ხედავს. თავის წიგნში — „ბიბლია დღეს“ დოდდი წერს: „ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ ვიყენებთ სიმბოლიზმს და ამ ფაქტის გაგებას შეუძლია გამოგვიყვანოს

ბევრი ძნელი მდგომარეობიდან“ და რამდენიმე წელიწადი სიმბოლიზმს შეუძლია თავი დაგვადონონონის გასაპირიდან, მაშინ აზრი აქვს ვალიაროთ, რომ „ის ღმრად არის ჩამდარი ბიბლიური შინაარსის თვით სტრუქტურაში“.⁸

ასეთი დებულების შემდეგ დოდდს ხელ-ფეხი ეხსნება და როგორც უნდა, ისე შეუძლია ახსნას ესა თუ ის ბიბლიური თქმულება. „საღმრთო წერილის“ ასე თვითნებურად ახსნის მაგალითად გამოგვადგება დოდდის მიერ ექვსი დღის მანძილზე სამყაროს შექმნის ბიბლიური თქმულების განმარტება. დოდდის აზრით, აქ ლაპარაკი სულაც არ არის იმაზე, თუ როგორ შეიქმნა სამყარო, არც ცხოველებისა და მცენარეების შექმნაზე ლაპარაკი. როგორც თვითონ დოდდი შენიშნავს: „სინამდვილეში, შესაქმნეს წოდის ავტორი სრულიადაც არ ეხება სახეობათა წარმოშობის მეცნიერულ პრობლემას“, ისევე როგორც არ აპირებს არავითარი ფიზიკური ან ბიოლოგიური პრობლემის გადაჭრას. დოდდი, მისივე სიტყვებით, ყველა საკითხს იხილავს „არა ფაქტების სიბრტყეში, არამედ რელიგიური ჭეშმარიტების სიბრტყეში“.⁹ დოდდის მიხედვით, ბიბლიური თქმულებიდან სამყაროს შექმნის შესახებ აღარაფერი რჩება, გარდა ერთი სიტყვისა. „იქმენინ“... მისი აზრით, ამ სიტყვაშია ჩაქსოვილი მთელი სიძლიერე შექმნელის სიტყვისა.

ასევე თავისუფლად ესმის ანგლიკანური ეკლესიის ღვთისმეტყველს ზემოთხსენებული მითი ევშაპის მიერ იონას გადაყლაპვის და სამოდდის შემდეგ მისი უნებელი გადმოფურთხების შესახებ დოდდის მიხედვით, ამ ამბავში მართლა ევშაპი კი არ უნდა ვიგულისხმობო, არამედ, როგორც თვითონ წერს: „საგარეულაო, რომ იონას წიგნის ავტორს მხედველობაში ჰქონდა ებრაელი ხალხის აღზრევა ბაბილონის ტყვეობის შემდეგ“.¹⁰

დოდდი ხშირად იყენებს ალტერნატივს ბიბლიური მორალის საკითხების გარკვევისას. ბიბლიაში გვხვდება ისეთი სამარცხვინო ადგილები, რომლებზედაც ხშირად უხდებათ გაწითლება სამღვდლოების წარმომადგენლებს. ამ ამბავს არც დოდდი ფარავს: „როდესაც ბიბლიის ზოგიერთ ადგილს მორწმუნეები სიტყვა-სიტყვით იგებენ, — წერს იგი, — ამას ხშირად კატასტროფულ შედეგამდე მივყავართ“.¹¹ ასეთი ადგილების დასაფარავად და მათთვის სხვა

¹ C. H. Dodd, *The Bible to day*, p. 27. აბ. И. Крывелев, Книга о библии, М., 1959, стр. 221.

⁹ იქვე, გვ. 221.

¹⁰ იქვე, გვ. 222.

¹¹ იქვე, გვ. 223.

⁷ Ю. А. Левада, Современный фидейзм и наука, Вопросы философии, № 3, 1957, стр. 76.



სის, გაბრიელ მარსელის თუ სხვა ეგზისტენციალისტების არანაკლებ ბნელი და უარო მისტიკით¹⁵.

რედოლფ ბულტმანის დემითოლოგიზაციის ხერხი, ისევე როგორც ალეგორიზმის სხვა ხერხები, მიზანს ვერ აღწევს. თუ ბიბლიური მითების დემითოლოგიზაციას მივყავით ხელი, ხომ შევვიძლია ამავე პრინციპით მოვანდინოთ მსოფლიო ყველა მითისა და ლეგენდის დემითოლოგიზაცია? ამავე პრინციპით შეგვიძლია ავხსნათ ბაბილონური, ეგვიპტური თუ ასირიული თქმულებები, ოსირისისა და ისიდას, იშტარისა და მარდუქის მითები და ა. შ. მათაც ხომ შეიძლება ვთვალოდეთ ანალოგიური მეთოდით და შოგ ისეთი შინაარსი ჩადოს, რასაც ქრისტიანი ღვთისმეტყველები ვერა ხედავენ? რედოლფ ბულტმანის დემითოლოგიზაციის ლოზუნგს ალტაცებთ არც ოფიციალური ქრისტიანული რელიგია შეხვედრია, რადგან ეკლესიამ ამ თეორიაში ბიბლიის ავტორიტეტის შერახვის საფრთხე დაინახა.

საერთოდ, ბიბლიის გაგების საკითხში ოფიციალური ეკლესიის თანამედროვე პოზიციის თუ გადახედვად, აღმოჩნდება, რომ გარეგნულად თითქმის მასში არაფერი შეცვლილა, მაგრამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე გახშირდა ბიბლიის ავტორიტეტის ამაღლების ცდები. ეკლესიის მესვეურნი ცდილობენ ბიბლიის ღვთისთავაგონებულობის დოგმატის დაურღვევლად აიღონ ხელი ზოგიერთ ისეთ დებულებაზე, რომელთა მიმდებარე ემეს არ იწვევს. ვატიკანმა ბიბლიის დაცვის მიზნით 1902 წელს შექმნა მუდმივმოქმედი ბიბლიური კომისია, რომლის წინაშე დასვა საკითხი, მოხრებულად ვანეშარტა „საღმრთო წერილის“ ეკლესიისათვის არასასურველი ოდეოლები, რა თქმა უნდა, ბიბლიის ტექსტში პირდაპირ რაიმეს შეცვლა თეოლოგებს არ შეუძლიათ, მაგრამ პაპის უკანასკნელი ხანის ენციკლიკებში, აღნიშნული ბიბლიური კომისიის გადაწყვეტილებებში თუ სხვა საეკლესიო დოკუმენტებში ყურადღება მახვილდება იმ ფაქტზე, რომ ბიბლიური მოთხრობები ვანუთენილია ნაკლებად განვითარებული ხალხისათვის, ყურადღება მახვილდება ძველი აღმოსავლური ლიტერატურული ძარბების თავისებურებებზე, სემიტი ავტორების მიდრეკილებაზე, მიემართათ მეტყველების ჰიპერბოლური ფორმებისა და პარადოქსალური გამოთქმებისათვის, რომელთაც უფრო მეტი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინათ მორწმუნეზე. თეოლოგები ამ ფაქტებით ცდილობენ ახსნან ბიბლიური წინააღმდეგობანი.

ყველა ეს ღონისძიება და ნაბიჯი იმაზე მიგვიბრუნებს, რომ ოფიციალური ეკლესია დაე-

ნებით აღარ მოითხოვს „საღმრთო წერილის“ ტექსტის სიტყვა-სიტყვით გაგებას, რომ მას არსებითად აღარაფერი აქვს საწინააღმდეგო ბიბლიის ზოგიერთი, ეკლესიისათვის უხერხული ტექსტი ალეგორიულად იქნეს განმარტებული. მაგრამ ბიბლიაში არის ისეთი პუნქტები, რომელთაც კათოლიკური მიმართულება შეუვალ ქეშმარიტებმად თვლის და ამ პუნქტების ალეგორიულ განმარტებას ვერაფერით ვერ ურიგდება. ასეთ შეუვალ ქეშმარიტებად ითვლება:

1. დასაბამიდან ღმერთის მიერ ყველა საგნის შექმნა;
2. აღამიანის ცალკე შექმნა;
3. პირველი მამაკაცის ნაწილისაგან პირველი ქალის შექმნა;
4. აღამიანთა მოღმგის ერთობა.

ეს ქეშმარიტებები ჩამოყალიბდა 1909 წელს ზემოსხენებულმა ბიბლიურმა კომისიამ. უფრო გვიან, 1951 წელს რომის პაპმა პიუს XII ერთხელ კიდევ მოუყარა თავი ამ დებულებებს და ხაზი გაუსვა, რომ ეს ღვთიური ქეშმარიტებებია და მათი ალეგორიული განმარტება არ შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ჩიუტად ებლაუჭება თავის „ქეშმარიტებებს“, იგი მაინც იძულებულია ანგარიში გაუწიოს მეცნიერების სულ უფრო მზარდ მიღწევებს, რომლებიც ფარდას ხდიან ბიბლიური თქმულებების ყალბ შინაარსს. ასე, მაგალითად, ოფიციალური კათოლიკური ეკლესია უკვე აღარ ამტკიცებს, რომ სამყარო შექმნილი იქნა რამდენიმე ათასი წლის წინ, აღარ ამტკიცებს, რომ პირველი აღამიანი — აღამი თიხისაგან შექმნა ღმერთმა, აღარ იბრძვის ევოლუციის თეორიის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ მოასწავებს იმას, რომ ოფიციალურმა ეკლესიამ საერთოდ ხელი აიღო ანტიმეცნიერულ შეხედულებებზე და ინიციატივა მეცნიერებას დაეთმო. სრულებითაც არა! როდესაც საქმე რელიგიურ და მეცნიერულ დებულებებს ურთიერთობაზე მიდგება, ოფიციალური ეკლესიის იდეოლოგები მიუთითებენ, რომ მეცნიერება დამოუკიდებელია თავის ძიებაში, მაგრამ საბოლოო სიტყვა ყოველთვის ეკლესიას უნდა ეკუთვნოდეს, რადგან მხოლოდ იგია ღმერთისაგან მიღებული აბსოლუტური ქეშმარიტების მფლობელი. როგორც რელიგიის მკვლევარები აღნიშნავენ, ასეთი პოზიცია ბიბლიის მეცნიერულ კვლევაზე ფაქტურად უარის თქმას ნიშნავს. რაც შეეხება მეცნიერებასთან დამოკიდებულებას, თეოლოგები მას კვლავ თეოლოგიის მსახურის როლს აკისრებენ.

ასე თუ ისე, მიუხედავად განცხადებებისა, რომ ეკლესია გმობს „საღმრთო წერილის“ ალეგორიულ, სიმბოლურ თუ სხვაგვარ განმარტებას ოფიციალური სამღვდლოება თანამედროვე პირობებში იოლად ვერ გადის ბიბლიის ახ-

¹⁵ И. Крыжелев, Книга о библии, стр. 226.

ნის ასეთი მეთოდის გამოყენების გარეშე. ბუნებრივად ისმის კითხვა, არსებობს თუ არა იმის საფუძველი, რომ — „საღმრთო წერილში“ ვეძიოთ ფარული, ალგორითული ან სიმბოლიური აზრი? რატომ უნდა გავიგოთ ბიბლია ალგორითულად. იდეურად და არა პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით. როგორც ბიბლიის ათეისტი მკვლევარები აღნიშნავენ, არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ „საღმრთო წერილში“ გადმოცემული თქმულებები ალგორითულად ან სხვაგვარად გავიგოთ. საქმე იმაშია, რომ იმ პერიოდში, როდესაც ეს თქმულებები, მიფები და ლეგენდები იქმნებოდა, საზოგადოების აზროვნება ძალზე პრიმიტიული იყო, ამიტომ სრულიად გასაგებია, რატომ სწამდნენ ადამიანებს, რომ ადამიანი ღმერთმა თიხისაგან გამოჰქრწა, რომ სამყარო ექვსი დღის მანძილზე შექმნა, რომ პირველი ქალი პირველი მამაკაცის ნეკნისაგან შექმნა და ა. შ. უფრო გვიანდელ ხანაში, ეინაიდან ბიბლიის ტექსტის შეცვლა არ შეეძლოთ, სცადეს ამ პრიმიტიულ შეხედულებებში რაღაც განსაკუთრებული, მისტეკური აზრი ჩაედოთ. ამისათვის შევიადნენ ღმერთის ცნებისათვის მოეწორებინათ ყოველივე ის, რაც ისტორიული და ცხოვრებისეული იყო და სამკვივროდ მისთვის სულ სხვა შინაარსი მიენიჭებინათ.

მაგრამ რატომ უნდა გავიგოთ ბიბლია ისე, როგორც ამას ალგორითმის მომხრეები გვთავაზობენ და არა სხვაგვარად? მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ერთი ადგილი ბიბლიიდან, რომელსაც ყველა მიმართულებისა და ყველა ჯურის თეოლოგი ალგორითულად ხსნის. ლაპარაკია „საღმრთო წერილის“ ერთ წიგნზე — „ქება ქებათზე“:

„თუღანი შენნი ტრედ არიან, თვინიერ დუმილისა შენისა, თმა შენი ვითარცა არეუ თხათა, რომელნი გამოჩნდეს გალადისაგან, კიბლნი შენნი ვითარცა არეუ მორისულთა, რომელნი აღმოხდეს საბანელით, ყოველნივე ორთხორცნი, და ბერწი არა არს მათ შორის.

ვითარცა საბელი ძოწული ბავენნი შენნი, და ზრახვა შენნი შეუნიერო ვითარცა წაქურცენნი ვარდისა ვაშლი შენნი თვინიერ დუმილისა შენისა.

ვითარცა გოდოლი დავითისა ქედი შენი, რომელი აღშენებულ არს თალბოისთ, ათასი ფარი დმოკიდებული მას ზედა, ყოველი ისარი ძლიერთა.

ორნი ძქუშენი შენნი ვითარცა ორი თიჯანნი მარჩბინი ქურციკისანი რომელი სძოვდეს შორის შროშანთა.

ვიდრემდის დღესა შერიყურებდამე და არბდილთა შეძერად მივიღე თვით მთისა მიმართ მურისასა და ბორცვისა მიმართ ლიბანისსა.

ყოვლად შეუნიერ ხარ მახლობელი ჩემო და ბიწი არა არს შენთან“¹⁶

როგორც ვხედავთ მოყვანილ ციტატაში საკმაოდ ურცხვადაა აღწერილი შეყვარებული წყვილის ინტიმური ურთიერთობა. საკვირველია, რატომ უნდა გავიგოთ ეს საკმაოდ ნატურალისტური დახატული საბრუნავი ეპიზოდი ქრისტეს სიყვარულად ეკლესიისადმი? ძნელი გასაგებია, საკმაოდ უცნაურია, როცა შეყვარებული ვაგი (თეოლოგთა აზრით, ქრისტე) ალგორითული ლაპარაკებს ქალის (ეკლესიის) თმების, ყელის, კბილების, ამაღლებული მკერდის, მუცლისა და ფეხების შესახებ.

თავისთავად ცხადია, რომ მეცნიერების პოზიტივიდან თეოლოგთა განმარტება სრულიად მიუღებელია.

თუ თეოლოგები კვლავ იმითი გაიმართლებენ თავს, რომ ბიბლია უბრალო ხალხისთვის არის დაწერილი, ამიტომ არის მასში რელიგიური კუშმარტებანი მხატვრულ სახეებში გადმოცემული; მაშინვე გვბადება კითხვა: ნუთუ ყოვლისშემძლე ღმერთს არ შესწევს ძალა იმას მიადწიოს, რომ ადამიანებმა გაიგონ მის მიერ გადმოცემული კუშმარტებები. რელიგიური იდეოლოგიით, ხომ ღმერთი ყოვლისშემძლეა და მისი ერთი სურვილიც საკმარისია იმისათვის, რომ ყველაზე გაუნათლებელმა ადამიანმა ყველაზე დიდი სიბრძნე გაიგოს. თუ კი ღმერთმა თავისი აზრები მართლა ალგორითულ ფორმებში გადმოსცა, ამით უფრო დააზნია ადამიანი, რადგან მას მოქმედების სწორი გეგმის ნაცვლად გამოცანები და რებუსები შესთავაზა.

თუკი ჩვენ დავადგებთ ბიბლიის ალგორითულად ახსნის გზას, მაშინ ბიბლიაში სრულიად ვერაფერი გავიგებთ. ასეთი განმარტებისას ყოველგვარი საფუძველი იკარგება, ყველაფერი ხდება მერყევი და ცვალებადი, იქმნება უსაზღვრო თვითნებობის, „საღმრთო წერილის“ ნებისმიერი ახსნის შესაძლებლობა. ასეთ პირობებში კი ბიბლიის ტექსტის მეცნიერული შესწავლა ყოვლად შეუძლებელია.

შესაბამისად, როდესაც ბიბლიის თქმულებებს ვიხილავთ, ჩვენ უნდა გამოვიდეთ მისი პირდაპირი მნიშვნელობიდან და არა ალგორითული ან სხვაგვარი გაგებიდან. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია გავარკვიოთ „საღმრთო წერილის“ ნაღვლი, კუშმარტი აზრი.

ბიბლია მეტად რთული კომპლექსია, ამ წიგნში ერთმანეთშია გადახლართული ძველი აღ-

16 დაბადება (ბიბლია), წიგნი II, თბილისი, 1884 წ. დ, ა-ზ.

თეიმურაზ ფანჯიკიძე
ბიბლია გუშინ, დღეს, ხვალ



მოსავლეთის მიზეზი და ზღაპრები, სამატინო და ფოლკლორული თქმულებები, ძველი ლიტერატურისა და პოეზიის სახეები, ადამიანთა საზოგადოების ველურობის ეპოქის მაგიური შეთქმულებანი, მასში გვხვდება ისტორიული ქრონიკაც, კანონთა კოდექსიც, საყოფაცხოვრებო ამბავიც, ნოველაც, ლირიული პოემაიც. სხვადასხვა პიმენები და თვით სატირაც კი.

ეს ფორმები, უმრავლეს შემთხვევაში, გაყვნილია რელიგიური შინაარსით.

სხვადასხვა ლიტერატურული ფორმები და შინაარსი მიგვიითბებენ, რომ ბიბლიის „ღვთიური სულით“ გამსჭვალული ერთიანი წიგნი კი არა, არამედ მრავალი ადამიანის მიერ სხვადასხვა დროსა და ეპოქაში დაწერილი წიგნების კრებულს წარმოადგენს. რომ მასში აისახა საზოგადოების სხვადასხვა კლასისა და ფენის ინტერესები. ამიტომ ბიბლიაში ვხვდებით განსხვავებულ განწყობილებებს, შეხედულებებს, წინააღმდეგობებს, პრინციპებს, რომლებიც ერთმანეთს გამძობიცხვენ და სხვ.

ჟამთა სვლამ, საზოგადოებრივმა და მეცნიერულმა პროგრესმა ქვა ქვაზე აღარ დატოვა ბიბლიური მსოფლმხედველობიდან. ახლა სასაცილოდ გვეჩვენება სამყაროს შექმნის ბიბლიური სურათი, ბიბლიური სამართლებრივი კანონები თუ სხვა რელიგიური შეხედულებანი. მაგრამ, როგორც შესავალში აღვნიშნეთ. ბიბლიაში მარტო ღვთისმეტყველთა და მორწმუნეთა „წმინდა წიგნს“ როდი ვხვდავთ. თუ ბიბლიის რელიგიურ მხარეს არ მივიღებთ მხედველობაში, იგი კულტურის მნიშვნელოვანი, დიდი მხატვრული სიმღერით დაწერილი ძე-

გლია. „საღმრთო წერილი“ წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს, მასში მოცემულია არა მარტო ებრაელი ხალხის ისტორია, არამედ აღმოსავლეთის ხალხების ისტორიაც, განსაკუთრებით კი რელიგიის ისტორია. რასაკვირველია, როდესაც ბიბლიურ ტექსტებს წყაროდ ვიყენებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ აქ ისტორიული მასალა შეზავებულია მითოლოგიურთან, ამიტომ მათი გამოყენებისას მეცნიერები გულდასმით აცალკევებენ ისტორიულ ელემენტს ფანტასტიკურისაგან. მკვლევარები ისტორიულ მასალას იყენებენ, რათა აღადგინონ იმდროინდელი საზოგადოების კუმპარიტი ისტორიული პროცესი; რაც შეეხება ფანტასტიკას, მას იყენებენ როგორც ლიტერატურის ისტორიის, ისე რელიგიის ისტორიის კვლევისათვის.

ბიბლესტიკამ ბევრი რამ გამოიკვლია და აღადგინა. მართალია, დღეისათვის ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ნათელია ბიბლიის ტექსტში, მაგრამ „საღმრთო წერილის“ ძირითადი ნაწილი მიიწვება გარკვეული, ცნობილია ის წყაროები, რასაც ეყრდნობოდნენ ბიბლიაში შემავალი წიგნების ავტორები, ვიცით მათი დაწერის მეტად თუ ნაკლებად ზუსტი თარიღები და, რაც მთავარია, დამტკიცებულია მისი „ადამიანური“ წარმოშობა.

ბიბლიას ჩამოეცალა ღვთიური საბურველი, მაგრამ ამით მომხიბლაობა არ დაუკარგავს, იგი, როგორც კაცობრიობის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი, კვლავაც იქნება კვლევისა და ძიების საგანი.



იოზეფ კნეჰტის სიკვდილი

(პირმან ჰესეს რომანის „გლასპერლენშილის“ უკანასკნელი სცენის გამო)

იოზეფ კნეჰტის სიკვდილი მხატვრული თვალსაზრისით „გლასპერლენშილის“ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და შთამბეჭდავი სცენათაგანია. კიდევ მეტი: იგი აზრობრივადაც წარმოადგენს გმირის ფერისცვალების უმნიშვნელოვანეს მომენტს — ადვილს, სადაც ნაწარმოების თითქმის ყველა მოტივი იყრის თავს. ამიტომაც, ამ სცენის „გახსნას“ მთელი რომანის ვაგებისათვის კარდინალური მნიშვნელობა ენიჭება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „გლასპერლენშილის“ არც ერთი თემა, პრობლემა, მოტივი თუ სცენა არ ქცეულა თავის დროზე კრიტიკოსთა ისეთი ცხარე კამათისა და უთანხმოების საგნად, როგორც რომანის დასასრული. ახლა, როცა ნაწარმოები რუსულად ითარგმნა და ფართო მკითხველის საკუთრებად იქცა, ამ უთანხმოებამ საბჭოთა კრიტიკაშიც გადმოინაცვლა.

წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, თავისი წვლილი შეიტანოს იმ პოლემიკაში, რომელიც იოზეფ კნეჰტის სიკვდილის ირგვლივ წარმოიშვა, მეორეს მხრივ კი, იგი წარმოადგენს „გლასპერლენშილის“ ღირსი მხატვრული ინტერპრეტაციის და, ამ სცენის მაგალითზე, საერთოდ თანამედროვე რომანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული თავისებურების დადგენის ცდას.

უპირველეს ყოვლისა, შევეცადოთ მოკლედ აღვადგინოთ „გლასპერლენშილის“ დასასრული: ტიტო დესინიორისთან მთავარი ჩასულმა იოზეფ კნეჰტმა სისხამ დილით გაიღვიძა, წამოიხსნა საბანაო ხალათი, რომელიც საწოლის გვერდით აღმოაჩინა და უკანა კარიდან, ისე როგორც წინააღმდეგ ტიტომ ასწავლა, სახლიდან გავიდა. აგარაკი ტბის პირას იყო და ამიტომ კნეჰტი პირდაპირ მწვანედ მოლივლივ ტბის კლდიან და ხტიოვ ნაპირზე აღმოჩნდა. აქ მას

საბანაო კოსტუმში ჩაცმული ტიტო დახვდა, ირგვლივ საოცარი სიჩუმე სუფევდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო და საგრძნობლად გრილოდა. მაღალი მთები მრისხანედ დაჰყურებდნენ მათ შორის მომწყვდეულ პატარა ტბას, რომელიც ამ მსუსხავ ალიონზე პირქუში და მრისხანე ჩანდა. თუმცა ტბის ერთ მხარეს აღმართული მთის უკან უკვე იგრძნობოდა ამომავალი მზათობის სითბო. კლდის პირები ოქროსფრად კიაფობდნენ ქედს ამოფარებული მზის სხივებში. კნეჰტი და ტიტო გარინდებულნი უყურებდნენ ამ ღიად სანახაობას. და აი, უცებ ინათა: კლდის პირი, თითქოს დნებაო, გაავარარებულ ბურთთან შეხებისას ჩაიხნიჭა და ქედს იქიდან მზე ამოიწვერა. მთელს აქეთა ნაპირს, პატარა ქოხს, აგარაკს და წყალს შუქი მოეფინა. გათოშლ სხეულსაც ეამა ცხოველმყოფელი სხივები. ტიტო გაიხმობრა, მერე ხელები ამომავალი მზისაკენ გაიწვდინა და წელში მოიხარა, ისევ გაიმართა და ნელ-ნელა მთელი ტანით, დაიწყო რიტმული მოძრაობა, სამსხვერპლო როკვა, რომელსაც მოჭადრებული კნეჰტი თვალს ვერ აშორებდა. ყრმის ამ ცეკვაში თითქოს გარეგარეის მშვენიება, მზის მცხუნვარება და წყლის სიგრილე შერწყმოდა ერთმანეთს. ვაბუქის ნორჩი სხეული მაგური ფუნდრუკით ევებებოდა ახალი დღის დაწყებას, მოსალოდნელ ფერისცვალეებასა და ცხოვრების ახალ საფეხურს, რომელსაც ის უკვე კარგა ხანია შინაგანად გრძნობდა. იმის შეუგნებლად თუ რას ჩაიფიოდა, — ვკითხულობთ რომანში ტიტოს აღტყინებული როკვის შესახებ, — ყოველგვარი განსჯისა და ეჭვის გარეშე მოიმოქმედდა იგი, რასაც მისგან ნეტარი წამი მოითხოვდა, თამაშობდა თავისი აღტყეების ცეკვას, შეჰალაღებდა მაღლა მზეს, სხეულის თავდავიწყებულ მოძრაობითა და რჩე-



ვით გადმოაფრქვევდა სიხარულს, თავის სიოცხლის რწმენას. და თავის ღვთისმოსაობას და მოწონებას; ამაყსა და ამავე დროს მორჩილს ამ როკვით მსხვერპლად მოჰქონდა თავისი ღვთისწიერი სული, სწირავდა მას მზესა და ღმერთებს და არანაკლებ, სათავყანოსა და შიშისმომგვრელს, ბრძენსა და მუსიკოსს, მაგიური თამაშის ოსტატს, თავის მომავალ აღმზრდელსა და მეგობარს“. ცეკვიდან გამორკვეულმა ტიტომ უცებ კნეპტი შენიშნა და უხერხულობისთვის თავი რომ დაეღწია ტბისკენ გაქანდა. „თუ ჩქარა ვიცურებთ, მზეზე აღდრე გავალთ ვალმა,“ — მხოლოდ ამის შეძახება და მოასწრო და წყაბელი ვადაეშვა. კნეპტი სულაც არ აპირებდა ამ დილაღრიან ბანაობას, ძალაც არ ეჩროდა სეამისოდ, მაგრამ მოწოდება ერთობ ძლიერი აღმოჩნდა. ნებაჲ სძლია ინსტინქტს და ვლასპერლენშვილის ყოფილი მაგისტრი თავის აღსაზრდელს ვადაჰყვა. ტბა გლეტიჩრებიდან ჩამოსული წყლით იცეკვებოდა და შუა ზაფხულშიც კი მხოლოდ ძალიან გაჯაყებული კაცი თუ შეებედავდა აქ ბანაობას. კნეპტის სხეული უცებ სუსხმა შეზოჰვა და ის ჯერ კიდევ მაინძის შემცირებაზე ფიქრობდა თავისსა და ტიტოს შორის, რომ უკვე სიკვდილთან შებრძოლება მოუხდა. ტიტომ სულ მალე შეამჩნია მიძღვარის გაქრობა. სწრაფად გამოცურა უკან, ტანის გაღურებაზედაც ყვირთავდა, იმედი ჰქონდა, რომ მაინც იპოვიდა დამხრჩვალს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ღონემხიდილი ძლივს გამოლასლასდა ნაპირზე, იქვე კნეპტის საბანაო ხალათი შენიშნა და უნებლიეთ ტანის დახელება დაიწყო. „ვაიმე, ფიქრობდა სანაოწარკვეითი, მე ვარ მის სიკვდილში დამანაშავე!“ და მხოლოდ ახლა, როდესაც აღარავისთვის იყო საჭირო წინააღმდეგობის გაწევა და თავისი სიამაყის ჩვენება, გულისტკივილით იგრძნო, თუ რაოდენ უყარდა ეს კაცი. იგი, მოძღვარის სიკვდილში თავს სულ უფრო და უფრო დამანაშავედ თვლიდა, და ძრწოდა იმის წინათგრძნობით, რომ ეს დანაშაუნი თვით მის და მთელ მის ცხოვრებას გარდაქმნიდა და რომ სწორედ ეს ცოცხალ ამიერიდან გაცილებით მეტს მოსთხოვდა მას. ვიდრე თვითონ საკუთარ თავს. — ამ სიტყვებით მთავრდება ეს შესანიშნავი სცენა.

„გლასპერლენშვილის“ ფინალს კრიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ნაწარმოების სუსტ აღგულად მიიჩნევს. ისინი თვლიან, რომ იოზეფ კნეპტის სიკვდილი შემთხვევითი, ყოველ აზრს მოკლებული და სრულიად გაუმართლებელია — ლოკავურად არ გამოძღვინარებობს გმირის წინამავალი განვითარებიდან. როგორც ჩანს, ავტორმა არ იცოდა, როგორ მოეველო თავისი გმირისათვის და იძულებული გახდა მოეკლა იგი, ამბობენ ისინი. მათი აზრით, რომანის დასასრული ნაწარმოების მხოლოდ ნეგატიური და პენსიონისტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას

იძლევა. კნეპტის სიკვდილი შეიძლება გარკვეული, მხოლოდ, როგორც მისი მარცხი. ვარდა ამისა, ამ კრიტიკოსთა მიხედვით, რომანის ფინალი ფორმალური თვალსაზრისითაც ერთობ ნაკლებანია, რადგან კი არ კრავს ნაწარმოებს, არამედ უცებ წყვეტს და ლიად ტოვებს მას.

ასე, ედით ბრემერი, მაგალითად, „დი ნოუ შულე“-ში წერს, რომ იოზეფ კნეპტის თავისთავად უაზრო სიკვდილი საესეებით ლოკავური და კანონზომიერიცაა, რადგან არც ერთ კასტალიელს არ ძალუძს საზოგადოებაში ცხოვრება. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე ტ. მოტილოვიც „გლასპერლენშვილის“ უკანასკნელ სცენასთან დაკავშირებით ანალიოგური ინტერპრეტაციას გვაწვდის: „ეს შემთხვევითი და არსებითად უაზრო სიკვდილი, — შენიშნავს იგი, — აღნიშნავს იოზეფის დამარცხებას მოქმედებისა და პრაქტიკის საშუალოსთან პირველივე შეჯახებისთანავე“. მოტილოვიც აზრს იზიარებს ახალგაზრდა კრიტიკოსი ე. მარკოვიჩი, რომელიც „გლასპერლენშვილის“ რუსული თარგმანისადმი დართულ წინასიტყვაობაში წერს: „დამანაშაობებელია, რომ კასტალიელთა ერთადმურელო არ ცნობს ასეთ დასასრულს — მისთვის იგი მხოლოდ და მხოლოდ ლეგენდაა... მთავრი დისონანსით წყდება მუსიკალური თემა — კნეპტის გზა. გმირი უაზროდ იღუპება მალაღმთიანი ტბის ტალღებში. ჩვენ ფაქტურად ისიც კი არ ვიცით, მიაღწევს თუ არა იგი წარმატებას თავის სარბიელზე.“ ამავე გამოცემისადმი მიძღვნილ რეცენზიაში მარკოვიჩს კვერს უტრავს პერმან პენსეს შემოქმედლების მოსყოფილი სპეციალისტი ვლადიმერ სედლენიცი, რომლისთვისაც გმირის სიკვდილი აგრეთვე ყოველ აზრს მოკლებულია. მსგავსი დასკვნები კიდევ მრავლად შეიძლება მოგვეყვანა.

ამ კრიტიკოსთა პასუხად, პირველ ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კნეპტის სიკვდილი არ არის მხოლოდ უბედური შემთხვევის და ნაქტარება ვადაწყვეტილების შედეგი, რომ იგი არ წარმოადგენს მთლიანდნელობას და შემთხვევითობას არც იოზეფის ბიოგრაფიისა და, მით უმეტეს, არც ნაწარმოების ავტორისთვის. იგი რომანის მთელი მსკვლელობითაა შემზადებული. ერთადმურეული თხრობის პირველ გვერდზევე მივივითითებ, რომ გმირის სიკვდილი აუთენტური დოკუმენტით არაა დადასტურებული, მაგრამ ის, რაც ვადაცემითაა ცნობილი, მისი აზრით, კნეპტის ცხოვრების ორგანულ ვაგარძელებას და უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენს. „ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, — წერს იგი, — მაგისტრის დასასრული შემთხვევითობას მივაწერით. იოზეფ კნეპტის ცხოვრება, რამდენადაც იგი ცნობილია ჩვენთვის, საფეხურებრივადაა აგებული და თუკი ჩვენ

მისი სიკვდილის ვარაუდში ჩვენსავე ნების ევროტლებით ლეგენდას და მოწიწებით გადმოვიღებთ მას, ეს მხოლოდ იმპიტომ, რომ ლეგენდაში მოთხრობილი ამბავი გვესახება ამ ცხოვრების უკანასკნელ საფეხურად, რომელიც სავსებით უკანასკნელად წინმავალი. უფრო მეტიც, ჩვენ ვალიარებთ, რომ კნეპტის ცხოვრების ლეგენდაში გადასვლა სავსებით ორგანულად და სწორად მივგანჩნია. მოქმედების მსეულობაში ფაქტობრივად განმარტობით უსვამს ხაზს ამ აზრს: „ასეთი დასასრული შემთხვევითობა, ან უბედური შემთხვევა კი არ იყო, კნეპტის ცხოვრების სავსებით კანონზომიერ დადგირგვიენებას წარმოადგენდა და; უნდა ითქვას, რომ ჩვენი ამოცანა, სხვათა შორის, იმის ჩვენებაშიც მდგომარეობს, რომ ეს დასასრული არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება პატივცემული მავისტრის ბრწყინვალე და სახელოვან საქმეებს და წარმატებებს“. თვით ჰერმან ჰესე კი 1944 წლის ერთ-ერთ წერილში შემდგენიარად ხსნის „გლასპერლენშვილის“ ბოლო ეპიზოდს: „კნეპტის სიკვდილი, რა თქმა უნდა, მრავალგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მისი განმარტება როგორც მსხვერპლისა, რომელსაც გმირი მამაკურად და მზიარულად გაიღებს. გმირის სიკვდილი მე ყრმა ტრტის აღზრდის შეწყვეტად კი არ მიმაჩნია, არამედ მის დაგვირგვინებად და მიზნის შესრულებად“.

როგორც ამ გამოთქვამებიდან ჩანს, კნეპტის სიკვდილი არამც და არამც არ შეიძლება შემთხვევითობას მივაწეროთ, ანდა გვირის და-მარცხება დაეინახოთ მასში. თუმცა, რა თქმა უნდა, ერთია ავტორის სუბიექტური განზრახვა, სცენის პირველადი მიზანდასახულობა და სულ სხვაა შინაარსი და მნიშვნელობა, რომელიც ობიექტურად გამოდინარეობს ნაწარმოებიდან, ჰეუფ თონ ჰოფმანსილი ავი ავტორის სა-ეთვარი შემოქმედების ყველაზე უფრო სუსტ ინტერპრეტატორად თვლის.

„გლასპერლენშვილი“ ორპლანოვანი ნაწარმოებია (რომანს გარეგანი და ფაქტობრივის გარდა გაანჩნა შინაგანი და სიმბოლური პლანიც), რის გამოც ცალკეულ სცენათა ჰეშმარტი მნიშვნელობის დადგენა გარკვეულ სიმწლევეთაანა და-კავშირებულ — სახელოვან, იგი მოითხოვს (ეინაიდანაც რომანის არსი და მნიშვნელობა სწორედ შინაგანი და გადატანითი პლანთ გა-ნისაზღვრება) ნაწარმოების ხატოვანების, სიმბოლიკის, მოტივური სისტემისა და თვით ლექსიკური მასალის ზედმიწევნით ცოდნას. და ესეც არ არის საკმარისი. საჭიროა ჰერმან ჰესეს მთავალი შემოქმედების იდეოგრაშიკის გათვალისწინება, რადგან ჰესესთან ცალკეულმა სიტყვებმა დროთა განმავლობაში დაკარგეს თავისი პირველადი მნიშვნელობა და გარკვეული ცნებისა და მოვლენის აღმნიშვნელ იდეოგრაშიად იქნენ.

ყველა ამ მომენტის გათვალისწინებას კი, თავის მხრივ „გლასპერლენშვილის“ ფინალის სრული-ად ახლებურ გაგებასთან და საპირისპირო დასკვნასთან მიუყვართ, ვიდრე ზემოხსენებულ კრიტიკოსები ვთავაზობენ.

როგორც ცნობილია, „გლასპერლენშვილის“ კომპოზიცია, აზრთა წყობა, თემათა და მოტივთა განხეთარება და ცალკეულ წინადადებათა შეფერილობაც კი ძველი ჩინური აზროვნების ძლიერ გავლენას განიცდის. განსაკუთრებულ მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით ენიჭება ჩინური მისტიკისა და ნატურფილოსოფიის ერთ-ერთ ძირითად დებულებას სამყაროს ბიპოლარობის, ანუ ორი პირველადი ძალის — ინის და იანგის წინააღმდეგობისა და ურთიერთგანპირობებულობის შესახებ! — ლოგმატს, რომელიც არა მხოლოდ განსაზღვრავს რომანის სიმბოლიკასა და აგებულებას, არამედ თვით ჰერმან ჰესეს აზროვნების თავისებურებასაც განაპირობებს.

„გლასპერლენშვილის“ მხატვრულ ქსოვილში ინი და იანგი იმ ორ მუსიკალურ თემას და მელოდიურ ხაზს შეადგენენ, რომელთა ურთიერთიმარტება და თანაქღერალობა მთელი ნაწარმოების მელოდიკის განსაზღვრავს. ამიტომაც უკანასკნელი სცენის სიმბოლიკა და ხატოვანებაც ჩვენ ამ ძირითადი დაპირისპირების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მაგრამ ვიდრე უშუალოდ დასკვნითი ეპიზოდის და მისი იდეოგრაშიკის ანალიზს შევეუდევებოდეს, მინდა მეოთხედის ყურადღება მივაქციო ერთ საგულისხმო დეტალს, რომელიც რომანის დასასრულის ამოხსნაში დავეცხმარება.

ნაწარმოების ფინალი, როგორც ეს ყოველიც ყურადღებანი მითხვლისთვის ადვილი შესამჩნევია, ჯერ კიდევ კნეპტის „უფროს ძმასთან“ შეხვედრის ეპიზოდშია წინასწარ მინიშნებული. აქვეა წარმოდგენილი ის ორივე ძირითადი ელემენტი, რომელთა ურთიერთმოქმედებაც ფინალური სცენის ხატოვანებას განაპირობებს. მოვიტან ერთ წინადადებას ახალგაზრდა გლასპერლენშვილის ჩინელ განდეგილთან შეხვედრის ეპიზოდთან: „დლით ადრე კნეპტი წყლის გარს მიიღა და ოქროს თევზებს მიუღდა. დიდხანს ჩასკეპროდა ბნელისა და ნათელისაგან შემდგარ, კადოსნური ფერებით მოეღვარე პატრია გრილ სამყაროს, სადაც ლურჯ-მწვანე და

1 ინი, როგორც ვიცით, არის ბნელი, უარყოფითი, დახურული, მიწიერი რეციპიციენტი და ქალური საწყისის განსახიერება; იანგი ნათელი, დადებითი, ღია, ციური, ღონიერი და მამაკაცური საწყისის განსახიერებაა. მათი შემოქმედი ურთიერთმოქმედება წარმოშობს სამყაროს მთლიანობას.

რეპეზე შარალაშვილი
იოხაძე კნეპტის სიკვდილი



მელნისფერ სინელებში ოქროსფერი სხეულები ირხეოდნენ და დროდადრო, სწორედ მაშინ, როდესაც მთელი სამყარო მოჭადლოებული და სამუდამოდ მიძინებული ჩანდა, ისე რომ თითქოს ღრმა ზმანებელიან გამორეკვევა აღარ ეწერა, ისინი წყნარი და ელასტიური, მაგრამ მაინც დამაფრთხილებელი მოძრაობით ბროლისა და ოქროს ნაბერწყლებს აფრქვევდნენ ძილის სამეფოში.“

პირველ ყოვლისა, მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო იმ გარემოებას, რომ ჰესეს სიმბოლიკურ ტერმინოლოგიაში „დილა“ განახლებასა და ახლის წამოწყებას ნიშნავს („უამი სინორჩისა, ახლის წამოწყებას და ახალგაზრდულ მხიარული სწრაფვისა“) და უმეტეს შემთხვევაში ადამიანის იმ ფსიქიკურ მდგომარეობასთანა დაკავშირებული, რომელსაც მწერალი „გამოღვიძებას“ უწოდებს. ამრიგად, ის დეტალი, რომ აღნიშნული ეპიზოდი დადოთ ვითარდება, ერთის მხრივ, კონკრეტულად ჰაბუთი კნეპტის ცხოვრების ახალ საფეხურზე მიგვიითოებს, მეორეს მხრივ, კი მიგვანიშნებს გმირის უკანასკნელი ფერისცვალების (რომელიც აგრეთვე დილით ხდება) ხასიათზე. აღსანიშნავია, რომ გლასპერლენშპილის მაგისტრის სიკედილის სცენაში დილის მომენტი სავანებელია წინ წამოწეული და მრავალგზისა ხაზგასმული: კნეპტი „დილით ადრე“ დგება, მისი ქედი „დილის კამკამა და გრილ ცაშია“ შეპურილი, მთავარეხილის მიღმა „ცა დილის სინათლეში დედაეს“, ტიტოს როკეა „დილისა და მზის მისალმების როკეა“ და ა. შ.

თევზების ტბორზე „უფროსი ძმის“ ეზოში ნათქვამია, რომ იგი „პატარა გრილ სამყაროს“ წარმოადგენდა, რაც აღნიშნული ხატის მარადისობისაკენ მიმართებაზე მეტყველებს („გრილი“ ჰესესთან ჩვეულებრივ სულისმიერისა და მარადილეთის ექვივალენტური ცნება) — გარემოება, რომელიც ციტირებული ნაწყვეტის ერთ-ერთ მომდევნო წინადადებაშიცაა ხაზგასმული: „ისინი... დიდხანს ისხდნენ დილის სიჩუმეში და ყურის უგებდნენ წყლის პატარა ნაყლის ჩჩრინალს, მარადისობის მელოდიას“. ამ სიტყვის სიმბოლიკასთან დაკავშირებით შეგვიძლია გაიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ „ტრამპალებს მგელში“ მოკატრის ნაწნავს ჩაბლაუქებული პარი ჰალერი ვერ უძლებს სულისა და მარადისობის გამყინავ ატმოსფეროს და მიწაზე ენარცხება („ემშამკმა წილის, ეს როგორ ჰყინავს ამ ტილ ქვეყანაში. ეს უყვადნი ყინულით ცივ ჰაერს იტანე“); „ნარცისა და გოლდფუნდში“ ნარცისის (პერსონაჟის, რომელიც სულიერი პრინციპის პერსონიფიკაციას წარმოადგენს) ირგვლეკეთილშობილების ცივი ატმოსფეროა („... ხოლო მისი სინატიფე ვარს ევლო მას, ვით გამყინავი ჰაერი“); მოთხრობაში „მოგზაურობა და-

ლის ქვეყნისაკენ“ სულის მსახურთა მთავრობის კავშირის ბეჭედი სიგრილეს გამოასხივებს („დავინახე თუ არა ბეჭედი, ვიგარძენი თუ არა ლითონის სიგრილე თითზე...“); და ბოლოს, თუთა „გლასპერლენშპილი“ სიტყვა „ცივი“ და „გრილი“ მხოლოდ იქ გვხვდება, სადაც სულზე და სულიერობაზეა ლაპარაკი. რომანის ბოლო სცენის კითხვისასაც პირველი შთაბეჭდილება, რომელიც გვეუფლება არის სიცივის შეგრძობება: გრილია დილის ცა; ტბის მეორე მხარეს აღმართული ქედი „მთელ არემარეს მყევთ და ცივ ჩრდილს“ ჰყენს; ცივია ტბის გარემომოცველი ველიც („ცივი და პირქუში ხეობა“) და საერთოდ მთელი მალაღმთიანი გარემო სიცივეს გამოასხივებს („მთიანი მხარის სიცივე და აღმატებული უკარებლობა“, მისი „ცივი სილიადე“ საგანგებოდაა ხაზგასმული მიხრობელის მიერ); იოზეფ კნეპტიც მალაღმთიანი ტბის გაყინვაც ტალღეში იღუპება, ეს არის გარემოება, რომელშიც ორი დეტალია ყურადსაღები. პირველი ის, რომ ტბის წყალი ცივია, რაც კნეპტის გარდაქმნის სულიერ ხასიათზე მოგვანიშნებს; მეორე კი ის, რომ გლასპერლენშპილის მაგისტრი, ისევე როგორც ჰანს ვიბერნატი, მოხელე კლავინი და გოლდმუნდი, წყალში იღუპება. წყალი კი, როგორც ცნობილია, უკვდავებისა და მარადიული ფერისცვალების შეუცნობელისა და ბნელი ფსიქეს სიმბოლოს წარმოადგენს, რაც კნეპტის დასასრულის მხოლოდ პოზიტიური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნულ მომენტთა („დილის“, „სიცივის“ და „წყლის“) ასეთი წინ წამოწევა გვიჩვენებს, რომ კნეპტის მეტამორფოზა ამ სცენაში უმაღლეს საფეხურს აღწევს და ტრანსცენდენტულურში, ანუ როგორც თვით მწერალი იტყოდა, „სულის საბრძანებელში“ გადადის (იმ მხრივ იმანდობლობია, რომ ეპიზოდის განვითარების ადგილს ბელონტი — ლამაზი ხიდი — ეწოდება). ამრიგად, საქმე გვაქვს არა მხოლოდ ჩვეულებრივ ემპირიულ ეპიზოდთან, არამედ მისტერიასთან, რომლის მაგიერო შინაარსი მკითხველისთვის მხოლოდ მასში ხდება ნათელი, როდესაც იგი ბოლომდე გაიცნობიერებს ნაწარმოების სიმბოლიკას.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ კნეპტის „უფროს ძმასთან“ შეხვედრის ეპიზოდს, რომელიც გარკვეულად ნაწარმოების ფინალის ვასალებად შეიძლება იქნას მიჩნეული. როგორც გვახსოვს, თევზების ტბორის ხატით წარმოდგენილ მარადისობის სამყაროზე აქ ნათქვამია, იგი „ბნელია და ნათელისაკენ“ შედგებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმის ვითარებით მივიჩნევლობა „ბნელია“, იანგის კი „ნათელი“, დავინახავთ, რომ ამ შენიშვნით თხრობაში ორი უმნიშვნელოვანესი ელემენტია შემოტანილი, ორი პოლუსი, რომელთა ურთიერთმოქმედებაც შემ-

დღომში დასკვნითი სცენის მთელ კოლორიტს განსაზღვრავს. მაგრამ ხატის „ბიპოლარული ხასიათი“ ამ დეტალით არ ამოიწურება. ნათელი და ბნელი სამყაროს დაპირისპირებული პოლუსები შემდგომში წარმოდგენილი არიან ერთის მხრივ, ოქროს თევზების ელვარებით, ხოლო მეორეს მხრივ, — მომწვანო-მოლურჯო წყლის სიმბოლით. თუ ამ უკანასკნელს ნაწარმოების ფინალში მაღალმთიანი ტბის წყალი შეესაბამება, ოქროს თევზის ადგილს მზის გაეარვარებული ბურთი იკავებს. მაგრამ ამავე დროს თევზის ფუნქციები, გარკვეული თვალსაზრისით, კნექტუე გადადის (ვერ კიდევ „უფროს ქმასთან“ შეხვედრის სცენაში ჩინელი განდევილი მიმართავს კნექტს შეკითხვით, არის თუ არა იგი მზად მის მიმართ მორჩილება გამოიჩინოს და ისე ჩუმად იყოს, „როგორც ოქროს თევზი“, რაზეც ჰაბუტი თანხმობას აცხადებს. ამის შემდეგ ნათქვამია, რომ კნექტი „ოქროს თევზით გაყუჩებული“ თვალს ადევნებდა ორაკულის გამოქვითვის ცერემონიალს). ეს გარემოება სულაც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე დებულებას, თუ ვაითვალისწინებთ, რომაე უკანასკნელ სცენაში ნაწარმოების გმირი მზესთან არის გაიგივებული. „თევზები“, ვეითხულობთ ჩუანგ-ძეს ერთ-ერთ პარაბოლაში, „წყალში ნავარდობენ. ადამიანი ტაოში იფურჩქნება. თუ თევზს ტბორს მიუჩენ, საყვების შოვნა არ გაუჭირდება. თუ ადამიანი ტაოს მიაღწევს, ქმედება აღარ სჭირდება — იგი ისედაც უზრუნველყოფილია. ამიტომაც იტყვიან ხოლმე: როგორც თევზისთვისაა წყალი ყველაფერი, ისე ადამიანისთვის ტაო.“ თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული მონაკვეთი ამ თქმის პირველი ნახევრის ხატადქმანს წარმოადგენს, მაშინ, როდესაც დინალური სცენა მეორე ნახევრის შეესაბამება. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე მომდევნო სცენათა გარკვეულ პარალელიზმზე შეიძლება ლაპარაკი, სადაც პირველი ეპიზოდი შენიღბული სახით მეორეს გახსნასა და ინტერპრეტაციას შეიცავს. კნექტის უკანასკნელ ფერისცვალეობაზე გადატანილი ზემოთმოტანილი წინადადების ბოლო ფრაზა არაჩვეულებრივად დიდ მნიშვნელობას იძენს: „... სწორედ მაშინ, როდესაც მთელი სამყარო მოქალაქეებული და სამუდამოდ მიძინებული ჩანდა, ისე რომ თითქოს ორმა ზანებებიდან გამოჩვევა აღარ ეწერა, ისინი წყნარი და ელასტიური, მაგრამ მინც დამაფრხობელი მოძრაობით ბრძოლისა და ოქროს ნაპერწყმებს აფრქვევდნენ ძილის სამეფოში.“

ჰესეს შემოქმედების მოყვარულთათვის ცნობილია, რომ „ოქრო“ მზის ელითეტი და ზემორიონული, ტრანსცენდენტული არსებობის აღმნიშვნელი ცნებაა (შდრ. „ოქროს კვალი“ „ტრამალების მგელში“); „ძილი“ — „არ გამოღვიძება“ და უმანკო, მწერლის გრადიციით, პირველი

სახეხურის არსებობას ნიშნავს. ამდენად, თუ ნაწარმოების ფინალს აღნიშნული ფრაზის სიმბოლიკით მივეუდგებით, იგი წარმოგიდგება მისტრიად, რომელიც გვაგონებს წამიერ გაულეებას მოველემარე სამყაროს ცის კამარაზე.

იოზეფ კნექტის სიკვდილის სცენაში ნაწარმოების ბიპოლარული სიმბოლიკა მთელი თავისი მრავალფეროვნებით იმლტა. ეპიზოდი იწყება მაღალი მთაგარეხლის აღწერით, რომლის ერთი, მთხრობელისთვის უჩინარი მხარე, მზითაა ვანათებული, ხოლო მეორე, ტბისპირა კალთა, ჯერ კიდევ ჩრდილშია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იანსა და იანგს პირველადი მნიშვნელობა მთის განაეხებულ და დაჩრდილულ მხარეებს შეესატყვისება, დავინახავთ, რომ უკვე ექსპოზიციკა შეიცავს მინიშნებას უკანასკნელი სცენის ორნიშნაობაზე.

სცენის ხატოვნების აგებაში მთხო ძირითადი ელემენტი, ანუ ორი ბიპოლარული წყვილი იღებს მონაწილეობას: ცა (პერი), დედამიწა (მთა), მზე (ცეცხლი, სინათლე, სითბო) და წყალი. ოთხივე ელემენტი თხრობის პირველივე მონაკვეთშია წარმოდგენილი: „მის წინ გადამალიკო პატარა ტბა, რომლის მომწვანო-მონაცრისფერო ზედაპირი სრულიად უმოძრაო იყო; მეორე მხარეს აღმართულიყო მაღალი ფრიალი კლდის კალთა მჭრელი და დაკბილული ქედილი, რომელიც თითქოს შეჭრილიყო დილის კამკამა და გრილ ცაში და მთელ არეშარეს მკვეთრ და ცივ ჩრდილს ჰვეუნდა. მაგრამ ამავე დროს, ქედის მიღმა უკვე იგრძნობოდა ამომავალი მზე...“ შემდგომში ჰესე ბიპოლარობის ორი წყვილიდან უპირატესობას წყლისა და მზის დაპირისპირებას ანიჭებს. ამათგან, პირველი ინს შეესაბამება, მეორე — იანგს. თხრობაში თადაპირველად მზის მტკივი პრეკალირებს. იგი დაახლოებით ორი გვერდის მანძილზე მუშაუდება. ვიდრე მომდევნო ნაწილში ელემენტთა დაპირისპირება მათ ერთიანობას არ უთმობს ადგილს. ეს ერთიანობა გადმოცემულია როგორც ხატოვანი, ასევე ლინგვისტური საშუალებებით. ასე, მაგალითად, მზის და სინათლის ქმედებანი და აგრეთვე მათი მოქმედების შედეგები ტექსტში გადმოცემულია თხველი სხეულების მოქმედებათა, მდგომარეობათა და თვისებებათა აღმნიშვნელი სემანტით. ჯერ კიდევ ეპიზოდის აღმწყისში აღწერილია, თუ როგორ უნდა ამოვიდეს დაკბილული ქედის მიღმა მზე, რომლის „შუქიე მოზღვავეებული ნაკადივით შეავსებს მაღალმთიან ეელსა და ტბას (überflutet)“. შემდგომში დაპირისპირებულ ელემენტთა ასეთი შერწყმა, მათი სინთეზი (გავიხსენოთ თუნდაც, თუ როგორ „გამდნარი ლითონივით“ „ჩაიზნიქება — მთის ქე-

რეპაზუ პარალაუზილი
 იოზეფ კნექტის სიკვდილი



დი, როდესაც მის უკან მზე ამოვა) „მღელვარე და კაშკაშა ელემენტებისადმი“ ტიტოს შინაგანი თანაზიარების გამოხატველ ცეკვას იწვევს — ხატს, რომელშიც უკვე ოთხივე პლნიშენული ელემენტი მონაწილეობს: „ფეხები ალტაცებულ ყრპას ძღვევათსილი მზისკენ მიაქანებდნენ... ვაშლილი ხელებით იგი თითქოს მთის, ტბისა და ცის გულში ჩაყვრას ლაობდა, მუხლმოდრეკილი დედაშიწას თვავყენებოდა, ხელების ვაშლით კი ტბის წყალზე ესალმებოდა, თითქოს თავის თავს თავის სიყმაწვილს, თავის თავისუფლებასა და ძლიერ ცეცხლად ავიზვიზებულ სიცოცხლას ტრფიალს, ვით საზვიამოსხვევრბლს სწირავდა საწყაროს ძალეს...“ სამსხვერპლო როკვის შემდეგ ჩვენ კნეტსა და ტიტოსთან ერთად, რომელნიც „აღმოსავლეთიდან მომდინარე შუქით განაზილინი“ დგანან ტბის პირას, მომსწრენი ვხვდებით ინის და იანგის დიდი შვიროებისა: ქედს უკან ამოდის ღღის მნათობი, რომლის სხივებიც სულ უფრო და უფრო იპყრობენ მანამდე მთის ჩრდილით დაფარული ტბის კამკამა ზედაპირს. და ბოლოს, კნეტის დალუპვის აღწერაში ელემენტთა ეს ერთიანობა კიდევ ერთხელაა ხანჯანსული (მაღალმთიანი ტბის გაყინაივი ტალღები („ცეცხლის ალივით მოედებთან“ კნეტს).

იოზეფ კნეტტი მხოტო განათებული ნაპირიდან ტბის ჩრდილიან მხარისკენ მიცურავს. ჰოლდერლინის ემპედოკლესავით ის ბუნებაში განხვევბას, ბუნების ბნელი ძალების წვდომას ისწრავვის, რადგან, როგორც მართებულად შეინიშნავს ანერიკელი მეცნიერი პ. ბ. გონტრუმი, „სიყვანის მომენტისთვის კნეტტი მხოლოდ წმინდა სულიერობის განსახიერებას კი არ წარმოადგენს, არამედ საწინააღმდეგე პოლუსისკენ მსწრად აღამიანია“. კნეტის სიყვანილი მალამიანნი ტბის ტაბლებში გვირის საწყაროს ერთიანობაში დაბრუნების და ტრანსცენდენტული არსებობის სფეროებში გადასვლის გამოხატულებაა. მაგრამ ამავე დროს, ემპირულ პლანში იგი სრულყოფილი აღამიანის ცხოვრებიდან გამოთიშვას, მის არსებობის შეწყვეტას კი არ წარმოადგენს, არამედ პირიქით ტიტოს სახით ამ არსებობის შემდგომ გაგრძელებას ვარაუდობს. აქაა სწორედ საძებნი კარდინალური განსხვავება კნეტსა და ემპედოკლეს შორის. მაშინ, როდესაც ჰოლდერლინის გვირის თვითმკვლევრობით წერტილს უსვამს საკუთარ განვითარებას, კნეტის სიყვანილი და ერთარსში დაბრუნება შემდგომი განვითარების ნიშნით ხდება.

იოზეფ კნეტტი სიყვანილი მარადიულობას ეზიარება. „ტრამალების მგლის“ კატეგორიებით რომ ეიმსკვლით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კნეტტი ანდროგიული სრულყოფისაკენ ისწრავვის, რომლის პერსონიფიკაციასაც ტიტო წარ-

მოადგენს.¹ ამითაა გაპირობებული ჰომოეროტული ელფერი, რომელიც დაკრავს მთელ სცენას და რომელსაც თომას მანიც აღნიშნავს. „მისმა სულ ცოტა ხნის წინ ასაკს მოკლებულმა და ნილაბივით მკაცრმა სახემ უკებ ბავშვური და სულელური გამომეტყველება მიიღო...“, კეთიხლოობით ტიტოს შესახებ. მხოლოდ ერთი სიტუა — alterslos (ასაკს მოკლებული) მიგვიითმებს, რომ ტიტოს ვერ კიდევ არ მომხდარა პერმანენტულიტული ჰარმონის დარღვევა, დისონანსურსა და ცალმხრივი განვითარება. მაგრამ სულ ცოტა ხნის შემდეგ ამ მოლიანობას მასში ენტროპის სიყვანილი დამხსნერებს და ტიტოც ერთ წამში საწყაროს პირისპირ აღმოჩნდება. უბრალო, რა თქმა უნდა, არაა იურიდიულად მასწავლებლის დალუპვაში აღმანაშვე, მას მორალური თვალსაზრისითაც არ მიუძღვის ბრალი თავდატეხილ ტრავედიამო, მაგრამ იგი აღმანაშვეა რელიგიურ-რონთოლოგიური თვალსაზრისით. გარიერაზე დატრიალებული უბედურება ერთი დარტყმით გამოიყვანს ტიტოს ნეტარი მდგომარეობიდან, გამოაშვიდობებს უმანკო ბავშვობას და თავის არსებობას აღმოაჩენინებს. იგი პირველყოღდას და კაცად ყოფნის დანაშაულს შეიგრძნობს, რომელიც ამიერიდან განსაზღვრავს ყმაწვილის დისონანსურსა და მამაკაცურში განვითარების პასუხისმგებლობით აღსავსე გზას (ტექსტში ტიტო დესინოზობის გარდაქმნა და ახალ საფეხურზე გადასვლა რამდენიმე შტრიხითაა მინიშნებული. მთხრობელი ვერ ტიტოს აღტიერებულ ცეკვასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ იგი უბრალოდ იმერ მომავალი ფერისცვალების შეგრძნებიდან იშვაო; ცეკვის დამთავრების შემდეგ ტიტოზე ნათქვამია, მან დამთრობელი როკვიდან „გამოიღვიძა“ (erwachte); და ბოლოს, ვიდრე წყალში გადაეშვებოდეს, ტიტო ღრმა ძილიდან გამოკვეულ აღამიანსა

¹ პერმან პესეს მიხედვით, აღამიანი თავისი შინასულიერი განვითარების პირველ საფეხურზე ანდროგიულ მთლიანობას წარმოადგენს და ბავშვის პარმონიულ და უმანკო არსებობას ეწევა. დეაქეციებასა და პირველყოღდის შეცნობას მოჰყვება დიფერენციაცია და აღამიანის ცალმხრივსა და დისონანსურში განვითარება, რომელიც თითქმის ყოველთვის სასწარკვევით მთავრდება. აღამიანად ქმნადობას უმალღესი — ზედროითი და პერმანენტული — საფეხური უფრო მაღალ დონეზე პირველს განმეორებას წარმოადგენს. მას მხოლოდ სრულყოფილი (ისინი, რომელთაც შესწევთ საკუთარი ბუნების დიონისური და ანონიური მხარეების პარმონიული ურთიერთშთანხმების უნარი) აღწევენ. ასეთ სრულყოფილ პესეს გოეთე ეხსება. და ამ ანდროგიული სრულყოფისკენაა რომ ისწრავვის იოზეფ კნეტტიც.

შედარებულს). ამ თვალსაზრისით კნექტის სიკვდილი ტიტოს „გამოღვიძების“ აუცილებელი წინაპრობა იყო. მსხვერპლმა სასურველი შედეგი გამოიღო — სულიერი ტრადიციის უწყვეტელობა შენარჩუნებულ იქნა!

ემპირიულ პლანში კნექტის სიკვდილი ტრავმადიას წარმოადგენს. გმირის სურვილი მზარი ავბა მოწაფისათვის, არ გაეკრუებინა მოლოდინი, მის ძალეხსა და შესაძლებლობას აღემატებოდა, კნექტის გადაწყვეტილება იმთავითვე იყო განწირული. მაგრამ სამაგიეროდ გადატანით პლანში იგი უკუდავთა სამყოფელში ხელთდასმასა და ჰერმეფროდიტული სრულყოფის მიღწევის მაგიურ აქტს წარმოადგენს (რახეც დასკვნითი სცენის ბიოლარული სიმბოლიკაც მეტყველებს). იმ მსხვერპლით, რომელსაც გაიღებს კნექტი და რომელიც „მსახურების“ იდენს უმაღლესი გამახატულეაა, იგი გაარღვევს ემპირიული სამყაროს საზღვრებს და ლეგენდარულ სივრცეებში გადაღებება. ამრიგად კნექტის სიკვდილი წარმოადგენს სასწაულს, რომლის წყალობაც, ჰესეს მიხედვით, მოკვლევი ადამიანის გონებას არ ძალუძს და რომლის რაციონალური პოზიციიდან მხოლოდ ვარაუდი და წარმოდგენა შეიძლება და არა დასაბუთება.

როგორც ვხედავთ, რომანის ფინალური სცენა

1 აღსანიშნავია, რომ კნექტის „უფროს ძმასთან“ შეხვედრის ეპიზოდი, რომელიც ქარავმისა და მინიშნების სახით მთელ დასკვნით სცენას მოიცავს, სათანადო ხატით ტიტოს ვარდაქმნასაც ასახავს. „უფროსი ძმა“, როგორც რომანის დან გახსოვს, მას შემდეგ რაც გამოისი სამკითხავი ჩიხრებს და მაგიურ წიგნს, მიუღებელი ნიშნების მნიშვნელობას გამოჰკითხავს, მისნობის შედეგს შემდეგ სიტყვებში ჩამოაყალიბებს: „ესაა ნიშანი მონგ. ამ ნიშნის სახელია — ყმაწვილური უკუნურება. ზემოთ მთა, ქვემოთ წყალი, ზემოთ ვენ, ქვემოთ კან. ქვემოთ მთის ძირში წყარო ამოჩქეფს — სიყმაწვილის სიმბოლო“. ჩინელი განდგეილის სიტყვათა ყველა ელემენტი აშკარად ნაწარმოების ფინალზე მიგვითითებს. ესაა ნიშანი „მონგ“ — ყმაწვილური უკუნურება, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ჭაბუკ კნექტის აღმნიშვნელ იდეოგრაფას წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს ტიტო დენირორის მიმართაც შეიძლება იყოს გამოყენებული. შემდეგ ესენია ნიშნები „ვენ“ (მთა) და „კან“ (წყალი), ნაწარმოების უკანასკნელი სცენის ორი უმნიშვნელოვანესი ელემენტი და ბოლოს, მთის ძირში მჩქეფარე წყარო (სიყმაწვილის სიმბოლო), რომელიც ტბის პირას მართოდარჩენილ ტიტოზე მიგვითითებს (ამავე დროს არ უნდა დავავიწყდეს, რომ წყაროს ჰესესთან ყოველთვის მარადიულობის იდეოგრაფული მნიშვნელობა აქვს).

ნის სიმბოლიკის და იდეოგრაფული სისტემის ზედაპირული განხილვაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ იოხეფ კნექტის უკანასკნელი ფერისცვალება სრულად ახალი თვალსაზრისით წარმოდგენა ჩვენთვის. დაკვირვებელი მეითხველი, ვფიქრობ, ამ ეპიზოდის განმეორებით წაითხვება სა ჩვენი თვალსაზრისის დამადასტურებელ სულ ახალ და ახალ დეტალებს აღმოაჩენს და გაოცებული დარჩება ამ სცენის მრავალნიშნაობით!

ახლა ორიოდ სიტყვით შევჩერდები „გლასპერლენშპილის“ ფინალზე, როგორც ნაწარმოების სრულტურულ ელემენტზე. ჰესესთვის არა ერთხელ უსაყვედურებიათ, რომ კნექტის ცხოვრების დასასრული სათანადოდ არ კრავს მთელ რომანს, რომ იგი როგანულად არ რწყმის გმირის ცხოვრებას, რომ ის ლიად ტოვებს ნაწარმოებს, არ ხსნის წინააღმდეგობებს და, საერთოდ, შუა გზაზე წყვეტს გმირის განვითარებას (არაა ნაჩვენები კნექტის ბედი კასტალიის დატოვების შემდეგ!).

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ვახსნილ ფინალს თვით მასალა მოითხოვს. „გლასპერლენშპილი“ ჰერმან ჰესეს, თავისივე აღიარებით, განზრახული აქვს წარმოადგინოს კაცობრიობის სულიერი ცხოვრების უწყვეტეობა, ანუ მას სურს დენადა და წარმავალში სტაბილურისა და უცვლელის გამოყოფა. ასეთად კი ჰესეს, როგორც ვიცით, მარად ცვალებადი, მაგრამ თავის არსში მყარი და უცვლელი სული ესახება, რომლის ნაირსახოვან გამოვლენათა რიგსაც წარმოადგენს, ჰესეს კონცეიციის თანახმად, მსოფლიო ისტორია. სულის ცვალებადობა-განახლებების პროცესის და კაცობრიობის სულიერი ცხოვრების უწყვეტილობის განსახიერებლად მწერალი რამდენიმე მოტივს იყენებს. ესაა „საფეხურების“ მოტივი, რომლის დახმარებითაც მიიღწევა სულიერი განვითარების კონტინუალობის ჩვენება ერთი ინდივიდუალური ცხოვრების ფარგლებში შემდეგ ესაა „მომღეპრ-შეგირდის“ მოტივი, რომელიც ორი თაობის სულიერი ცხოვრებას აკავშირებს ერთმანეთთან და მათ ერთი პროცესის შემადგენელ ნაწილებად სახავს; და ბოლოს ესაა რენეკარნაციის იდეა, რომელიც შესაძლებლად ხდის კაცობრი-

1 კრიტიკოსები, სხვათა შორის, აღნიშნავენ გასაოცარ მსგავსებას „გლასპერლენშპილის“ ფინალსა და გოეთეს „ფაუსტის“ კლასიკური ვალპურგის დამის დასასრულს შორის. სინოლოგებმა ამ სცენაში შენიღბული სახით „ი-ძინის“ ერთ-ერთი კომბინაცია აღმოაჩინეს, ხოლო იუნგიაწურმა კრიტიკამ არქეტუპული სრულტურების მონაცვლეობა დაადგინა მასში.

რამაზ შარალაშვილი
იოზეფ კნექტის სიკვდილი



ობის მთელ სულიერი განვითარების უწყვეტ-
ლობისა და სულის ურყევი არსებობის მხატვ-
რულ წარმოდგენას. ამრიგად, იოზეფ კნეჰტის
ცხოვრება თავისთავად ამბავს კი არ წარმოად-
გენს მხოლოდ, არამედ იგი ამავე დროს კაცობ-
რიობის სულიერი ტრადიციის ერთ-ერთი პუნქ-
ტიაა. ამიტომაც, ცხადია, რომ იგი ვახსნილი
უნდა იყოს ორივე მხრიდან, რათა მსოფლიო
სულის უწყვეტი განვითარების კონტექსტში
აღიჭიმებოდეს და დასრულების შემდეგაც სახავ-
დეს ამ განვითარების შესაძლებლობას.

ესეც რომ არ იყოს, ვახსნილი ფინალი ჰესეს
გამოკონებას კი არ წარმოადგენს, არამედ რო-
მანის, როგორც ქანრის ერთ-ერთი განსხვავ-
რელი ნიშანთაგანია. იგი მკვეთრად განასხვავებს
ახალი დროის რომანს ანტიკური, აგრეთვე რა-
ინდული რომანისა და შილაძანური ეპოსისაგან,
სადაც ჩამკეტი ფინალი ეპიკური თხრობის აუ-
ცილებელ მომენტს წარმოადგენდა. ეს ვარემო-
ება შენიშნული აქვს ჯერ კიდევ მოპასანს, რო-
მელიც პრევეს „მანონ ლესკოს“ სწორედ ამ
ასპექტში უპირისპირებს ტრადიციულ რაინდულ
რომანებს. იქ, წერს მოპასანი რაინდული რომა-
ნის შესახებ; — დასასრულის ეფექტი, რომელიც
მთავარ და გადამწყვეტ მოვლენას წარმოად-
გენს... იმდენად ამომწურავად ამთავრებს მონა-
თხრობ ამბავს, რომ იმის გაგებაც არ გასურს,
თუ რა მოუვიათ მეორე დღეს ყველაზე უფრო
საყვარელ გმირებსაც კი. მაშინ, როდესაც ახა-
ლი დროის რომანისტი (პრევე), იმის მაგივ-
რად, რომ რაიმე თავგადასავალი შეთხზას და
იმგვარად გაშალოს იგი, რომ სულის ამოთქმის
საშუალებაც კი არ მისცეს მკითხველს, ვიდრე
თხრობა არ დამთავრდება... თავის გმირს, ან
გმირებს მათი არსებობის გარკვეულ პერიოდში
და ბუნებრივი გადასვლის გზით მიიყვანს ცხო-
ვრების შემდგომ პერიოდამდე“ თანამედროვე
რომანის ამ თავისებურებას აღნიშნავს რომანის
საბჭოთა თეორეტიკოსიც ვადიმ კოვინოვი: „რო-
მანს საერთოდ არა აქვს ბოლო და დასასრუ-
ლი — და ამაში აშკარად გამოიხატება ქანრის
შიანგანი არსი“; — წერს ის და მეორეგან ამ-
ბობს: „შეიძლება ითქვას, რომ რომანი გარკვე-
ული აზრით არის დაუმთავრებელი, გარდევული
და არა მომრგვალებული ქანრი.“

ვახსნილი დასასრული რომანს განასხვავებს
არა მხოლოდ ადრინდელი ეპიკური ფორმებისა-
გან, არამედ ნოველისა და მოთხრობისგანაც.
ალექსანდრე ფონ გლაიჰენ რუსეთში, ეპიკურ

ფორმათა თანამედროვე მკვლევარი, საგანგებოდ
უსვამს ხაზს ამ სტრუქტურულ დეტალს რომა-
ნისა და ნოველის არსის განსაზღვრისას: „რომა-
ნი არაა გარკვეული ნოველა და არც ნოველა მოკ-
ლე რომანი. ნოველას მხოლოდ მაშინ შეიძლება
ეწოდოს ნოველა, როცა იგი მკაცრ ფორმას
ემორჩილება. მხატვრული დასასრული ნოველა-
ში რომანისაგან განსხვავებით, რომელიც ფაქტი-
ურად შემთხვევით წყდება, ჩვენ მხოლოდ აუ-
ცილებლობად კი არ უნდა ვცნოთ, დასასრული
არის ძირითადი და მთავარი, არის თხრობის მი-
ზეზი და მიზანი, რომლისკენაც იგი ისწრაფვის.“

როგორც ვხედავთ, ღია ფინალი და „შემთხ-
ვევით დასასრული“ რომანის ქანრობრივ თვი-
სებას წარმოადგენს (ამ შემთხვევაში შეცდომა-
ში არ უნდა შეგვიყვანოს არც მთავარი გმირის
სიკვდილა ნაწარმოების ბოლოს, როგორც ამას
ადგილი აქვს თუნდაც ლევ ტოლსტოის „ანა
კარენინასა“ და თომას მანის „ბუდენბროკე-
ში“) და ამ მხრივ ჰესესაც საყვედური არ ეთქ-
მის. თანამედროვე რომანის უკანასკნელი სცენა
კი არ უნდა კეტავდეს მოქმედებას, არამედ რო-
მანული ჩარჩოს იქით უნდა ხსნიდეს მოქმედ-
ების განვითარების პერსპექტივას და ამრიგად
მარადიული და უწყვეტი დინამიკის შთაბეჭდი-
ლებას ქმნიდეს. როდესაც რუდოლფ პანციტი
არ ეთანხმება გოგორ ზიმელს, რომელიც ამიტ-
კიციებს, რომ თითქოს გოეთეს კავშირის მონაწი-
ლენი იმიტომ გაეგზავნოს ამერიკაში, რომ არ
იციოდა როგორ მოეცილებინა ისინი თავიდან,
იგი სრულიად მართალია, რადგან ასეთ ფინალს
რომანული მოქმედება ნაწარმოების ჩარჩოს
იქეთ გაჰყავს. ვოეთეს შესანიშნავად ჰქონდა გა-
ცნობიერებული ახალი დროის რომანის ეს სპე-
ციფიკა და თავის სტატიამ „ეპიკური და დრა-
მატული პოეზიის შესახებ“ იგი საფაგებოდ გა-
მოჰყოფს წინმსწრად მოტივებს (yorgreifendes
Motiv). „რომელიც განკვერტენ ლექსის და-
მთავრების შემდეგ მომხდარ ამბავს“. ასეთ წინ-
მსწრად მოტივებს წარმოადგენენ ნატალის და
ფელიქსის სახეები „ვილჰელმ მაისტერის მოს-
წავლეობის წლების“ დასასრულში. ტალახში
ამოგანგლული ჰანს კასტორბი „ჯაღაოქრული
მთის“ უკანასკნელ გვერდებზე, და ასეთვე წინ-
მსწრაფი მოტივა ტიტო დესინიორი „გლასპერ-
ლენშილის“ ფინალში. ტიტოს სახე სწორედ
რომანული მოქმედების მომავალში უწყვეტად
გადაშვების და კონტინუალობის იდეის უშესა-
ნიშნავესი ხორცშესხმაა.



საქართველო

საამ ღოთიქიჟანიძე

„საქართველო ხალხურ სიმღერებში“

(ანთოლოგია)

თქმა არ უნდა, რომ საბჭოთა პერიოდი, როგორც მთელი საბჭოთა ხალხების, ისე ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის აყვავებას ხანაა.

ამ ეპოქაში, კერძოდ, დიდად განვითარდა ქართული ხალხური მუსიკა, ჩამოყალიბდა მრავალი ანსამბლი და საშემსრულებლო კოლექტივი, რომელთაგან ბევრი სახელმწიფოს მიერ იქნა დაფინანსებული.

იწერება და ქვეყნდება წიგნები და შრომები ამა თუ იმ ანსამბლზე, შემსრულებლებსა თუ ხელმძღვანელებზე; დიდი გაქანებით წარმოებს ქართული ხალხური მუსიკის მეცნიერულად კვლევა. ყოველი ღონისძიებით ხორციელდება ხალხური შემოქმედების პროპაგანდა.

მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, ამ ბოლო დროს ხშირად ისმის საყვედური იმისა, რომ დასავლური და ჯაზური მუსიკის ფართოდ გავრცელება ჩრდილავს ჩვენი ხალხის გენიით შექმნილი ეროვნული კულტურის შესანიშნავ დარჯს — ხალხურ მუსიკას.

ასეთი საყვედური არც თუ უსაფუძვლოა — საეკრო დაწესებულებების გრამფირფიტების თაროებზე იშვიათად თუ წვაფუძებით ხალხური ცეკვა-სიმღერის ჩანაწერებს, მაშინ, როცა ჩვენს რესპუბლიკაში, რამდენიმე წელია არსებობს ჩამწერი სტუდია.

ჩვენ ამით სრულებითაც არ მოვიტოვებთ, რომ არაქართული და ჯაზური მუსიკა განედევნოს, მაგრამ არც იმას ვმალავთ, რომ პირველ რიგში ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდას უნდა შეეწყოს ხელი.

ამასთან დაკავშირებით, არ შეგვიძლია სიხარული არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ ცოტა ხნის წინათ გამოშვებული იქნა დიდი ფორმატის სამი ფირფიტა, რომელზედაც ჩაწერილია 48 ქართული ხალხური სასიმღერო და საცეკვაო მგლოდია სახელწოდებით: „საქართველო ხალხურ სიმღერებში“ (ანთოლოგია),

მაგრამ როგორც ჩანს, ტირაჟი იმდენად მცირე იყო, რომ მოკლე ხანში აღნიშნული ფირფიტების შოვნა შეუძლებელი შეიქმნა.

ფირფიტებს თან ახლავს სხვადასხვა ენაზე, მათ შორის, ქართულ ენაზე შედგენილი წიგნინარკვევი (ავტორი პ. ხუჭუა), სადაც მოკლედ არის განმარტებული როგორც საერთოდ ქართული ხალხური მუსიკის, ისე ანთოლოგიაში შეტანილი ყველა სიმღერის ეროვნული ხასიათი, რაც კიდევ უფრო ხელშესახება და ვასაგებს ხდის ქართული ხალხური მუსიკის რაობას, მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, ანთოლოგია პირაქართო ქართველი მუსიკისმოყვარულის მოთხოვნისა დასაკმაყოფილებლად არის გამოიშენილი: წიგნის ავტორი გულსტიკვილით აღნიშნავს: — „ამ უკანასკნელ ათეულ წლებში დასავლეთის ქვეყნებში გამოცემულ სამუსიკო ლექსიკონებში იშვიათად ვპოუვებთ რაიმე ცნობებს ქართული მუსიკის შესახებ და ეს მაშინ, როდესაც სრული უფლებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკა წარმოადგენს ეკვიმუტანელ მხატვრულ და მეცნიერულ-შემეცნიერებო ინტერესს ყველა მათთვის, ვისაც სერიოზულად აინტერესებს ზოგადსაკოებორო სამუსიკო კულტურის მრავალმხრივ მოვლენათა შესწავლა“¹.

უნდა ითქვას, რომ ავტორის მიზანი მიღწეულია, მიუხედავად იმისა, რომ — „სამი დიდი გრამფირფიტის სახით წარმოდგენილი 48 ხალხური სიმღერა და ინსტრუმენტული ჰანგი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი და სასოებით შემონახული ფასდაუდებელი მუსიკალური სიმდიდრისა“², ხოლო მთელი ამ კეთილი საქმის მოთავეს, პროფ. პაველ ხუჭუას მადლობა უნდა მოხსენდეს.

წიგნში წარმოდგენილია მოკლე ისტორიული

1. პ. ხუჭუა. დასახელებული წიგნი. გვ. 11.
2 იქვე. გვ. 4.



ცნობები და ნარკვევები ქართული ხალხური მუსიკის სამემსრულებლო წესის — „მათი ნაირისახეობის, მდიდარი შინაარსის, ინტონაციური, კილო-პარამონიული და მეტრო-რიტმული თავისებურებების შესახებ“¹ დართული აქვს საძიებელი, სადაც მითითებულია შემსრულებელი ანსამბლები და სიმღერები.

ქართული სიმღერების გვერდით ანთოლოგიაში შეტანილია ორი აფხაზური და ერთი ოსური ხალხური სიმღერის ნიმუში.

როგორც აღნიშნეთ, ანთოლოგიაში წარმოდგენილია 48 სიმღერა — მელიქია: 1. „ლილე“, 2. „კვირია“, 3. „ალილო“, 4. „კონა“, 5. „შენ ხარ ვენახი“, 6. „მუღლი მუხასა“, 7. „თამარის დროშა“, 8. „თამარ ქალო“, 9. „ქართველო, ხელი ხმალს იყარ“, 10. „ჰასანბეგურა“, 11. „სიმონა დოლიძე“, 12. „ალიფაშა“, 13. „ჩაქრული“, 14. „ურმული“, 15. „გლესაე და გლესაე, ნამგალო“, 16. „ოროველა“, 17. „ოდოია“, 18. „მგზავრული“, 19. „ოიენაშა“, 20. „გაფრინდი, შავო მერცხალო“, 21. „კუჩხი ბედნიერი“, 22. „დიდა ვოი ნანა“, 23. გუმინ შვიდი გურჯანელი“, 24. ახრა იაშუე აშა (კლდის სიმღერა. (აფხ.) 25. „ჩვენ შვილობა“, 26. „ჩონგური“, 27. „მრავალგამიერი“, 28. „შაშვი კაკაბი“, 29. „ნეტაიე, ვოგოვ, მე და შენ“, 30. „სი ქოულ ბატა“, 31. „თებრონი მიდის წყალზედა“, 32. „მოხვეის ქალო“, 33. „სალამური“, 34. „ვისია, ვისია“, 35. „სულიკო“, 36. „ბუბა ქაქუჩელი“, 37. „ჩეპენა“ (ოსური), 38. „ცოლი გამიდიდვულა“, 39. „კიჟე ტურა“, 40. „სატრფილო“, 41. „ჩაგუნა“, 42. „ცანგალა და გოგონა“, 43. „განდაგან“, 44. კაცის ტრტი“, 45. „აი, კახეთი“, 46. „მისალმება თბილისს“, 47. აჯა იაზუე არკუშავა აშა“ (აფხ.) 48. „საკოლმეტურნო“.

აღნიშნული სიმღერებიდან თორმეტი „ლილე“, „კონა“, „ჩაქრული, „ურმული“, „გლესაე და გლესაე, ნამგალო“, „კუჩხი ბედნიერი“, „გუმინ შვიდი გურჯანელი“, „სი ქოულ, ბატა“, „თებრონი მიდის წყალზედა“, „აი, კახეთი“, ჩაწერილია საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მიერ, რომელსაც ქართული ხალხური სიმღერების საყოველთაოდ ცნობილ მოამბეგთა — კავსაძეთა გვარის შთამომავალი ანზორ კავსაძე ხელმძღვანელობს.

18 სიმღერა — „მუღლი მუხასა“, „თამარის დროშა“, „თამარ ქალო“, „ქართველო, ხელი ხმალს იყარ“, „ოროველა“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „დიდა ვოი ნანა“, „მრავალგამიერი“, „შაშვი კაკაბი“, „ნეტაიე, ვოგოვ, მე და შენ“, „ვისია, ვისია“, „სულიკო“, „ცოლი გამიდიდვულა“, „კიჟე ტურა“, „ჩაგუნა“, „ცანგალა და გოგონა“, „განდაგან“, „საკოლმეტურნო“.

ჩაწერილია თბილისის საქალაქო ტრანსპორტული სიმღერისა და ცეკვის თვითმომქმედი ანსამბლის მიერ, ამირან ქარსელაძის ხელმძღვანელობით.

ხუთი სიმღერა — „ალილო“, „ჰასანბეგურა“, „სიმღერა სიმონა დოლიძეზე“, „ალიფაშა“, „ჩვენ შვილობა“, ჩაწერილია ვოკალური ანსამბლის მიერ ვარლამ ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

„შენ ხარ ვენახი“, — საქართველოს სახელმწიფო კაბელას მიერ, ჯანსუღ კახაიძის ღირსეურობით.

„მგზავრული“ და „სატრფილო“ მიაკოვსკის რაიონის ანსამბლის მიერ, პ. ბუხაიძის ხელმძღვანელობით.

ორი აფხაზური სიმღერა — „სიმღერა კლდეზე“ და „შრომის სიმღერა“, — სოხუმის კულტურა-მანათლებლო სასწავლებლის გუნდის მიერ; ბ. ბალათურას ხელმძღვანელობით.

„სალამური“ — ქუთაისის სამრეწველო კომბინატის ვოკალური ანსამბლის მიერ, ნ. შენგელიას ხელმძღვანელობით.

„ბუბა ქაქუჩელი“ — ვოკალური ანსამბლის მიერ, მ. შუგავის ხელმძღვანელობით.

ჩეპენა“ — სამხრეთ ოსეთის ავტონომური ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მიერ, ვ. ულიევის ღირსეურობით.

„მისალმება თბილისს“ — ამბროლაურის რაიონის ვოკალური ტროსის მიერ.

„ოიენაშა“ და „მოხვეის ქალო“ — ტატიანა მახარაძის მიერ.

„ჩონგური“ — ა. ვარუჯავის მიერ.

„კაცის ტრტი“ — მ. ყარალაშვილის მიერ. თქმა არ უნდა, რომ ანთოლოგიის შემდგენელი პროფ. პაველ ხუჭუა, შემსრულებელი კოლექტივი და სოლისტები უდავოდ ქემბის ლირსნი არიან, მაგრამ ყოველივე სიკეთესთან ერთად, არ შევიძლია ზოგიერთი შენიშვნა არ გაავიწყეთთ ამ კუმპარიტად სასარგებლო საქმის მიმართ.

ჩვენ სტულებით არ ვაპირებთ რაიმე კუთხური განვერძობებულობის დაწესებას ქართული ხალხური სიმღერების შესრულებაზე. პირიქით, დროა ყველა ქართველი მომღერალი დაეფუძოს ყველა კუთხის ქართული სიმღერების შესრულებას, მაგრამ ფაქტი ფაქტია და ისეთი ფართო დანიშნულებისათვის გამოიხსნოს საქმეში, როგორცაა ქართული ხალხური მუსიკის ანთოლოგია, სასარგებლო იქნებოდა კუთხური სასიმღერო კოლორატის ზედმიწევნით დაცვა.

უფრო მეტიც — ანთოლოგიაში არ არის წარმოდგენილი სიმღერები, რომლებიც ჩაწერილია ფიჭო მ. და თ. თარხნიშვილების, ა. კაროშინაძის, ა. ერქომაიშვილის, თ. ლომთაიძის, ს. მეგრელიშვილის, ვ. სიხარულიძის, ი. მქედლიშვილის, ნ. ხურციას, მ. თედიაშვილისა და სხვათა შესრულებით. გულდასაწყვეტია ის

¹ იქვე, გვ. 1.



გარემოება, რომ სევანურ „ლილესა“ და „კვირიას“ შემსრულებლად სევანებს ვერ ვხვდებით; ანთოლოგიაში შეტანილი არ არის გრძელი კანტორი სიმღერების უაღრესად კოლორიტული ნიმუშები თელავის თვითმოქმედი ანსამბლის მომღერლებს — ლომიძისა და ფეიქრიშვილის შესრულებით და არც ყვარლის ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერები. არც ერთი სიმღერა არ არის შეტანილი იმხნელების შესრულებით. არ არის აგრეთვე რაქული (მისალმება თბილისს) საუნდო და არც აღმოსავლეთ საქართველოს მითანეთის ხალხური სიმღერები, არც საცეკვაო სიმღერები, მაშინ, როცა არსებობს საუკეთესო საფერხულო მელოდიები, რომელთაც ორპირული შესრულების წესი აქვთ, რაც, ჩვენ აზრით, განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს, ხოლო ის ერთი თუ ორი საცეკვაო მელოდია, რომელიც შეტანილია ანთოლოგიაში, წარმოდგენას ვერ შექმნის. სრულებით არ არის შეტანილი მელოდიები ხალხური ორგესტრის შესრულებით.

ანთოლოგიის წინასიტყვაობაში პროფ. პ. ხუჭუა აღნიშნავს, — „მიზანუწონილად მივიჩნევ განმეორებინა სიმღერები მათი ისტორიული განვითარების ასპექტში. ამიტომ, ჩემს მიერ შეჩვენული სიმღერები გათანაწილდნ ქრონოლოგიურად (წარმართობისდროინდელი საყუღტო რიტუალური, ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ წარმოშობილი, წარსულ დროთა ამსახველი და თანამედროვე სიმღერები). სიმღერები დაჯგუფებულია ქანრულობის მიხედვით (შრომის, საწესო-საყოფაცხოვრებო, სუფრული, სიტრფიალო, სახუმარო, საცეკვაო სიმღერები და პანგები)“.¹

ჩვენ ვერ გავარკვევთ, რას ვულისხმობს პროფ. ხუჭუა „განაღებებას“ და „დაჯგუფებაში“, აღენიშნავთ მხოლოდ, რომ როდესაც ამა თუ იმ ქანრის ან ხნოვანების რამდენიმე სიმღერის ნიმუში გვერდა წარმოვადგინოთ, ორივე ნაჩვენები წესით მათი „განაღება“ ან „დაჯგუფება“ ტექნიკურად შეუძლებელი ხდება. ასე, მაგალითად, „ლილე“ და „კვირია“ საწესო-რიტუალური სიმღერებია, ამრიგად, მიეკუთვნებოდათ ერთ ქანრს და ერთადაც არის წარმოდგენილი I ნომრად: „ურმული“, „გლესავ და გლესავ“ და „ორთველა“ შრომის ქანრისა არის და ერთადაც არის წარმოდგენილი მე-14, მე-15, მე-16 ნომრებში; ამასთან ერთად, ხომ შეიძლება, ხნოვანებით „ლილე“ და „ორთველა“ გაცილებით „ხნიერი“ იყოს, ხოლო „კვირია“, „ურმული“ და „გლესავ და გლესავ, ნამგალო“ უფრო „ხალგაზრდა“? თუ მათ ქანრობრივად დავაჯგუფებთ, ასაკობრივი ქრონოლოგია დაირღვევა, ხოლო თუ ასაკობრივ ქრონოლოგიას დავიცავთ, ქანრობრივი დაჯგუფება აღარ მო-

ხერხდება. ავი თვითონ პატივცემულ ხუჭუას რეკენსიკა შრომის სიმღერა „საკოლომურნო“ ბოლო, 48-ე ნომრად აქვს წარმოდგენილი (ქრონოლოგიის მიხედვით), მაშინ როცა „ურმული“, „გლესავ და გლესავ“ და „ორთველა“ მე-14, მე-15 და მე-16 ნომრებია, მათ შორის კი სხვადასხვა ქანრის ოცდაათზე მეტი სიმღერა მოთავსებულია.

ან, თუ გვებათ სიმღერები — „თამარის დროშა ვაშალს“ და „ქართველო, ხელი ხმალს იყარ“, „სიმონა დოლოძე“, ვითომ „ურმული“ და „ორთველაზე“ უფრო ხანდაზმული სიმღერებია? ალბათ არა.

გაუგებარია, რატომ წარმოვივადგინა პროფ. პ. ხუჭუამ „იავნანა“ მე-19 და არა მე-5-6 ნომრად მიანდ, ე. ი. „ლილეს“, „კვირიას“, „ლილოს“, „ქონას“ და „შენ ხარ ევენასის“ შემდეგ, ან მათ შორის? ყველა ეს სიმღერა ხომ ერთ საწესო ქანრს მიეკუთვნება?

თვით პროფ. პ. ხუჭუას აღნიშნული აქვს, რომ — „ლილე“ (პირნი მუხს) — ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი უძველესი საწესო სიმღერაა!... (ხაზი ჩვენის ს. ლ.) „კვირია“ — სვანეთში გავრცელებული სიმღერაა, მიძღვნილი ნაყოფიერების ერთერთი უძველესი წარმართული ღვთაებისადმი“... „საეკლესიო-საწესო სიმღერებს შორის ძველად გავრცელებული იყო „ლილო“² (ხაზი ჩვენის ს. ლ.) „ძველად, საეკლესიოდღესასწაულებთან დაკავშირებით ჯგუფი ასრულებდა „ქონას“³ (ხაზი ჩვენის ს. ლ.) „ერთერთ ნიმუშს ასეთი (საეკლესიო ს. ლ.) საგალობლებისა წარმოადგენს „შენ ხარ ევენასი“, რომელიც ძველი წარმოშობისაა“⁴ (ხაზი ჩვენის ს. ლ.) და შემდეგ, — „იავნანა“ (ანუ „იავნანაო“) — ერთერთი უძველესი საწესო სიმღერაა, თავდადასრულად დაკავშირებული ნაყოფიერების ქალღმერთის — ნანას კულტთან“⁵ (ხაზი ჩვენის ს. ლ.). როგორც ვხვდებით, დასახელებული სიმღერები ასაკობრივად ქანრობრივადც ერთად უნდა განლაგებულიყო (დაჯგუფებულიყო) და თუ ავტორი ასე არ მოიქცა იმ მოსაზრებით, რომ „შემდეგში იავნანა-

- 1 იქვე გვ. 12.
- 2 იქვე, გვ. 14.
- 3 იქვე გვ. 15.
- 4 იქვე, გვ. 15.
- 5 იქვე, გვ. 16.
- 6 იქვე, გვ. 15.

საბა ლორთქიფანიძე
„საქართველო ხალხურ სიმღერებში“

1. იქვე, გვ. 3.

ნა, ახალი ტექსტით გამოიყენებოდა როგორც ბავშვის დასაძინებელი სიმღერა — „ნანა“.¹ მისი ადგილი ეპრობირვად მიიღო სწორად უნდა განესაზღვრა. მაგრამ ასაკი ასაკი, და რადგან „იანვანა“, ერთ-ერთ უძველეს წარმართულ სიმღერად არის მიჩნეული, „ლილესა“ და „კვირის“ შემდეგ უნდა მოეთავსებინა, თუ უფრო წინ არა, რადგან „ალილო“, „ქონა“ და „შენ ხარ ვენახი“, ვფიქრობთ, უფრო გვიანდელია. „სასუფელთაოდ ცნობილია, რომ „ჩაქრულა“, „მრავალკამიერი“, „შაშვი კაკაბი“, „თამარ ქალო“ და სხვა გრძელი სიმღერები ეპრობირვად სალხინო — სუფრულ სიმღერებს განეკუთვნებიან. ეს საკითხი არც პროფ. პ. ხუტუას მიანიხსნა სადავოდ და აღნიშნავს — „მრავალკამიერის ნაირსახეობას წარმოადგენს „ჩაქრულა“.² მაგრამ ვანლაგების დროს „ჩაქრულა“ მოსდევს „ჰასანბეგურას“, „სიმონა დლომიქს“ და „ალიფაშას“ მე-13 ნომრად, „მრავალკამიერი“ და „შაშვი კაკაბი“ 27-ე, 28-ე ნომრად, მათ შორის 12 სხვადასხვა ეპრობირვად სიმღერაა.

სიმღერები, — „თამარის დროშა ვაშალეს“ და „თამარ ქალო“, პროფ. პ. ხუტუას შესაბამისად მე-7 მე-8 ნომრად აქვს წარმოდგენილი, რაც მიუღებლად მიგვიჩნია, ვერ ერთი იმიტომ, რომ პირველი ავტორის, გრ. ორბელიანის მოღვაწეობის დრო და პოემა „საღვთაძელოს“ შეთხზვის თარიღი ცნობილია; სიმღერა ქალაქურია, მის გვიანდელ წარმოშობას პროფ. ი. ხუტუა აღსატურებს, მეორეც ის, რომ ორივე სუფრული სიმღერა (რა თქმა უნდა, არა ერთი ტიპის — „თამარ ქალო“ ტიპური გრძელი სუფრული სიმღერა) და მათი მოთავსება „მუშლი მუხასა“ და „ქართველო, ხელი ხმალს იყარს“—შორის დაუშვებელია, მათი ადგილი „მრავალკამიერთან“ არის, თუმცა ასაკობრივად „თამარის დროშა“ მათ ვერ გაუტოლდება.

როგორც ჩანს, ეპრობირვადი საკითხში პროფ. პ. ხუტუა უპირატეობას ლიტერატურული ტექსტის შინაარსს ანიჭებს როგორც „ჩაქრულაში“, ისე ამ სიმღერებშიც, თუმცა თანამედვერულ არც ამ შემთხვევაში არის. ეპრობირვადი საკითხი კი მელოდიის და ტექსტის მთლიანობაში უნდა გადაწყდეს.

მათ შორის უნდა იყოს „ბუბა ქაქრულაც“, რადგან ესეც უძველეს სუფრული სიმღერაა სახუმარო ტექსტზე. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხანებს წმინდა სახუმარო ეპრობირვად (სასუფელთაოდ) სიმღერები თითქმის არ გაანიათ.

„ჰასანბეგურასა“ და „ალიფაშას“ პროფ.

პ. ხუტუა მე-19 საუკუნის დამლევი სტუდენტული ფაქტს მიაკუთვნებს, ხოლო „სიმონა დლომიქს“, რეკოლუციის წინაღობის დელს, თუ ეს ასეა, „სიმონა დლომიქ“, „ჰასანბეგურასა“ და „ალიფაშას“ შემდეგ უნდა იყოს და არა მათ შორის.

არც სიმღერები „ჩაქრულა“ და „ქართველო, ხელი ხმალს იყარ“ უნდა იყოს ასაკობრივად თავის ადგილზე. ასევე მიგვიჩნია, „გაფრინდი, შავი მერცხალოსა“ და „გუშინ შეიღნი გურჯანელი“—საც არა აქვს ანთოლოგიაში თავისი ადგილი მიჩნეული.

„სასუფელთაოდ სიმღერებს შორის, — აღნიშნავს პროფ. პ. ხუტუა, — თავისი სიღნიჭით, სიღილით და საზნებო ხასიათით გამოირჩევა ქართლ-კახეთი სუფრული სიმღერები საერთო სახელწოდებით — „მრავალკამიერი“.¹

გამოდის, რომ სუფრული სიმღერები სასუფელთაოდ ეპრობირვად შინაგანდგენილი ქვესახეობა ყოფილა და არა სალხინოსი. თანაც მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა სიმღერები სახელწოდებით „მრავალკამიერი“, მაგრამ სიღნიჭე, სიღიდე და საზნებო ხასიათიც მხოლოდ ამ კუთხის სუფრულ სიმღერებს ახასიათებთ?..

პროფ. პ. ხუტუას აღნიშნული აქვს, რომ ქართულ სიმღერას „უტექსტოვება უტექსტო მელოდიის დაღიღინება-დამღერება“.² თუ რას გულისხმობს პროფესორი „უტექსტო მელოდიის დაღიღინება-დამღერებაში“ ჩვენთვის გაუგებარია. უტექსტო სიმღერები სრულებით არ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთ საქართველოში უამრავი ცეკვა ფერხული არსებობს უტექსტოდ, მხოლოდ მისამღერებში და, ვეფირობთ, გამოწაკლისი არ უნდა იყოს არც ზოგიერთი სალაშქრო და შრომის სიმღერა.

„არის სიმღერები, — ამბობს პროფ. პ. ხუტუა — სადაც სამი ხმა ცალკაღე ასრულებს დამოუკიდებელ რიტმულ — მელოდიურ ხაზს, მაგრამ, ამავე დროს, დაკავშირებულს ერთმანეთთან ტექსტის, კილოს და ტემპის ერთობლიობით („ჰასანბეგურა“, „ალიფაშა“, „ჩვენ მშვიდობა“).³ სწავ ადგილას კი ამბობს — „ჰასანბეგურაში ტექსტს ერთი ხმა ასრულებს, მაშინ როდესაც დანარჩენი მომღერლები განავრძობენ თავის მელოდიურ ხმასო“.⁴ ხოლო კილო და ტემპის ერთობლიობით დაუკავშირებელი ხმები სიმღერაში რომ შეუძლებელია, ამას მტკიცება არ უნდა.

შემდეგ: — „ზოგიერთ მრავალხმან სიმღერაში იგი (კრიმანუელი ს. ლ.) შედის როგორც

1. იქვე, გვ. 42.
2. იქვე, გვ. 9.
3. იქვე, გვ. 9.
4. იქვე, გვ. 20.



მათი ორგანულად შემადგენელი ნაწილი“-ოქ. როგორც ჩანს, პროფ. პ. ხუჭუა იცნობს ისეთ სიმღერებსაც, სადაც კრიმინალური არა-ორგანულად გამოიყოფება და არ აშუშელს.

პროფ. პ. ხუჭუას აღნიშნული აქვს, — „ეროვნულ სამუსიკო ფოლკლორის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს ცალფა (ეროხმინი) სიმღერებში, ისინი გამოირჩევიან მელოხმატიკური ორნამენტაციით (ე. ი. შელოდის მოჩუქურთმებით), თავისუფალი რიტმული საფუძველით, არათანაბარზომიერ ტაქტებად დაყოფით და იმპროვიზაციულობით. ასეთია შრომის სიმღერები: „ურმული“, „ოროველა“; ცალფა სიმღერებს მიეკუთვნებიან აგრეთვე „ნანები“, „მესტიერულები“ და ზოგიერთი შაირები“-ოქ.

როდესაც ასეთი სახით ვსახელებთ სიმღერების ტიპებს, საჭიროდ მიგვჩანია კონკრეტულად იქნას მითითებული სიმღერის ინდივიდუალური სახელწოდება, ხოლო თუ სიმღერას ასეთი კერძო სახელწოდება არ გააჩნია, მაშინ მისი ტექსტით უნდა იქნას მინიშნებული სიმღერის ვინაობა და ამასთან ერთად არც კუთხუროთ თავისებურება უნდა იქნეს მივიწყებული; აქვე აღვნიშნავთ, რომ „ურმულები“, „ოროველები“, „კალოურები“, „ნაღურები“ და სხვა მრავალი, ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთი ძალზე დიდი ეანრის — შრომის ეანრის ქვეყანრება და თვითეული მათგანი თავის მხრეც ცალკეულ სიმღერათა გარკვეულ რაოდენობას მოიცავს, ეანრული სახელწოდება კი ტერმინულად ხასიათისა.

„ოროველა“, რომელიც ანთოლოგიაში არის წარმოდგენილი, როგორც ერთხმინი სიმღერა (ფერფიტაზეც ერთ ხმაზე არის ჩაწერილი), ჩვენი აზრით, ტიპური ორხმინი სიმღერა უნდა იყოს ტენორისა და ბანის მონაწილეობით. ამ სიმღერის სიტყვებს სოლისტი-ტენორი ასრულებს გაბმული ბანის ფონზე, რითაც ეს სიმღერა ერთგვარ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს სამხმინოში. ამ მოსაზრების დამადასტურებლად მიგვჩანია ის გარემოება, რომ „ჭონასა“ და „მეტეფურში“, სიმღერა — სიტყვებს, როგორც აღვნიშნეთ, პირველი და მეორე ტენორი ასრულებს გაბმული ბანის ფონზე იმგვარად, რომ სოლისტი ერთიმეორეს სრულებით არ ხვდებიან და ამით „ჭონასა“ და „მეტეფურს“ (მეტეფურის პირველ ნაწილს) ფაქტურად, ერთდროულად მხოლოდ ორი ხმა ასრულებს; ხვთა გაბმულ სიმღერებში კი მონაწილეობს სამი ხმა — პირველი და მეორე ტენორი გაბმული ბანის ფონზე; სოლისტები ამ ტიპის სიმღერებში უმეტეს შემთხვევაში ერთად მღერიან დუეტს, ზოგჯერ კი ცალ-ცალკე მონაწილეობენ.

ასევე ყველა „ნანა“ არ მიეკუთვნება ცალფა სიმღერებს და არც ანთოლოგიაში ჩაწერილ „ნანა“ სრულდება ერთ ხმაზე — „დიდა ვოი ნანა“ ხომ „ნანა“, მრავალხმაზეა ჩაწერილი (ასეც სრულდება) და არის აგრეთვე მრავალხმინი „ნანები“. — „ვეენგარა“ „სისატურა“ და სხვა. ამასთან ერთად „ნანები“ ანუ „იიავ-ნანები“ სხვადასხვა ტიპის არი-ავესინსა და ბატონების, რის განმარტებაც, ვეფირობ, სწორად არ აქვს მოცემული ხუჭუას, როცა ამბობს, რომ საეულტო სიმღერას „ნანას“ ასრულებდნენ ყვავილით დაავადებულს წინაშე, ხოლო შემდეგში ბავშვის დისაძინებლად გამოიყენესოქ.

აღნიშნულის გამო ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებასაც, რომ — „ოროველა“ სრულდება ცალფად, ყოველგვარი თანხლების გარეშე.² ცალფა სიმღერების ხსენებისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მწყემსურებისა და სამონადირეო სიმღერების დავიწყება, რომელთა დიდი ნაწილი სოლოდ სრულდება ფანდურის თანხლებით.

რაც შეეხება ზოგიერთ შაირს, მათი შესრულება ცალფად წარმოდგენილადაც კი მიგვჩანია, რადგანაც ასეთი ტიპის სიმღერები როგორც წესი, ქალისა და კაცის მონაწილეობით — მათ შორის გამაირებით სრულდება საკრავების თანხლებით და მათი დეტის შემდეგ გუნდი ჩაერთვის ხოლმე.

„მრავალხმინი სიმღერებს, — განავტობს პროფესორი პ. ხუჭუა, — როგორც წესი, ასრულებენ მამაკაცთა გუნდები. გამონაკლისს შეადგენს საოჯახო გუნდები, რომელთა რაოდენობა საქმიოდ დიდი იყო საქართველოში. ზოგიერთი ცალფა და ორხმინი საწესო და საყოფაცხოვრებო სიმღერა ქალთა მიერ სრულდებოდა.“³

გამოდის, რომ მამაკაცთა გუნდები მხოლოდ მრავალხმინი — სამ და ოთხხმინი სიმღერას ასრულებენ, ერთხმინი და ორხმინი — ქალები. მათ შორის — „ურმულს“, „მწყემსურს“, „მესტიერულს“, „ოროველას (აქი „ოროველას“ ფირფიტაზე ქალი ასრულებს), ხოლო რომელი საოჯახო გუნდები მიჩანია პროფ. პ. ხუჭუას გამონაკლისად გულგებარია, რადგან „ნანებს“ ერთთავად ცალფა სიმღერად მიიჩნევს.

რაც შეეხება ზოგიერთ ცალფა და ორხმინი საწესო და საყოფაცხოვრებო სიმღერებს, რომლებსაც ქალები ასრულებენ, ასეთად ჩვენ როგორც აღვნიშნეთ, ავესინსა და ბატონების „ნანები“ მიგვჩანია. ქალების მონაწილეობით

1. იქვე, გვ. 31.
2. იქვე, გვ. 28.
3. იქვე, გვ. 9.

1. იქვე, გვ. 9.
2. იქვე, გვ. 9.

სამსე ლორთქიფანიძე
„საქართველო ხალხურ სიმღერებში“



სრულდება არა მარტო ერთ და ორხმიანი სიმღერები, არამედ მთელი რიგი სატრევილო და საშაირო (საყოფაცხოვრებო) მრავალხმიანი, შერეული საგუნდო სიმღერებიც. მათი რაოდენობა კი ძალიან დიდია. ერთ-ერთ ურბულს — „ჩელსი“ ქალი ასრულებს. (ეს სიმღერა ძალიან ჩამოგავს „ნანებს“ და სათანადო შესწავლა ესაჭიროება): ქალები გუნდი ასრულებს „კონუს“ და, უძველესი, ხაფიჭირო სოლო და საგუნდო სიმღერებსაც ქალები ასრულებდნენ, რადგანაც ეს შრომითი ფუნქცია ქალებს ჰქონდათ დაკისრებული (სამუხაროდ საფიქრო სიმღერები სათანადოდ არ არის შესწავლილი), არ შეიძლება აგრეთვე იმის დაეწევა, რომ არსებობს საფერხული სიმღერა „დედა-კაცების ფერხული“ რომელსაც ალბათ ქალთა გუნდი ასრულებდა; ხოლო სამლოციაო სიმღერები? — სარი? ბრენი?

სიმღერა „გლესავ და გლესავ ნამვალის“ გარჩევას პ.ოფ. პ. ხუტუას გამოთქმული აქვს შემდეგი მოსახერხებელი სიმღერებს, რომლებიც დაეფიქრებულა მომუშავეთა დიდ რაოდენობასთან (როგორც, მაგალითად, თოხნის, პარავლის ან შკის დროს) ასრულებს ორმაგი გუნდით. თუ ეს მოსახერხებელია, რომელიც კერძოდ, სიმღერა „გლესავ და გლესავ ნამვალის“ ეხება, შეუფერებლად მივაჩნია, რადგან იგი ამომსავლეთ საქართველოს მიეკუთვნება, ამ კუთხის სიმღერები — განსაკუთრებით შრომის სიმღერები — კი ჩვენი ახრით, დასავლეთ საქართველოს სიმღერებისაგან განსხვავებით (სადაც უამრავი სიმღერა სრულდება ორპირული წესით), არ ახასიათებთ ორგუნდოვანი შესრულება. ამ კუთხის სიმღერებში ორგუნდოვანი შესრულების წესის კომპენსირება ტერორებისა და ბანის მონაცვლეობით ხდება („ცანგალა და გოვინა“, „არაკვისპირული ლაშქრული“, „კაბრი მაყრული“ და სხვ.).

აღმოსავლეთ საქართველოში ორპირული წესით ისეთი სალაშქრო, სამგზავრო და საფერხული სიმღერები უნდა სრულდებოდეს, როგორცაა — „მშობლი მუხასა“, „ვისია, ვისია“, „შაღველი“, „შოდისო მებრა, კახილნო“, და სხვ. მაგრამ, თუ მესხიერება არ მალაატობს, ამ სიმღერებსაც არ ასრულებდნენ ორპირულად ყოველთვის, რაც შეიძლება იმით იხსნას, რომ დასახლებული ტიპის აღმოსავლური სიმღერების ტემპი ისეთი მძაფრი არ არის, როგორც დასავლეთ საქართველოს ამავე ტიპისა და შრომის სიმღერები.

მაგრამ, უცნაური ის არის, რომ პ.ოფ. პ. ხუტუა ორპირული გუნდის შესახებ იმ სიმღერების გარჩევის დროს არ ლაპარაკობს, რომლებიც სწორედ ორპირულად უნდა სრულდებოდეს — „მშობლი მუხასა“, „ოდოია“, „ლილი“, „ვისია, ვისია“ და სხვა.

„მშობლი მუხასა“ იწყება პიანოთი და დასას-

რულისათვის მძლეერ ხმოვანებას აღწევს. მისი თაქ ხაზი ემსება სიმღერის დედა-აზრის მარტავს პ.ოფ. პ. ხუტუა და ამით აცნობებს ამ სიმღერის დაწყებას პიანოთი, რაც ბუნებრივად არ გამოიყურება და სულაც არ უნდა იყოს დამახასიათებელი ასეთი ძლიერმოსილი სიმღერისათვის, და არც საგმირო-სალაშქრო სიმღერებისათვის, არც შრომისა და სტრუქტული (სახინო) სიმღერებისათვის, რომელთაც შესრულების შემართებითი პათოსი ახასიათებთ. მით უმეტეს — „მშობლი მუხასა“ გამარჯვების ჰიმნია.

წიგნში სრულებით არაფერია ნათქვამი ტრიოს შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ანთოლოგიაში არა ერთი სიმღერაა წარმოდგენილი ტრიოს მონაწილეობით.

სამიგნელში, დამწყებათა და ტრიოს შემსრულებელთა გვარები არ არის მითითებული ისეთ სიმღერებში, როგორცაა „ოდოი“, „ქონა“, (ამ სიმღერას კი, როგორც აღვნიშნეთ, ანთოლოგიაში ერთი კაცი — ერთი ხმა ასრულებს მხოლოდ.) „ოდოია“, „ქუჩის ბედინერი“, „სიქოულ, ბატა“, „მშობლი მუხასა“, „ქართველი, ხელი ხმალს ივარ“...

სიმღერა „სულიკო“-ში სოლისტად თუ დამწყებად მოხსენებულია ს. მირცხულავა, მაშინ, როცა „სულიკოს“ არც სოლისტი ჰყავს და არც დამწყები, ანთოლოგიაშიც მხოლოდ გუნდი ასრულებს სიმღერას; სრულებით არ არიან მოხსენებული გამოჩენილი შემსრულებლები: შ. გვალა და ა. გოჩალიევილი, ანთოლოგიაში კი მათი შესრულებით წარმოდგენილია რამდენიმე სიმღერა; საიძობლის მიხედვით „ქიქე ტურას“ მხოლოდ ს. მირცხულავა ასრულებს, მაშინ, როცა ამ სიმღერაში ტრიო მონაწილეობს იგივე შ. გვალასა და ა. გოჩალიევილის შესრულებით. ასევე არ არის მითითებული თუ ვინ ასრულებს გურული სიმღერებში ტრიო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფირფიტების ყველა თავპირველი სიმღერის დასაწყისი გადაშლილია და სიმღერა რამდენიმე ტაქტის შემდეგ იწყებოდა ჩვენს მიერ გამოთქმული სინაურლი ანთოლოგიის გამოცემის შესახებ ნამდვილად გულწრფელია; გულდასაწყვეტია მხოლოდ წარმოდგენილი სიმღერების სიმცირე.

სწორედ ამ სინარულმა გვაიძულა გამოვეთქვა ზოგიერთი სინაურლი პ.ოფ. პ. ხუტუას მიერ ქართული ხალხური მუსიკის რაობის შესახებ გამოთქმულ მოსახერხებებზე, მით უმეტეს, რომ ანთოლოგია, როგორც ამას თვით ავტორი აღნიშნავს ნაშრომის მეორე გვერდზე, გამოსულია მსოფლიო მუსიკალური და მოყვარულთა საზოგადოების ფართო წრისათვის, ამიტომ, ვფიქრობთ, ასეთი ვრცელი მიზანი უფრო ღრმა ჩაფიქრების ღირსია და თვითუფლი სიმღერის გარჩევის მეტე ყურადღება უნდა დათმობოდა, განსაკუთრებით მუსიკალურ ასპექტში.

ენებიან

ბრატთა განათლებული რესპუბლიკა

მგვიტამელ მწერალთა
წარმომადგენელი
საზღვარგარეთ

გაზეთ „ალ-იტჰადის“
ცნობით რუმინეთში არა-
ბულად თარგმნის და გა-
მოსცეს ტაშ ჰუსეინის მო-
თხრობა „დღეები“ და ნაგებ
მამფუზის რომანი „ალ-მი-
დაის შეხასვეი“.

იაპონურ ენაზე ითარგმ-
ნა ნ. მამფუზის მეორე რომ-
ანი — „მწერი და შემო-
დგომა“. აგრეთვე მწერლი-
სა და დრამატურგის თაუ-
ფუკ ალ-შაჰიშის ორი ნა-
წარმოები — „გამოქვამუ-
ლის მცხოვრებნი“ და „შაჰ-
რაზადა“. ნორვეგიის გა-
მოსცეს ნაგებ მამფუზის
რჩეული მოთხრობები.

ა უ შ

დისკუსია მოთხრობის
წარსულზე, აწმყონს და
მომავალზე.

ნიუ-იორკში მოთხრობის
პრობლემებზე გამართულ
დისკუსიაში მონაწილეობ-
დენ ცნობილი ამერიკელი
მწერლები, კრიტიკოსები,
გამომცემლობათა და ჟურ-
ნალთა წარმომადგენელინი.
დისკუსიის საბაზი იყო ორ-
ტომეულის გამოცემა, რომ-
ლის სათაურია — „ამერი-
კული მოთხრობის 50 წე-
ლი“.

ჟოველვირეტლის —
„საბლიშერს უიკის“ მი-
მომხილველის აზრით გან-
ხილულ საკითხთა დიაპაზო-
ნი საკმაოდ ვრცელია —
მოთხრობის ძველი, ზეი-

რი ფორმისაკენ მიბრუნე-
ბის მიზანშეწონილობა თუ
უარყოფა, მწერლური ხე-
ლოვნების სწავლების სა-
ეჭვო ეფექტურობა და სხვა
საქირობოროტო პრობლემე-
ბი.

მწერალმა უოლეს სტე-
ნერმა დისკუსიის გახსნი-
სას დაახასიათა ის ცვლი-
ლებანი, რაც განიცადა ამე-
რიკულმა მოთხრობამ უკა-
ნასკნელი ათწლეულების
მანძილზე. „თუ ო“ ჰენრის
დროს მოთხრობა გამოირ-
ჩეოდა მკაფიო ფაბულითა
და წარმატვი შინაარსით,
— თქვა მან, — დღეს, მხა-
ტვრული ლიტერატურის ამ
დარჯისათვის ნიშანდობლი-
ვია ბუნდოვანი ფორმა და
შინაარსის უქონლობა“.

„მოკლე მოთხრობის უკა-
რა არასდროს ყოფილა სა-
შინოების წინაშე და მას
საფრთხე არც მომავალში
მოეღოს, — თქვა უილიამ
საროიანმა, — მოთხრობა
მწერლური შემოქმედების
ჟველაზე მიმწიფველი და
ბუნებრივი ფორმა“.

პიტერ ტეილორმა ვანაც-
ხადა — დაკვირვება, ცხად-
ყოფს, რომ მხოლოდ და
მხოლოდ იმ მწერალს მი-
ჩნია მოთხრობის ბედ-ი-
ბალი დაღუპულად, ვისაც
წერა აღარ შეუძლიაო.

ბ ღ რ

მერიკ ნიჩის პიხის
პრემიარა

გასული წლის ბოლოს
ჟურნალ „ნოიფ დოინი ლი-
ტერატურაში“ გამოქვეყნ-
და განმარტებული რომა-
ნებისა და მოთხრობების
ავტორის, ერიკ ნიჩის,

პირველი დრამატურგიული
ნაწარმოები — „ტუავი და
ხალათი“. ამას წინათ კი
ქალაქ ვალეს „ლანდესტე-
ტრში“ წარმატებით ჩა-
ტარდა აღნიშნული პიხის
პრემიერა. პიხის მთავარი
გმირი, მათემატიკოსი მი-
ხაელ ბერგი, გამოძველ-
ლი ცენტრის მთავარი ინ-
ჟინერია. „ჟველაფერი მო-
მავლისათვის“ — ასეთია
მისი მოწოდება.

კითხვაზე ამჯერად დრა-
მატურგია რატომ აირჩიე-
თო, ნიჩმა განაცხადა:
„ღრმად მწამს, რომ მწე-
რალმა სხვადასხვა უნარი
უნდა გამოიყენოს; გარდა
ამისა, მიმჩნია, დრამის
ფორმა უფრო შეესაბამება
იმ კონფლიქტებსა და პრო-
ბლემებს, რომლებიც მინ-
ტერესებდა“...

გ ფ რ

რა გამომავ
წიხის ბაზარზე

ჟურნალ „შპიგელის“
ლიტერატურული მიმო-
ხილველი მკითხველებს აც-
ნობს, თუ რა ახალი წიგნე-
ბი გამოვა უახლოეს მომავ-
ალში წიხის ბაზარზე.

პიხის ბიოლმა გამო-
ცემლობა „კიენსოიერ
უნდ ვაისს“ გადასცა თა-
ვისი ახალი რომანის ხელ-
ნაწერი. ფრანკფურტის გა-
მომცემლობა „ჟურკამპი“
უშვებს ცნობილი ავსტრიე-
ლი პოეტი ქალის ინვე-
ზიორგ ბახმანის პირველ
რომანს — „უოლოს“, ხო-
ლო „როვოლტ ფერდია“
(მამბურგი) აშაადებს პუ-
ბერტ ფისტეს ახალ რომანს.
მიმოხილველის სიტუ-



ვით წარმატება ხვდა ახალგაზრდა ავტორის, რუდიგერ კრემერის, ამას წინათ გამოსულ პირველ რომანს — „ერთი დევისი აღწერას“.

თურქეთი

რუსული კლასიკური და საბოჭოური პიესები თურქეთის სცენაზე

უკანასკნელ ხანებში თურქეთის თეატრებმა მძაურობელს გააცნო ნ. გოგოლის, ა. ოსტროვსკის, ლ. ტოლსტოის და სხვათა ნაწარმოებები. წარმატებამ ხვდა ე. კატაევის „დასვენების დღეს“.

ახლაზან სტამბოლის პოპულარულმა თეატრმა „კენტმა“ დადგა ა. ჩეხოვს პიესა „სამი და“, რომელსაც გაზეთ „რუსეთის“ თეატრალური მიმომხილველი სელმი ანდაკი „ერთ-ერთ უძნელეს ფსიქოლოგიურ პიესად“ მიიჩნევს. დების როლებს ნიჭიერი კონოსახიობები — იილდიზ კენტერი, მერალ თაიგუნი და ჩანდან ისენი ასრულებენ.

მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ჩეხოვის ეს პიესა ჭერ კიდევ 1944 წელს დადგა ცნობილმა თურქმა რეჟისორმა მუჰსინ ერთუგარულმა.

ახალი დადგმა, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა ალი თაიგუნმა განახორციელა, ს. ანდაკის აზრით წინამორბედისაგან დამაჯერებელი სცენური მიგნებებით განსხვავდება.

ინგლისი

დავა გამომთვლელმა მანქანამ გადაწყვიტა

„ოღისეასა“ და „ილიადას“ ავტორი ჰომეროსია, თუ ეს ნაწარმოებები სხვადასხვა პიროვნებას ეკუთვნის? — აი საკითხი, რომელიც ძველთაგანვე აღელვებდა მეცნიერებს. ამ სადავო საკითხის გადასაწყვეტად ინგლისელმა მეცნიერებმა გამოიყენეს გამოთვლელი მანქანა. გონიერმა მანქანამ 30 წამში გააანალიზა მეოთხედი მილიონი სიტყვა და დაასკვნა, რომ „ოღისეა“ და „ილიადა“ ერთი და იგივე ადამიანის მიერაა დაწერილი.

იტალია

იღმან ფილმს რემბოს შიხსხმ

დაიწყო ფილმის — „ჯოჯოხეთის სეზონის“ გადაღება. სათაური ფრანგი პოეტის არტურ რემბოს ერთ-ერთი პოემიდანაა აღებული. ფილმს რემბოს შესახებ დგამს პოეტი ნელო რიზი.

პოეტ-დრამატურგს დიდი ხანია იზიდავდა ცნობილი ფრანგი პოეტის ბედი. როგორც ვიცით, რემბომ პოეზიას თავისი სიკაბუჯის ძალზე მცირე პერაოდი მიუძღვნა — 17-დან 21 წლამდე, შემდეგ შორეული ქვეყნებისკენ გაემართა სამოგზაუროდ, ბოლოს კი აფრიკაში დასახლდა, სადაც იარაღით, ყავითა და სხვა საქონლით ვაჭრობას მიჰყო ხელი. პოეტის როლს მსახიობი ტერენს სტეშპი ასრულებს. მეორე დიდ პოეტს — ვერლენს, მსახიობი კლოდ ბრაილი ანახიებრებს.

ქურნალი გააფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტყარაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის ბრ. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75, 3/შგ. მღვიმის — 95-08-85. განყოფილებები: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-86. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 17/V-1971 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VI-1971 წ., ქაღალდის ზომა 70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობითი ფორმათა რაოდენობა 14. საადრ.-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა 1887. უე 02080. ტირაჟი 24 250.

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ფანდი 60 კპპ.

35 964
საქართველოს
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236